

114  
1950 | 3



# მნათობი

114  
1950 / 4

72

3

მ ს გ ბ ი



1950

# მნათობი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-კოლბიტიური შურონი

სამართვლოს საბჭოსთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეხუთედი

3

★

მ ა რ ბ ი



616h

ფფფ

საქართველოს  
საბჭოთავო  
საზღვაო ფლოტი



# ამხანაგ ლ. კ. ბერიას სიყვავე თბილისის სვალისის საერ- ჩვერო ოქჯის ამომრჩეველთა წინასაარჩევრო ქრებუნა 1950 წლის 9 მარგს



ამხანაგებო!

საკეშეირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომი-  
ტეტის მიმართეაში ყველა ამომრჩეველისადმი შეჯამებულია საბჭოთა ხალხის  
გამარჯვებანი კომუნისმისათვის ბრძოლაში, განსაზღვრულია პარტიისა და ჩვე-  
ნი ქვეყნის მშრომელთა ამოცანები, ჩამოყალიბებულია პროგრამა, რომლითაც  
კომუნისტური პარტია უპარტიოებთან ბლოკით გამოდის საბჭოთა სოციალის-  
ტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

ამიტომ მე შეეჩერდები მხოლოდ ზოგიერთ ცალკეულ საკითხზე.

ომის შემდეგ განვლილი ოთხ-ნახევარი წელი აღსავსეა დიდი მოვლენებით  
და უდიდესი მნიშვნელობის საქმეებით. საბჭოთა ხალხმა, ძლევაშისილად დაამ-  
თავრა რა მძიმე ომი, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გააჩალა გი-  
განტური მუშაობა მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის  
აღსადგენად. ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღსა-  
დგენად, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალი აღმავლობის მო-  
საწყობად.

საერთაშორისო ვითარებაში ამ დროის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილე-  
ბანი მოხდა.

ამ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე საერთაშორისო ცხოვრებაში ყველა-  
ზე დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ორი მოვლენა: გერმანიის დემოკრა-  
ტიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის  
შექმნა.

უკანასკნელი ხნის მოვლენებმა ცხადყვეს, რომ გერმანიის დემოკრატიული  
რესპუბლიკის შექმნით საფუძველი ჩაეყარა ერთიან დემოკრატიულ და მშვი-  
დობისმოყვარე გერმანიას. ევროპის ცენტრში დემოკრატიული მშვიდობისმოყ-  
ვარე გერმანიის სახელმწიფოს შექმნას, როგორც ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა  
თავის ცნობილ დეპეშაში პეკისა და გროტეკოლისადმი, უდიდესი ისტორიული  
მნიშვნელობა აქვს ევროპის ხალხთა ბედისათვის და განსაკუთრებული მნიშვ-  
ნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის.

თითქმის ნახევარმილიარდიანი ჩინელი ხალხის გამარჯვება, რომელმაც გაა-  
ნადგურა რეაქციული გომინდანური რეჟიმი, ამერიკისა და ინგლისის კაპიტა-  
ლის მსახურთა რეჟიმი და იაპონო იმპერიალისტური ჩაგვრის უღელი, მსოფ-  
ლიო მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს.

ჩინეთში რევოლუციის გამარჯვებამ აამოძრავა ასეულ მილიონობით ექს-  
პლოატირებული და ჩაგრული აღმოსავლეთში, ძირი გამოუთხარა ინგლის-ამე-  
რიკის იმპერიალიზმის პოზიციებს და სერიოზული დამარცხება მიაცენა მას.

ჩინელი ხალხის შესანიშნავი გამარჯვება, რომლის სულისჩამდგმელი და  
ორგანიზატორია ჩინეთის სახელოვანი კომუნისტური პარტია, შესაძლებელი  
გახდა გერმანიის ფაშისმისა და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურების შედე-



გად, რის განზორციელებაშიც გადაწყვეტი როლი საბჭოთა კავშირმა შეასრულა.

ჩინეთში რევოლუციის გამარჯვების ერთ-ერთ გადაწყვეტ პირობას წარმოადგენს ის, რომ ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, მუშებსა და გლეხებს კოლონიური და იმპერიალისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები აღაფრთოვანებდნენ. ლენინისა და სტალინის უკვდავი იდეები, ჩინეთის რევოლუციის სტრატეგიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ამხანაგ სტალინის ბრძნული რჩევა-დარიგება და მითითებანი გამარჯვების გზას უნათებდნენ ჩინეთის კომუნისტურ პარტიასა და მშრომელებს.

ჩვენი პარტიის ბელადები ლენინი და სტალინი მუდამ უცვლელი და ღრმა თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ჩინელი ხალხის ბრძოლას ფეოდალური და იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ჯერ კიდევ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პრადის კონფერენციაზე 1912 წელს მიღებულ იქნა რეზოლუცია „ჩინეთის რევოლუციის შესახებ“, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ კონფერენცია „აღნიშნავს ჩინელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის მსოფლიო მნიშვნელობას, რომელსაც განთავისუფლება მოაქვს აზიისათვის და ძირს უთხრის ევროპის ბურჟუაზიის ბატონობას, კონფერენცია მიესალმება ჩინეთის რევოლუციონერ-რესპუბლიკელებს, ადასტურებს დიდ აღფრთოვანებასა და სრულ სიმშაბათის, რომლითაც რუსეთის პროლეტარიატი ადევნებს თვალყურს რევოლუციური ხალხის წარმატებებს ჩინეთში, და გმობს რუსეთის ლიბერალიზმის ქცევას, რომელიც მხარს უჭერს ცარიზმის დამპყრობლურ პოლიტიკას“.\*

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელიც მოასწავებდა ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში, დასაბამი მისცა ახალ ეტაპს ჩინეთის ისტორიაშიც, რადგან სწორედ მან, ოქტომბრის რევოლუციამ, დასაბამი მისცა ახალ ეპოქას, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში რევოლუციების ეპოქას — კოლონიური რევოლუციების ეპოქას, რომლებიც მსოფლიოს და ჩაგვრულ ქვეყნებში ტარდება პროლეტარიატთან კავშირით, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით\*\*.

ჩინეთის მუშათა და გლეხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოჩენილი ორგანიზატორი სუნ იატ-სენი, სიკვილის წინ თავის მიმართვაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი 1925 წლის 11 მარტს წერდა:

„ძვირფასო ამხანაგებო! მაშინ როცა მე აქ ვწევარ ისეთი სენით შეპყრობილი, რომლის წინააღმდეგაც ადამიანები უძღლური არიან, ჩემი ფიქრი მოპყრობილია თქვენდამი და ჩემი პარტიისა და ჩემი ქვეყნის ბედისადმი.

თქვენ სათავეში უდგახართ თავისუფალი რესპუბლიკების კავშირს — იმ მეგვიდრეობას, რომელიც მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებს დაუტოვა უკვდავმა ლენინმა. ამ მეგვიდრეობის შემწეობით იმპერიალიზმის მსხვერპლნი აუცილებლად მიაღწევენ განთავისუფლებას იმ საერთაშორისო წყობილებისაგან,

\* ვ. ა. ლენინი თხ. ტ. 17 გვ. 435.

\*\* ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, გამოც. მე-11, გვ. 224.

რომელსაც ძველთაგანვე გამდგარი აქვს ფესვი ომებსა და უსამართლობაში... მე მტკიცედ მწამს, რომ ის დახმარება, რომელსაც თქვენ დღემდე უწყვეტად ჩემს ქვეყანას, უცვლელი იქნება.

გეთხოვებით რა თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, მინდა გამოვთქვა იმედი, რომ მალე დადგება დღე, როცა სსრ კავშირი მიესალმება მძლავრ თავისუფალ ჩინეთს, როგორც მეგობარსა და მოკავშირეს, და რომ მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის დიად ბრძოლაში ორივე მოკავშირე ხელ-ხელჩაკიდებული წავა გამარჯვებისაკენ“.

ახლა, როცა ჩინელმა ხალხმა მოიპოვა თავისი ნამდვილი დამოუკიდებლობა და შექმნა ახალი, სახალხო-დემოკრატიული ჩინეთი, სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა მეგობრობა განმტკიცებულია ახალ ურყევ საფუძველზე, იმ ხელშეკრულებისა და შეთანხმებათა საფუძველზე, რომლებიც ხელმოწერილ იქნა ქალაქ მოსკოვში ა. წ. 14 თებერვალს.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთს შორის დადებული ხელშეკრულება და შეთანხმებანი კიდევ ერთხელ უჩვენებენ მთელ მსოფლიოს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის პრინციპების სიდიადეს, წარმოადგენენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეში შეტანილ უდიდეს წვლილს და ახალ გამანადგურებელ დარტყმას ომის გამჩალებლებისადმი.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და ალბანეთში სახალხო დემოკრატიის გამარჯვებამ არსებითად შეცვალა მდგომარეობა ევროპაში, განამტკიცა დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები და სერბოხუვლად გამოუთხარა ძირი იმპერიალიზმის პოზიციებს.

საერთაშორისო ცხოვრებაში მომხდარი ამბები, რომლებზეც მე თქვენი ყურადღება შევაჩერე, წარმოადგენენ იმის თვალსაჩინო მაგალითს, რომ ვასულ ოთხ წელიწადში საერთაშორისო ვითარება შეიცვალა დემოკრატიული ბანაჟის სასარგებლოდ, რომელიც იბრძვის მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ყველა ხალხის — დიდისა თუ მცირის — თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისათვის, და იმპერიალისტური ბანაჟის, ომის გამჩალებელთა და ხალხების დამმონებელთა ბანაჟის საზიანოდ.

მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის; სოციალიზმისათვის მებრძოლ ძალებს სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირის ღონისძიებანი მიმართულია მშვიდობის შენარჩუნებისაკენ, იმისაკენ, რომ ჩაშალოს ახალი ომის გამჩალებელთა ყველა ყოველგვარი გეგმები.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიული პოლიტიკის სულისჩამდგმელნი აგრესიისა და ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკას იმიტომ ახორციელებენ, რომ ისინი გრძნობენ შინაგან სისუსტეს, შეცდომით ფიქრობენ, რომ ომით შეიძლება თავიდან აიცილონ მოახლოებული ეკონომიური კრიზისი და საერთოდ გადაწყვიტონ ლობადი და განწირული კაპიტალისტური სისტემის სულ უფრო გაღრმავებული წინააღმდეგობანი. მათ სსრ კავშირთან შეთანხმებისა და თანამშრომლობის ეშინიათ, რადგან საბჭოთა კავშირთან შეთანხმებათა მიღწევა უსაგნოს ვახდისა მათს აგრესიულ პოლიტიკას და ძირს გამოუთხრისა ომის გამჩალებელთა პოზიციებს.

ყველა ქვეყნის ხალხებს სურთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში, და უწინარეს ყოვლისა ურთიერთობაში დიდ სახელმწიფოთა შორის, რომლებსაც აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნების, დაცვისა და განმტკიცებისათვის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებო-

სათვის, ხორციელდებოდა შეთანხმებათა და პატიოსანი თანამშრომლობის პოლიტიკა. ხალხებს არ სურთ გამაღებული შეიარაღების, სამხედრო აგრესიული ბლოკების შექმნის, მსოფლიოს ყველა ნაწილში უთვალავი სამხედრო ბაზების მშენებლობის პოლიტიკა, ხალხებს არ სურთ ატომური და ყოველგვარი სხვა შანტაჟისა და მუქარის პოლიტიკა, ახალი მსოფლიო ომის მომზადებისა და გაჩაღების პოლიტიკა. ყველა ქვეყნის ხალხები სულ უფრო მკვიდროდ ირახმებიან მშვიდობისათვის ბრძოლაში.

სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელ ხანს არა მარტო პროგრესული ზომიერი წრეებიდან, არამედ ანტისაბჭოთა კურსის ყველაზე თანმიმდევრულ მომხრეთა ბანაკიდანაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში უკვე გაისმის ხმები, რომ გადასინჯულ იქნას ამ ქვეყნების მთავრობათა საგარეო პოლიტიკა სსრ კავშირის მიმართ. ეტყობა, ამ ადამიანების გონივრული ანგარიში ზოგჯერ იმარჯვებს მათს ანტისაბჭოთა გრძნობებზე.

მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ტაილინგმა, რომელიც ამას წინათ სენატში გამოვიდა და მოითხოვა განიარაღების საკითხებზე სპეციალური საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა, როგორც ყოველთვის, თავისი სიტყვა-აფხაზი სურათითა და გამოხდომით საბჭოთა კავშირის მიმართ, მაგრამ ამასთანავე განაცხადა: „სიმათლეს ის არის, რომ რუსეთის მთავარ ამოცანას წარმოადგენს რუსეთის უშიშროება... მოდი ვნახოთ, ზომ ვერ შევძლებთ, რომ რუსები და ისინი, ვინც დაკავშირებულია მათთან, და ჩვენი საკუთარი ხალხი და ისინი, ვინც დაკავშირებულია ჩვენთან, მამაცური, გადამწყვეტი და კეთილმეზობლური ღონისძიებების გზით გავათავისუფლოთ უკანასკნელი გრანდიოზული ომის საშინელი და შავნელი საფრთხისაგან“.

ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა სტოუნმა თავის ამასწინანდელ გამოსვლაში ნიუ-იორკს გამართულ მიტინგზე მკვეთრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საგარეო პოლიტიკა. მხედველობაში ჰქონდა რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ ხელმძღვანელებს დაჟინებით არ სურთ მიღწეულ იქნას საერთაშორისო თანამშრომლობა, სტოუნმა სავაიად მახვილგანიერად განაცხადა, „მისურის ვირიგით ერთ ადგილზე უმოძრაოდ დგომა დიპლომატობას როდი ნიშნავს“. (ღ ა რ ბ ა ზ შ ი გ ა მ ო ც ო ც ხ ლ ე ბ ა ა).

(ჩანს, სტოუნს აქ გადაკვრით ამბობს, რომ ვირის გამოსახულება დემოკრატიული პარტიის ემბლემაა და რომ მისურის შტატის დემოკრატებს მთელი რიგი თვალსაჩინო პოსტი უკავიათ ამერიკის მთავრობაში).

ჩვენ ვიბრძვით და ვიბრძობლებთ მშვიდობისათვის არა იმიტომ, რომ ომის გვეშინია. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული ჩვენს სიმათლესში, ძალასა და უძლეველობაში. ჩვენ ვიბრძვით ომის გაჩაღების წინააღმდეგ, რადგან ახალი მსოფლიო ომი უდიდესი უბედურება იქნებოდა მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანებისათვის და უდიდესი დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

სრულიად უეჭველია, რომ თუ ომის გამაღებლები მინც მოაწყობენ ახალ ომს, ამ ომში თავიანთ დაღუპვას პოეებენ მისი შთამოგონებლები და ორგანიზატორები, ამ ომში თავის დამარცხებასა და დაღუპვას პოეებს მსოფლიო იმპერიალიზმის მთელი სისტემა. (ტ ა შ ი).

კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა ამჟამად სულ უფრო მეტად ირყევა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მიერ ამას წინათ გამოქვეყნებული მოხსენება — 1949 წელს მომხდარი მთავარი ეკონომიური

ცვლილებანი“ — აქარწყლებს ამერიკული პროპაგანდის მთელი მსჯელობას „მარშალიზებული“ ქვეყნების მოჩვენებით წარმატებათა შესახებ, რომლებიც ვითომდა მიღწეულია ამერიკის „დახმარების“ საფუძველზე.

მიუხედავად მოხსენების ავტორთა დიდი სურვილისა, რომ შეალამაზონ კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკის მდგომარეობა, ისინი იძულებული გახდნენ აღნიშონენ ეკონომიური კრიზისის გაძლიერება კაპიტალისტურ ქვეყნებში და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკის „დახმარების“ შედეგი რომ ნათლად დავინახოთ, შორს წასვლა არ დაგვკირდება: გადახედეთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსახლურე თურქეთსა და ირანს.

თურქეთში ამერიკის შეერთებული შტატების „დახმარებით“ სასტიკად მოიშალა ეკონომიკა. იხურება საფეიქრო ფაბრიკები, მცირდება მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგების წარმოება, იზრდება უმუშევრობა. თურქეთის სოფლებში უსასტიკესი შიმშილი მძვინვარებს. შავი ზღვის სანაპიროზე, ხუთ ვილაიეთში სასაზღვრო პუნქტ ხოფადან სამსუნამდე, შიმშილობს მილიონნახევარზე მეტი გლეხი. „დამშეული მოსახლეობა ფოთლებითა და ბალახით იკვებება“, წერს თურქული გაზეთი „ზაფერი“ 1949 წლის 16 დეკემბერს.

ასევე მძიმეა გლეხთა მდგომარეობა ცენტრალური ანატოლიის რაიონებშიც. სტამბოლში გასული წლის დამლევს იწყო გამოსვლა გაზეთმა, რომელსაც საინტერესო სახელწოდება აქვს — „მუჰუნ-გემისი“, რაც ნიშნავს „ნოეს კიდობანს“. (გ ა მ ო ც ო ც ხ ლ ე ბ ა დ ა რ ბ ა ზ შ ი). როგორც ჩანს, გაზეთის სახელწოდება გადაკვრით მიუთითებს საკმაოდ ცნობილ ამერიკულ ექსპედიციასზე, რომელიც საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის რაიონში არარატის მთაზე მითიურ „ნოეს კიდობანს“ ეძებდა. არ გვისრულობს განვსაჯო, რამდენად აგრესიულია საერთოდ ეს გაზეთი, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ეთქვა, რომ ზოგიერთ რამეზე იგი საკმაოდ ნათლად წერს. 1949 წლის 2 ნოემბრის ნომერში ეს გაზეთი წერდა:

„ახლანდელ პირობებში იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო (იგულისხმება თურქეთი) იმპერიალისტური ურჩხულის კოლონიად გადაიქცეს შეიარაღებული ძალის გამოუყენებლად. ასეთი იმპერიალიზმია ამერიკის იმპერიალიზმი. ამერიკელები, რომლებმაც ისარგებლეს მეორე მსოფლიო ომით შექმნილი პირობებით, ადგანან მეგობრობისა და დახმარების საბაბით საკმაოდ ბევრი დამოუკიდებელი ქვეყნის კოლონიზაციის გზას“.

უკეთესი მდგომარეობა არც ირანშია.

ცნობილია, რომ ირანის ეკონომიკას დიდი ხანია „გვეგავენ“ ამერიკელი მრჩეველები და კონსულტანტები. სულ ცოტა ხნის წინათ ირანის შაჰი ტრუმენსა და აჩესონს ეახლა.

რა მოჰყვა შედეგად ამერიკელ იმპერიალისტთა ჩარევას ირანის საქმეებში? ირანის მრეწველობის მოშლა, ირანის მთელი ეკონომიკის დაუძლურება და ქაოსური მდგომარეობა.

ირანის პრემიერ-მინისტრისათვის გაგზავნილ წერილში თეირანის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ნიკუბური აცხადებს, რომ ირანის ეკონომიკა ღრმა კრიზისის მდგომარეობაშია და „არის იმის საშიშროება, რომ ქვეყნის ეკონომიური და სოციალური სტრუქტურა სავესებით მოიშლება“.

ირანის აზერბაიჯანი, რომელიც წარსულში ირანს პურიით კვებავდა, უნუგუშო მდგომარეობაშია. სიდატაკითა და შიმშილით სასოწარკვეთილებამდე მი-



სული ასეულ ათასობით გლეხი თავის ბინებს ტოვებს და სამუშაოს და საზრდოს საძებნად ქალაქებში მიდის.

ირანული ვაზეთი „პაბარი“ 1949 წლის 4 დეკემბერს წერდა: „... დღეს დედაქალაქიდან დაწყებული ვიდრე ჩვენი ქვეყნის ყველაზე შორეულ პუნქტებამდე, ჩვენი ხელმოკლე და საშუალო კლასი სიღატაკის მორყეში იხრჩობა, ხოლო სხვადასხვა დაავადებამ, უიმედობამ და საზრდოს უქონლობამ ისინი გამოუვალ მდგომარეობამდე მიიყვანა“.

იმპერიალისტები ვერავითარი პროპაგანდისტული ხმაურით ვერ დაუმალავენ მთელი მსოფლიოს მშრომელებს იმ ფაქტს, რომ იქ, კაპიტალისტური ქვეყნებში, ძლიერდება ეკონომიური კრიზისი, მცირდება სამრეწველო წარმოება, იზრდება უმუშევრობა, ინფლაცია, სიძვირე, მცირდება საარსებო დონე, მშრომელები დატაკდებიან, იზრდება საგაფიცო მოძრაობა, მუშათა დემონსტრაციებს ხვრეტენ, წარმოებს ბინძური ომი კოლონიების ხალხთა წინააღმდეგ, რომლებიც აღდგენენ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად, წარმოებს ახალი მსოფლიო ხოცვა-კლეტის ამკარა და აღვირახსნილი პროპაგანდა.

ჩვენში, სსრ კავშირში, განუხრელი აღმავლობის გზით მიდის სოციალისტური ეკონომიკა, განუწყვეტლივ იზრდება წარმოება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სრულებით არ არის უმუშევრობა, თანმიმდევრობით მცირდება ყველა საქონლის ფასი, სისტემატურად და განუხრელად მალდება მშრომელთა საარსებო დონე, უფრო ჩადდება სოციალისტური შეჯიბრება, მტკიცდება მთელი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, წარმოებს ბრძოლა მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

ჩვენს ქვეყანაში ახალი უდიდესი აღმავლობაა. ხუთი წელიწადი არ გასულა გამანადგურებელი ომის შემდეგ, ჩვენი საბჭოთა სამშობლო კი უკვე უფრო მძლავრი და მდიდარი გახდა, ვიდრე ომისწინა პერიოდში იყო. (ტ ა შ ი). ჩვენ არათუ აღვადგინეთ სახალხო მეურნეობის ომამდელი დონე, არამედ მნიშვნელოვნადაც გადავაჭარბეთ მას.

თავის გამოსვლაში ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, ოთხი წლის წინათ, ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალი, ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის — უახლოესი მომავლისათვის კომუნისტური პარტიის მუშაობის გეგმის — ძირითადი ამოცანები და მოგვცა კონკრეტული ეკონომიური პროგრამა უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მატერიალური ბაზის შექმნის პროგრამა.

პირველი ომისშემდგომი ხუთწლიანი ოთხი წლის შედეგები მოწმობენ, რომ ჩვენ შევედით სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის ხანაში, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი, რომ ჩვენი ბელადის დიდ წინასწარდასახულობებს ჩვენი მრეწველობის დონის ერთისამად ამაღლების შესახებ ომამდელ დონესთან შედარებით ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა ხალხი ღირსეულად ასრულებენ. (ტ ა შ ი).

მოიყვან ზოგიერთ ცნობას ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი შესრულების მიმდინარეობის შესახებ: მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ (მილიარდ მანეთობით, 1926-27 წლების უცვლელი ფასებით) 1949 წელს შეადგინა ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის დაწესებული მოცულობის 95 პროცენტი.

ფოლადის, ნავლინის წარმოებაში, ქვანახშირისა და ნავთის მოპოვებაში, ელექტროენერჯის გამომუშავებაში 1949 წელს ძირითადად მიღწეულიყო ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის დაწესებული წარმოების დონე **შედეგად**.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენი მრეწველობის ზრდის საშუალო ტემპი 22,5 პროცენტს შეადგენს. სსრ კავშირის მრეწველობის განვითარების ეს ტემპი ომამდელი ყველა ხუთწლედის ტემპებზე მაღალია.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. (ტ ა შ ი).

ამას უნდა ვუმაღლოდეთ სახელოვან კომუნისტურ პარტიას, რომელმაც შეძლო საბჭოთა ხალხის მთელი ძალები დაერაზმა და წარემართა კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებებისათვის საბრძოლველად. ამას უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნულ ხელმძღვანელობას. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

ამხანაგი სტალინი უშუალოდ უდგას სათავეში და წარმართავს ჩვენი პარტიის, საბჭოთა მთავრობის, საბჭოთა ხალხის ბრძოლასა და მუშაობას ომისშემდგომი ხუთწლიან გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მთელ ჩვენს ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

ჩვენი ქვეყნის გმირი მუშათა კლასი, წარმოების მილიონობით სტახანოელები, მოწინავენი და ნოვატორები, თავიანთი მამაცური და თავდადებული შრომით უზრუნველყოფენ განუხრელ აღმავლობას, სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური საფუძვლების განმტკიცებას და ხალხის კეთილდღეობის ზრდას.

კოლმეურნე გლეხობა — ჩვენი სოციალისტური მიწდვრების სახელოვანი მშრომელები — აგრეთვე თავდადებით შრომობენ, რათა მომავალშიც განუწყვეტილ იზრდებოდეს მეურნეობა — ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სიუხვისა და შეძლებულობის წყარო.

ჩვენს ნიჭიერ საბჭოთა ინტელიგენციას, მეცნიერებისა და კულტურის მოწინავე ადამიანებს თავიანთი ძვირფასი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

თავის მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა: „მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ჩვენ გაუუსწარიტ წარმოების ტექნიკისა და მრეწველობის განვითარების ტემპების მხრივ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა გაუუსწროთ მათ აგრეთვე ეკონომიურადაც. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება, და კიდევ უნდა გავაკეთოთ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიურად გაუუსწრებთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, შეგვიძლია ჩვენ იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ქვეყანა სულ სავსე იქნება მოხმარების საგნებით. ჩვენ გვექნება პროდუქტების სიუხვე, და შესაძლებლობა მოგვეცემა კომუნიზმის პირველ ფაზიდან გადავიდეთ მის მეორე ფაზაში“ \*.

თუ შევადარებთ სსრ კავშირის მრეწველობის განვითარების ტემპებს უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების ტემპებს უფრო ხანგრძლივ პერიოდში — ოც წელიწადში, დავინახავთ, რომ მაშინ როცა სსრ კავშირში მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1949 წელს მ-ჯერ და უფრო მე-

\* ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, გამოც. მე-11, გვ. 717.



ტად გაიზარდა 1929 წელთან შედარებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი გაიზარდა ერთნახევარჯერ და ცოტა მეტად, ინგლისში — უფრო ნაკლებად ვიდრე ერთნახევარჯერ, საფრანგეთში კი ზრდა 1929 წელთან შედარებით მხოლოდ 90 პროცენტს შეადგენს.

უფრო მეტ განსხვავებას ვხედავთ მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპებში. მაშინ როცა ჩვენში, სსრ კავშირში, მძიმე მრეწველობა 1929 წლიდან 1949 წლამდე ერთითა და უფრო მეტად გაიზარდა, ამერიკის შეერთებული შტატების მძიმე მრეწველობა 1949 წელს 163,7 პროცენტს შეადგენდა 1929 წელთან შედარებით. ელექტროენერჯის გამომუშავების ზრდის ტემპი სსრ კავშირში აღნიშნული 20 წლის მანძილზე ოთხჯერ და კიდევ უფრო მეტია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში; მანქანათმშენებლობის განვითარების ტემპი — 11-ჯერ მეტია და სხვ., ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს წარსულ ომში არ განუცდიათ ის მძიმე ზიანი, რაც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას მოუვიდა.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები, ისევე როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის ომის შემდგომი განვითარების შედეგები, მოწმობენ, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი ღირსეულად ასრულებენ ამ დიდ ისტორიულ ამოცანასაც.

კომუნისტურმა ჩვენი წარმატებითი წინსვლის ძირითადი, გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების გადიდება. შრომის ნაყოფიერების გადიდების ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს წარმოების ყველა დარგის აღჭურვა ახალი, უფრო სრულყოფილი ტექნიკით და შრომის რაციონალური ორგანიზაცია.

ამ საქმეში ჩვენ სერიოზული წარმატებები გვაქვს. უკანასკნელ წლებში ჩვენს მრეწველობაში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა შრომატევად და მძიმე სამუშაოთა მექანიზაციისათვის. ეს ჩანს ქვანახშირის მრეწველობის მაგალითითაც.

1949 წელს ქვანახშირის მიწისქვეშა მოპოვების ისეთი უმნიშვნელოვანესი პროცენტები, როგორცაა მონგრევა და აწმენდა, მექანიზებული იყო 98,1 პროცენტით, საწმენდი სანგრევეებიდან ქვანახშირის გამოტანა — 99 პროცენტით, მიწისქვეშა გვირაბებში ქვანახშირის ტრანსპორტირება — 95,5 პროცენტით და რკინიგზის ვაგონებში ქვანახშირის ჩატვირთვა — 98,6 პროცენტით.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქვანახშირის მრეწველობაში შეიქმნა და წარმატებით გამოყენებულია ქვანახშირის კომბინები, ესე იგი მანქანები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ასრულებენ ქვანახშირის მონგრევას, აწმენდასა და კონვეიერებზე დატვირთვას.

ასობით უახლესი მანქანა გამოყენებულია აგრეთვე გვირაბების გაყვანისას ვაგონებში ქვანახშირისა და ქანის დასატვირთავად.

ამის შედეგად შახტებში მძიმე სამუშაოებზე ზედმეტი ხდება ფიზიკური შრომა. ამიტომ იყო, რომ შოტლანდიელმა მღაპროელებმა, რომლებიც შარშან მოსკოვის ქვანახშირის აუზისა და დონბასის შახტებში იყვნენ, საბჭოთა შახტებს რომ შეადარეს, განაცხადეს:

„ეს შახტები რომ დავათვალიერებთ, ჩვენ ვაცხადებთ. რომ ეს ყველაზე მექანიზებული შახტებია, როგორც კი ჩვენ როდისმე გვიჩახავს, და რომ ასეთი მექანიზაციით მძიმე შრომა შახტებში თავიდან აცილებულია“.

მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა, ტრანსპორტზე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის საქმეში და სხვ.

წარმოების ყველა დარგში ახალი მოწინავე ტექნიკის დანერგვა, ავტომატიზაციის, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა და შრომის წარმოქმნის ხაცია მნიშვნელოვნად უმსუბუქებს შრომას საბჭოთა ადამიანს, დაწინაურების ბით შრომელთა სოციალისტური შეჯიბრების უფართოეს გაქანებასთან ერთად უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების განუზრებელ ზრდას, პროდუქციის გამოშვების გადიდებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა, შრომის ნაყოფიერების გადიდება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება უზრუნველყოფს ჩვენი სახელმწიფოსათვის ნაციონალური შემოსავლის განუწყვეტელ გადიდებას. ეს საშუალებას აძლევს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას განუწყვეტლივ აუმჯობესონ მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მატერიალური და კულტურული დონე.

საბჭოთა მთავრობას ყოველთვის თავის მოვალეობად მიაჩნდა და მიაჩნია ზრუნოს ჩვენი ქვეყნის შრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ამხანაგმა სტალინმა, განსაზღვრა რა ომის შემდგომი ხუთწლედის ამოცანები, თავის სიტყვაში ამომრჩეველთა კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს ხაზგასმით აღნიშნა, რომ „განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, შრომელთა საარსებო დონის ამაღლებას ყველა საქონლის ფასების თანმიმდევრობითი შემცირების გზით“...

ღრმა რწმენით მიიღო მაშინ ხალხმა საყვარელი ბელადის ეს მითითება. ხალხმა იცის, რომ ამხანაგ სტალინის, ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის სიტყვა არასოდეს არ შორდება საქმეს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

1947 წლიდან დაწყებული საბჭოთა კავშირში სამჯერ ჩატარდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის საცალო ფასების შემცირება.

იზრდება მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, მატულობს კოლმეურნეთა შემოსავალი, დიდდება სახელმწიფოს ასიგნობანი საბინაო და საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის, სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარებისა და გადასახდელებისათვის, სოციალური უზრუნველყოფის ხაზით პენსიების გაცემისათვის, შრომელთა უფასო საექიმო დახმარების, სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლებისათვის, უფასო სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მოსწავლეთა სტიპენდიებისათვის, შრომელთა შეღავათებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებული გადაწყვეტილება მანეთის კურსის ოქროს ბაზაზე გადაყვანისა და უცხოეთის ვალუტების მიმართ მანეთის კურსის გადიდების შესახებ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ღონისძიებაა, რომელიც მოწმობს მანეთის შემდგომ უფრო მეტ განმტკიცებას, მისი მყიდველობითი უნარის გადიდებას და უცხოეთის ვალუტების მიმართ მისი კურსის ამაღლებას. ეს ღონისძიება შესაძლებელი გახდა სსრ კავშირში მიღწეულ ეკონომიურ წარმატებათა შედეგად.

ქართველი ხალხი, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, წარმატებით იბრძვის გენიალური სტალინური გეგმების განხორციელებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. საბჭოთა საქართველომ ომის შემდგომი სტალინური

ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში აგრეთვე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სამრეწველო მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას დარგში, კულტურული მშენებლობისა და მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში.

მაგრამ არსებული წარმატებანი უფრო მეტს გვაველებენ. საქართველოს ბოლშევიკებმა და ყველა მშრომელმა კიდევ უფრო სწრაფად უნდა წასწიოს წინ რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის განვითარება. საქართველო ხორბლის ძველი კულტურის ქვეყანაა. მისი აღმოსავლეთი რაიონები — კახეთი და ქართლი — ყოველთვის კვებავდნენ პურით ქართველ ხალხს. თუმცა მარცვლეულის, კერძოდ ხორბლის, საერთო მოსავალი, წარსულთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ კმარა. ხორბლის მოსავლიანობა ჯერ კიდევ არ არის მაღალი. საქართველოს კოლმეურნეობები ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით იძლევიან სასაქონლო მარცვლეულს. მარცვლეული კულტურების დამზადება რესპუბლიკაში პურის პროდუქტების იმ საერთო რაოდენობის ერთ მესამედზე ნაკლებს შეადგენს, რაც საჭიროა საქართველოს ქალაქების მოსახლეობის მოსამარაგებლად.

საქართველოს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ მთლიანად დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება საკუთარი წარმოების მარცვლეულით და არ შემოიტანოს იგი სსრ კავშირის შორეული ოლქებიდან.

საჭიროა ფართოდ გავავრცელოთ ხორბლის ადგილობრივი ძვირფასი ჯიშები: დოლის პური და სხვა ჯიშები, გავაძლიეროთ სახელექციო მუშაობა ამ ჯიშების სამეურნეო თვისებათა შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ვაზის საუკეთესო სამრეწველო ჯიშების განვითარებას და ჩაის, ლენის, თამბაქოს და საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებას.

მე უკვე ვთქვი საბჭოთა საქართველოს წარმატებებზე კულტურული მშენებლობის დარგში. მით უფრო მეტი საფუძვლით უნდა მოველოდეთ მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მუშაკებისაგან, მთელი ქართველი საბჭოთა ინტელიგენციისაგან ახალ შემოქმედებითს მიღწევებს. მათ უნდა გაამდიდრონ ქართული საბჭოთა კულტურა ფერწერის, მუსიკის, ლიტერატურის ახალი მაღალიდგური ნაწარმოებებით, ახალი მეცნიერული ნაშრომებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკური ინტელიგენციის მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდას. საბჭოთა ხელისუფლებამდე, საქართველოს სუსტი სამრეწველო განვითარების გამო, ეს კადრები მცირერიცხოვანი იყო. ამჟამად საქართველოს მოეპოვება საბჭოთა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში აღზრდილი ყველა სპეციალობის ინჟინერთა, ქიმიის, ფიზიკისა და სხვა ტექნიკური დისციპლინების მეცნიერ მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრები. მაგრამ მეტალურგიის, ქვანახშირის, ქიმიის მრეწველობისათვის, რომელიც საქართველოში ვითარდება, მანქანათმშენებლობისათვის, აგრეთვე გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა საწარმოებლად საქართველოს წილის სიმდიდრეთა გამოვლინების მიზნით, რათა უფრო სრულად იქნას გამოყენებული ეს სიმდიდრენი საშობლოს საკეთილდღეოდ, საჭიროა უფრო მეტი რაოდენობით გვყავდეს ინჟინრები, გეოლოგები და სხვა სპეციალისტები.

გასაგებია, რომ საბჭოთა საქართველოს წარმატებანი და მიღწევანი განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საერთო წარმატებებთან და წარმოადგენენ იმის შედეგს, რომ ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა სწორად ახორციელებენ ლენინურ-სტალინურ ეროვნულ

პოლიტიკას, რომელმაც უზრუნველყო სსრ კავშირის ხალხთა მტკიცე მეგობრობა და ეროვნული რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის განვითარება. ქართველი ხალხის წარმატებანი არ შეიძლება განვიხილოთ საქართველოს მეზობელი რესპუბლიკების — აზერბაიჯანისა და სომხეთის ცხოვრებასა და განვითარებასთან დაუკავშირებლად.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა, რასაც ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ საფუძველი ჩაუყარა ამხანაგმა სტალინმა, რომელმაც შექმნა და გამოაწრთო ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაციები; მეგობრობა, განმტკიცებული ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში რუსი, სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი მუშებისა და გლეხების სისხლით; მეგობრობა გასხვივოსნებელი ცარიზმის წინააღმდეგ, მემამულეთა და ნაციონალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა გმირული ბრძოლის ტრადიციებით — ეს მეგობრობა მტკიცე და ურღვევია. (ტ ა შ ი).

თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება საბჭოთა ხელისუფლების წლებში ერთ-ერთი პირობა იყო, რამაც ხელი შეუწყო თვითეული ხალხის ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და ამასთან ასაზრდოებდა და ავითარებდა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, როგორც ერთა თანამეგობრობის საფუძველს. ამიერკავკასიის ხალხთა ეს ისტორიული თანემეგობრობა კვლავაც უნდა მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს. ბაქოს ნავთის მრეწველობის გმირი მუშაკები, აზერბაიჯანის კოლმეურნეები, სომხეთისა და საქართველოს მუშები და კოლმეურნეები, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხალხთა ნიჭიერი ინტელიგენცია, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს რესპუბლიკებს ყველა განვლილ წელს მოპოვებული მრავალი მიღწევით, კვლავაც არ დარჩებიან ვალში სამშობლოს წინაშე. (ტ ა შ ი).

#### ამხანაგებო!

რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს ჩვენი გამარჯვებანი, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ბელადები — ლენინი და სტალინი გვასწავლიან არ ვიყოფიხოთ, არ დავჯერდეთ მიღწეულს. არ შეიძლება დავვიწყოთ, რომ წარმატებათა გარდა გვაქვს ნაკლოვანებანიც ჩვენი საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში.

ამხანაგი სტალინი მიგვითითებს, რომ ერთ-ერთი ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა გამომკვლავება, კრიტიკა და აღმოფხვრა, რომ პატიოსანი ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაუჩაღებლად არ შეიძლება წინსვლა, განვითარება.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე თავის გამოსვლაში 1928 წელს ამხანაგმა სტალინმა თქვა: „დაე პარტია, ბოლშევიკები, ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსანი მუშა და მშრომელი ელემენტი ამკვლავდეს ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებს, ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებებს, სახავდეს ჩვენი ნაკლოვანებების ლიკვიდაციის გზებს იმისათვის, რომ ჩვენს მუშაობასა და ჩვენს მშენებლობაში არ იყოს უძრაობა, ჭიაობი, ლპობა, იმისათვის, რომ მთელი ჩვენი მუშაობა, მთელი ჩვენი მშენებლობა დღითი დღე უმჯობესდებოდეს და ახალ-ახალ წარმატებას აღწევდეს. ეს არის ახლა მთავარი“ \*.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ თვითეული ჩვენგანი ყოველ პოსტზე, — ხელმძღვანელ თუ რიგითს პოსტზე, კრიტიკულად უნდა ეკიდებოდეს თავის მუშაობას, აჯამებდეს თავის მუშაობას ყოველდღიურად, ეკითხებოდეს

\* ი. სტალინი. თხზ. ტ. 11, გვ. 30.



თავის თავს: ხომ არ შეშქმდლო უკეთ გამეკეთებინა? ყოველი საბჭოთა კომუნისტი მამაკურად უნდა ხედებოდეს თავისი მუშაობის ნაკლოვანებათა კონტრკონსტრუქციულ საჭირო დასკვნები გამოაქონდეს მომავლისათვის. მხოლოდ ამ პირობით შეგვიძლია გავაუმჯობესოთ ჩვენი მუშაობა და ვიაროთ წინ.

ამხანაგი სტალინი მიგვიითხებებს, რომ კომუნისტიმისაყენ ჩვენი წინსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სერიოზული ყოველდღიური მუშაობა ცოდნის ასამაღლებლად.

რაც უფრო წინ მიდის ჩვენი განვითარება კომუნისტიმისაყენ, ცხოვრება თვითეულ ჩვენგანს ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებს. ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი მრეწველობის, ჩვენი მშენებლობის, ჩვენი ტრანსპორტის, ჩვენი სოფლის მეურნეობის სულ უფრო და უფრო აღქურვას, სსრ კავშირის მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე მდგომი ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების აღქურვას ახალი ტექნიკით. ჩვენ გამუდმებით ვაუმჯობესებთ ამ ტექნიკას. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ვისწავლოთ ბოლომდე გამოვიყენოთ ის შესაძლებლობანი, რომლებსაც შეცნიერება და ტექნიკა გვაძლევს.

ცხოვრება ერთ ადგილზე რაღი დგას — ყოველ დღეს რაიმე ახალი მოაქვს ჩვენითვის. „ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, დრომოქმულსა და ახლად წარმოშობილს შორის — აი ჩვენი განვითარების საფუძველი“, ამბობს ამხანაგი სტალინი. რომ არ ჩამოვრჩეთ, კომუნისტიმის მშენებელთა მოწინავე რიგებში რომ ვიდგეთ, და არა კულში მივჩანჩალებდეთ მოძრაობას, არა მარტო სრულყოფილად რომ დავუფულოთ ჩვენს საქმეს, არამედ მისი წინ წაწევის უნარიც რომ გვქონდეს, ამისათვის საჭიროა მუდამ ვმუშაობდეთ ჩვენი ცოდნის შესავსებად, ვიმაღლებდეთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, ვზრდიდეთ ჩვენ საქმიან თვისებებს.

ნურავინ იფიქრებს, რომ თუ კაცს პასუხსაგები პოსტი უჭირავს, განათლება, სამეცნიერო წოდება ან ხარისხი აქვს, — უკვე ყველაფერი იციის და სწავლა აღარ სჭირდება. სწავლა ყველას სჭირდება — რიგითი კოლმეურნიდან და მუშვიდან დიდ სახელმწიფო მოღვაწემდე.

ჩვენი მთავარი ამოცანაა ყოველდღიური და დაუღალავი ზრუნვა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდისა და განმტკიცებისათვის, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, რომ ჩვენი საბჭოთა კავშირი მზად იყოს კვლავაც გაუძლოს ყოველგვარ განსაცდელს. (ტ ა შ ი).

ყოველთვის და ყველგან, ყოველ საქმეში, დიდსა თუ მცირეში, ყოველი საბჭოთა ადამიანი ყველაფერზე მალა უნდა აყენებდეს სახელმწიფო ინტერესებს, იყოს ფხიზელი და იდგეს თავისი სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე, უსასტიკესად იცავდეს ჩვენს საბჭოთა სახელმწიფო დისციპლინას, იჩენდეს შემოქმედებითს ინიციატივას კომუნისტურ მშენებლობაში და შეგნებული ქონდეს თავისი პრაქტიკული საქმიანობის ყოველი ნაბიჯის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. საბჭოთა ადამიანის ერთგულება, კომუნისტია იგი თუ უპარტიო, ბოლშევიკური პარტიისა და სოციალისტური სამშობლოსადმი გამოიხატება არა მარტო მისი გრძნობებითა და განწყობილებით, არამედ იმის უნართითაც, რომ სწორად განახორციელოს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა თავისი კონკრეტული სამუშაოს დარგში.

საბჭოთა ხალხი მესამედ ატარებს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებს სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. საბჭოთა ადამიანები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს ყოველთვის ხედებიან როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს. ეს გასაგებიცაა. კაცობრიობის საუკე-

თესო ადამიანები მუდამ ოცნებობდნენ ისეთი საზოგადოებრივი წყევლების შექმნაზე, სადაც ადგილი არა აქვს ექსპლოატაციას, ადამიანის ეკონომიკური ლიტიერ და სულიერ დამონებას, სადაც მოქალაქეებსა და ხალხებს შეუძლიათ მშურ თანამშრომლობასა და მეგობრობაში იცხოვრონ. ეს საუკუნეობრივი ოცნება დიად საბჭოთა ქვეყანაში უკვე დიდი ხანია სინამდვილე გახდა. (ტ ა შ ი). მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევა, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი გიგანტური ზრდა ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა კეთილდღეობას ემსახურება.

ჩვენი ხალხმა იცის, რომ ამას იგი უნდა უმადლოდეს ლენინ-სტალინის გმირულ პარტიას (ტ ა შ ი), თავის ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ე ი მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი. ყ ვ ე ლ ა ნ ი ფ ე ხ ზ ე დ გ ე ბ ი ა ნ). ამიტომ არის, რომ იგი ასეთი ერთსულოვნებით ასახელებს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს. ერთსულოვნად მისცემენ რა მათ ხმას, საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ ამით ხმას მისცემენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მის ძლიერებას და წინსვლას კომუნისმისაკენ, მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას. (ტ ა შ ი). ამიტომ არის, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში გამოთქმულია რწმენა, რომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წარსული არჩევნების მაგალითისამებრ, 1950 წლის 12 მარტს ყველა ამომრჩეველი ერთსულოვნად მივა საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს (ტ ა შ ი), ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო შვილებს. საბჭოთა ხალხი ამით ერთხელ კიდევ ცხადყოფს თავის ურყევ დარწმუნობას კომუნისტური პარტიის გარშემო, თავისი საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ე ი მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

დიდ მადლობას მოვასხენებ ამომრჩეველებს, რომლებმაც ნდობა გამიწიეს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეს.

აქ გამოსულმა ამხანაგებმა ბევრი ილაპარაკეს ჩემს დამსახურებაზე, შემაქტეს. ამაში მე, უწინარეს ყოვლისა, ვხედავ თქვენს სიყვარულსა და ერთგულებას ბოლშევიკური პარტიისადმი (ტ ა შ ი), რომელიც გვზრდის ზალხისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისმის საქმისადმი თავდადებული სამსახურის სულისკვეთებით.

შეგიძლიათ კვლავაც ერწმუნოთ ჩემს ერთგულებას ბოლშევიკური პარტიისადმი და ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ე ი მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი. ყ ვ ე ლ ა ნ ი ფ ე ხ ზ ე დ გ ე ბ ი ა ნ).



პასუხობდა

## ასე გლარის მერხეული

★

მე აქ ვდგავარ, ვარსკვლავივით მთების გულში ანთებული,  
თავზე მთვარე დამკაშკაშებს, შუქით გაჩირაღდნებული.

ხეობებს რომ ჩახვევია, ფორთოხლების სხივი არის,  
პყვავის ჩემი ნაფუზრები ვენახიამ-ხილიანი.

მე ათასი წელიწადი ბნელით ვიყავ დათალხული,  
ობოლი და უთვისტომო ყრუ ხეებში ჩაქარგული.

მაგრამ, როცა ცისკრის დროშა განთიადმა ცად აღმართა,  
დიდ ოქტომბრის ცხრათვალა მზემ ჩემი გულიც გაანათა.

ჩაბნელებულ შავი ღრუბლის გადაიძრო ტყემ ზეწარი,  
ჩემი ქვეყნის დიდ გაზაფხულს მეც სიამით შევესწარი.

მე ასეთი სიხარული განა წინათ განმიცდია?  
საქართველოს გმირი შვილი ჩემი კალთით გამიზრდია.

ის აქ იყო, აცენიდანვე ამ ხელებით ვატარებდი,  
მზეს ფოთლებით ვუჩრდილავდი, სიცივეს არ ვეკარებდი.

ვგრძნობ, ასეცად დამიფასდა მშობლიური მე ამაგი,  
დღეს მადლობით მიმღერიან აქ რიონი, იქ — არაგვი.

ჩვენი ქვეყნის აყვავების საძირკველი მან ჩაპყარა,  
და ახალი საქართველოს ნერგი ახლად გაახარა.

მიტომ ვდგევარ მეც ამაყად, საღ კლდესავით ამართული,  
მესხეთიდან ისევ მესმის რუსთაველის ხმა ქართული.

იქ შორს, ლურჯად დაბინდული გოლიათი მოჩანს მთები,  
გავხედავ, და მაგონდება სისხლიანი ომის წლები.

შობის პირველ დაძახილზე ჩემი შვილი აქვე გაჩნდა,  
როცა მტერი დაგვემუქრა ქლუხორთან და წებელდასთან.

ბრძოლით განვლო ხეობები თოვლიანი მწვერვალისა.  
შეასრულა მტკიცედ ნება ჩვენი ბრძენი ბელადისა.

დღეგრძელობდეს ჩვენი ქვეყნის მხსნელი, დამამშვენებელი.  
ჩემი მიწის, ჩემი დიდი საქართველოს მშენებელი.

— ასე მღერის მერხეული მოგონებით გულდამტკბარი,  
და ხეობებს გადასცქერის გაზაფხულის მზით გამთბარი.

1950

5993



# ხალხის რჩეუნი

## სიმონ ჩიქოვანი

★

ქართული პოეტური კულტურის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი და საზოგადო მოღვაწე, სიმონ ჩიქოვანი — იმ თვალსაჩინო დამსახურებისათვის, რომელიც მას საბჭოთა პოეზიის განვითარების საქმეში მიუძღვის — ხალხის მიერ არჩეულია ეროვნებათა საბჭოს დებუტატად.

სიმონ ჩიქოვანს განვლილი აქვს პოეტური შემოქმედების სახელოვანი გზა. მისი მუზა საბჭოთა პირობებში გაიფურჩქნა, მისი პოეტური სიტყვა, საბჭოთა ცხოველმყოფელ გარემოში დაიბადა, განვითარდა და მომწიფდა. მისი პოეტური ხმის ფორმაციას საბჭოთა სინამდვილემ შეუწყო ხელი, იგი საბჭოთა წყობილების ახალი სამყაროს შეილია, მისი დაუღალავი და ერთგული მომღერალია.

აუცილებელია ის დებულება, რომ პოეტის, და მეტადრე ლირიკული ხმის მფლობელი პოეტის შემოქმედება წარმოადგენს იმ უტყუარ სარკეს, რომელშიც თავის ანარეკლს პოულობს მისი (პოეტის) სულიერი ცხოვრება, ის საფეხურები, რომელიც გაუვლია მან შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე. პოეტის ბიოგრაფია მისი პოეზიაა, მისი სიმღერაა.

პოეტის შემოქმედების გაცნობა მკითხველს საშუალებას აძლევს წარ-

მოსახოს ის გარემო, რომელშიც პოეტი დაიბადა და აღიზარდა, რომელმაც პოეტის სულიერ წყობაზე მოახდინა გავლენა, მისი ინტელექტუალური ინტერესები წარმართა.

ჩვენ შეგვიძლია ს. ჩიქოვანის ლექსების ანალიზით აღვადგინოთ ის ცალკეული აღქმანი თუ შთაბეჭდილებანი, რომლებიც მას მიუღია თავისი ცხოვრების გზაზე, და რომლებიც მის ბიოგრაფიაში უშუალოდ, ორგანიულად შედიან, არა როგორც ცალკეული თუნდაც მნიშვნელოვანი თარიღების აღმნიშვნელი, არამედ საერთო სულიერ გატაცებათა ამსახველნი. თუ პოეზია მოგონებაა იმისა, რაც პოეტის შინაგან სამყაროში მტკიცედ შთასახულია, მთელ მის არსებაზე გარდამტეხი მნიშვნელობის გავლენა მოუხდენია, ჩვენ შეგვიძლია ს. ჩიქოვანის ლექსების გარკვეული ციკლის გაცნობით ნათლად წარმოვიდგინოთ არა მხოლოდ სოციალური წრე, არამედ ის გეოგრაფიული არეც. სადაც პოეტი დაიბადა და რამაც მის პოეტურ მენსიერებაში ძლიერი ფესვები გაწაღა. ეს არე ისეთი რეალისტური ფერებით არის დახატული, რომ მის გაცოცხლებას მკითხველის ფანტაზიის არც ისეთი ძალა სჭირდება.

ეს არის სამეგრელოს ლურჯი და მინაზებული ცა, როცა იგი თავისუფა-

ღია ღრუბელთა სქელი საბურველისაგან, დიდი დაბლობი, რომელზედაც უხვად მოფენილა სოფლები, სწორი ქუჩები, ალვის ხეების ჩრდილებით რომ არიან შეკრულნი. ეზოები, რომელთა სიღრმეში პატარა ოდები აღმართულან. ერთ-ერთ ასეთ ეზოში, რომელიც მკითხველს არასდროს არ უნახავს, მაგრამ ცოცხლად წარმოუდგება იგი პოეტის ლექსების კითხვისას, დგას ღარიბი ოდა. ეზოში დგას ტბორი გობივით მცირე, რომელსაც ოხშივარი ადის. ირგვლივ ქაობების დამპალი სუნი ჰქრის. ისმის „ბაყაყების გალობა მწველი“, ციების კოლოს შემზარავი ზუილი, ციებ-ციხელებით დაავადებული ქალი ვიდაც დავრდომილს ულოცავს. ასეთ გარემოში დაირწა პოეტის აკვანი. აქ იხილა მან „პირველი მიწა“, რომელიც „ბიბლიურ თიხას“ უფრო გავდა კოლხიდის დავრდომილ ველზე აიდგა პოეტმა ფეხი. ჩიჩილაკი, ნაჭრიანი საბნის ჩითები, მაღალი ურმების ღერძის კრიალი, ფეხშიშველი ბავშვის შებმა ქაობთან, და ძველი სოფლის ყოფის სხვა ასეთი დამახასიათებელი დეტალებით არის აღსავსე პოეტის დაწყებითი წლები.

ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებანი იმდენად ძლიერი და ენერგიულია, რომ ისინი ხშირად არღვევენ დროის მიერ აღმართულ ჯებირებს და ცხოველ ნაკადულებად იჭრებიან ს. ჩიქოვანის პოეზიაში. ამ ლექსებში პოეტი აღსარების გულწრფელობამდე აღწევს, ისინი პოეტის გულის ნაწილებს წარმოადგენენ.

მომავალი თვალსაჩინო პოეტი სიღარიბეში იზრდებოდა. ამას თვითვე აღიარებს ერთ-ერთ ლექსში. „ღარიბი იყო ბავშვობა ჩვენით“, — ამბობს იგი. მატერიალურ სიღუპში იზრდა და სიღარიბეს როგორც ჩანს ფარავდა და ანელებდა ის სულიერი მრავალფერობა, რომლის გავლენის ქვეშაც იგი იზრდებოდა.

ცნობილია, თუ რა კეთილ გავლენას ახდენდნენ ჩვენში მომავალ საზოგადო მოღვაწეებზე მათი საქმარდ განათლებული, ჰუმანიზმის საწყისებზე აღზრდილი დედები, რომლებსაც თაობიდან თაობაში გადმოჰქონდათ ბალხური პატრიოტიზმის ტრადიციები, პატივისცემა და სიყვარული მშობლიური ქვეყნის ზედისადმი.

ასეთი ყოფილა ს. ჩიქოვანის დედა და ბაბუა, რომელთა ნათელი სახეები ხშირად გაიღვებენ ხოლმე მის ლექსებში. ოჯახი უნერგავდა ჰაბუცს სიყვარულს გმირული წარსულისადმი, იგი ზრდიდა მასში პატრიოტულ სულისკვეთებას, ინტერესს ბალხის ცხოვრებისადმი. ბავშვი ხშირად ისმენდა უცვდავ თქმულებას ამირანზე — საქართველოს ცოცხალ სიმბოლოზე, იმ გმირ წინაპრებზე, რომლებიც სამშობლოს კეთილდღეობას შეეწირენ. პოეტი იზრდებოდა გურიელისა და გუგუნავას იმ ლექსების ზეგავლენით, რომლებიც საკმაო ზნეობრივი სიფაქიზით და პატრიოტული რომანტიზმით გამოირჩევიან.

მოგონებებიდან ლექსები წყნარად გავიხსენებს და გურიელისა —

„ღნიშნავს პოეტი ავტობიოგრაფიული ხასიათის გარკვეულ დეტალს ლექსში „ნიეარის საფერფლე“.

ს. ჩიქოვანის ერთ-ერთი საუკეთესო ლირიკული ლექსი „ღის დაკარგვა“ გვიხატავს იმ სულიერ დუღილს და მოუსვენრობას, რომელიც გამოუწვევია მასში ახლო არსების — ღის სიკვდილს. ეს ლექსიც მკაფიოდ ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და მუქი, მაგრამ რეალისტური ფერებით არის შესრულებული. არ შეიძლება მკითხველს ურუანტელმა არ დაკარას ტანში მისი ლექსის „მამის ჩვენება“-ს წაყითხვისას. ღრმა გრძნობით, შინაგანი ინტიმით. ნამდვილი პოეტური აღერსით არის იგი დაწერილი. დედა, მამა, და... ყვე-

ლამ ახალგაზრდობაში დატოვა პოეტი და მარტოდ-მარტო გაუშვა იგი ცხოვრების გზაზე.

ადვილად წარმოსადგენია, თუ რა სულიერობლობაში ვითარდებოდა და მწიფდებოდა პოეტი ინტელექტუალურად, თუ რა ასაზრდოებდა მის გონებრივ წყურვილს. უნდა ვიფიქროთ, რომ თანდაყოლილი სიღარიბე, ცხოვრების მიმე პირობები დაედო სარჩულად იმ გურამიშვილისებურ მღურვას სოფლისადმი, რომელიც მის ზოგიერთ ადრინდელ ლექსს ახასიათებს. მხედველობაში გვაქვს ის ლექსები, რომლებიც პოეტის ბავშვობისა და ყრმობის წლებს აცოცხლებენ. დიდი მისწრაფებანი და მოქმედების მცირე შესაძლებლობანი, ასეთი იყო ის სინამდვილე, რომელშიც მოხდა პოეტი.

სად დაეხადე, უნდა ბედმა რა გამატანა სული მწუწრავალი და მათარა ძლიერ პატარა.

„უნდა ბედი“ და „ძლიერ პატარა მათარა“, როგორც პოეტის მომავალმა დაამტკიცა უძლურნი აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ მისი ცოცხალი ფანტაზია დაეცხროთ, მისი შემოქმედებითი ძალა შეენელებათ, მისი მოღვაწეობა, ხალხის კეთილდღეობისადმი მიმართული, შეეფერხებიათ. პოეტს ისეთი იარაღი აღმოაჩნდა, რომელმაც ადვილად გაუკაფა გზა იმ ბედნიერებისაკენ, რომელსაც ხალხის სამსახური ეწოდება. ეს იარაღია — მისი სულის წყურვილი, სწრაფვა შემოქმედებითი ცხოვრებისადმი, ზნეობრივ სიმაღლისადმი.

მთელი თავისი შემდგომი მუშაობით ს. ჩიქოვანმა მკაფიოდ დაადასტურა, თუ რა დიდი ნაყოფი გამოიღო მისმა „სულიერმა წყურვილმა“. მისმა პოეტურმა ნიჭმა და გულმა. ის ციკლი ლექსებისა, რომლებიც პოეტის წარსულს უტრიალებენ გარემო, ოდნავი სევდითა და ბედზე მღურვით გამოირჩევა. ეს ბუნებრივი და გასაგებია, ეს გამოწვეულია პოეტის ღრმა ადამიანურ-

რი გრძნობით. თვით იმ თემის რაობით, რომელიც მის შემოქმედებას უდევს საფუძვლად. მაგრამ სულ სხვა ელფერით გამოირჩევა მისი ლექსები, რომლებშიც მოწიფული ჰაბუკის გატაცებანი ასახული. ეს ის ლექსებია, რომლებიც ასახვენ ჩვენი ახალგაზრდობის მისწრაფებას. მის სიამაყეს — საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აყვავებულ განათლების კერას — უნივერსიტეტის ცხოვრებას. ეს ლექსებიც ბიოგრაფიული ხასიათისაა. მართალია, პოეტმა ვერ მოიყვანა სისრულეში მამის სურვილი გამხდარიყო ინჟინერი რათა თავი დაეღწია უფულობისა და ქესატობისათვის; ვერ დაამგვანა ვერც ერთი წამი მამის ოცნებას და გატაცებას. (უნდა ვიფიქროთ უსახსრობის გამო „სტუდენტობაც დატოვა ადრე“), მაგრამ მისი ლექსი უკვე მაცორული ხასიათისაა, იგი უფრო მაღალ რეგისტრებში ეღერს. მისი დიპაზონი უკვე ფართო და ტევადია, ამის მიზეზს თვით პოეტი ვეცხნის, როცა აღიარებს:

მაგრამ ჩემს სულში მშრომელი მღერის,  
მშობლიურ გრძნობის ჰაანს ვეძლივი.

მეორე ლექსი კი ამავე თემაზე წარმოადგენს სინამდვილეს, იმ დიდ გარდატეხას, რომელიც ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში მოხდა. ვინ არიან ჩვენი უნივერსიტეტის მკვიდრნი? ესენი არიან ისინი, რომლებსაც:

„გამოველიათ წვიმა და თქემი,  
ღამის უღრანში ტყე გაღურსული.  
ზოგს მამა ელის სენაქოის მთებში  
და ზოგს არხოტში მთქმელი ხევსური.  
მთოხნელია თუ მეცხვარე კუში,  
ან მოკენწლავე ვაი ფიცხელი,  
ზეგ გაიღვიძებს, მოსული გუშინ  
ინჟინერი თუ ვარსკვლავთმრიცხველი“.

ეს არის პოეტურ სტრიქონებში აღწერებული საბჭოთა დღევანდლობა, როცა ყოველ ნიჭიერ ახალგაზრდას ფართო საზოგადოებრივი მომავალი აქვს გაშლილი, როცა „ყოველ საწოლში სძინავს მომავალს“.

სიმონ ჩიქოვანი ერთი იმ პოეტთაგანია, რომელიც ღრმად იჭრება ჩვენს სინამდვილეში, ფართოდ ეხმაურება ცხოვრების მიერ დაყენებულ საკითხებს და დროზე უპასუხებს მათ. მისი პოეზიის რადიუსი განიზომება ყოველთვის აქტუალური ჩარევით სოციალისტური მშენებლობის პროცესში, ჩვენი ხალხის განწყობილებათა ორგანიზაციით გარკვეული მიმართულებით. ამიტომ არის, რომ მისი პოეტური ენა გამოირჩევა სიახლითა და სიცხოველით. ს. ჩიქოვანი ის პოეტი, რომელიც ყოველთვის გაუფრთხილებს შტამს პოეზიაში, ყოველთვის ახალ გამოსახველობით საშუალებათა ძიებაშია, რომლის ლექსიც აღბეჭდილია არა მხოლოდ ღრმა შინაარსით არამედ ახალი პოეტური სამკაულებით. მისი ლექსების უმრავლესობა შესრულებულია ოსტატის ხელით, ყოველთვის შესანიშნავად არის მოფიქრებული. პოეტს აქვს ერთი ლექსი „ბავშვობის განცდა“, რომელიც მისი პოეტიკის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს, პოეტი მთაწმინდაზეა. „ფიქრი და ფიქრი, როგორც მწუხრი მალა ამოყვა“ — ამბობს იგი. და მართლაც მის პოეზიაში იმდენად მუსიკალური სახე კი არ იპყრობს ყურადღებას, რამდენადაც ინტელექტის დამაბული მუშაობა, ფილოსოფიური განჭვრეტა სინამდვილისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ს. ჩიქოვანის პოეზია, როგორც კომუნისმი-სათვის აქტიური მებრძოლისა, როგორც კომუნისტი — პოეტისა, ძირშივე ოპტიმისტურია.

საგულისხმოა ამ შხრიე ორი ლექსი, „სუტეში“ და „პირველი მინაწერი“, რომელშიაც ჩვენ ვკითხულობთ:

„რადგან ჩემს სულში ისე დამდება,  
რომ გათენებას ვუღასხმობს დამე“ —

ამით პოეტი ხაზს უსვამს საკუთარ რწმენას, ცხოვრების ნათელ ფერებში აღქმას, ჯანსაღ, ოპტიმისტურ განწყო-

ბილებას, რომელიც ჩვენს საზოგადოებას ახასიათებს.

—:—

ყოველ თვალსაჩინო შემოქმედს აქვს თავის პოეტური მრწამსი, საკუთარი შეხედულება პოეზიის დანიშნულება-სა და მნიშვნელობაზე. ეს შეხედულებანი მათ გამოთქმული აქვთ მაღალ-მხატვრულ ლექსებში, უკანასკნელნი იმით არიან საინტერესონი და მიმზიდველნი, რომ ფართოდ გვიშლიან პოეტის სულიერ სამყაროს, გვაცნობენ, თუ რა აღეღვებს მას, რა აქვს მიზნად დასახული, რა გზით და საშუალებით უნდა ემსახუროს ხალხს, როგორც უნდა იყოს მისი პოეტური პროდუქცია და სხვა.

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში მოიპოვება ლექსები, რომლებიც მკაფიოდ გეხატავენ ავტორის პოეტურ გატაცებას, მის შეხედულებას პოეზიის დანიშნულებაზე, თუ რას უნდა ემსახურებოდეს იგი, რით უნდა იყოს გაყდენ-თილი; სხვა ასეთი ხასიათის ლექსებს შორის მხედველობაში მქაქვს მისი „პირველთქმა“ და „ეკეი“. საინტერესოა ს. ჩიქოვანის პოეტური კონცეფცია, რომელიც ამ ლექსებშია ასახული: პოეზია მართა და შეიძლება იმდენად ის კი არაა, რაც გამოითქმის და უკვე დასრულებულია თავის ფორმაში, არამედ ის, რაც სტრუქტურებს შორის ჰქრის, ის რასაც ჩვენ ქვეტიქსტს ვუწოდებთ. ლექსი ვადამდნარი გულია, იგი გულის სიმხურვალით ცოცხლობს, იგი აღია გულისა, რომელიც „სოფელში ვაზივით ხარობს“. მაგრამ პოეზიის სიდიადე და მისი საიდუმლოებაც ის არის, რომ „ვერვინ შეიძლო გამოთქმა სრული, ვერვინ დამრიტა უკვდავი წყარო“.

ვინ არის იგი, ვისაც პოეტი ასეთის გატაცებით ეტრფის და თავს დასტრიალებს. რა თემა ასულდგმულებს მის

პოეზიას? ეს არის ჩვენი პოეზიის ტრადიციული თემა-პატრიოტიზმი. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ს. ჩიქოვანის პატრიოტიზმი თვისობრივად სხვა ხასიათისაა. მის პოეზიაში პარმონიულად არის შეხამებული და შერწყმული სიყვარული დღევანდლობისა და წარსულისადმი, იგი სიამაყის გრძნობით ივსება, როცა ხედავს განახლებულ სამშობლოს, სოციალიზმის ქვეყანას, სრულიად ახალ სამყაროს. ასეთივე გრძნობით ინთება მისი სული, როცა გმირულ წარსულს წარმოადგენს. იგი ამბობს:

რადგან დღევანდელ ცხოვრებას ვეტრფი  
და შამ-შაპის ფარხმლიც მომწონს.

განა შეეძლო ჩვენი პოეზიის ტიტანებს ასეთის ხმით ემღერათ იმ სინამდვილეს, რომლის პირმშოსაც ისინი წარმოადგენდნენ, ეთქვათ რომ „დღევანდელ ცხოვრებას ვეტრფი“-ო. ამიტომ მიმართედნენ ისინი მთელ თავიანთ პოეტურ ფანტაზიას წარსულისადმი და იქ ეძიებდნენ გმირებს, მოუწოდებდნენ თანამემამულეებს მათთვის მიებაძათ, ისინი დაცხაბათ თავიანთი მოქმედების მისაბამ მაგალითად, საბჭოთა აღმშენებლის პატრიოტიზმი უფრო ფართოა, უფრო ჰუმანიურობა, გაცილებით უფრო შინაარსიანია. ამ შინაარსის ასაზრდოებს ნამდვილად თავისუფალი, ნამდვილად დამოუკიდებელი, ნამდვილად ხალხური მართველობა თავისი ქვეყნისა, შეგნება იმისა, რომ ჩვენ ხალხს ხედა წილად გადაეშალა, ისტორიის სრულიად ახალი ფურცელი და აეშენებია სოციალიზმი. სიამაყის ეს გრძნობა ახასიათებს საბჭოთა პოეზიას საერთოდ და კერძოდ ერთ-ერთ მის გამოჩენილ წარმომადგენელს სიმონ ჩიქოვანს. პოეტის პატრიოტიზმი გამომდინარეობს მისი მსოფლმხედველობიდან. მისთვის, როგორც ბოლშევიკ პოეტისათვის, როგორც ლიტერატურაში პარტიულობის დამცველ პოეტისათვის, არსებობს მხოლოდ ერთი ობიექტური

სიმაართლე, ჩვენი პარტიის სიმაართლე. ჩვენი ქვეყნის სიმაართლე. მთავრად არ იძლევა ამ დებულების გაშიფრვას და ეს არც შეიძლება განახორციელოს, ვინაიდან ჩვენ საქმე გვაქვს არა მეცნიერულ ტრაქტატთან, არამედ მხატვრულ სიტყვასთან. პოეტური სახეების მთელი წყობის გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ ამ სიმაართლის რაობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სინამდვილედ არის ქცეული.

ქართლის ცხოვრებას ბრძენი მინათებს,  
ჩემი ვულია სანთელი ღამის.  
რადგან ერთი ქვეყნად სიმაართლე  
და ეს სიმაართლე მამულში ჰყვავის.

შემოქმედებითი პროცესი სულის დიდი სიხარული და მისი გამარჯვებაა. ქემშარიტი პოეტისთვისება ის არის, რომ იგი დიდი მოკრძალებით უდგება თავისი შთაგონების ობიექტს, გრძნობას, რომელიც მთელ მის არსებას ეუფლება და მასში გარკვეულ ხილვებს იწვევს „სიფრთხილით უღებს კარს“. პოეტი, რომლისთვისაც სიმღერა მაღალი მოწოდებაა, მხოლოდ იმ შემთხვევაში „შეამფოთებს მთვლემარე ღარს“ თუ მისი „ქნარი გაყლენილია“, უნდა ვიფიქროთ იმ საგნის უშუალო სიყვარულით, რაც მასში აღმფრენას იწვევს. სიმონ ჩიქოვანის პოეტური პრაქტიკა იმის მაჩვენებელია, რომ მისი ქნარი საკმაოდ გაყლენილია თანამედროვეობით, იმ ხალხის სიყვარულით, რომელიც ახალ სამყაროს აშენებს. ამიტომ ახდენენ მისი ლექსები ესოდენ ორიგინალობის შთაბეჭდილებას. ეს ლექსები გაშუალებულია პოეტის მიერ საბჭოთა სინამდვილის პირდაპირი აღქმით. მართალია პოეტს, როგორც ნამდვილ შემოქმედს, ეძნელება საკუთარი თავის გამოთქმა, არის შემთხვევები, როცა ერთის თქმა ეწადა, მაგრამ მოულოდნელად მოფრენილმა რითმამ სხვა რამ ათქმევინა, როცა სასურველის თქმის შეუძლებლობა მასში დაუქმავო-

ფილებლობის გრძნობას იწვევს, მაგრამ მას იმედად შობილი მხარე აქვს, რომელიც „გულს უშუშებს“. შობილი მხარე ის თემაა, რომელიც ს. ჩიქოვანის პოეზიას წარმართავს, მის საზოგადოებრივ ინტერესს განსაზღვრავს. შეიძლება მთელ მის პოეზიას დევიზად წარმოდგაროს მისივე მხურვალე სტრიქონები, რომლებითაც იგი საშობლოს მიმართავს:

თვალის სინათლევ, ორთავ თვალის,  
ჩემო საშობლოვ,  
შე შენთვის ვიწვი, რომ ბოროტის  
კვალი გამოჩრდო.

ეს მუდმივი წვა, სწრაფვა იქითკენ, რომ „შთაგონების ყოველი წუთი აღზარდოს გულში შობილ მიწისთვის“ სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების თვისებაა. მისი პოეზიის თავისებურება საშობლოს თემის დამუშავებისას ისაა, რომ ავტორი გაურბის ტრადიციულ სახეებს, ერთხელ შემუშავებულ შეხედულებებს და პატრიოტიზმის ცნებას ახლებურად უდგება. უდავოა, რომ ეს ახლებური მიდგომა დაპირობებულია საბჭოთა სინამდვილით, პოეტის ახალი, უფრო მაღალი მსოფლმხედველობით სტალინური ნაციონალური პოლიტიკით, მარქსიზმ-ლენინიზმით. ახალ ვითარებაში, სოციალისტური წყობილების პირობებში, შინაარსი საშობლოს ცნებისა გაფართოვდა, მან შეიძლება ითქვას, უფრო კონკრეტული სახე მიიღო. საშობლომ დაკარგა პროვინციის იერი, იგი აღარ წარმოადგენს ვიწრო საზღვრებში მოქცეულ კარჩაკეტილ ტერიტორიალურ სივრცეს, არც განსაზღვრულ დროის ფარგლებში მოცემულ ერთეულს. არა, ჩვენი საშობლოს საზღვრები გაცილებით ფართოა, გაცილებით დიდი, ასე ირღვევა ძველი წარმოდგენა ჩვენს საშობლოზე, როგორც პატარა და მცირე მხარეზე. ამ მაღალ პატრიოტულ პათოსს პოეტში კვებავს შექმნილი პირობები, ის დიდი სი-

ნამდვილე, რომლის მონაწილედ ჩვენი ქვეყანაა. ქართველი მეომრები თავიანთ საშობლოს ზღუდეებს ნამაშულო რაში გმირულად იცავდნენ არა მხოლოდ კავკასიის მთების მისადგომებზე, არამედ სტალინგრადის კედლებთან, კურსკის მიდამოებში, ლენინგრადში — ყველგან. რასაც საბჭოთა კავშირის სახელი მოიცავს, იყო საბჭოთა მოქალაქე, — ეს ნიშნავს იყო შობილი მხარის შვილი, და კიდევ უფრო მეტი, იყო საბჭოთა კავშირის ერთგული შვილი, მისი დიდებისა და დამოუკიდებლობის დამცველი. ეს სავესებით კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს. პატრიოტიზმის მცნების ახალი გაგება მოცემულია ს. ჩიქოვანის პოლემიკური ხასიათის ორ ისეთ ლექსში, რომლებიც მის შემოქმედებაში შედევრებს წარმოადგენენ, როგორც მოფიქრებით, ისე მხატვრული შესრულებით, ღრმა პოეტური სახეებით. ეს ლექსებია: „ვიინა სთქვა“ და „არ დაერქმევა პატარა მხარე“. ამ ლექსებში იმდენად, ჩვენი ქვეყნის ისტორია კი არ იქცევა ყურადღებას, რამდენად, გრძნობა და განცდა იმ ცოცხალი სინამდვილისა, რომლითაც საშობლო ცოცხლობს. პოეტი სავესებით დარწმუნებულია მისი შობლიური ქვეყნის სულის იმ ქარიშხლის განსაზღვრულ ზღუდეებში მოქცევისა, რომელიც მის ხევებშია ჩამწყვდეული და ამიტომ მიმართავს ასეთი გაბედული წინადადებით წარმოდგენილ მოპირდაპირეს:

გაზომეთ ფრთები იმ ქარიშხლის,  
ჩამწყვდეული რომ ღმუროდა ხეეთ,  
წყალი მქუხარი და საშიშარი  
და ავარდნილი ვუმბათი ზეეთ.

საქართველო პოეტისათვის წარმოადგენს „უსასრულობის შემცველ მხარეს“.

„ვიინა სთქვა თითქოს პატარა იყოს, ჩემი მამული და ჩემი ხალხი“-ო, ნამდვილი პოეტური ტემპერამენტით აყენებს იგი საკითხს მეორე ლექსში და თვითვე უპასუხებს მას:



არ დაერქმევა პატარა მხარე,  
სადაც თვალთვით ელვარებს გორი-ო.

რატომ არ შეიძლება ეწოდოს ჩვენს ქვეყანას პატარა მხარე, არ შეიძლება ეწოდოს პატარა ჩვენს ხალხს? იმიტომ, რომ გმირი, რომელზედაც კაცობრიობა ოცნებობდა, რომელიც მშრომელთ მხსნელად მოველინა, დიბადა აქ, ქართლის ვულში. ხალხის ოცნებამ „პირველი ფრთენი აქ გამოწაფა“, აქ ჰქონდა მას შესაფერი სივრცე“. სამშობლო მარადიულია, უსასრულოა, იგი დიდია იმიტომ, რომ მის წიაღში იშვა ხალხთა ბელადი, იმიტომ რომ იგი შეზრდილია დიდ კავშირში, რომელმაც ახალ სამყაროს გაუღო კარი. აღნიშნული ლექსები საბჭოთა პატრიოტული ღირიყის საუკეთესო ნიმუშებს უნდა მიეკუთვნოს. ისინი პოეტის ღრმა აზრის და ცოცხალი ტემპერამენტის გამომხატველი ლექსებია. ასეთივე აზრია გატარებული არსებითად თუმცა სხვა ძალითა და სხვა ინტონაციური ელერადობით ლექსების იმ ციკლში, რომელიც „არმაზის აჩრდილები“-ს სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ლექსებშიც უშუალო, ცოცხალი კავშირია დამყარებული მყობადსა და შორეულ წარსულს შორის. ამ ლექსებშიც წარსულის ცოცხალი სუნთქვა იგრძნობა. პოეტს მკაფიოდ ესმის სერაფიტას ხმები, ჰაერში რომ შენახულა, იგი თავის არსებობას განიცდის წარსულში — წინაპართა ცხოვრებაში. მისთვის წარსული რომანტიული ხილვის ობიექტი როდია. ეს წარსული მას წარმოუდგება, როგორც ცოცხალი, მოქმედი.

ღვიძებს მცხეთას, ვაიღვიძებს მამებმა,  
ღვიძებს არმაზს, აღარ ესმის ვეება.

ცხადია, მღვიძარე მცხეთა თუ არმაზი პოეტს წარმოადგენილი აქვს არა როგორც არქეოლოგიური გათხრებით საუკუნეთა სიბნელიდან გამოყვანილი ობიექტები, არამედ როგორც სიმბოლო ხალხის მარადიულობისა, მისი უკვდა-

ვებისა და იმ ცხოველმყოფელი გავლენისა, რომელიც ახალმკაცრ ტრეპალის-ტურმა ვითარებამ ქვეყნის „მეტყე“ მოახდინა.

პრეისტორიული ტალღების გრგვინვა და იგივე მარადისობის შრიალი ისმის ს. ჩიქოვანის ცნობილ ლექსში, „გორის ციხე“. ამ ლექსსაც სამშობლოს თემა უდევს საფუძვლად, მხოლოდ ბელადის თემის ასპექტში გატარებული. ამ ლექსშიც პოეტი უმღერის ცოცხალ, უწყვეტ კავშირს ხალხის ცხოვრებაში, — რუსთაველის ხმას საუკუნიდან საუკუნეში რომ გადმოიღოს. ეს მარადისობა, უკვდავება, გაპროექტებულია ბელადის სახეში. პოეტი ხედავს რა სახლს, სადაც იშვა მარადისობა ასე ხატავს მას:

ტანწურული სახლი დიადი,  
მაღალ წარსულით მოსჩანს ბუდეში —  
როგორც ნატეხი ძველი წყვილიაღის  
ანუ მომავლის ბრძნული ნუგეში.

სახლი აქ მოცემულია როგორც მიჯნა ძველ წყვილადსა და მომავლის ბრძნულ ნუგეშს შორის. ის გარემოება, რომ ძველი და ახალი სამყარო დიამეტრალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შინაარსობრივად, სრულიად არ აქარწყლებს გორის ციხის როლს მათ შორის შემკავებირებელ ცოცხალ რგოლად რომ აღმართულა, გორის ციხის როლს, რომელიც ქალაქში დგას „როგორც დესპანი გარდასულ ეამთა“.

მშობლიური ხალხის ზნეობრივ სიმალესა და ძალას, მის სინდისს, სულიერი სიფაქიზის მარადისობას უმღერა პოეტმა თავის შესანიშნავ ლექსში. რომელსაც „თავსაფარი“ ეწოდება. თავსაფარი აქ პოეტს წარმოადგენილი აქვს როგორც საგნობრივი ნიშანი ხალხის სულიერი სიმადლისა, მისი ქედღბრელობისა, მისი გმირული ბრძოლისა. მისი ძალა ისეთია, რომ „ხმალმა მისი მადლი ვერ გაჰყვითა, და ხანძარი არ შეიქმნა დაფერფლილი“. ეს მანდილი

თუ თავსაფარი დღეს კიდევ უფრო თავისუფლად დაფრიალებს ჩვენს სამშობლოში, იგი უფრო ფერადოვანია და ღვივის, როგორც „ქერის კელაპტარი“. ამიტომ მოუწოდებს პოეტი ასეთის მღელვარებით თანამემამულეებს.

წმინდა გრძობა დაიციეთ, არ იწოდეს.  
ქართლის მთიდან ბაღსავით გადახდილი  
მოვიფაროთ, პრძოლის ველზე მოვიწოდებ.

მამულის, ხალხის მარადისობის თემა წარმოადგენს ს. ჩიქოვანის პოეზიის მთავარ ძარღვს, მისი შთაგონების დასაყრდენს. საბჭოთა პატრიოტიზმი ის შინაგანი ძალაა, რომელიც დიდი პოეტური ენერჯით აიარალებს ს. ჩიქოვანის პოეზიას, მას ფართო საზოგადოებრივ რეზონანს აძლევს.

ბუნებრივია, რომ პატრიოტულმა გრძობამ პოეტში განსაკუთრებული ძალა მიიღო სამამულო ომის წლებში, როცა ჩვენი ქვეყანა ძლიერი საფრთხის წინაშე დადგა. მთელ ხალხთან ერთად საბჭოთა პოეტებმა მთელი თავიანთი შემოქმედებითი ენერჯია დაძაბეს და შექმნეს ლექსები, რომლებიც „მთელ ხალხს მოუწოდებდნენ ვერაგი და ძლიერი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი გამარჯვების რწმენას უნერგავდნენ ფრონტის მებრძოლებსა და ზურგის მშრომელებს, ეხმარებოდნენ მათ მამაცურად გადაეტანათ ომის მკაცრი გამოცდა“ (კ. ნ. ჩარკვიანი — საანგარიშო მოხსენება საქართველოს კ. წ. (ბ) მე-14 ყრილობას ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ 1949 წლის 25 იანვარს, გვ. 117).

ამ პოეტთა შორის მოწინავე საბრძოლო პოზიციაზე იდგა სიმონ ჩიქოვანი, რომელმაც მაღალმხატვრული და იდეურად სრულყოფილ პატრიოტული ელერადობის ლექსები შექმნა. მისი ომის ღრონიღელი პოეზია გამოირჩევა ღრმა ოპტიმიზმით, ნათელი რწმენით ჩვენი ხალხის გამარჯვებაში, პოეტის ეს რწმენა ემყარებოდა ჩვენი „მიწის

სიმართლეს“, იმ სიმართლეს, რომელიც „ჩვენს მამულში ჰყვავის“ (ს. ჩიქოვანი, რომ კონკრეტულ საბრძოლო ამოცანებთან ერთად პოეტმა ამ ხანის ლექსებშიც ფართოდ დაამუშავა ქართველი ხალხის სულის უკვდავების თემა, ის კავშირი, რომელიც გადმოცემულ ტრადიციებს კი არ ემყარება, არამედ ხალხის ცოცხალ შემოქმედებით ძალას. განსაცდელის ქამს პოეტის წინაშე აღმართა მყინვარი

ყინვის ჩახუტით, მეტად ტანად,  
შერუჯული და ბეზრუჯელ დაჭრილი.  
როგორც წინაპრის სული მარადი,  
ცალ შევიწული ქართლის აჩრდილი.

პოეტმა ისარგებლა რა კლასიკური პოეზიის, — ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის პოემის „აჩრდილის“ სახით — მყინვართ, იგი სრულიად სხვა მიმართულებით გაშალა, სხვა შინაარსით აავსო, მას სხვა დანიშნულება მისცა. პოეტი, რომელიც სტალინის მოძღვრების შუქით არის შეიარაღებული, თავის რწმენაში დიდი ბელადის თეორიულ მონაცემებს და გენიალურ წინაგანკვრეტას ემყარება, თამამად მიმართავს თავის სამშობლოს:

დიდი სტალინის მიწაჲ, აკვანო,  
ვერ ვინ დავადგას მონის უღულო.

რა ასაზრდოებს ამ რწმენას? მას ასაზრდოებს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა, რამაც თავისი თეორიული განზოგადოება და ღრმა მეცნიერული დასაბუთება კპოვა დიდი სტალინის შრომებში. ამ რწმენას ასაზრდოებს ხალხთა ის სტალინური მეგობრობა, რომლის თვალნათლივ სურათს საბჭოთა კავშირი წარმოადგენს. ამიტომ უმღერის პოეტი ასეთი სათუთი გრძობით და გატაცებით ხალხთა მეგობრობას ერთ-ერთ ლექსში „მოსკოვის მეგობრებისადმი“. პოეტი მიმართავს თავის თანამოკალმეებს, მაგრამ მისი ლექსის მისამართი არ განისაზღვრება ვიწრო

წრით, იგი მიმართულია დიდი რუსი ხალხისადმი, რომელმაც უკანასკნელ ომში ზღაპრული გმირობა გამოიჩინა და კაცობრიობა კატასტროფისაგან იხსნა. ეს ლექსიც ღრმა მეგობრობის განწყობილებით გამოირჩევა. პოეტს სწამს ხალხთა მეგობრობის ურყევობა და აქედან გამომდინარე უძლეველობა და ამიტომ ამბობს ასეთის დაჯერებით: „ჩვენ შეგვაერთა ცხოვრებამ ბრძულმა და განუყრელად დავრჩებით მშები“-ო.

სამამულო ომის წლებში საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი ხასიათის მაღალი თვისებები გამოამჟღავნეს. საბჭოთა ხალხის გამარჯვების საწინდარს წარმოადგენდა მორალურ პოლიტიკური მთლიანობა, რომელიც მისი ცხოვრების არსებით მხარეს წარმოადგენს. საბჭოთა მებრძოლმა გმირობის ახალი ფურცელი ჩასწერა ისტორიაში. თავდადებული ბრძოლის კონკრეტული სურათებია ასახული ს. ჩიქოვანის მთელ რიგ ლექსებში, რომლებიც ქართული პატრიოტული ლირიკის მდიდარ ფონდშია შესული. საბჭოთა მებრძოლი, რომელიც ბრძოლის ველზე გადიოდა ასე ოცნებობდა:

მე დაცემული არ მნახოს მტერმა  
და დაჩოქილი არ შეხებდეს სიკვდილს.

პოეტმა სისწორით აღნიშნა საბჭოთა მებრძოლში ეს უშიშროება სიკვდილის წინაშე, მისი სიამაყე და ქედმოუხრელობა და მართლაც ლექსის გმირი როგორც პოეტი გადმოგვცემს „ფეხზე მდგარი დაუხვდა სიკვდილს“. სიმონ ჩიქოვანის მუზა მისწრაფის აღნიშნოს საბჭოთა ადამიანში მორალური სიმტკიცე, ის სიმტკიცე და უდრეკი ნებისყოფა, რომლებსაც ზრდიდა მასში სახელოვანი კომუნისტური პარტია, იმ ნათელი პერსპექტივის შეგრძნობა, რასაც აღვივებდა საბჭოთა ხალხის შეგნებაში მთელი წლების მანძილზე მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი. ბოლშევი-

კური ნებისყოფის სიმტკიცეს ასახავენ ის კონკრეტული ფაქტები, რომლებიც პოეტს მთელ რიგ ლექსებში აქვს მოყვანილი. მკითხველი გარკვევით ხედავს მებრძოლს, რომელიც სამჯერ დაპირილა ბრძოლაში, მაგრამ მაინც წინ მიისწრაფის. ბრძოლის ვზახე მას სიკვდილი წამოეწია, მებრძოლი არ იხრის ქედს მის წინაშე. იგი ბედნიერია იმით, რომ სამარე სუფთა მამულში ერგო. იგი მხოლოდ ერთი ფიქრით არის შეპყრობილი: „საფლავში ჩამყვეს მოძმის ამბორი, სამარის ყუთში გამათბოს იმან“. ამრიგად ხდება პოეტი ბრძოლის ველზე და შრომის ფრონტზე გაქედილი ურღვევი მეგობრობის დაუღალავი მომღერალი, მომღერალი ზნეობრივი სიწმინდისა, სიცოცხლის სილამაზის. შემოქმედებითი სულის უყვდავების.

ხალხთა სტალინურმა მეგობრობამ სამამულო ომში მეტი სიმტკიცე და გამძლეობა მიიღო. ბრძოლის ველზე დაღვრილმა სისხლმა იგი კიდევ უფრო გამოაწრთო. ეს მეგობრობა წარმოადგენდა იმ მორალურ ძალას, რომელიც ჩვენი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვების ერთ-ერთ ფაქტორად გადაიქცა. ამ მეგობრობის კონკრეტულ გამოსახულების ნიმუშს წარმოადგენს ს. ჩიქოვანის ლექსი „ძმები“, რომელიც უმღერის ორ გულად ვეკაცს მიშაკოვსა და შალამბერიძეს, რომელთაც საშუალება მისცეს ჩვენი ჯარის ნაწილებს ახალ მიჯნაზე გამაგრებულებიყვნენ. ისინი დაიღუპნენ უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ მათ სიკვდილში სიცოცხლემ გაიმარჯვა. ამ რწმენით არის გათბარია ლექსი:

იმ ბორცვზე მალე აღდგება ბაღი,  
ცხოვრებას თქვენას რომ დაემგანოს-ო.

მიმართავს პოეტი გმირულად დაცემულ ორ მეგობარ მებრძოლს. ქართველი მებრძოლის პორტრეტის დასახატავად, მისი რაინდული სულის გაცხოველებისა და პატრიოტული თავდადების

გადმოსაცემად პოეტს ხშირად შეჰყავს თავისი ლექსებში ქართველი დედის ტრადიციული სახე. უკანასკნელი როდია დაფარული ისტორიული მტვერით, ის ჩვენი მდიდარი სინამდვილიდან არის ადებული და ამიტომ ახდენს ეგზომ გამაყეთილშობილებელ გავლენას მკითხველის გრძნობაზე. ეს ის დედაა, რომელმაც ბელადი აღზარდა და გორის ციხიდან კვლავ მოუწოდებს მხედარს „მამულისათვის, ბრძოლა მამულისათვის“ ეს ის დედაა, რომელიც წამით არ აგრავს კავშირს ფრონტზე მყოფ თავის შვილთან, მას ამანათებს უგზავნის, დედობრივი გრძნობით მარჯვენას უწრთობს. ეს ის დედაა, რომელიც იღვწავს ხმით ზრდის შვილში კავშირს წარსულთან, ახსენებს მას, რომ „მხარზე გადგია წინაპრის ჩრდილი“—ო, რომელიც ცეცლოვანი სიტყვებით მოუწოდებს:

მოსპე, განგირე ვერავი მხეცი  
და დათარე თჯახი შენი-ო.

ეს ის თმაშევერცხლილი დედაა, რომელიც ომის დროს ზურგში შრომის სასწაულებს ახდენდა. უწყვეტ კავშირს ფრონტსა და ზურგს შორის უმღერა პოეტმა მრავალ ლექსში. სინამდვილემ უკარნახა პოეტს დაწერა:

დედის და დების, ერთგულმა შრომამ  
აგრე მოქარვა ზალი ქართული-ო.

მხნეობით, მამაციური სულისკვეთებით არიან გაქლენთილი ს. ჩიქოვანის მიერ სამამულო ომის წლებში შექმნილი ისეთი საბრძოლო ხასიათის ლექსები, როგორიც არიან „მხედრული“, „მამულს ეუთხრათ გამარჯვება“, „გმირს ვლ. კანკავას“, „დილა უღელტეხილზე“.

ს. ჩიქოვანი იყო ერთ-ერთი წევრი დღევანდისა, რომელიც ფრონტზე იყო და ქართველ მშრომელთა სახელით მებრძოლებს მიესალმა. ფრონტზე მიღებული შთაბეჭდილებანი პოეტმა გადმოსცა თავის ნარკვევებში. ფრონტზე ნახული სურათებია აღდგენილი მის

ლექსებში, ამიტომ გამოირჩევიან ისინი პოეტური სიცხველითა და სიღრმით.

შთაგონებულ თემას სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში წარმოადგენს სტალინის თემა, ბელადის სახე მის ლექსებში ყოველთვის ძლიერი საღებავებით არის დახატული. იმ ლექსებშიც კი, რომლებიც თემატურად სხვა ციკლს ეკუთვნიან, ბელადის შუქი არათებს.

ენ გააღვიძა მთელმთარე ქვები,  
ენ ამღერა კედელზე ტალი,  
შთაგონებული მარჯვენის ქებით  
უკვდავი ლეღა ასწია მაღლა.

კითხულობს პოეტი და პასუხი თავისთავად იგულისხმება. ეს არის ბელადი. იგი არის ხალხის იმედი, ცხოვრების ნუგეში, დიდი ბრძენი ცხოვრობს არა მხოლოდ დღევანდელობაში, არამედ წარსულშიც, ხმალსა და გუთანშიც. მის ძარღვებში ჩაყირულია „წინაპრის ძარღვიც“. ამ თემაშიც პოეტი აღებული გზით მიდის. იგი ხალხის უკვდავებას უმღერის, უკვდავებას, რომელიც ბელადშია განხორციელებული. მისი ცხოველი, შემოქმედი სული ამოძრავებს ჩვენი ხალხის ისტორიას, იგი სკედს გამარჯვებას მტერზე. საქართველო არ წარმოადგენს წარსულის მუზეუმს. იგი დიდია იმით, რომ დიდი სტალინის სამშობლოა. ასეთია ს. ჩიქოვანის პატრიოტული კონცეფცია, მთელი ციკლი ლექსებისა, რომლებიც გორს უმღერიან და საუცეთესონი არიან (ქართლის საღამოები და სხვ.) ს. ჩიქოვანის ნაყოფიერ შემოქმედებაში, გამოირჩევა პოეტური უშუალობით, მშთაბეჭდავი საღებავებით.

პოეტი უდიდეს სიხარულს გრძნობს მთელი იმ ბუნების ხილვისას, რომლის წიაღში ბელადი დაიბადა და იზრდებოდა.

ეს პოეტური სიხარული იგრძნობა იმ ციკლის ლექსებში, რომლებიც ბელადის სხივით არიან განათებულნი.

ს. ჩიქოვანის შემოქმედებით პორტრეტი არ იქნება სრული, თუ არ აღვნიშნავთ იმ გატაცებას, რომელიც მისი მხატვრული სიტყვის განვითარების გზაზე გარკვეულ საფეხურს წარმოადგენს და რაც მისი ლექსის წყობაზე და მთლად პოეტურ აზროვნებაზე გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენდა. ფორმალისტური გატაცებანი ს. ჩიქოვანის შემოქმედებაში შემდეგშიც იჩენდა თავს. ეს გატაცება დაეტყო უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ რამდენიმე ლექსს, რაც სამართლიანად იქნა მხილებული და გაკიცხული ქართული კრიტიკის მიერ. ამის შემდეგ ს. ჩიქოვანმა გამოაქვეყნა ისეთი ღრმა შინაარსიანი ლექსები, როგორცაა „გაზაფხული მერხეულაში“, „დგას ლენინი“, „სტალინი“, „რიცას ტბაზე“, „პოტსდამში“ და სხვ. ამ ლექსებმა მკითხველთა შორის ფართო გამოხმაურება კპოვეს. აღნიშნული ლექსებით პოეტი იბრძვის საბჭოთა პატრიოტის სულიერი წყობის ფორმაციისათვის, ხალხით აიარალებს სოციალიზმის მშენებლებს, აქტიურად ეხმაურება ჩვენს სინამდვილეში წამოჭრილ საკითხებს.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ს. ჩიქოვანის შემოქმედებით ბიოგრაფიაში „სიმღერას დავით გურამიშვილზე“, რომელიც წარმოადგენს ერთ სუბეტურ ძაფზე აცმულ ლექსების ციკლს. ამასთანავე ერთი იდეური ხაზით გაერთიანებულს აღებულ თემას ს. ჩიქოვანი იყენებს ერთადერთი მიზნით, იმღეროს ხალხთა სტალინურ მეგობრობაზე, გააღვივოს მკითხველში საბჭოთა პატრიოტიზმის უჭრობი ცეცხლი, დაგვიხატოს იმ ადამიანის ბედი, რომელიც მშობლიურ ნიადაგს არის მოწყვეტილი და ამიტომ მოკლებულია სულიერ საზრდოს. ეს ლექსები წარმოადგენენ სიმღერას ადამიანის დანიშნულებაზე, მის დიდ ზნეობრივ ძალაზე. ეს პოემა თითქოს წარმოადგენს ორი სულიერი სამყაროს დაპირისპირებას; თუ გურა-

მიშვილმა კეთილით გამოიტყუა თავისი გაპარტახებული ქართლი, სავარაუდოა, ბიოგრაფია და შინაური ბრძოლებით ილაგვგაწყვეტილი მამული თვისი, რომელსაც არსებობის ძალა აღარ შესწევდა, ჩვენს პოეზიას საერთოდ და კერძოდ ს. ჩიქოვანის შემოქმედებას საშუალება ეძლევა უმღეროს განახლებული ქვეყნის სიძლიერეს. ეს არის ორი სრულიად საწინააღმდეგო სამყარო, რომელთა მიმართ არავითარი ისტორიული ანალოგები არ გამოგვადგება. ს. ჩიქოვანი აღნიშნულ ციკლს წარუძმლვარებს ისეთ მნიშვნელოვან სტრიქონებს, რომლებიც მთელ პოემას სულ სხვა ინტონაციურ ქლერას აძლევს:

ბერი ბელტი გადაფოვდა,  
ენახე სადაც კეთილბედი,  
შენს სტრიქონთან გავათენე  
და საფლავთან ვიტირებდი.  
რომ არ იყოს შენი ბუფით  
გადასული ქართლის ვირი,  
რომ არ იყოს ჩვენი ფუფით  
წამომდგარი ქვეყნის გმირი.

აი ამ გარემოებას შეაქვს სწორედ ფერების ზეიმი იმ ერთგვარად სევდიან განწყობილებაში, რომლითაც ლექსების ეს ციკლია შესრულებული. გარდა იმისა, რომ უკანასკნელი მრჩავალფეროვანია თავისი რიტმიული წყობით სტროფიკით, საერთო აღნაგობით, იგი (ეს ციკლი) მდიდარია ემოციონალური საწყისით, და ღრმა შინაარსით. აღნიშნულ ლექსებში მკითხველი უხვად შეხვდება მოხდენილ და ახალ მეტაფორებს, გაბედულ ეპითეტებს, მოულოდნელ პოეტურ სახეებს. ამ ლექსების ფორმალური მხარე განსაკუთრებით მაღალ დონეზე დგას. ფორმა აქ ლექსების სტრუქტურას წარმოადგენს. რაც უფრო აქტუალურს ხდის ლექსების დასახელებულ ციკლს, ეს ისაა, რომ იგი თანამედროვეობის სახეს ატარებს, საბჭოთა სინამდვილის ასპექტშია გატარებული. ლექსები აღებრებულია საბჭოთა ჰუმანიზმით, იმ ინტიმური გააბასე-



ბით, რომელიც პოეტმა თავის დიდ წინაპართან განახორციელა. ლექსებს მეტ პოეტურ ენერგიას ანიჭებს ის გარემოება, რომ მათში ბევრი რამ ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, თითქოს საკუთარი სულიერი ცხოვრების ნაწილია გადატანილი ავტორი სულიერ ნათესაობას პოულობს გურამიშვილთან და ამიტომ მიმართავს თხოვნით:

პერანგი, ტანჯვით ნაგვში,  
მომეცი, მწონდეს, თბილია.  
ჩემი ოცნებაც, ღამეში,  
შენი ვალობის წრდილია.

სამშობლოს მოწყვეტილი პოეტის დიდი სევდაა გამოხატული ლექსში „გუგულები“, რომელიც ნამდვილი პოეტური უშუალობით არის შესრულებული.

„კაფე-თესე“ ვამაგონეთ,  
სიოცხლის ზმა ჩემი მზარის.  
გამაბარეთ, ამამღერეთ,  
ვიმარტვლე სიმწუხარით.

მიმართავს ვედრებით პოეტი გუგულებს, რომლებსაც მისი წარმოდგენით ის ბედნიერება აქვთ, რომ ქართლის ცაში დაჰქრიან, ქართლის მიწას დაჰყურებენ, ქართლის ჰაერით სუნთქავენ. ამ სტატიის ფარგლები ნებას არ გვაძლევს შევჩერდეთ ვრცლად ლექსების აღნიშნულ ციკლზე, რომელსაც ს. ჩიქოვანის პოეზიაში მთელი საფეხურის ადგილი უყავია. ეს არის ბედნიერი სიმღერა ადამიანის სულიერ სიმალღეზე, თავისუფლებაზე, სამშობლოზე, ხალხთა მეგობრობაზე. პოეტს დ. გურამიშვილის სახე შემოაყავს დღევანდლობაში, გვიხატავს მას როგორც დიდ შემოქმედს, ჰუმანისტს, რომელმაც ზნეობრივი დასაყრდენი იმ დიდი სულიერი კრიზისის შემდეგ რაიც მან განიცადა,

პოვა მომე რუს ხალხში ამოღებულ-  
მიურება ასე ცოცხლად შეგნენ მსხინამდ-  
ვილეს პოეტის მიმართვა გურამიშვი-  
ლისადმი:

შენ რუსი შეგხვდა ნამდვილი,  
ვატანგს რომ შეგხვდა — ის არა.  
შენებრ ვარაში გაწერთილი,  
შენებრ რომ სწავდა იარა...  
...იგი ვათობდა ავღარში,  
ის ვაგრილებდა სიხეში,  
ის ვიმღერებდა ზამთარში,  
უღბნოში და ციხეში.

ჩვენმა ხალხმა კარგად იცის სიტბო ხელისა, რომელიც დიდმა რუსმა ხალხმა გამოუწოდა მას. გოლიათის ამ ძლიერმა მარჯვენამ იხსნა იგი ფიზიკური განადგურებისაგან, არსებობა შეუნარჩუნა, პირობები შეუქმნა მატერიალური და სულიერი კულტურის უჩვეულო აყვავებისათვის. ამიტომ მოყვანილი სტრაქონების აზრის სისწორე და სიმართლე ჩვენი ხალხის მიერ უშუალოდ არის განცდილი.

როგორც ცნობილია სიმონ ჩიქოვანს ამ მალაშხატურული ლექსების შექმნისათვის მიენიჭა პირველი ხარისხის სტალინური პრემია.

ქართული კულტურის საერთოდ და კერძოდ ქართულ საბჭოთა პოეზიის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ს. ჩიქოვანი დაჯილდოებულ იქნა ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, აგრეთვე მედლებით. იგი არის საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წევრი და მთელი წლების მანძილზე საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდენტის თავმჯდომარედ ითვლება. ყველა ამ დამსახურებისათვის ქართველმა ხალხმა იგი აირჩია თავის დეპუტატად საკავშირო უმაღლეს საბჭოში.

## დავით ბაქრაძე



როდესაც ჩვენი სამშობლო დიდი მშენებლობის პირველ სტალინურ ხუთწლედს ამთავრებდა, ქართველი ახალგაზრდა სპეციალისტი — დავით ბაქრაძე, სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციაზე მუშაობდა. იმ დროს საქართველოს რკინიგზის ამ მთიან უბანს ფოლადის ძარღვით ქსელავდნენ. დავით ბაქრაძის სამონტაჟო ბრიგადა ამ დიდმნიშვნელოვანი სამუშაოს დამთავრებამდე მოწინავედ ითვლებოდა და გარდამავალი წითელი დროშა მუდმივ ხელთ ეპყრა. სიამაყისა და სიხარულის გრძნობით აღსავსე იყო ახალგაზრდა დავითი, რადგან მას შრომა უხდებოდა მშობლიურ მიდამოებში, ზემოიმერეთში, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა. დიდი სიძნელები ახლდა იმ სამუშაოებს მაშინ, მაგრამ გადაულახავი, დაუძლეველი არაფერი არ დარჩენიათ.

დავითის საქმიანობა ახარებდა მის მშობლიურ სოფელს — ბორს, მამამის — ილიას, რომელიც ძველი რკინიგზელი იყო. ილია ამ უბანზე მომხდარი ბევრი ხიფათის მომსწრე ყოფილა, ხარაგაულის ზევეებს ზემოთ მთების დაკლანჩილ და დაქანებულ გზებით ორთქლმავლების მიმოსვლა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. პირველად მაშინ ღრმად შეიცნო დავითმა სტალინური ხუთწლედის უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა სამშობლოსათვის.

დამთავრდა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია და ახალგაზრდა სპეციალისტმა სწავლა განაგრძო სატყეოსანიჟინრო ინსტიტუტში, რომელიც

წარმატებით დაამთავრა. შემდეგ სტალინური ხუთწლედებით ვათვალისწინებულ მშენებლობებში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

1940 წელს საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს და მოძმე უკრაინაში გაამწყესეს. დავითი ქვემეხის გუნდის უფროსი იყო. აქაც დაუღალავად მუშაობდა, სწავლობდა და ასწავლიდა საბჭოთა მეტროლოებს საარტილერიო საქმეს.

დ. ბაქრაძეს სიყმაწვილიდანვე ჩანერგილი ჰქონდა ქართული მწერლობისადმი სიყვარული. ამ გარემოებამ გაახსენა მას ოდესღაც წაკითხული დავით გურამიშვილის ბიოგრაფია. იცოდა რომ დიდი ქართველი პოეტი ღრმა სიბერემდე უკრაინაში ცხოვრობდა, იქ გარდაიცვალა და იქვე იყო დაკრძალული. ის თავისუფალ დროს მირგოროდის კოლმეურნე გლეხებს ესაუბრებოდა. ეკითხებოდა გურამიშვილის შესახებ.

დავით ბაქრაძის ცხოვრებაში მისი ბიოგრაფიის ახალი და სასახლო ფურცლები გადაშალა დიდმა სამამულო ომმა.

ფაშისტთა ურდოების ვერაგული თავდასხმის დროს დ. ბაქრაძე პირველსავე ბრძოლებში ჩაება. ამ ბრძოლების დროს მტრის ზურგში მოხვდნენ. მთელ მის გუნდს საკუთარი ხელით მოუხდა თავიანთი ქვემეხების დამტრევეა, მაგრამ ამის შედეგად მათ ბრძოლის ცეცხლი კი არ ჩაქრობიათ, არამედ უფრო მეტად გაიმსჭვალნენ მტრისადმი სიძულელით და გამარჯვების წყურვილით.

დამ-დამობით ვარსკვლავთმრიცხველებივით შესტყროდნენ ცას და სწორედ ამ ვარსკვლავთა საშუალებით ჩრდილო-აღმოსავლეთით იველედნენ გზას, რომ ფრონტის ხაზზე გადმოსულიყვნენ, შეერთებოდნენ საბჭოთა ნაწილებს. აი მიუახლოვდნენ ბრიანსკის ტყეებს. აქ კი სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღეს. დარჩენილიყვნენ ტყეში და მტრის ზურგში ეწარმოებინათ გამანადგურებელი ბრძოლა. ასეც მოიქცნენ.

აქ უკვე მოქმედობდნენ პარტიზანები. შეუერთდნენ მათ. ამ დღიდან დაიწყო დავით ბაქოაძის გამორული ბრძოლების გზა და მისი სახელი დაუკავშირდა ისეთ სახელმძღვანელო პარტიზანთა სახელებს, როგორიც იყვნენ კოვპაკი, გერშიგორა და რუდნევი.

კოვპაკის დივიზიას განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა დამყარებული საბჭოთა არმიის მთავარ ძალებთან. და აი ერთ დღეს მათ თვითმფრინავებით ქვემეხები მიიღეს. უსაზღვრო იყო დავითის სიხარული, როდესაც ის კვლავ ქვემეხის მეთაურად დანიშნეს. მისმა ქვემეხმა დიდი სამსახური გაუწია წინმძღველ საბჭოთა ნაწილებს მტრის ზურგში შეუნელებელი ცეცხლის დაშენით.

შემდეგში, როდესაც ამ დივიზიას კარპატებში უხდებოდა ბრძოლა, დ. ბაქრაძე ასეულს მეთაურობდა. ბევრი საბრძოლო დავალება სასახლოდ შეუსრულებია დავითს კარპატების მთებში, მაგრამ დაღდა ისეთი მომენტი, როდესაც პარტიზანებისაგან შევიწროებულ მტერს კარპატების ციციანოვზე გააფთრებული იერიშები მიჰქონდა მათზე. ჰაერიდანაც უშენდნენ, ალყასაც არტყამდნენ, ცდილობდნენ როგორმე თავი დაეღწიათ პარტიზანებისგან, მაგრამ უშიშარი კოვპაკელები არა ცხრებოდნენ, ალყას ალყაზე არღვევდნენ და ამავე დროს მოსვენებას არ აძლევდნენ მტერს, მიიწვედნენ წინ, მტრის ზურგში.

ერთხელ კოვპაკმა მწვერავებს დაავალა. გამოენახათ მოკლე და მოხერხებული ბილიყები, რომ პარტიზანთა ლაშქრობა არ შეფერხებულყო. მწვერავთა ასეულის მეთაური, დავითის ახლო მეგობარი, გორლანოვი იყო. ის დავალების შესასრულებლად სასწრაფოდ გაეშურა. ორი საათი არ იყო გასული, რომ მთის მწვერვალებიდან ავტომატების ხშირი კაენი მოისმა, როგორც ჩანდა, გორლანოვი ჩასაფრებულ მტერს თავზე წაადგა და ბრძოლაში ჩაება. სულ მალე შეიტყეს, რომ ეს ბრძოლა უთანასწორო იყო.

— მეცხრე ასეულო, წინ! — გადასცეს ბაქრაძეს კოვპაკის ბრძანება.

დივიზიის კომისარმა რუდნევიმა ბაქრაძე ცალკე გაიხმო და უთხრა:

— დავით, უნდა მიეშველო შენს ძმას გორლანოვს, მიეშველე და იხსენი იგი!

ამ სიტყვებზე ბაქრაძემ გადახედა თავის მებრძოლებს. და რამდენიმე წუთის შემდეგ ციციანო აღმართებზე სირბილით გაეშურნენ. ფლანგიდან დაარტყა. დახმარებით გამხნეებულმა გორლანოვმა შეტევა გააცხოველა. დავითმა თავისი რაზმით ხელჩართული ბრძოლა გააჩაღა.

მტერმა გაქცევა ამჯობინა.

სტალინური მეგობრობის გრძნობით აღზრდილმა საბჭოთა აღამიანმა დავით ბაქრაძემ თავისი მეგობარი განსაცდელისაგან დაიხსნა.

კარპატებში ბრძოლების დროს დივიზიის პირველი პოლკის მეთაურად დანიშნეს. მასინ ეს პოლკი უკვე რუდნევის სახელს ატარებდა.

უკანასკნელი ბრძოლა დ. ბაქრაძემ მდინარე ნემანზე გადაიხადა. როდესაც საბჭოთა არმიამ მტრის საზღვარი გადალახა, პარტიზანთა ეს სახელგანთქმული დივიზია უკან გამოაბრუნეს. მას დაავალეს მტრის დაქსაქსული ჯარების უკან ჩამორჩენილი და ტყეებში გაფანტული ბანდების განადგურება. დივიზიამ ეს



დავალეზა ჩვეული ოსტატობით შეასრულა, და ბაქრაძე კიევი გაამწესეს. პარტიზანთა რიგებში თავდადებული და უშიშარი მოქმედების გამო დავით ბაქრაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს.

1944 წლის უკანასკნელ თვეს დავით ბაქრაძე სამშობლოს წინაშე ვალმოხდელი დაბრუნდა საქართველოში. მას თან მოჰქონდა ძვირფასი საჩუქარი. ეს იყო ხელით ნაკეთები ავტომატი, რომელიც ბელორუსიის პარტიზანებმა დაამზადეს. ავტომატის ალუმინის ფირფიტის ერთ

მხარეზე ეწერა: „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!“ მეორე მხარეზე კი: „სახსოვრად რუდნევის სახელობის პირველი პოლკის მეთაურს — დ. ი. ბაქრაძეს — კოტოვსკის სახელობის პარტიზანთა რაზმისაგან“.

დ. ი. ბაქრაძემ თავისი გმირული ბრძოლებით ასახელა ქართველი ხალხი, ამიტომაც ჩვენმა სამშობლომ აირჩია იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ელიზაბა ჯიღონიძე

## არჩილ ნაგროვილი



ცხრაწუაროს მთებში სიცივის პირველმა სუსხმა დაჰკრა თუ არა, ახალი ქართული ცხვრის ფარამ ივრის ჰალეებს მიასურა.

უდაბნოში ფარა შემოვიდა, სოფლის ძაღლებმა ყეფა ასტეხეს. ცხვრის სუნი მიდამოს მოეფინა. ძაღლები ჰიშკრებს აწყდებოდნენ, ყეფდნენ, იღრინებოდნენ, სურდათ — მეცხვარის ჭოფაკები გამოეწვიათ. მაგრამ მათ დაწითლებული ენები პირიდან გადმოეგდოთ და ფარას ტუნძლით მისდევდნენ.

მრავალი ათასი ცხვარი მდორე მდინარესავით მოედინებოდა სოფლის შარახე. საპალნიან ცხენებსა და სახედრებს ისე დადებოდათ მტვერი, რომ სულ გათეთრებულიყვნენ. რქებგადაგრეხილი ვერძები დინჯად, ფეხების მწყობრი ბაკუნით მიუძლოდნენ ფარას.

მეცნიერ-მუშაკები ჯერ მწყემსებს მიესალმნენ, მერე ცხვარი მოიკითხეს და თვითონაც გაჰყვნენ ფარას.

— ბიჭო, ახალ ქართულ ცხვარს ხომ არ მოსვლია რამე? — იკითხა ერთმა.

— რა უნდა მოსვლოდა, გასუქდა და გალალდა! — მიუგო მწყემსმა და თითო უჩვენა: — აჰა, აგერ მოდიან!

მე მივეხალვოდი ბაჯბაჯით მომავალ ცხვრებს.

— ეს წლებანდელი ყოჩებია, არა?

— დიას, კარგად მოიკიდეს ქონი, აი, მესმის ჯიში! — დაუმატა მან.

გზაზე ნემსის დასაგდები ადგილი არ არის. სულ ცხვრით გაიჰყედა. აი თეთრი, უხეშმატყლიანი, პატარა ტანის ცხვრები! — ეს თუშური ცხვარია.

იქ უკან უფრო დიდი, უფრო მკვრივი და, რაც მთავარია, ნაზმატყლიანი ცხვრები მოდიან! — ეს ახალი ქართული ცხვარია.

მათ შორის დიდი განსხვავებაა: ახალი ქართული ცხვარი ნაზმატყლიანია, თუშურზე უფრო დიდი ღემა აქვს და ტანადაც გაცილებით უფრო მეტია.

ნანგრძლივი მეცნიერული მუშაობის შედეგად არჩილ ნატროშვილმა მერიწოსთან თუშური ცხვრის შეჯვარებით მიიღო მეტისების პირველი თაობა, მათში მხოლოდ ერთი ყოჩი ერია, რომელსაც ყველა ის თვისება და ნიშანი ჰქონდა, რაც ნატროშვილის აზრით, მის მიერ გამოყვანილ ჯიშს უნდა ჰქონოდა. ამიტომ ამ ყოჩის, როგორც პირველად დაბადებულსა და ამ დიდი საქმის დამწყებს, მეცნიერმა „პაპაშა“ შეარქვა.

არჩილ ნატროშვილი კაბინეტში დამიხვდა. იგი ამჟამად საქართველოს მეცხოველეობის საკვლევა-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორია და ამავე დროს უდაბნოს საცდელ-სამოსწავლო მეურნეობასაც ხელმძღვანელობს. მისი მუშეყოილებული სახე მოწმობს, რომ იგი მეტწილად ფარასთან იმყოფება, სწორედ იქ, სადაც დიდი სახელმწიფო საქმის — მეცხოველეობის განვითარების ბედი წყდება.

ჩემთან საუბარს არჩილი შორიდან იწყებს.

— ჯერ კიდევ შვიდი წლისა ვიყავი, — ამბობს ის, — როცა მამამ ცხვარში წამიყვანა. ქურჭში გახვეულს ღია ცისქვეშ მშენა. დილით ვუკრავდი სამურს და ბატყებს ვაძოვებდი, ცხვა-

რი ბავშვობიდანვე მიყვარდა. როცა უმაღლეს სასწავლებელში შევედი, ცხვრის ცხოვრებას კარგად ვიყავი გაცნობილი, არდადეგებზე სოფელში მწყემსებთან ვტრიალებდი. ისინი ფარის შესახებ ისეთ საინტერესო ამბებს მეუბნებოდნენ ხოლმე, რასაც ვერც ერთ წიგნში ვერ ამოვიკითხავდი.

არჩილმა ქართველ მეცხვარეებთან დიდი სკოლა განვლო, ინსტიტუტის დამთავრებით სწავლა როდი დაუმთავრებია, იგი ასპირანტურაში შევიდა და მოსკოვში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა. მისი სადისერტაციო შრომის თემა იყო: „კარაკულით თუშურ ცხვრის მეტიზაციის შედეგები“.

მაშინ არჩილს უკვე დაწყებული ჰქონდა ცხვრის ახალი ქართული ჯიშის გამოყვანა. საცდელი სამუშაოები კარგად მიდიოდა. მან მითხრა:

— თუშური ცხვრის მერიწოსთან შეჯვარებით ახალი ჯიშის შექმნის აზრი მე ჯერ კიდევ 1931 წელს დამებადა და კიდევაც შევუდექი მოსამზადებელ მუშაობას. პირველ ყოვლისა, დავიწყე ამ ხაკითხზე არსებული ლიტერატურის შესწავლა, განსაკუთრებით მინტერესებდა დუმის ბიოლოგიური მნიშვნელობა ცხვრის ამტანობისა და გამძლეობის საკითხთან დაკავშირებით. ხომ მოგხსენებათ, ცხვრის მოვლა-პატრონობა ათას ხიფათთანაა დაკავშირებული. საზამთრო ბინებიდან იალაღებზე გარეკვის დროს მას გზაში შიმშილისა და უწყულობის ატანა უხდება. ეს განსაცდელი რომ გადაიტანოს, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ჰქონდეს კარგი დუმა, სამწუხაროდ, მერიწოსს ასეთი დუმა არა აქვს და ის ვერც უძლებს გაჭირვებას. ხანგრძლივი შიმშილისა და უწყულობის პირობებში ყველაზე მეტი ამტანობა გამოიჩინა თუშურმა ცხვარმა, რომელსაც დუმა კარგად ჰქონდა გამოსახული. ის ცხვრები კი, რომელთაც კულში ცხიმი ეოტა ჰქონდათ, უფრო

ნაკლებამტანიანი აღმოჩნდნენ. ასე იყო მეტისებს შორისაც, რომელთაც კულმა სრულებით არ გააჩნდათ: ესენი გაცილებით ნაკლებ ამტანობას იჩენდნენ ისეთ ცხვრებთან შედარებით, რომელთაც კულში მცირეოდენი ცხიმი მაინც ჰქონდათ.

ამ დაკვირვებებმა ნათლად გვიჩვენა, რომ საქართველოს პირობებში თუშური ცხვრის შეჯვარება ნაზმატყლიან ჯიშებთან იძლევა ისეთ მეტისს, რომლის დუმას არა მარტო დიდი სამეურნეო, არამედ ბიოლოგიური მნიშვნელობაც აქვს.

ახალი ჯიშის გამოყვანისას მიზნად დავისახე ამ ცხვრის მატყლის გაუმჯობესებასთან ერთად მისთვის შეგვენარჩუნებინა დუმაც. ამიტომ შემდგომი მუშაობის პროცესში დუმა ერთ-ერთ ძირითად სასელექციო ნიშანთვისებას წარმოადგენდა, გარდა ამისა, ვიცი, რომ მომთაბარეობის პირობებში. თუშურ ცხვარს ხანგრძლივი სიარული შეუძლია, რასაც მნიშვნელოვნად მისი ჩლიქების სიმაგრე და ფეხების სწორი დგმა განსაზღვრავს. ამიტომ ახალ ჯიშში ამ ნიშანთვისებათა განმტკიცების აუცილებლობაც გავითვალისწინე. მიზნად დავისახე, რათა ახალ ჯიშს შედარებით ნაზი მატყლი ჰქონოდა, ჩვენ არ გამოვუდექით უაღრესად ნაზი მატყლის მიღებას, რადგან არსებობს მრავალი ლიტერატურული მონაცემი იმის შესახებ, რომ მატყლის მნიშვნელოვან სინაზეს თან სდევს ცხოველის დასუსტება. ჩვენმა დაკვირვებებმა თუშური ცხვრის მეტისებზე დაგვარწმუნა ამ აზრის სისწორეში. მერიწოსის ტიპის ნაზმატყლიანი მეტისები ძნელად იტანენ მომთაბარეობას და მთის საძოვრებზე ცხოვრებას; ნახევრადნაზი მატყლის მქონე მეტისები კი ასეთ პირობებს უფრო ეგუებიან.

ამჟამად, მრეწველობა ნახევრადუხეშ მატყლზეც მეტად დიდ მოთხოვნილებას აყენებს. ამიტომ ჯერჯერობით პრაქტიკულად არ არის აუცილებელი ახლაცე მივაღწიოთ დუმის შეთავსებას ნაზ მატყ-

ლთან. მაგრამ შეიძლება შემდგომში სასურველი გახდეს უპირატესად სწორედ ნაზი ბატყლის გამოყენებება.

ამიტომ ჩემს მიერ გამოყვანილ ახალ ქართულ ცხვარში, ერთის მხრით, ვაწარმოებ ნახევრადნაზი და ერთგვაროვანი ბატყლის თვისების შემკვიდრებით განმტკიცებას და, მეორეს მხრით, განვაგრძობ ცდებს ნაზმატყლიანი ჯიშის შესაქმნელად.

1934 წელს გამოვეყავი საცდელი ფარა. ამ ფარაში შედიოდნენ დედაცხვრები, რომლებიც მიღებული იყო რამბულიეს, პრეკოსისა და თუშური ცხვრის შეჯვარების შედეგად, და აგრეთვე თუშური დედაცხვრები. მათზე მიმაგრებული იქნენ რამბულიესა და პრეკოსის ყოჩები. ჩვენ დიდი გულმოდგინებით შევარჩიეთ თუშური დედაცხვრები და ნაზმატყლიანი ყოჩები, რომელთა შეჯვარებით მეტისების პირველი თაობა უნდა მიგვედო.

1935 წელს საცდელი ფარიდან მივიღე სასურველი ნიშანთვისების მქონე თერთმეტი ბატყანი; აქედან რვა სული პირველი თაობისა, ხოლო სამი სული მეორე თაობისა იყო.

ამ ბატყნებს შედარებით კარგი ბატყლი ჰქონდათ და კულში ცხიმის დაგროვების უნარს იჩენდნენ. გარდა ამისა, იმავე 1935 წელს მე გამოვეყავი ახალი საცდელი ფარები, საიდანაც მივიღე პირველი და მეორე თაობის ბატყნების დიდი რაოდენობა.

ხანგრძლივი დაკვირვებისა და შეჯვარების შემდეგ, 1938 წელს, როცა დედაცხვრებს ბატყნები მოვაცილე, დაიწყო ჩემს მიერ მიღებული ყოჩების შეფასება შთამომავლობის მიხედვით. ცხადი გახდა პირველი თაობის ყველა ოთხი მეტი-სური (მერინოს-თუშური) ყოჩის უარყოფითი გავლენა შთამომავლობაზე. ამიტომ ეს ყოჩები ჩვენი შემდგომი მუშაობისათვის გამოუსადეგარი იყო, ხოლო „პაპაშა“ კარგი შემკვიდრებითი თვისებები გამოამჟღავნა.

„პაპაშას“ შთამომავლობიდან ყურადღება მიიქცია ორმა ექსტრემიანმა ბატყანმა: № 421 და № 493, რომლებიც დანარჩენი მოზარდებისაგან განირჩეოდნენ კარგი პროდუქტიულობით. იმისათვის, რომ დამეჩქარებინა მათი შემკვიდრებითი თვისებების გამომჟღავნება და ამავე დროს სასურველი ტიპის ყოჩებით რაც შეიძლება მეტი დედაცხვარი განაყოფიერებულყო, ეს ორი თოხლი გამოყენებულ იქნა იმავე 1938 წელს. ამ თოხლებმა მოგვეცეს უკეთესი თვისებების მქონე შთამომავლობა, ვიდრე „პაპაშაში“. ამის შემდეგ სასიკეთოდ დაწყებული საქმე უფრო წინ წავიდა, — დაასრულა არჩილმა თავისი საუბარი.

1947 წელს გაზაფხული აღრე დადგა, უცებ დათბა. კახეთის გზაზე გამოჩნდნენ საზაფხულო საძოვრებისაკენ მიმავალი ცხვრის ფარები. პირველად ცხვარი უდაბნოს საბჭოთა მეურნეობამ გარეკა. ახლა საზაფხულო საძოვრებისაკენ უკვე მრავალი ახალი ქართული ცხვრის ბატყნები მიდიოდა. არჩილი გახარებული იყო. მას მწყემსის ტანისამოსი ჩაეცვა და თავის საყვარელ ფარას ქვეითად მიჰყვებოდა. მისი ავტომობილი ფარის უკან ერთხანს ძალიან ნელა მიდიოდა, მაგრამ შოფერს გული გადაეღია და არჩილს უთხრა:

— ამ ცხვრების კვალდაკვალ ვერ მივდივარ, თანაც დაიღლებით, ჩაბრძანდით ავტომობილში!

არჩილი ავტომობილში ჩაჯდა. შოფერსაც ეს უნდოდა. საყვირის ხმაზე ცხვარი დაფრთხა და გზის პირისკენ გაუხვია. ავტომობილმა მათ ჩაუჭროლა და მერე თავისუფალ გზაზე გასრიალდა. არჩილს ეს უკვე არ მოეწონა, ფარას გაუსწრო. ცხვარს ვეღარ ხედავდა.

— გააჩერე! — უთხრა მან შოფერს და ავტომობილიდან ჩამოვიდა, — შენ

წადი, ნავთლულში დამიცადე, მე ცხვარს გამოვეყები.

შუაღლე იყო. სამგორის ველზე მზე წვევდა ყველაფერს, ახალმოსულ ბალახს უწყლობისაგან ფოთლები შეხმობოდა. კატა-ბალახას აყვავილებაც მოესწრო. არჩილმა ფარას წინიდან გახედა. თხები გადაგრეხილ რქებს ამაყად მიარხევდნენ. მათ უკან თუშური ცხვრის ფარა მოედინებოდა, მას ახალი ქართული ცხვრის ფარა მოსდევდა, ბოლოს კი ჩამორჩენილი ბატკნები პეტელით მობობოდნენ; ქოფაკები ზანტად მოძუნძუნებდნენ.

ცხრაწყაროს მიდამოებსა და ქციის ქალებში ამ ფარას საგანგებოდ მოვლილი საძოვრები ელოდებოდა. არჩილმა ცოტა შრომა როდი გასწია, რომ მთის საძოვრებზე ფარებისათვის კარგი საღვომი მოეწყო.

„პაპაშა“ უკვე ბებერი იყო, ერთთავად თვლემდა, კბილები სულ მოცვეთოდა, სიარულის თავი აღარ ჰქონდა. არჩილმა, ქართული ცხვრის ეს პირველი საპატიო მამა ავტომობილში ჩასვა და ისე მიჰყავდა ცხრაწყაროს სუფთა ჰაერზე.

შუადღისას მიადგნენ საზაფხულო საძოვრებს. ცხრაწყაროს მთებზე ციოდა. დასიცხულმა ცხვარმა თავისუფლად ამოისუნთქა და ხარბად დაეწაფა ალპიურ ბალახს. არჩილი „პაპაშას“ აღარ სცილდებოდა. მისთვის საგანგებოდ მომზადებინა საჭმელი, მერე ბალახზე მიუშვა.

აქ მთიდან კამკამა წყარო გადმოდის, რომელიც ქვემოთ ცხრა შტოდ იყოფა. ალბათ ამიტომ შეარქვეს ამ მთას ცხრაწყარო. აქედან ხელისგულივით მოსჩანს ბაკურიანი, ციხისჯვარი, სანისლო და კოდიანი. თვითონ ცხრაწყაროს მთებს მუდამ ნისლი ახვევია და ზვიადი სახე აქვს. ცხვრის პარსვის დრო როცა დადგება, თითქოს განგებ დაიწმინდება მთების გადასახედები, მთელი თავისი სიმშვენიერით გამოჩნდება იაღბუში, უშმა, ყაზბეგი, ბორბალო. უდაბნოს მეურნეო-

ბის მწყემსები დღედაღამე თავს დასტრიალებდნენ ცხვარს. დაღამე მცნებურულ დაკვირვებათა დროც. არჩილმა ჯერ თუშური ცხვრის მატყლის სიგრძე გაზომა; — თერთმეტი სანტიმეტრი! — ჩაიწერა უბის წიგნაკში. მერე საცდელ ცხვართან მივიდა. მისი ბიოგრაფია წიგნაკში ეწერა: „ყოჩი № 3, დაბადებული 1943 წელს, შვილი № 421 ყოჩისა, ორი წლისა; მისი ცოცხალი წონა უდრის 64 კილოგრამს, კანკის წონა 3,5 კილოგრამს“ და ამ ცნობებს ახლა მატყლის სიგრძის მაჩვენებელი ციფრიც — 10,5 სანტიმეტრი — მიუმატა.

— როგორც ჩანს, თუშური ცხვრის მატყლი უფრო გრძელი ყოფილა! — ვუთხარი მე.

— დიახ, ახალი ქართული ცხვრის მატყლი უფრო მოკლეა, ვიდრე თუშურისა. ეს გრძელი, მჭისე ბეწვის დაქარგვის შედეგია. მაგრამ ახალ ქართულ ცხვარს მაინც იმდენად გრძელი მატყლი აქვს, რომ შეიძლება იგი წელიწადში ორჯერ გაიპარსოს, მსგავსად თუშური ცხვრისა, და მიღებულ იქნას კამვოლური წარმოებისათვის გამოსადეგი მატყლი... ჩვენ გვაქვს იმისი დამამტკიცებელი სანუთიც, რომ სელექციის გზით შეიძლება მივაღწიოთ ახალი ქართული ცხვრის მატყლის სინაზის მატებას მისი სიგრძის გადიდებასთან.

ჯერ კიდევ დილა იყო. მზე მთას გაუსწორდა და სასიამოვნოდ დაბნა. არჩილი ცხვრების აწონით, მათი მატყლის გაზომვითა და გადარჩევით დაიღალა. ხალათი ბეწვებით ჰქონდა დაფარული. დასასვენებლად ბალახზე წამოწვა და თვალები ცას მიაყრო.

ის ფიქრობდა იმ სიძნელეებზე, რომლებიც მას ახალი ქართული ცხვრის გამოყვანისათვის წინ ელოდებოდა. ცოტა მოწინააღმდეგე როდი გამოუჩნდა. ანტიმწიფრინელები ებრძოდნენ, მაგრამ მაინც გულს არ იტეხდა, მას თავისი საქმისა სჯეროდა.

გზაზე ავტომობილის ხმა გაისმა. საღვთოდან მორიგე მწყემსმა მოიბრინა, გახარებული იყო, თვალები უბრწყინავდა.

— არჩილ, სტუმარი მოგვივიდა, ნენა კეთხულობს!

— ვინ სტუმარი?! — გაიკვირვა არჩილმა და სანამ დაღლილობისაგან დამძიმებულ მხრებს ასწევდა, ავტომობილი მის წინ გაჩერდა. არჩილი ოდნავ დაიბნა.

— გამარჯობა, არჩილ, როგორა ხარ? ძვირფასი ადამიანის მეგობრულმა კილომ არჩილი გაამხნევა, გამოწვდილ ხელს მან მარდად შეაგება ხელი.

— კარგად! — მიუგო მან და მაშინვე დაუმატა: — ცხვარიც კარგადა მყავს!

სტუმარს გაეცინა, ფარას გახედა. ცხვარი ისვენებდა.

— ჩაეკეჩ ჩემს მანქანაში, ერთი თქვენი ცხვარი მინდა დავათვალიერო.

იგი გვიან საღამომდე ათვალიერებდა ცხვარს. ყველა ფარას ჩამოუარა. თუშური და ახალი ქართული ცხვარი ცალცალკე ააწონინა, დაწვრილებით გამოიკითხა მათი განმასხვავებელი ნიშნები, მატყლიც გასინჯა, ყურადღებით მოისმინა ნატროშვილის საუბარი ახალი ქართული ცხვრის უპირატეს თვისებებზე და გულდასმით გასინჯა მეცნიერულ დაკვირვებათა ცხრილები.

ბოლოს არჩილმა თითქოს შესჩივლა ხელმძღვანელს:

— „პაპაშა“ დამიბერდა... ნეტავი ისეთი წამალი გამომაგონებინა, რომ სიცოცხლე გაუხანგრძლივო. იგი ხომ ახალი ქართული ცხვრის პირველი წარმომადგენელია.

სტუმარი არჩილს გულთბილად გამოეშვიდობა. მოხუცმა მწყემსმა თვალი გააყოლა მოგუგუნე ავტომობილს და არჩილს შეეკითხა:

— ამხანაგი ჩარკვიანი გვესტუმრა?

— დიახ! — მიუგო არჩილმა.

— აჰ, ამ მთაში რა უნდოდა?

— ცხვარი დაათვალიერა,  
— მოეწონა ნეტავი? — მოხუცმა მოხუცმა.

— როგორ არა! მითხრა, მხარს დაგიჭერთ. იმუშავეთო.

— ჰო, დაილოცოს მისი მარჯვენა! — მოხუცმა ფარას უფრო აღერსიანი თვალით გახედა.



თუშური ყველი განთქმულია. მე დამინტერესდა ახალი ქართული ცხვრის წველადობამ.

— თუშური ცხვრის ჯიშის გარდაქმნით საფრთხე ხომ არ მოელის ამ ყველის მაღალ ხარისხს? — შევეკითხე არჩილს.

— არა, როგორ გეკადრებათ, — მიპასუხა მან, — პირიქით, როცა ახალი ქართული ცხვრის ჯიშის გამოყვანაზე ვმუშაობდი, მინდოდა ყოველმხრივ კარგი ყოფილიყო იგი, ვითვალისწინებდი მისი წველადობის გადიდებასაც. შეჯვარებას ვახდენდი კარგ მეწველ ცხვრებზე და ამან თავისი ნაყოფი გამოიღო... უნდა ვაღიაროთ, რომ თუშური ცხვრის რძის პროდუქტიულობა აქამდე ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შესწავლილი, ამიტომ, დავისახე მიზნად ახალი ჯიშის

შექმედაცხვრების მერძეულობის შესწავლა. გამოვიკვლიეთ თუშური ცხვრის მერძეულობა, ამისათვის ვარკვევდით, როგორც პირველის, ისე მეორე ჯიშის დედაცხვრების წველადობასა და რძის ქიმიურ შედგენილობას. ცნობილია, რომ ცხვრის მერძეულობა და რძის ხარისხი დამოკიდებულია ჯიშისა, ხნოვანებისა, ლაქტაციის პერიოდის ხანგრძლივობისა და საძოვრების სინოყვირისაგან. ცდის დაყენების დროს ყოველივე ეს მხედველობაში გვქონდა. წველადობის შესასწავლათ ჩვენ შევადგინეთ ორი საცდელი ფარა: პირველში შედიოდა თუშური ცხვარი, მეორეში — ახალი ჯიშის ცხვა-

რი. ამ ფარგლებში ცხვრები ყველა ერთი ასაკისა იყო. მათი მერძეულობის შესწავლა წარმოებდა 1944 და 1945 წლების განმავლობაში. წველადობის გამოკვლევის პერიოდი ამ წლებში გრძელდებოდა 15 ივნისიდან პირველ აგვისტომდე, ე. ი. 45 დღე ცხვრის წველის დაწყებიდან მის დამთავრებამდე. პირველი წლის 45 დღის განმავლობაში ერთმა ახალმა ქართულმა ცხვარმა 15,30 ლიტრი რძე მოიწველა, ხოლო თუშურმა — 11,60 ლიტრი რძე; მეორე წელს კი ერთმა ახალმა ქართულმა ცხვარმა 14,4 ლიტრა რძე მოგვცა, თუშურმა — 11,25 ლიტრი. ამრიგად, ორი წლის განმავლობაში ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ახალი ჯიშის ცხვრის წველადობა, თუშური ცხვრის წველადობასთან შედარებით 23 პროცენტით მეტია და რძეც გაცილებით უფრო ნაყოფიერი.

— ახალი ქართული ცხვრის ხორცზე რას იტყვიან? — ვეკითხები არჩილს. მან ისევ ციფრების ცხრილი გაშალა და განაგრძო:

— თუშურთან შედარებით ახალი ქართული ცხვარი გაცილებით მეტსა და უფრო გემრიელ ხორცს იძლევა. ახალი ქართული ცხვრის ქედილები დაკვლის წინ საშუალოდ 12,4 პროცენტით მეტს იწონის, ვიდრე თუშური ქედილები. ჩვენ საცდელად დავკალით ახალი ცხვარი, მას საუკეთესოდ განვითარებული კუნთები აღმოაჩინდა, სიმსუქნისაგან ჩონჩხის ძვლები სრულებით არ უჩანდა, ნაკლავის მთელი ზედაპირი დაფარული იყო ქონის მთლიანი ფენით. ხორცის გემოც საგანგებოდ შევისწავლეთ. დეგუსტაცია მოეწყო თბილისის ზორცკომბინატში. კომისიაში ბევრი სპეციალისტი და დანტერესებული პირი შედიოდა. ხორცი მოხარშეს, შეწვეს, წყნიათი კერძებიც გააკეთეს და ყველამ ერთხმად აღიარა, რომ თუშურთან შედარებით ახალი ქართული ცხვრის ხორცი გაცილებით გემრიელია!

ახალმა ქართულმა ცხვარმა მთელ საბჭოთა კავშირში დიდი ინტერესი გამოიწვია. ყველა კოლმეურნეობას სურს მოაშენოს იგი.

— წელს უკრაინელებმა გვთხოვეს — მიგვეყიდა მათთვის საჯიშედ ახალი ცხვრები. რა გვექნა, უარს ხომ არ ვეტყობით? ავღექით და პირდაპირ ცხვარს წყაროს საძოვრებიდან გავუგზავნეთ საჩუქრად ახალი ცხვრები. ვაივლის კიდევ რამდენიმე წელი და ახალი ქართული ცხვარი დაამშვენებს მთელი საბჭოეთის კოლმეურნეობათა ფარებს!

შემდეგ არჩილმა თავის ახალ საცდელ მუშაობაზე ჩამოაგდო საუბარი:

— ცხვრის დაუძინებელი მტერია მგელი. ის თუ ფარაში შეიპარა, შეუძლია, დიდი ზარალი მოგაყენოს. ამიტომ ჩვენი მწყემსები ძალიან ფრთხილობენ, მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენი ძაღლები მგლებს ვერ ვერევიან. ცოდვა არ არის ახალი ქართული ცხვარი, რომელსაც თვალის წინივით ვუვლით, მგელმა დახოცოს? — ჩაურთო კითხვა არჩილმა და განაგრძო: — ჩვენ ცხვრის დასაცავად მვიღებთ ზომები, რუსეთიდან ჩამოვიყვანეთ ჯოჯის დიდი ძაღლები, რომლებიც მგლებს შიშის ზარსა ცემენ, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენთან ისინი არ გამოდგნენ. ეს ძაღლები რუსეთის სტეპებთან არიან შეგუებული. სტეპებში მგელს დალანდავენ თუ არა, მაშინვე თავაწყვეტით მისდევენ, მაგრამ ჩვენში მგელს რომ გამოუდგებოდნენ, ხეებსა და ბუჩქებს ეჯახებოდნენ დაიხოცებოდნენ. ამიტომ ჩვენ ეს ძაღლები შევაჯვარეთ ქართული ჯოჯის ძაღლებთან. რამდენიმე თაობის შემდეგ მვიღებთ სასურველი ჯიშის, რომელსაც ტანადობა და ღონე შენარჩუნებული აქვს და მთასა და ტყეში კარგად დარბის. ამ მიმართულებით კიდევ ვაწარმოებთ მუშაობას, რომ ეს ახალი ჯიშის უფრო სრულყოფილი გახდეს, რათა საიმედოდ დარაჯად დაუდგეს ახალ ქართულ ცხვარს.

არჩილ ნატროშვილი ნამდვილი ენთუზიასტი მიჩურინელია. ის ცხვრის ახალი ჯიშების გამოყვანით როდი ემყოფილდება. ის ამ ბოლო დროს მეფუტყრობასაც გადაწვდა. მან ცალკე შეისწავლა კახური და მეგრული ჯიშის ფუტყრები. კახური შორს მანძილზე ფრენით თავს არ იწუხებს და ამიტომ შედარებით ცოტა თავფლს ამზადებს. მეგრული ფუტყარი კი პირიქით, შორს მანძილზე დაფრინავს და, ცხადია, თავფლსაც ბლომად იძლევა. არჩილს სურს მეგრული ფუტყრის ეს კარგი თვისებები ჩაუნერგოს კახურს და ამით გააუმჯობესოს ჯიში.

1947 წლის ნოემბრის ერთ ღრუბლიან დღეს, ალპური საძოვრებიდან დაბრუნების შემდეგ, უდაბნოს საცდელ მეურნეობაში, სადაც თორმეტი წლის წინათ „პაპაშა“ დაიბადა, უხმაუროდ, ფრინველივით მოკვდა ახალი ქართული ცხვრის ეს პირველი წარმომადგენელი. დადარდიანდნენ მწყემსები, არჩილი იმ დღეს უგუნებოდ იყო.

ახლა „პაპაშას“ შთამომავალნი არც ათასია და მალე ასევე „ჩრვა“ წიხისა და უფრო მეტი იქნება.

არჩილ ნატროშვილი თავისი საყვარელი საქმის—მეცხოველეობის სამყაროს გარდაქმნისათვის დაუცხრომლად იბრძვის. ის კაბინეტში ვერ ისვენებს. სულ ლაბორატორიებსა და საცდელ-სასწავლო მეურნეობის ბრიგადებში ტრიალებს. მისი ცდები ყოველთვის სასურველ შედეგს იძლევა.

არჩილს ახალი ქართული ცხვრის ჯიშის გამოყვანისათვის მიენიჭა სტალინური პრემია, მის მკერდს ამშვენებს ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები და მედლები.

მიმდინარე წლის 12 მარტს არჩილ ნატროშვილი, როგორც ნამდვილი საბჭოთა ხალხური მეცნიერების გამომჩენელი მოღვაწე, ხალხმა ერთხმად აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კლიმენტი გოზიავა



## შალვა კობრაძე

★

1

სოფელ იანეთში თედორე კობრაძე სხვა გლეხებში თავისი მუყაითობით, შრომისმოყვარეობითა და სიღარიბითაც გამოირჩეოდა. ოჯახის ერთგული, სამეზობლო კაცი იყო. დიდიდან საღამომდე შრომობდა და მაინც ვერ აღდიოდა ოჯახს. მწელი იყო ხუთი შვილის შენახვა და აღზრდა. ჯერ კიდევ მემამულეთა ხელში იყო მიწები და იმერულ გლეხს გასაქანი არა ჰქონდა. მიწას მემამულე ნაკავშირისაგან ჭირაობდა და მესამედს აძლევდა ღალაში. როცა მცირე მოსავალი რამდენიმე თვეში გამოელეოდა, თედორე მოჯამაგირედ დაუდგებოდა იმავე ნაკავშირს. ასე ჯაბან-წყვეტით მიათრევდა თედორე თავის ერთგულ მეუღლეს დომნასთან ერთად მძიმე ცხოვრებას და მხოლოდ ხუთი ოქროსაგეთ ბიჭი იყო მისი სიხარული.

პატარა ეზოში მიწისიატაკიანი ფაცხა ედგა თედორეს. ფანჯრები არა ჰქონდა სახლს, სინათლე მხოლოდ წინაკარიდან შემოდიოდა. ზამთრობით. როცა ყინვებს დაიჭერდა და ცივი ქარი დაბერავდა, კარი უნდა დაეკეტათ. მაშინ კრაქს ანთებდნენ. მაგრამ ბავშვებს რა გააჩერებდა კრაქის სინათლეზე? მათ ზომ იცოდნენ, რომ გარეთ დღე იყო და სინათლე? — დედა, შემოუშვათ სინათლე? — იხვეწებოდნენ ბავშვები.

სხვა გამოსავალი არ იყო. სინათლე უნდა „შემოეწვათ“. დღისით კიდევ, პო, ბავშვები მოძრაობაში იყვნენ და ხან ცეცხლის პირას, ხან კიდევ ეზოში სირბილით თბებოდნენ, მაგრამ ღამეები იყო სასტიკი: ციოდა მიწისიატაკიან სახლში,

ხშირად ცივდებოდნენ ბავშვები და ხდებოდნენ ავად. ერთ ზამთარს ბავშვებს ფილტვების ანთება დაემართათ. ხარიცი გაყიდა მამამ, „წილები რომ სიკვდილისაგან ეხსნა, მაგრამ ვერას გახდა. დაჰკარგა სამი ვაჟი. დარჩა ორი: შალვა და ელადიმერა.

პატარა შალვა ბავშვობიდანვე დიდ ხალისს იჩენდა წიგნისადმი. სულ იმას ეხვეწებოდა წითელყდიანი „დედა ენა“ მიყიდეთო.

აუსრულა მამამ სურვილი, უყიდა „დედა ენა“ და შეიყვანა სოფლის სკოლაში. მაგრამ დიდხანს ვერ დაჰყო შალვამ სანატრელ სკოლაში. მესამე კლასიდან გამოირიცხეს, რადგან მამამ ვერ შესძლო სწავლის ფულის გადახდა. 2 მანეთი უნდა გადაეხადა წლიურად. ვერ იშოვა თედორე კობრაძემ ამოდენა თანხა. სამი შვილის დაკრძალვა მძიმე ტვირთად დააწვა ოჯახს.

დაღონებული შემოვიდა ეზოში პატარა შალვა, მძიმე ნაბიჯით გაიარა თერთმეტი წლის ბიჭუნამ პატარა ეზო. შინ რომ შევიდა, ჩანთა ოხერით მიაგდო საწოლზე. იცოდა: სამუდამოდ ეთხოვებოდა წიგნს. დედამ პირი აარიდა. მაინც შენიშნა შალვამ: ცრემლები ჩამოუგორდა დედას. მაშინ კი ატირდა ბავშვი.

მას შემდეგ შალვას წიგნი თოხი გახდა. სამი წლის განმავლობაში ვაჭაკი-კით ედგა მხარში მამას და ოჯახის მძიმე ტვირთს უმსუბუქებდა. საღამოობით კი მეზობლის ბიჭებთან გადაირბენდა და ეხვეწებოდა: მაჩვენეთ, დღეს რა ისწავლეთო.

ერთ შემოდგომას 12 წლის შალვა იანეთის სადგურზე მუშაობდა, შალვა-

ბის დასაგებად ქვებს ეზიდებოდა. აქ ჩუვარდა გულში ორთქლმავლის სიყვარული. სულ იმის ოცნებაში იყო: ნეტავი ისეთი ცოდნა შევიძინო, ორთქლმავალი წაიყვანო. მაგრამ ამ ოცნების მისაღწევად არავითარი საშუალება არა ჰქონდა და გულში იკლავდა თავის ოცნებას ნიჭიერი ბავშვი.

ბავშვის ნიჭი მამას გულს უკლავდა და გადასწყვიტა რამე მისაწვდომი ხელობა ესწავლებინა. წაიყვანა ბათოს თავის ნათესავ მკერავთან, შევირდად. იანეთის სადგურზე შალვამ ახალი ბრწყევალა ორთქლმავალი დაინახა და გზაში სულ ორთქლმავლის ამბავს ეკითხებოდა მამას. ვინ აკეთებს ორთქლმავალს? როგორი კაცი უნდა იყო, რომ წაიყვანო იგი? რამდენი კლასი უნდა დაამთავრო? მამას იმდენი ცოდნა არ ეყო, რომ ყველა შეკითხვაზე პასუხი გაეცა და ასე უთხრა:

— მატარებელი რომ წაიყვანო, ზეინკალი უნდა გახდეთ...

იმ სამკერავლოს ახლოს, სადაც შალვა მიიბარეს, სამჭედლო იყო. თავისუფალ დროს სულ იმ სამჭედლოსთან ტრიალებდა შალვა. უყურებდა, როგორ ჰქედდნენ რკინის ნივთებს: წალდებს, ნალებს, ხრახნებს. უყვარდა; როგორ იზნიჭებოდა გრდემლზე ცხელი რკინა უროს ქვეშ და ჰყრიდა ნაპერწყმებს. ნატრობდა; ნატრობდა ნეტავი ეს ხელობა მასწავლო.

ვერ დაუღო შალვამ ნემსს გული და ისევ იანეთს დაბრუნდა. ასე გადასწყვიტა: ნემსი ვეკაცის საქმე არ არისო. სწორედ ამ დროს თბილისიდან ჩამოვიდა თედორეს ნათესავი ვასო ნიორაძე — პემანქანის თანამემწე. შალვამ მას თავისი ოცნება გაანდო. ორთქლმავალზე მუშაობა მინდაო. ვასო ნიორაძემ შალვა თბილისს წაიყვანა: აღუთქვა, პემანქანობას გასწავლიო, და 1914 წელს 14 წლის შალვა თბილისს ჩამოვიდა.

2

ძნელი აღმოჩნდა საორთქლმავლო დეპოში მოწყობა. წლოვანება ხელს არ უწყობდა. ოთხი თვე იცადა შალვამ, ვეგებ მოვეწყოო. ვერ მოვეყო.

ერთ კვირა დღეს თბილისის სადგურზე შალვა თავისივე ასაკის მუშა ბიჭებს გაეცნო. როცა შალვას ისტორია გაიგეს, ბიჭებმა უთხრეს, დიქტის ქარხანაში მოგაწყობთო.

— ქარხანაში? — გაუხარდა შალვას და მეორე დღეს დიქტის ქარხნის კარებს მიადგა.

დიქტის ქარხანაში მართლა მიიღეს შალვა. ზაზინმა, რომელსაც უცნაური გვარი ჰქონდა— შური— შალვას 20 კაპიკი დაუნიშნა დღეში. აქ აკეთებდნენ სკამებს, მაგიდებს, კარადებს. აქ 8 მუშა და 15 შევირდი მუშაობდა. ბეჯითი მოწაფე აღმოჩნდა შალვა და ჩქარა მისი დღიური ხელფასი 40 კაპ. გახდა. ფულს არ ხარჯავდა, ინახავდა, უნდოდა ოჯახს დახმარებოდა.

რა დაავიწყებს შალვა კობრეიძეს იმ ბედნიერ დღეს, როცა სოფლიდან ჩამოსულ დედას 35 მან. ჩაუთვალა ხელში.

— შეილო, გამახარე — გადაეხვია დედა და იმ დღეს ბედნიერების ცრემლები დაინახა შეილმა დედის თვალებში.

კმაყოფილი იყო შალვა. მაგრამ ერთ კვირა დღეს, შემოდგომაზე, ვასო ნიორაძემ შალვა ორთქლმავალზე დაისვა და კახეთის გზაზე წაიყვანა. კახეთს გაჩვენებო. კახეთში რთველი იყო.

მაგრამ ვერ მოხიბლა კახეთის სილამაზემ შალვას გული. მისი გულისყური სულ ორთქლმავლისაკენ იყო მიპყრობილი. აკვირდებოდა შალვა, როგორ მიყავდა ძია ვასოს ორთქლმავალი, როგორ ემორჩილებოდა ეს რკინის ვეშაპი კაცის მარჯვენას. აი, მიუახლოვდება მატარებელი სადგურს და მიაკივლებს.

— მოვედით! — მოვედით! — ესმის შალვას იმ კვილში, და გადმოკვივდება

ათეული და ასეული მგზავრი ბაქანზე. სიხარულით, შეძახილებით ხედებიან მათ.

— წავედით! წავედით — ესმის შალვას ყურს, როცა ორთქლმავალი დაიკვლებს და დაიძვრება, და მატარებელს აცილებენ ხელების ქნევით, ცხვირსახოცის ფრიალით.

— და ყველა ამათი სიცოცხლე ჩემს ხელთაა, შვილო! — უთხრა ვასომ შალვას. ერთი წუთით რომ შევანელო ყურადღება, შეიძლება უბედურება მოხდეს. რამდენი დედის, რამდენი შვილის წინაშე ვაგებ პასუხს და, რაც მთავარია: ჩემი სინდისის წინაშე... დიდი საქმეაო, შვილო, მემანქანეობა, დიდი!...

შალვას გულში ისევ იფეთქა ამ „დიდი საქმის“ სიყვარულმა. გადასწყვიტა პირადად მოლაპარაკებოდა საორთქლმავლო დეპოს უფროსს ტუსიშვილს. გამოცხადდა უფროსთან და თხოვა: გამომცადეთ, თუ ჩემი ღონითა და ჯანმრთელობით ვერ შევძელი მუშაობა, დამითხოვეთ, თუ არა და დამტოვეთ. ხელფასსაც არ გთხოვეთ, სანამ არ დარწმუნდებით, გამოვდგები თუ არაო.

ტუსიშვილი დათანხმდა. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა შალვას ბეჯითობა და საქმის სიყვარულში დარწმუნდა, ხელფასიც დაუნიშნა: დღეში 30 კაბ.

როგორც მწყურვალე დაეწაფა ნაკადულს, ისე დაეწაფა შალვა ზეინკლის ხელობის შესწავლას. ისე გულმოდგინედ, ისე გატაცებით და სიყვარულით სწავლობდა ხელობას, რომ წელიწადნახევრის შემდეგ ზეინკლის თანაშემწედ დანიშნეს. ხოლო შემდეგი წლის განმავლობაში ისე დახელოვდა, რომ ზეინკალი გახდა, კახეთის რკინიგზის საორთქლმავლო დეპოში. ეს დეპო ნავთლულში მდებარეობდა. შალვა თბილისის ვაგზალთან ცხოვრობდა. შორი მანძილის გავლა უხდებოდა შალვას: 9 კილომეტრი იქით, 9 აქეთ. მაგრამ განა ეს დააფიქრებდა შალვას? ის მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა თავისი მიზნისაკენ. ახლო

მომავალში ორთქლმავალზე მუშაობა ელანდებოდა.

გენგლინიოთქა

ამ დროს უკვე შალვა მუშობლებს ეხმარებოდა. მამას რომ ფულს გაუგზავნიდა, შეუთვლიდა, ჩქარა იანეთში ორთქლმავლით ჩამოვალაო. მამას უხაროდა ფულის მიღება, მაგრამ მის შვილს ორთქლმავალს რომ ჩააბარებდნენ, ამისი კი არა სჯეროდა.

მძიმე დრო დაუდგა შალვა კობრეიძეს 1917 — 1920 წლებში. მაშინ საქართველოში მენშევიეები ბატონობდნენ. ქვეყანა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იყო. მუშებს დღიურ ნორმად 200, ხან 400 გრამი ლობიოიან ჰქონდათ აძლევდნენ. „ლობიოს ხაჭაპური“ — ასე ეძახდნენ იმ ჰქონდათ მუშები. ხშირად, იმ მძიმე წლებში, თვიური ხელფასით მხოლოდ ერთ ფუთ სიმინდს ყიდულობდა შალვა კობრეიძე. საქმე იქამდე მივიდა, რომ ახლა მამა უგზავნიდა საქმელს სოფლიდან.

### 3

დიდი გარდატეხა მოხდა შალვა კობრეიძის ცხოვრებაში 1921 წელს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ქართველ ხალხს ახალი ცხოვრებისაკენ გზა გაუხსნა. შალვა კობრეიძეც ახალ ცხოვრებას დაეწაფა. წითელ ჯარში წავიდა. მესანგრეთა ნაწილში მოხვდა.

ორწელიწადნახევარი დაჰყო წითელ ჯარში. ახლაც მადლობის ღრმა გრძნობით იგონებს შალვა კობრეიძე წითელ ჯარში ყოფნას.

— თუ რამე შევიძინე თეორიული ცოდნის მხრივ, წითელ ჯარში შევიძინეო, — ამბობს იგი. — წითელი ჯარი იყო ჩემი უნივერსიტეტი. წიგნი მან დამიბრუნაო.

შალვა ისე დაეწაფა ცოდნას რომ ექვს თვეში ოცეულის მეთაურის თანაშემწედ დანიშნეს. შალვამ ისეთი ნიჭი და გამჭრიახობა გამოიჩინა ტექნიკური დარგის ათვისებაში, რომ სამხედრო ვალდებუ-

ლებს მოხდის შემდეგ მას წინადადებით მიმართეს, დარჩენილიყო ჯარში.

მაგრამ შალვა კობრეიძეს მაინც ორთქლმავლისავენ ეკირა თვალი. ეს იყო მისი ოცნება და ამ ოცნებას ვერ შეეღობოდა ის. ისევ საორთქლმავლო დებოში დაბრუნდა. 1927 წლამდე ისე ზეინკლად მუშაობდა. ამ წელს შალვას თავისი დიდი ხნის ოცნება აუსრულდა. მან წარმატებით ჩააბარა გამოცდა მემანქანის თანამემწის წოდებაზე.

ოთხი წელი მუშაობდა შალვა კობრეიძე მემანქანის თანამემწედ. ეს წლები მან ცნობილ მემანქანე მიხეილ ტიტვინიძესთან გაატარა. თავი ექებოდა, რომ ასეთი ჩინებული მემანქანის თანამემწე იყო. მიხეილიც ხშირად იტყოდა ხოლმე:

— კარგი თანამემწე მყავს, კარგი ჩქარა მე მაჯობებს.

გაიწაფა, გაეარჯიშდა, დიდი გამოცდილება მიიღო თავისი მასწავლებლისაგან შალვა კობრეიძემ. საკმარისია ითქვას, რომ თანამემწედ ყოფნისას მან ორი მოსალოდნელი მარცხი ააცილა მატარებელს. 1931 წელს მემანქანის თანამდებობაზე ჩააბარა გამოცდა. 1932 წლიდან დამოუკიდებელ სამუშაოზე გადაიყვანეს, საბარგო ორთქლმავალი ჩააბარეს.

ნიკიერ კაცს დამოუკიდებელი სამუშაო ჩქარა გამოაჩინეს ხოლმე და შალვა კობრეიძემაც მალე ისახელა თავი. მისი ორთქლმავალი მუდამ გამოირჩეოდა სისუფთავით, წესიერებით, არ სჭირდებოდა ხშირი რემონტი. მან სახელი გაითქვა, როგორც მოწინავე მემანქანემ და 1935 წელს სახალხო მატარებლის ორთქლმავალი ჩააბარეს. ეს იყო დაწინაურება. ამ დაწინაურების შემდეგ შალვა კობრეიძემ კიდევ უფრო გააუმჯობესა მუშაობა.

ორთქლმავალს ადამიანებით უნდა მოვლა. აქი შემოღებულა კიდევ რკინიგზებში საამისო ტერმინები: „ჯახნსალი ორთქლმავალი“ და „ავადმყოფი ორთქლმავალი“. ე. ი. ორთქლმავლის

სიაგეარგე მოვლაზე დამოუკიდებელი.

კარგი მემანქანე მზრუნველუქმამსახვეით უნდა იყოს. იმ დღესვე უნდა შეაკეთოს დაზიანებული დეტალი. თვალყური უნდა ადევნოს ორთქლმავლის თვალს: რამდენად ცვდება იგი. თუ გაცვეთა 7 მილიმეტრამდე ავიდა, მაშინვე დებოში უნდა დააყენოს. ამას ეძახიან მოხარატებას ან „გაჩარხვას“. კარგი მემანქანე მხოლოდ ამ შემთხვევაში დააყენებს ორთქლმავალს დებოში. ისე კი კარგი მემანქანე თვითონ თავისი ბრიგადით შეაკეთებს ხოლმე მანქანას. შალვა კობრეიძე თავისი ბრიგადით აწარმოებს ორთქლმავლის მიმდინარე რემონტს. ამას კოლოსალური მნიშვნელობა აქვს: ეკონომია დროისა, მუშახელისა ხარჯებისა და ორთქლმავლის მოძრაობის გაუცდენლობა.

გარდა ტექნიკური მხარისა კარგ ორთქლმავალს ეკონომიური მაჩვენებლებიც აქვს: ესაა სადღეღამისო გარბენა ნორმით დაწესებულ მანძილზე და საწვავი მასალის დაზოგვა.

ამ ორი კატეგორიის მაჩვენებლებით შალვა კობრეიძე უკვე სამამულო ომის დაწყების წინა წლებში მოწინავე მემანქანედ ითვლებოდა. მისი სახელი მთელი ამიერ-კავკასიის რკინიგზებებზე იცოდნენ. მისი მუშაობის მეთოდებს სწავლობდნენ, აკვირდებოდნენ, იყენებდნენ.

მაგრამ შალვა კობრეიძის ნიკი და უნარი განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის დროს გამოჩნდა. აი, როდის გამოადგა სამშობლოს მისი ერთგულება, თავდადებული შრომა და ცოდნა.

#### 4.

სამამულო ომი ბობოქრობდა. ფანისტი მხეცი საქართველოს კარებთან ღმუროდა. ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი ენერჯია უაღრესად დაძაბულიყო. რკინიგზის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მტერთან კი-

დილში, ხოლო თვითონ რკინიგზის მუშაობაში — უპირატესად ორთქლმავალს. ორთქლმავალი, აი, რა სწვეტდა საკითხს. სიზუსტე მოძრაობისა, სისწრაფე ვაგონების გარბენისა, შეგნებული დისციპლინა და ეკონომია საწვავი მასალისა, აი, რა იყო მთავარი. ხოლო ყველაფერი ეს ნიშნავდა ჯარის სწრაფად გადაყვანას, დაქრილების დროზე გადმოყვანას, საკურველის დაუგვიანებლივ მიწოდებას, სამხედრო სარდლობასთან ზუსტად შეთანხმებულ მუშაობას. ამ დროს საჭირო გახდა ძველი ნორმების უკუგდება, ახალის ძიება და დამკვიდრება. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ძველი ნორმის — 50.000 კილომეტრის გარბენის — გადაჭარბება გაჩარხვიდან გაჩარხვამდე.

ამ დროს გაიშალა უნახავი ტემპებით სოციალისტური შეჯიბრება ამიერკავკასიის რკინიგზაზე. სწორედ ამ დროს განაცხადა ცნობილმა მემანქანემ ნიკო ყიფიანმა:

— გაჩარხვიდან გაჩარხვამდე მე გავივლი 100.000 კილომეტრს და შეჯიბრებაში შალვა კობრეიძეს ვიწვევო.

შალვა კობრეიძემ გამოწვევა მიიღო და 100.000 კილომეტრის ნაცვლად 120.000-ის გარბენის ვალდებულება აეისრა.

ამიერკავკასიის რკინიგზის მთელი არმია დაიძაბა. ყველა ხედავდა რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი შეჯიბრება. ყველა ხედავდა, რომ ამ შეჯიბრებას უშუალო კავშირი ჰქონდა სამამულო ომთან.

დაიწყა შეჯიბრება. როგორ მუშაობდა შალვა კობრეიძე ამ შეჯიბრებაში?

ორთქლმავლის ყველა დეტალს დროზე ზეთავდა. ამიტომ დეტალები არ ცვდებოდა. ამნაირად დეტალის „ცხოვრების გზას“ ახანგრძლივებდა.

ორთქლმავლის ყველა დეტალს სისტემატურად წმენდდა, რეცხავდა. მანქანას იდეალური სისუფთავით ინახავდა.

დატვირთვის ნორმასაც სწავლობდა.

ამ შეჯიბრებაში შალვა კობრეიძეს ერთი ძვირფასი თვისებაც ჰქონდა. საოცარი ალლო ორთქლმავლის ტარებისა გზის პროფილის მიხედვით. მემანქანემ კარგად უნდა იცოდეს გზის პროფილი. მაგრამ გარდა ცოდნისა ყოველი დიდი საქმე მოითხოვს ნიჭს. შინაგან ხილვას. სწორედ რომ ასეთი ნიჭითაა დაჯილდოებული შალვა კობრეიძე. ამ ნიჭმა ბრწყინვალე გამარჯვება მოაპოვებინა შალვა კობრეიძეს. მართლაც, შეჯიბრების შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ნიკო ყიფიანმა შეასრულა 103.000 კილომეტრი, ხოლო შალვა კობრეიძემ 152.226. გარდა ამისა შალვა კობრეიძემ დაზოგა 78 ტონა მასუთი, ხოლო რკინიგზამ მიიღო 30.000 მანეთი ეკონომია რემონტისა.

ამ შესანიშნავ მიღწევას ფართოდ გამოეხმაურნენ ამიერკავკასიის რკინიგზის გაზეთები „სტალინური ლოკომოტივი“ და „ბოლშევიტსკაია პუტიოვკა“. ამ გაზეთებმა რკინიგზელებს გააცნეს შალვა კობრეიძის მეთოდები. ჩამოეთვლით ზოგ მეთოდს რკინიგზელთა ტერმინოლოგიით:

„კვამლსაწვავი და ორთქლგამხურებელი მიღების შოვლა, გოგორწყვილების სამსახურის ვადის გახანგრძლივება, რაც აღკვეთავს ბუქსაობას, მატარებლის ადგილიდან ოსტატური აღება“... გარდა ამისა შალვა კობრეიძის ბრიგადა თვითონ ეწეოდა „დგუშების ნაწილების დადუღებას და ჩარჩოზე მორგებას, ბალანსირებას და ჯვართავეების შეკეთებას, რესორების გამოცვლას“...

ჩვენს მკითხველს თვალში ეცემა ასეთი ქართული: „მატარებლის ადგილიდან ოსტატური აღება“. მაგრამ მე ვფიქრობ ამ უხეირო ქართულში ქართველ მწერლებსაც მიგვიძღვის ბრალი. ჩვენ ცოტას ვწერთ სამრეწველო და ტექნიკურ თემებზე, არ ვენერგავთ ამ დარგში სწორ

ქართულს. ამ დარგში კი ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი აღამიანები მუშაობენ და მათს ცხოვრებასა და მუშაობას მეტი ყურადღება სჭირდება...

შალვა კობრეიძის მიღწევამ დიდი გავლენა მოახდინა მემანქანეებზე. მას მიზანძღეს და ჩქარა რკინიგზელთა მრავალათასოვან კოლექტივს ახალი საამაყო სახელები შეემატა. მემანქანე არტემ შამაჯანაშვილმა სატვირთო ორთქლმავლით 130.000 კილომეტრი გაიარა ურემონტოდ, დავით ჯარბაძემ — 100.000 ვლადიმერ ჩომახიძემ და აკაკი ლომსაძემ „ხუთასოვანთა“ მოძრაობის ინიციატორობა იკისრეს.

## 5.

ეს ამბავი 1943 წელს მოხდა. შალვა კობრეიძე შუალამეს გააღვიძეს. სასწრაფოდ გამოიძახეს მატარებელზე. შეისხა სახეზე ცივი წყალი, გზადაგზა შეიბინა პიჯაკის ლილები და სირბილით გამოცხადდა დეპოში. ხედავს, რომ მისი ორთქლმავალი გარშემორტყმულია სამხედრო პირებით. მაშინ შენიღბუა იყო თბილისში და მკრთალი ნათურების მბეჭუტავ სინათლეში ძლივს გააჩნია რაზმელები.

— საგანგებო დავალება, — უთხრა შალვას დეპოს უფროსმა. — სასწრაფოზე სასწრაფო. ფრონტთან დაკავშირებით. მეტი სიტყვები საჭირო არაა. შენ უნდა წახვიდე!

— რასაკვირველვა, წავალ, — მოკლედ უპასუხა შალვამ და ორთქლმავალი სადგურში გაიყვანა.

ერთი კაცი გამოეყო ჯგუფს, მივიდა კობრეიძესთან და ჰკითხა:

— ხომ არ შეგვარცხვენთ?

— როგორ გეკადრებათ!

— მაშ, ამა და ამ საათს უნდა ვიქნეთ ბაქოში. შეგიძლიათ?

შალვა კობრეიძე კი გააკვირდა დროის სიმცირემ. წამით ჩაფიქრდა და უპასუხა:

— მხოლოდ სკლის წესები უნდა დავარღვიო.

— მე ვაგებ პასუხს... შეგიძლიათ?

— შემიძლია.

— მიცანით, ვინა ვარ?

— გიცანით, ლაზარ მოისევეიჩი!..

და შალვა კობრეიძემ გააქანა მატარებელი. მხოლოდ სამ სადგურზე გააჩერა გზაში მატარებელი გასაზეთავად და წყლის მისაღებად. ჩვეულებრივ კი ექვსჯერ უნდა გაეჩერებინა. გარბენის მაქსიმალური ნორმის 70 კილომეტრის ნაცვლად 95 კილომეტრს გადიოდა საათში.

დიდი იყო გაცემა ამხანაგ კაგანოვიჩისა, როცა შალვა კობრეიძემ დათქმულ დროზე 3 საათით ადრე ჩაიყვანა მატარებელი.

— მე მახსოვს, რომ თქვენ დაჯილდოებული ხართ შრომის წითელი ღროშის ორდენით, — უთხრა მას კაგანოვიჩმა. — მე ყველა მოწინავე მემანქანის სახელი და გვარი ბლოკნოტში მაქვს ჩაწერილი მოსკოვში. გმადლობთ...

გავიდა 2 თვე და შალვა კობრეიძე კიროვბადას ჩავიდა. მატარებელი ლიანდაგზე დააყენა, ბაქანზე გავიდა. დაინახა, ერთგან კედლის წინ ხალხი შეჯგუფულა. შალვა შევიდა ჯგუფში. ხედავს მისი სურათია გაკრული წარწერთი: „სოციალისტური შრომის გმირი შალვა თედორეს-ძე კობრეიძე“.

მიხედ-მოიხედა, ისევ სურათს დააკვირდა. თაფლისფერი, ცოცხალი, კეთილი თვალები, გაპარსული სახე, მტკიცედ მოკუმული ტუჩები, ენერგიული ნიკაპი... ცხადია, ეს მისი სურათია.

ვიღაც ოფიცერი დააკვირდა შალვას, გაზეთში ჩაიხედა, სურათს დახედა. ბოლოს ღიმილით შეეკითხა:

— ეს თქვენა ხართ?

— დიხ, ესაა, ეს! — დაუდასტურა ვიღაც უცნობმა ქალმა ოფიცერს და დი-

დი ხნის ნაცნობივით ხელი გაუწოდა შალვას.

ხლო აღსთაფაში დიდძალი ხალხი დახვდა მატარებელს. ორთქლმავალს რკინიგზელები შემოეხვიენენ. გადმოცვივდნენ მგზავრები. მიულოცეს გმირობა.

ბევრი უცნობი იყო გარშემო, მაგრამ შალვას მოეჩვენა, რომ ყველა ნაცნობი იყო, ყველა ამხანაგი და მახლობელი. აკი ამ ხალხისათვის, მისი გამარჯვებისათვის წრომობდა შალვა ასე თავგამოდებით. ეს იყო ბედნიერი წუთები მის ცხოვრებაში.

ჩქარა შალვა კოხრეიძე მოსკოვს გაიწვიეს. თბილისის რკინიგზელებიდან 3 სოციალისტური შრომის გმირი იყო გაწვეული: შალვა კოხრეიძე, ანდრო წიკლაური და ნიკო გელაძე — მემანქანე-ინსტრუქტორები.

შეიკრიბნენ ამხანაგ კავანოვიჩის კაბინეტში. შალვა კუთხეში დაჯდა.

— ამხანაგო კოხრეიძე, რატომ ზიხართ ასე შორს? დაჯექით ახლოს, — ბლოკნოტი გადაუშალა და აჩვენა:

— აი, მე რომ გითხარით თბილისში, — თქვენ სახელი ბლოკნოტში მაჭვს-მეთქი, ზედავთ?

შალვა დარწმუნდა, რომ შორს სწევდებოდა მოსკოვის თვალი.

იმ შეკრებაზე ამხანაგმა კავანოვიჩმა ჩინებულად დაახასიათა საქართველოს მოწინავე მემანქანე, ნიჭიერი და ენერგიული, პატრიოტი და თავდადებული მუშაკი, სოციალისტური შრომის გმირი, შალვა კოხრეიძე, და უსურვა ღირსეული მოწაფეების გამოზრდა.

მართლაც, შალვა კოხრეიძემ 25-მდე ღირსეული მოწაფე გამოზარდა. მათ შორის ცნობილი არიან ვალიკო ჩომახიძე, აკაკი ლომსაძე, პეტრე ბარანიკოვი, რუბენ მელიქსეტიანი, სურენ ფარქოსაძე.

ამჟამად შალვა კოხრეიძე მემანქანე-ინსტრუქტორად მუშაობს. მას რია 14 ორთქლმავალი. მისი ორთქლმავლები ყოველთვის მოწინავენი არიან, ხლო

9 „სანიმუშოა“. თუ აქამდე 50.000 კილომეტრის გარბენის შემდეგ დგებოდა გაჩარხვაზე სამგზავრო ორთქლმავალი, ახლა ნორმად მიღებულია 80.000 კილომეტრის გარბენა. საწვავი მასალის დახარჯვაშიც დიდი ნოვატორობა გამოიჩინა შალვა კოხრეიძემ. 1949 წელს მისმა ორთქლმავლებმა საქმობლოს 721 ტონა და 454 კილოგრამი საწვავი მასალა დაუზოგეს...

სიტყვა-პასუხში დინჯია ეს იმერელი კაცი. ტკბილი, კარგი ქართულით მუსაიდობს. ნაპერწყლები უციმციმებს თვალებში, როცა ორთქლმავალს ათვალეირებს. ეტყობა, ორთქლმავალი მისთვის მარტო სამუშაო ობიექტი როდია, არამედ სიცოცხლის ნაწილიც და ძალიან დიდიც.

— უნდა გიყვარდეს ორთქლმავალი, შეილივით უნდა მოუარო, მაშინ არ გიღალატებს, — მოთხრა მან. — მემანქანეს მეტად რთული განცდები აქვს. ათასი კაცის სიცოცხლე გაბარია. ათასი კაცის თვალი აცილებს მატარებელს და ათასი კაცის გული მოელის მას... მემანქანის გული ვერ მოისვენებს, სანამ სადგურამდე არ მოვა... მემანქანე მარტო ლოგინში ისვენებს... უნდა გიყვარდეს-მეთქი, რომ მოვახსენეთ, მართლა ძმასავით მიყვარს... იცი, ის პირველი ორთქლმავალი, მე რომ კახეთში გამატარა, ახლაც ცოცხალია, ახლაც მუშაობს. ხანდახან მივალ, ხელს გადაუხვამ, გამიხარდება, თითქოს ძმა ჩემი...

შალვა კოხრეიძე დაჯილდოებულია ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით. რკინიგზაზე 25 წლის უმწიკლო მუშაობისათვის წარდგენილია ლენინის მეორე ორდენზე, დაჯილდოებულია მედლებით: — „კავკასიის დაცვისათვის“, წარჩინებული შრომისათვის დიდ სამამულო ომში 1941 — 1945 წლებში, „შრომითი წარჩინებისათვის“, „შრომითი მამაცობისათვის“, აქვს „წარჩინებული რკინიგზელის“ ნიშანი, ორი

ნიშანი „საპატიო რკინიგზელისა“ და ნიშანი „სტალინური გაწვევისა“. საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია 1929 წლიდან. წევრია დეპოს პარტორგანიზაციის ბიუროსი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის და ლენრაიკომის პლენუმებისა.

საორთქლმავლო დეპოს პარტიუროს მდივანი მას ახასიათებს, როგორც მოწინავე, დისციპლინირებულ კომუნისტს, პარტდავალებათა ზუსტად შემსრულებელს, ნოვატორ — მემანქანეს, ცოცხალ მისაბამ მაგალითს დანარჩენთათვის. ხოლო რკინიგზელთა გაზეთი „სტალინური ლოკომოტივი“ წერს, რომ შალვა კობრეიძეს ახასიათებს „საქმის ღრმა ცოდნა, განსაკუთრებული კეთილსინდისიერება, გულისხმიერება, წესრიგი და ორგანიზებულობა“.

შალვა კობრეიძე საკავშირო უმაღლესი საბჭოს 1946 წლის მეორე მოწვევის ეროვნებათა საბჭოს დეპუტატია. იგი გულმოდგინედ ემსახურება თავის ამომ-

რჩეველებს. მან თავის პირად მავალითზე იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექვს ახალგაზრდა ადამიანისათვის პროფესიის არჩევას. ამიტომ, როცა მას მიმართავენ ახალგაზრდები ამა თუ იმ სასწავლებელში მოსაწყობად, ყოველთვის ცდილობს სწორ გზაზე დააყენოს ახალგაზრდა.

შალვა კობრეიძე წამოყენებული იქნა ისევ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ლენინის საარჩევნო № 147 ოლქში თბილისის ელმავლების დეპოსი და ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიერ.

შრომელებმა ახლაც აირჩიეს თავის საკანონმდებლო უმაღლეს ორგანოში ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, თავდადებული პატრიოტი და ნოვატორი მემანქანე, სოციალისტური შრომის გმირი, შალვა კობრეიძე.

როდინო ქობია



კახანაშ გორბანელი

## შეხვედრა ღაუფაგოგის კანლიღათან

★

ღელავს თექვსმეტი ალამი,  
ელავს ლალი და ალმასი,  
ვარდებით,  
ელნათურებით  
განათებულა დარბაზი.  
რამდენი თაიგულია,  
რამდენი სიხარულია.  
რა კარგი დარი დამდგარა,  
რა კარგი გაწაფხულია.  
ნეტავი, გულო, მღელვარევ,  
ბუღეში როგორ თავსდები.  
სად გაგონილა, სად თქმულა  
ბედნიერება ასეთი?  
ერთი მამაცი მჭედელი,  
მშრომელი ხალხის დასტურით,  
იქნება დედა-სამშობლოს  
ბედნიერების მსახური.  
უხმობს დიადი ქვეყანა,  
უხმობს დიადი პარტია.  
ვისი აზრი და სახელი  
გულში მწესავით ანთია.

პატიოსანი შრომითა  
რა რიგად ამალღებულა,  
სამშობლოს ზღვა სიყვარულში  
მეორედ დაბადებულა.  
ის ხალხმა წამოაყენა,  
ხალხისთვის გაისარჯება.  
რა დიდი ძალა ჰქონია  
მართალი კაცის მარჯვენას.  
უსაზღვრო სიხარულისგან,  
როგორ დაიწყოს,—არ იცის,  
ან რა სიტყვები ეყოფა,  
რასაც გრძნობს, რასაც განიცდის.  
ერთი თქვა: დიდი მადლობა.  
ხმამ ხალხში გადაიარა  
და უცებ შესძრა დარბაზი  
ვამას და ტაშის გრიაღმა.  
როგორ ამალღდა მშრომელის  
შრომა და მხარჯამლილობა.  
აი, რას ნიშნავს დიადი  
სტალინის ქვეყნის შვილობა.

საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება

რომელი



I

სექტემბრის ერთ ნაწილადღევს საბარგო ავტომობილი, ჩვეულებრივი სხვა მრავალ ავტომანქანასავით, რომელსაც ყველგან შეხვდებით ჩვენი ქვეყნის გზატკეცილებზე, საუანეს მიუახლოვდა.

სიხარულის ხმა აღმომხდა, როცა უკანასკნელ გადასარბენზე გორაკიდან დავინახე ხეში ჩაბუდებული დაბა, ეს ამოძახილი გამოიწვია ნანატრ ადგილის გამოჩენამ და ამასთანავე იმედმა, რომ ბოლო ეღებოდა ბენზინიან ტახტრეკანზე ყანყალს.

სანამ მანქანა ხვეული გზით დაბლობისკენ მიგორავდა, საკმაო დრო მქონდა მეცქირა საუანესთვის, რომელიც ჯერ კიდევ ამ დილით ჩემს შორეულ ოცნებას წარმოადგენდა. ეს იყო მთებით შემოსაღტული პატარა ქალაქი, რომელსაც ცალ მხარეს მდინარე ჩაუდოდა. თითქო ყველაფერი უცვლელი იყო, სწორედ ისეთი, როგორიც ოცი წლის წინათ მახსოვდა. ჯერჯერობით თვალში მომხვდა მხოლოდ მდინარის პირად აშენებული ქარხანა, სადაც საკვამური ბოლავდა.

უხსოვარ დროში გაშენებული დაბა აქამდე თავისუფლად ეტეოდა კიკნაველზე, მაგრამ ახლა, როცა გაფართოების სხვა საშუალება არ გააჩნდა, გორაკებს შეპოტინებოდა, ფერდობებზე ატოცებულიყო და მუხნარით დაბუ-

რულ კორტოხებზე ქორის ბუდეებით ჩაედგა ალაგ ხისა და ალაგ აგურის სახლები.

ავტომობილმა გადაიარა ხიდი და ქარხანასთან შეჩერდა. შოფერს გამოვკითხე ზოგი საჭირო ცნობა და ცენტრისკენ მიმავალ გზას დავადექი.

ცხელოდა. ხანგრძლივი გვალვისაგან მიწა ფხვიერი იყო და ჰაერის ოდნავ მოძრაობისაგან მტვერით ბოლავდა. საკმაო მანძილი გავიარე და არავინ შემხვედრია. ერთ ადგილას მდინარის მხრიდან მხოლოდ ბატები ამობაჯბაჯდნენ და რომელიღაც ეზოში შევიდნენ. თვალი მოვკარი კიდევ ღობესთან მიბმულ თხას.

გზის ორივე მხარეს ჩამწყვირებულიყო ლეღვის, უნაბის, ვაშლის და ალვის ხეებით დაჩრდილულ ეზოებში ჩადგმული ძველებური დაბალი ოდეები და ალაგ ორსართულიანი ახალი აგურის სახლები. აქაურების ერთმანეთის წამხედურობით, თუ რაღაც სხვა მიზეზით, ყველა სახლს ერთნაირი რკინის კიშკარი ჰქონდა და ყველა კიშკარი მწვანედ იყო შეღებული.

სურათი უეცრად შეიცვალა, როცა ცენტრს მიუახლოვდი. გამოჩნდა ასფალტიანი ქუჩები, სავაჭროების მორთული ვიტრინები, ჩაიხრივინა ეტლმა, ჩაიქროლეს მსუბუქმა მანქანებმა.

ვინაიდან ქალაქი პატარა იყო, ხოლო შემხვედრი მოქალაქენი დაუზარებლად

და თავაზიანად იძლეოდნენ პასუხს, ადვილად გაიკვლიე გზა შესახვევებით და მალე სასტუმროსაც მივაღწიე.

სასტუმროს კარებთან გარეთ, ჩრდილში, ვიღაც შეახინის თამაშითური კაცი ეჯდა მოწულ სკამზე, კრიალოსანს მარცვლავდა და რაღაც უცნაურ პანგს დუღდუღებდა. დამინახა თუ არა რუკა-ზაკით ხელში, უნდომლად წამოდგა, კვალდაკვალ ამომზღია კიბეზე და კანტორაში შემომყვა. გამგე აღმოჩნდა.

— ოთახი გნებავს, ბიძიკო? — ამხედდა ცბიერი ღიმილით, რომლის დროს მთელი სახე წერილმა ნაოკებმა დაუფარა. კეთილად მიცქეროდა, მაგრამ ვერაძენი, რომ ახლა არ აპირებდა რაიმე სასიკეთო ეთქვა ჩემთვის.

ისეუ შემათავალიერა და მკითხა თითქოს თანაგრძნობით:

— ნათესავი არავინ გყავს აქ?

საენაშვი ნაცნობიც არ მეგულებოდა. შეყოყმანდა ჩაფიქრდა, ბოლოს რაღაც მოიაზრა და ხელი ჩააქნია:

— რა გიყო ახლა, გარეთ ხომ ვერ დაგტოვებ და... მიბოძე, ბიძიკო, მოწმობა. — ამოიოხრა და მაგიდას მიუჯდა. — გორდაძე გვია ნიკოლოზისა-ძე... ფრიად სასიამოვნოა... ოცდაშვიდი წლის... — იწერდა სასტუმროს დავითარში, თითოეულ სიტყვას ხმამაღლა იმეორებდა და ხანდახან რეპლიკებს ჩაერთავდა. — ქართველი... საბჭოთა მოსამსახურე... უცოლო... არც შეირთო, ბიძიკო, ქალი ეწმავისაა, ჩემი არ იყოს, სიცოცხლეს გაგიშვარებს. თბილისიდან... ფრიად სასიამოვნოა, მობრძანებითა თქვენითა გაახარეთ გული ჩვენი!

რატომღაც ჩაიხიზნითა, როცა პასპორტიდან ყველა საჭირო ცნობა გადაიწერა.

— აბა, მეშვიდე ნომერი მოქალაქეს! — ჩააბარა ჩემი თავი სასტუმროს მსახურ დედაკაცს და, თითქოს სანუგეშოდ, დააყოლა: — ლუქსია, მაგრამ ორნი იქნებით. ფიქრი ნუ გაქვს,

პატროსანი კაცია, რაიონის მთავარი აგრონომი გახლავს, გაბრეღე უნდა შეილი. განათლებული პირბრუნება, სტატუსადამიანი, სულში და გულში ჩასაძვრენი. არ ღირდა მისი შეწუხება, მაგრამ...

ოთახი, რომელიც ბედმა მარგუნა, საკმაოდ ნათელი და სუფთა აღმოჩნდა. ერთი საწოლი თავისუფალი იყო. მეორეზე გადაფენილი იყო დაკმუტვნილი ზეწარი, რომელზედაც ძველი საწვიმარი ეგდო. საწვიმარის გარეგნობა მოწმობდა, რომ აუღარში მრავალჯერ დაუფარავს თავისი პატრონი და მზესაც არაერთხელ უცდია მასზე თავისი მცხუნეარების ძალა. კუთხეში ეგდო გატალახიანებული ჩექმები და გაცეცილი, ვინ იცის სად არ ნათრევი, ოდესღაც ყვითელი დერმანტინის ჩემოდანი.

მომავონდა სასტუმროს გამგის მიერ წარმოთქმული ზოტბა და, ამასთანავე, მისი ხითხითი ჩამესმა ყურში. დახასიათება საუკეთესო იყო, მაგრამ ახლა, რატომღაც ეკვი დამებდა მის სიმათლემში. ხომ არ დამცინა იმ ახირებულმა კაცმა და ისეთ ვინმესთან არ შემასახლა, ვინც ერთი ღამის მეზობლობასაც სანანებლად გამიხდიდა?

ასე იყო თუ ისე, არჩევანის საშუალება არ იყო და მდგომარეობას უნდა შევრიგებოდი. ახლა ამაზე ფიქრის დროც არ მქონდა. გავსუფთავდი, ხელი მოვიწყვე და საჩქაროდ ქალაქში გავბრუნდი.

## II.

რაიონის პატარა ქალაქი, რაც უფრო მეტად დაშორებულია რკინიგზას. მით უფრო თავისებური იერით შემკულია. ის აღარც სოფელია და ჯერ არც სულ ქალაქი. სოფელსა და ქალაქს აქ მშურად ხელი ჩაუკიდიათ ერთმანეთისათვის და ვერ დაშორებიან. ერთი თვალის გადავლებით ასეთათ წარმომიღვა ახლა საენაქ, სადაც ასფალტით დაგებულ ქუჩის პირად თითქმის

ყოველ ეზოში ჩანდა ხეხილი, სიმინდისა და მწესუსჭირას ლეროები, მტევნებით დამძიმებული ვაზის ტალავარი, სადაც მოცილილ დროს მოჭალაქენი, ალბათ, მეგობრულ საუბარით ან ნარდით ერთობიან.

ორი თუ სამი ქუჩა გავიარე და მოედანზე გავედი. არც სულ ნათლად, მაგრამ მაინც მომაგონდა ეს ადგილი ისე, როგორც ბავშვობის დროიდან მესხიერებაში აღმბეჭდვოდა... მახსოვს რომელიღაც ბაზრობის დღე, ხალხის ყაყანი, პირუტყვის ბლავილი. ატალახებულ მოედნის გარშემო ხის პატარა დუქნები, სამჭედლოები, კასრების სახელოსნო, საიდანაც ყურთასმენის წამლები ჩაქუჩის ხმა ისმოდა. ოჩოფეხაზე შემდგარი ხის ძველი სახლები გადმოქანებული ვიწრო აივნებით, რომლებსაც აქა-იქ შერჩენოდათ ოდესღაც შეღებული რიკულები...

ახლა ეს იყო ფართო, ნათელი, ასფალტით დაგებული მოედანი და გარშემო იდგნენ აგურის მაღალი შენობები. ვეზდავდი ყოველივე ამას და მეგონა, აქამდე არასოდეს არ მენახა სავანე. ძალიან შორეული და მოჩვენებითი იყო, რაც მახსოვდა, თითქოს არც ყოფილა ასეთი რამ წარსულში და ძველ წიგნში ამოკითხულს გავდა.

იმ დღეს მე წამიყვანა მამამ სოფლიდან, რომელიც არც ისე შორ მანძილზე მდებარეობდა სავანედან და სადაც დიდიხინიდან მასწავლებლად მსახურობდა. იმ დღიდან უფრო ის დამრჩა მოგონებად, რომ პირველად მარტო ვოჯექი ცხენზე, დამოუკიდებლად მიმყავდა. შვიდი წლის ბიჭს მამაკაცად მიმაჩნდა თავი და ვცდილობდი არ შეემჩნია მამას ჩემი შიში, როცა ხანდახან ცხენი წაიფორბილებდა.

თვალი შევაყვლე შენობებს და შევეცადე გამომეცნო თუ რომელში იქნებოდა რაიონის საბჭო.

სწორედ ამ დროს ვიღაც ქალი შევიხივნი, რომელიც ჩემსკენ მოდიოდა.

პირველად თვალი მიიპყრე, მისმა აფერისფერმა კაბამ. შორიდან ქალის ყაყანი ჩოს გავდა.

სწრაფად მოაბიჯებდა. რაც უფრო მიახლოებდებოდა, მით უფრო იქცევდა ჩემს ყურადღებას. კაბა, რომელიც ტანზე შემოკვროდა, უპრეტენზიოდ იყო შეკერილი, მაგრამ სწორედ ამ სისადავეში იყო მისი პრეტენზია. ეს აღნაგი სხეული სრულიად არ სიჭირებდა ხელოვნურ დახმარებას, ქსოვილისაგან ის თითქოს მხოლოდ იმას მოითხოვდა, რომ საცესებით მაინც არ დაემალა, რაც ბუნებას თავის სასახელოდ შეეკმნა. შეგვერემანი სახეც ეშხიანი ჰქონდა, ხოლო ლოყებზე და ცოცხალ გამოხედვაში ჯანმრთელი ბუნების მთელი მადლი აღბეჭდვოდა.

როგორც კი გამითანასწორდა, თავიზიანად მიემართე:

— ვერ შეტყვევით, ქალბატონო, რომელ შენობაშია საბჭო?

ქალიშვილი შეჩერდა.

— აი იქ გახლავთ! — მანიშნა სვეტებიან მაღალ სახლზე. ამასთანავე გაიშვირა ხელი ფრიად ბუნებრივი გრაციოზულობით, რაც, რასაკვირველია, მაშინვე შევნიშნე უკვე მოზიბულულმა.

— მე აქ პირველად ვარ და... — საუბარის გაბმა დავაპირე, მაგრამ აღარ დამცალდა. მან მხოლოდ ოდნავად შესამჩნევი ცნობისმოყვარეობით შემავლო თვალი, მაშინვე მიტრიალდა, განაგრძო გზა და ვიღრე მადლობის თქმას მოვასწრებდი, მოსახვევში მისი ლანდიც მიიფარა.

თვალი გავაყოლე დაცარიელებულ სივრცეს და შემდეგ, თითქოს ძალაშემატებულმა, უფრო ჩქარი ნაბიჯით გაესწიე.

„ამ პატარა ქალაქისთვის მეტად დიდი ნიჭი და მადლია ასეთი არსება!“ — ჯერ კიდევ უცნობ ქალიშვილზე ვფიქრობდი, როცა საბჭოს კიბეზე ავიდოდი.

ეს უცაბედი წუთიერი შეხვედრა კეთილ ნიშნად მივიჩნიე და იმედი მომეცა, რომ საკირო საქმეს ადვილად მოვაგვარებდი. უკვე ყველა და ყველაფერი კეთილად მეჩვენებოდა.

მარად აღვირბინე უკანასკნელი საფეხურები, შევედი დერეფანში, ჩავუარე შავი ყალამქარით შეფუთვნილ კარების წყებას, რომლებზედაც სათითაოდ მიკრული იყო მომინანქრებული თეთრი დაფა წარწერით, თუ რა განყოფილებისა და ჩანგის მუშაკს ეკუთვნოდა ოთახი და ბოლოს თავმჯდომარის კაბინეტიც ვიპოვე... ცხადია, ის იქნება ფრიალ სიმპატიური პიროვნება, სწორედ ისეთი, როგორსაც ხშირად შეხვედებით რაიონის მუშაკებში... ყურადღებით მომისმენს და შემდეგ ყოველნაირად ხელს შემიწყობს... არც თუ ისე მნიშვნელოვანია ჩემი საქმე და ერთგვარად უხერხულიცაა — დრო წაართვა ათასგვარ ვალდებულებით დატვირთულ ადამიანს...

თავმჯდომარისადმი უკვე ავანსად სიმპატიით განწყობილმა მორიდებით შევალე კაბინეტის კარი.

შევალე და უმაღლე გული ჩამწყდა. შიგ არავინ იყო. სიცალიერე, სიჩუმე. საწერი მაგიდა ალაგებული და გასუფთავებული. არავითარი ნიშანი იმისა, რომ დღეს აქ იჯდა ვინმე და მუშაობდა.

ამ მოულოდნელობამ საგონებელში ჩამავლო და ხალისი გამიქრო.

კიდევ რამდენიმე წუთი და სამუშაოდლე გათავდება... ცხადია, თავმჯდომარე აღარ მოვა... ხეალ კვირაა და, მაშასადამე, ორშაბათამდე ვეღარ ვნახავ...

პირველი დღე სავანეში მარცხით იწყებოდა.

გულამღვრეულმა მივხურე კარი და გამოვბრუნდი. ამ დროს ზარის ხმაც გაისმა. აქამდე ჩუმი დერეფანი მაშინვე გამოცოცხლდა და ხმაურით აივსო. ოთახებიდან გამოეფინენ შინ მიმავალი

თანამშრომლები. ყველა განყოფილება დაცალიერდა.

საგონებელში ჩავარდნილი ვიდექი და უაზროდ გავცქეროდი მოფლეთილ კარების წყებას.

ის იყო წასვლას ვაპირებდი, როცა უკანასკნელად დერეფანში ორი მამაკაცი გამოვიდა. მშვიდად მოსაუბრენი, ისინი ნელა მიიმართებოდნენ გასასვლელისაკენ. სწორედ რომ ითქვას, ლაპარაკობდა ერთი, — ჰალარა, ჩია კაცი, რომელიც თითქმის ყოველ სიტყვას სახის მოძრაობას, თითებს და ხანდახან ფეხსაც აშველებდა. ლაპარაკობდა შემპარავად, დატკბილულად. რატომღაც მეჩვენა, რომ უნდა ყოფილიყო ერთი იმათთაგანი, ვისაც უყვარს ყველაფერი გამოკითხოს, გამოიძიოს, ყველგან და ყველაფერში ცხვირი ჩარგოს. მეორე, მაღალი და მელოტი, რომელიც წამდაუწყუმ ისწორებდა გვერდიდან ნასესებ თმას, დაღლილად მოათრევდა ფეხებს. ის თავის ღირსების შეგნებით აღსავსე კაცი ჩანდა და შესაძლოა ამიტომაც ცდილობდა არ გაემქლავნებია, რომ აინტერესებდა ის, რასაც ჩია გატაცებით უამბობდა.

— ბოდიშს ვითხოვ, ამ დაწესებულებაში მუშაობთ? — ვიხელთე დრო და მივმართე მათ.

ორივემ ჩემსკენ იბრუნა პირი.

— იქნებ მითხრათ, — აღარ დავუცადე პასუხს, — სადაა თავმჯდომარე და სად შეიძლება მისი ნახვა?

ჩიამ ცნობისმოყვარეობით მომპყრო თვალი და მისი წრიბინა ხმა მომესმა:

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— თბილისიდან ჩამოვედი, — უხერხულად ჩავილაპარაკე რამდენიმე დღე დაბნეულმა იმ გარემოებით, რომ ჩემს გარკვეულ შეკითხვაზე თითონ ის შემიკითხა.

— თბილისიდან! — მაშინვე გასძახა ფალცეტით.

— „რამ გააოცა?! — გამიკვირდა უნებურად. — რა უცხო და შორეულ ქვეყნიდან მოსული მნახა!“

— არ გქონიათ ბელი — ხელები გაშალა და ისე ნაღვლიანად გადმომხედდა, თითქოს სამძიმარს მიცხადებდა. — გზაში გვერდი ავივლიათ ერთმანეთისთვის. სწორედ ამ დილით გამგზავრა თბილისში.

ამის გაგონებაზე ალბათ შეწუხება გამოიხატა ჩემს სახეზე, რადგან ჩიამ ისეთი თანაგრძნობით მომაშტერა თვალები, რომ ჩემი თავი კინაღამ მე თითონ შემეცოდა.

— თქვე დალოცვილო, ერთი დღით აღრე ჩამოსულიყავით. — ჩაილაპარაკა მელოტმა.

სრულიად შეუფერებელი იყო ასეთი საყვედური, მაგრამ ვიგრძენი, ამით ერთგვარად ისიც თანაგრძნობას მიცხადებდა.

— რა გნებავდათ? — მომმართა ჩიამ.

— არაფერი ისეთი, — ვთქვი უხალისოდ. — კარგი იყო მენახა, მაგრამ რადგან...

მელოტმა, ალბათ ჩემი პასუხით უკმაყოფილომ, ჩაიბურტყუნა:

— დალოცვილო, თუ საქმე არ გქონდა, ამ სიშორეზე რამ ჩამოგიყვანა...

ჩიამ ღიმილით დაუდასტურა მისი სიტყვების სიშართლე.

ვიფიქრე, რეგვენად ჩამთელიდნენ, თუ რამდენიმედ მაინც არ დავაკმაყოფილებდი მათ ცნობისმოყვარობას და გადავწვივებთ გაკვრით მაინც მეთქვარათ მჭირდებოდა თავმჯდომარის ნახვა.

— თქვენი რაიონის ერთ სოფელში მიწის გათხრის დროს რაღაც ძველებური ნივთები უპოვნიათ...

— გამიგონია, — თქვა მელოტმა და თითებით აივარცხნა თავის ოდნავი გაქანებისგანაც გვერდზე გადმოვარდნილი თმა.

— დიახ, იყო ასეთი შემთხვევა! — დაემოწმა ჩიამ. — როგორც ვხედავ, მერ თი თუ ორი თვის წინათ.

ის გარემოება, რომ ყური მოეკრათ ამ ამბავისთვის, ჩემთვის უკვე საინტერესოს ხდიდა მათთან საუბარს.

— როგორც ცნობა გვაქვს, ეს იყო სოფელ ვაშლიანაში...

ჩიამ თვალი შეავლო მელოტს, თითქო ვერ ბედავდა შეკრილიყო იმ კაცის უფლებაში პირველს გაეცა პასუხი.

— ვაშლოვანში, გამისწორა მელოტმა.

— დიახ, დიახ, სწორედ ვაშლოვანში! — უმაღვე დაადასტურა ჩიამ.

მელოტმა თვალი მომაჩერა:

— თქვენ რატომ ხართ ასე დაინტერესებული?

— ვინ ბრძანდებით თქვენ — მაშინვე შემეკითხა ჩიამ.

— არქეოლოგიურმა საზოგადოებამ მომავლინა, — მოკლე პასუხით შევეცადე მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას.

— არქეოლოგიურმა საზოგადოებამ! — ისევ ფალცეტით გასძახა ჩიამ.

როგორც ჩანს, ამ ხმით ყოველთვის გაკვირვებას და თან ერთგვარ აღტაცებას გამოხატავდა ეს პატარა სანგვინიკი.

— საბჭოს თავმჯდომარეს შეეძლო მოეცა ზოგიერთი ჩემთვის საჭირო ცნობა... აღწერილობის მიხედვით ირკვევა, რომ ნივთები უძველეს დროს ეკუთვნის... რამდენადაც ვიცი, ნაწილი აქ ინახება...

— დიახ, ჩამოიტანეს, — ჩაიბუბუნა მელოტმა. — ოღონდ...

— რა ოღონდ?

— ამბობენ, ზოგი რამ დაიკარგაო... თასიო რაღაც, არ ვიცი ოქროსი თუ ვერცხლისა. მეფე გორგასალის სახელი იყოო ზედ ამოკრილი.

— გორგასალის თასი! — უწერილესი ფალცეტით გასძახა ჩიამ.

ამისმა გაგონებამ ფიქრში ჩამავლოვკრძნობდი, რომ იმ კაცმა ცოტა რა-

ღაც სიმართლე იცოდა. მაგრამ რაც მისგან გაეგონე, სასიხარულო არ ყოფილა. შესაძლოა თასი და, მით უფრო გორგასალის თასი, მხოლოდ აქაურების ფანტაზია იყო და სხვა არაფერი, მაგრამ რაღაც ძვირფასი ნივთი რომ დაიკარგა, ამას გული მეუბნებოდა. საფიქრებელი იყო ის გარემოებაც, რომ ნივთები ერთი თვის წინათ იპოვეს. ვინ იცის სად და ვის ხელში იქნებოდა ის ნაწილი, რომელიც აქამდე არ ჩამოეტანათ?

ყველაზე უფრო ეს ამბავი მადარღიანებდა. როგორ უნდა დავებრუნებულიყავ თბილისში, რა მეთქვა იქ? დაეკმაყოფილდე გაგონილით, ჩაეკნინო ხელი და სამუდამოდ დაიკარგულად ჩაეთვალო? არა, ეს შეუძლებელი იყო. სხვა თუ არაფერი, უნდა დაერწმუნებულიყავ მაინც, რომ ძებნა უშედეგო იყო.

მაშინვე გავიფიქრე წავსულიყავ იმ ადგილას და იქიდან დამეწყო დაიკარგული ნივთების ძებნა. ყოველი დღე ძვირფასი იყო ჩემთვის და ამიტომ გადაწყვეტიე ხვალვე გავმგზავრებულიყავ.

— შორია იქამდე? — ვიკითხე.

— რა იქნება... ასე, რომ ვთქვათ... — ხელისგულები გადაშალა და გადმოშალა ჩიამ და მელოტს ახედა, თითქო ერიდებოდა მასზე ადრე ეპასუხნა. — ასე, რომ ვთქვათ, ათი თორმეტი კილომეტრი...

— ოცდაათი! — აეტორიტეტულად თქვა მელოტმა.

— ზუსტად ოცდაათი! არც მეტი, არც ნაკლები! — მაშინვე დაუდასტურა ჩიამ.

შევეცადე კიდევ რაიმე გამეგო მათგან, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ მეტს ველარაფერს მეტყოდნენ.

ლაპარაკ-ლაპარაკით ჩავიარეთ კიბე და ქუჩაში გავედით. ჩიამ დაწვრილებით გამომოკითხა, თუ სად დავბინავდი,

პირველად ვარ ამ მხარეში თუ არა, როგორ მომეწონა აქაურობა; გამოიძიბა ჩემი ვინაობა, შეეცადა რაღაც შორეული ნათესაობაც კი გამოეძებნა ჩემს გვართან, ცოტაოდენი დარიგება მომცა როგორ გავმგზავრებულიყავ ვაშლოვანში, კიდევ დიდხანს არ აპირებდა დამცილებოდა, მაგრამ მე მადლობა გადაუხადე ორივეს და დავშორდი.

მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომ ხელიდანვე შეეუღებოდი საქმეს, გამაზნევა და ხალისი მომცა. გავიხედე და ბედმა გამიღიმა, — რა ტრიუმფით დავბრუნდებოდი იმ შემთხვევაში!

ვისადილე და სასტუმროში დავბრუნდი. ოთახში ახლაც არაფერ იყო. მხოლოდ ისევე ის ჩექმები და საწოლზე დაგდებული საწვიმარი. ჩემი იდუმალი მეზობელი, როგორც ჩანს, არც შემოსულიყო ამ ხნის განმავლობაში.

რა კაცი უნდა ყოფილიყო? რა გარეგნობის, რა ხასიათის? რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო თუნდაც შორეულად რაიმე წარმოდგენა მქონოდა მასზე. ჯერჯერობით ჩემთვის ცხადი იყო ერთი რამ, — ის აუცილებლად იმათათვანია, ვინც ხშირად მოგზაურობს და ვისაც მგზავრობის ათასგვარი სიძნელე უნახავს. ამას მოწმობდნენ საწვიმარი და ჩექმები, რომელზედაც ძველი ტალახი მიმხმარიყო.

სალამოს ირიბი მზე და სიციხე შემოდოდა ოთახში. ფანჯარაზე ფარდა დაეუშეი და საწოლზე გავიშოტე. მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ დადლილი ვიყავი.

ერთხანს მაინც ვერ დავიძინე. ვფიქრობდი ხვალის მგზავრობაზე, იმ რაღაც საოცარ თასზე, თვალწინ მედგა ჩიამ, მელოტი და ყველაზე უფრო ის უცნობი ქალიშვილი, რომელიც საუცხოო ჩვენებად შემომეფეთა მოედანზე...

რაღაც საცვირველი მითხრეს მელოტმა და ჩიამ. საოცარი იყო იმის გაგონება, რომ ნივთებში გორგასალის

თასი ერია. ცხადია, ეს უქმი ფანტაზიის ნაყოფი იყო და სხვა არაფერი, მაგრამ... მაგრამ განა არ ყოფილა შემთხვევა, რომ სწორედ იმ ადგილას, სადაც ამაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, აღმოჩენილიყო რაიმე უნიკუმი? ხომ შეიძლებოდა გორგასალს თავისი დესპანის ხელით საჩუქრად გაეგზავნა თასი იმერეთის მეფისათვის, ან შემდგომ საუკუნოებში რომელიმე ქართლის მეფეს, შემოსეული მტრისგან გადასარჩენად ლიხს იქითურა მხარეში გადაეგზავნა განძეულობა? ან იქნებ ვინმე დიდებულის ასულს მზითვად გაჰყვა? ათასგვარი ვარიანტი მიტრიალებდა თავში, და თუმც ყველა საეჭვო იყო, მაინც სასიამოვნოს და საინტერესოს ხდიდა ჩემს გამგზავრებას და ძებნას.

ამ ფიქრებში გართულს ჩამძინებოდა. როცა გაძვივდა, დამე იყო. ძილის დროს ჩემი მეზობელი შემოსულიყო ოთახში. ამას მოწმობდა ის, რომ ელექტრონი ერთო და საწოლზე ახლა პორტფელიც ეგდო.

ფანჯრიდან გრილი ჰაერი შემოდინოდა. კმაყოფილებით შეენიშნე, რომ უცნობს ფარდა აეწია, — ალბათ შევეცოდე ჩახუთულ ოთახში მძინარე ასეთი მზრუნველი კაცი უსათუოდ სასიამოვნო მეზობელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ასეც რომ არ იყოს, რა ბედენაა ერთი ღამის გათევა თუნდაც უხასიათო და აბეზარ ადამიანთან! გათენდება და ისე დავშორდებით, თითქოს არც ოდეს გვენახოს ერთმანეთი. რა საჭიროა ამაზე ფიქრი, კიდევ კარგი რომ ღამის გასათევი ოთახი მაქვს! რაიონის დაბა-ქალაქის სასტუმროში თავის ნებაზე და ყოველთვის კი ვერ იშოვით ოთახს. უმეტეს შემთხვევაში ყველა საწოლი დაკავებული აქვთ ცენტრიდან და რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან სხვადასხვა საქმეზე ჩამოსულთ.

ყველანაირი პროფესიისა და თანამდებობის პირს შეხვედებით აქ: მეც

ნიერს, პარტმუშაკს, აგრონომს, ინჟინერს, რევიზორს, საეკსპორტორგანიზაციის წარმომადგენელს, ლექტორს, გასტროლოირ მსახიობს. ამათ შორის ნაბავთ სხვადასხვა ასაკის და სხვადასხვა ხასიათის ადამიანებს. ზოგიერთნი ადვილად იტანენ მგზავრობას და თავის კეთილ გუნებას ყოველგვარ მდგომარეობაში ინარჩუნებენ. მათი ხალისიანი ბუნება შეხარის მრავალ რაიმეს, რასაც თვალთ ხედვენ და გონებით ქვრეტენ. როდესაც მათ ხედავ და უსმენ, გარემო ნათელით მოსილი ჩანს. კეთილისკენ თითქო თავისთავად ისწრაფვის კეთილი.

შეხვედებით ისეთებსაც, ვინცდაც მაშინვე იტყვიო, რომ აქაურობის ზშირი სტუმრები არიან. ისინი თითქმის მუდამ მივლინებებში იმყოფებიან. დღეს აქ არიან, ხვალ იქ, სასტუმროში თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში, მოფრინდებიან რამდენიმე საათით და შემდეგ ისევ ადვილად გაფრინდებიან.

აივნიდან, რომელიც სასტუმროს მთელ სივრცეზე გაჭიმულიყო და ქუჩას გადაჰყურებდა, ხმაშალალი ლაპარაკი მომესმა. სხვადასხვა ხმა ერთმანეთში არეულიყო, რამდენიმე კაცი ერთბაშად ლაპარაკობდა. ვიცოდი რა იყო ეს და ყურადღება არ მივაქციე. სასტუმრო, ეს თავისებური სკა, რომელიც ღლით ცარიელდება, საღამო ხანს ისევ ივსება დილიდან საქმეზე წასული მოზინადრეებით. ისინი თავს იყრიან აივანზე და ჯგუფებად დაყოფილი რამდენიმე საათს საუბარში იტარებენ. ხანდახან ამ დროს ისე ცხარობენ, ისეთ ტემპერატურას იჩენენ, რომ ვინც ჩვენებურ ხასიათს არ იცნობს, მოეჩვენება, თითქოს უსიამოვნება და ჩხუბი იწყება. ნამდვილად კი საგულისხმოდრო საუბარში არიან ჩამული, — კამათობენ საგარეო და საშინაო მოვლენებზე და ერთმანეთს უზიარებენ სიხარულს ან გულისტკი-



ვილს იმ ამბავზე, რომელიც მეურნეობაში, მშენებლობაზე, ან ქარხანაში დახედათ.

მრავალი ხმა არეულიყო ერთმანეთში, მაგრამ განსაკუთრებით მოისმოდა და გამოირჩეოდა ომანიანი ბანი, რომელიც საყვირ-დაფივით გუგუნებდა. ორი საათის ძილმა ღონე დამიბრუნა. მხნედ ვგრძნობდი თავს.

ყველაფერი სხვაგვარად შეიგრძნობა და გამოიყურება მაშინ, როცა ადამიანი დასვენებული ხარ. ამ კეთილ გუნებაზე ახლა ყოველივე გამშვენებელი და ამასთანავე იოლად მისაწვდომი მეჩვენებოდა. კმაყოფილი ვიყავი ჩემი ოთახით, სიამოვნებით ვიგონებდი მანქანით გამოვლილ გზას სავანემდე და ყველაზე უფრო ისევ იმ ქალიშვილს აგურისფერ კაბაში, ვისზედაც ფიქრი უნახეს გრძნობებს მიღვიძებდა.

ლიღინით წამოვდექი და ქალაქში სახეტიალოდ გავედი.

მთავარი ქუჩა და მოედანის კუთხე კინო-თეატრის წინ ახმაურებული იყო სასეირნოდ გამოსული ახალგაზრდებით. კვირის წინასაღამო იგრძნობოდა. ვამჯობინე უფრო მყუდრო ადგილით მეგლო, შეეუხევიე მკრთალად განათებულ ქუჩაში და ნელი, უსაქმო კაცის ნაბიჯით განვაგრძე გზა.

ეზო ეზოს გადაბმოდა. გარემო წალკოტს უფრო გავდა, ვიდრე მჭიდროდ დასახლებულ დაბას. მხოლოდ ერთხელ ვიყავი აქ, ისიც ბავშვობაში, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, რომ ახლა უტკბილესი გრძნობა გაღვიძებულიყო ჩემში. თითქოს ვხედავდი კიდეცა ჩემ თავს იმ პატარა ბიჭად, რომელსაც ოდესღაც ამ მიწაზე უგლია. ამ წარმოდგენამ სიხარულით და თან სევდით ამავსო. ძალიან ახლო მეჩვენებოდა აქედან სოფელი, სადაც ბედნიერი წლები გავატარე. რა ცვლილებაც არ უნდა მოხდეს ადამიანის ცხოვრებაში. როგორადაც არ უნდა დაამდაბლოს, ან

რა გინდ დიდ სიმაღლეზე. არ აისროლოს ბედმა, ის გარემო, სადაც ჩემოდენ ყრობის დღეები, სადაც პირველად შეხედა ქვეყანას, სამუდამოდ მახლობელი და საყვარელი იქნება მისთვის. თეაღწინ მედგა ჩვენი პატარა სახლი, მაღალი და ტოტებგაშლილი კაკლის ხე ეზოში, ცოცხლად წარმომიდგინენ მეზობლები, დედობილი, ვისთანაც ყოველდღე უნდა მიმერბინა და ვინც ყოველთვის ისე შემხედებოდა, თითქოს დიდხნის უნახავი ვყავდი. მახსოვს რა გულისტკივილით დავშორდი სოფელს, როცა მამა საცხოვრებლად ქალაქში გადავიდა... მრავალმა წლებმა ჩაიარა მას შემდეგ, მაგრამ მესხიერებას ყოველივე სათუთად შეენახა. მოგონება, შეერთებული სოფელთან, რომელსაც ახლო ვგრძნობდი, ახლა სავანესაც მშობლიურ ადგილად ხდიდა.

ქუჩა აღმართით მიიწვევდა. თანდათან გადაშალა ჩემს ქვევით გაშენებული დაბა. ზევით უფრო მკაფიოდ აღწევდა მდინარის ხმაური. თუ დაკვირვებხართ, ეს ხმა სიჩუმეს კი არ არღვევს, არამედ რატომღაც ამძაფრებს კიდეცა. საიდანღაც ელსადგურის ჭოშინი ისმოდა. გარემოს სამი მხრით მთები ერტყა და ღამეში მთები კიდეც უფრო მაღალი ჩანდნენ.

ძნელი არ იყო წარმომედგინა სავანეს ახლო წარსული. ცხადია, ის იყო ჩვეულებრივი დაბა, რომლის მსგავსი მრავალია. წინათ, მოწყვეტილი ქვეყანას, თითქოს ჩამალული მთების გულში, უიმედო და მოწყენილი, მძიმე ტვირთით მიათრევდა ერთფეროვან დღეებს და ღამეებს. თითქოს არავისთვის სპირო არ იყო და აზრიც არ ჰქონია მის არსებობას. შეიძლება არც არავის შეეშინია, ერთ დღეს რომ უეცრად გამჭარალიყო, მიწას ჩაეყლაპა, ან მდინარეს გადაერეცხა და ტიალ ადგილად ექცია აქაურობა. საკვირველიც იყო, თუ რად განმარტოებულიყო აქ ადამიანი? მომამბეზრებელ ერთფეროვ-

ნებაში გადიოდა დღე, თვე, წელიწადი. კეთილი ხალხი, რომელიც ბედის მწარე განაჩენით იძულებული იყო ამ ხევში ეცხოვრა, მორჩილად მიათრევდა მოწყენილობის და განდევნილობის მძიმე უღელს. შორი იყო აქედან ქვეყანა და ქვეყნისთვის არც არსებობდა სავანე, — მათ ერთმანეთთან საქმე არ ჰქონიათ.

განა ცოტა იყო ასეთი დაბა? ზაფხულობით, რაღაც ორი თვით, რამდენიმედ ცოცხლდებოდა სავანე, როცა ახალგაზრდობა არდადეგებზე მოდიოდა. მაგრამ სწრაფად ჩაივლიდნენ ზაფხულის მზიარული დღეები, შემოდგომიდან ისევ სიჩუმე ეუფლებოდა აქაურობას, აღრე ქრებოდა სახლებში სინათლე და ღრმა ძილს მისცემდა თავს ვარემო, რომ ზვალ ისევ სევდაში ეთრია თავისი ცხოვრება. მოწყენილი იყო აქ ადამიანი და თვით მიწა.

და აი, ყოველი და ყოველივე ეზიარა სიცოცხლეს. თითქოს საუკუნეებით დაგროვილმა და დაუხარჯველმა ძალამ ერთბაშად იჩინა თავი. მზრუნველი, ხალისიანი პატრონის ხელი აჩნდა ახლა ყველაფერს. თურმე ქვეყანაც შორს არ ყოფილა მისგან და ახლა თანაბრადაც სცემდნენ მათი გულები. ახლა სავანეში იყვნენ არა განდევნილები, არამედ ადამიანები, რომელნიც ახალ ცხოვრებას სჭედავდნენ.

ამ ფიქრებში გართული ერთ სახლს მივუახლოვდი, რომლის ღია ფანჯრიდან ელნათურის შუქს შეფოთილი ზეები გაენათებია და ქუჩაზე ვილაცას სილუეტი აღებეჭდა.

სრულიად უნებურად ავიხედე. ავიხედე და უმაღლე შევდექი. ფანჯარაში დაინახე ის ქალიშვილი, რომელიც დღით მოედანზე შემხვდა. თავდახრილი იჯდა და, როგორც მისი ხელის მოძრაობით გენიშნა, რაღაცას ქარგავდა. ისე მოულოდნელი და უეცარი იყო ამის დანახვა, რომ პირველად ჩვენება შეგონა.

ბნელაში შევიწიე და იქიდან დავუ-

წყე ცქერა. ოღონდ კი არ შევემჩნეე და ზმანება არ გამქარალიყთ!

გულდასმით განაგრძობდა საქმიანობას. ისეთი სიმშვიდე დაფენოდა სახეზე, თითქოს ყოველივე ფიქრისგან განთავისუფლებულიყო. მაგრამ — განა შეიძლება ადამიანი თუნდაც წუთით არაფერზე არ ფიქრობდეს? რა თქმა უნდა, ისიც თავის იდუმალ ფიქრებში იყო გაართული. მაგრამ რა იყვნენ ისინი? თავისი მომავალი უნდოდა წარმოედგინა, თუ რომელიმე ტკბილი მოგონება დაუფლებოდა? ნეტავი მქონდეს რაიმე საბაბი, რომ შევეხმიანო! შემდეგ, ვინ იცის, იქნებ ხანგრძლივი საუბარიც გავაბა... რა საშინელებაა ის პირობითობა, რომლის გადალახვა ხანდახან შეუძლებელი ხდება! თუნდაც შორეული ნაცნობი რომ ვყოფილიყავ. ადვილად მივიდოდი მასთან და ისიც თავაზიანად მიიღებდა... რატომ არ შეიძლება უბრალოდ მიხვიდე უცნობ ადამიანთან და უთხრა, თუ რა სიხარული გაგაჩნობინა მისმა დანახვამ?

ვიდექი და შევეცქეროდი. ერთხელაც არ გადმოუხედავს. ისევ თავდახრილი იჯდა და საქმიანობდა.

რა დიდი სიხარულია სიცოცხლე ხანდახან! არა, ყოველთვის! ხანდახან, — ეს სიტყვა სულ სხვას ეკუთვნის, რაღაც დროებით მოღრუბლვას, სწრაფად გარდამავალ ჩრდილს; ღრუბელის ზევით მზეა, მარად მბრწყინავი და კეთილისმყოფელი.

— „როდემდის უნდა ვუცქირო ასე მალულად? — გავიფიქრე ჩემს თავზე გაჯერებულმა. — ის არც გრძნობს. თუ ამ წუთში ვინმე შეხარის, არავითარი საქმე არა აქვს ვილაც უსაქმო მგზავრთან!“

მაგრამ ის იმდენად სათნო მეჩვენებოდა, რომ უმაღლე ვაპატიე ყოველივე უგრძობობელობა. მამ რისი მომლოდინე უნდა ვყოფილიყავ? იმისი, რომ ბოლოს იგრძნობდა ჩემს სიხალოვეს, გამოვიდოდა კიდევაც და მეგობრუ-

ლად ხელს გამწვდიდა? ასეთ რაიმეს მხოლოდ ძველ რაინდულ თავგადასავალში მოგვითხრობენ, მაგრამ იმისი დამწერნიც ტყუიან, — ყველგან და ყოველთვის ქალი მოკრძალებული იყო და, შაპატის ამ მშენიერმა არსებამ სიპართლე, ალბათ ესეც არასოდეს არ აპყვება გულისთქმას მანამდე, სანამ ყველაფერს ათასჯერ არ ასწონის და დასწონის.

მრავალი სახელი შევარქვი, რომელიც შესაძლოა მისი შესაფერი ყოფილიყო. ცხადია, სახელიც მისი საკადრისი და ამოდმოსასმენი ექნებოდა. სახელს ხომ შემთხვევით არ ატარებს ადამიანი, — ისინი აესებენ ერთმანეთს ისინი ერთმანეთს გამოხატავენ.

მრავალი გავიხსენე, ხან ეს ვუწოდე, ხან ის, და ყველა მაინც შეუფერებელი მეჩვენებოდა.

ქუჩაში ახალგაზრდების ჯგუფი გამოჩნდა. ხშიანი ლაპარაკით მიახლოვდებოდნენ. ერთს გიტარა ეკირა ხელში და დროდადრო აელარუნებდა. მოაღწეეს თუ არა განათებულ ფანჯარამდე, შეჩერდნენ და ერთმა ხმამალა გასახა:

— დოდონა!

მას დანარჩენებიც აყენენ:

— დოდონა, აუ, დოდონა!

ფანჯარასთან მჯდომი ამ ხმაზე სწრაფად წამოდგა და ხალისით გადმოსახა მეგობრებს:

— მოდით, მოდით!

მთელი ჯგუფი ხმაურით შევიდა ეზოში. წუთის შემდეგ სახლის კარები გაიღო და ქალიშვილიც გამოვიდა.

— დალაზეროს ეშმაქმა! — აღშფოთებულმა ჩაეპწიე ხელი. — თუნდაც ათასი წელიწადი მეფიქრა, ვერც წარმოვიდგენდი, რომ დოდონა ერქვა. როგორ შეიძლება ასეთი პროზაული, თითქმის ადამიანის აბუჩად ამგდები სახელი ჰქონოდა! თუნდაც შერქმეული ყოფილიყო, ამითაც არ შეიძლებოდა მისი გამართლება. უკეთესი იყო არ

გამეგონა და ოცნებად გამყოლოდა მისი გაგება. ენანობდი, რომ აქ დღეობა გავახანგრძლივე.

დაბინდებისას მინდერებიდან დაბრუნებულ ბელურებივით, — ხომ გინახეთ როგორ შეესევინა ისინი სახლის წინ მდგარ ალვის ხეს, ხომ გსმენიათ რა წრიაქი აქვთ, სანამ ყველა იპოვიდეს დასაბუღრებელ ადგილს! — ეზოში ერთიპული გაჰქონდათ მეგობრებს. ცოტახნის შემდეგ გიტარაც აელერდა. რა საამო ჰანგს გამოსცემდა დამის მყუდროებაში ეს ყბადალებული საკრავი! შეუშინველად გამოვედი საფარიდან და გზა განვაგრძე.

მაშ, დოდონა! თანდათან შევეჩვიე და აღარ მეხამუშებოდა ამის გაგონება. ახლა მე კიდევაც სხვა აზრის ვიყავი ადამიანის და მისი სახელის კავშირზე. იმ გარემოებაში, რომ ქალიშვილს დოდონა ერქვა, სრულიად შეცვალა ჩემი ძველი წარმოდგენა ადამიანისა და სახელის საკრავულ ნათესაობაზე.

ხეტიალში მივადექი რკინის მოაჯირით შემოვლებულ პატარა სკვერს. ქვემოთ საეანეს ვაქნარი ნაწილი ვადაშლილიყო. სკვერის შუაში იღვა ბელადის მონუმენტი. იქვე მერხი დავინახე და შევისვენე.

ჩემს გარდა არავინ იყო. გარშემო სიჩუმე, სიმშვიდე. რა სიამოვნებით დავრჩებოდი აქ თუნდაც მთელ ღამეს, ოღონდ ჩემი მარტოობა არავის დაერღვია! მინდოდა მხოლოდ ჩემს თავთან და ჩემს ფიქრებთან ვყოფილიყავ. ეგარძნობდი იმასაც, რომ ბედნიერებით საცხე ვიყავი. ვანა არ გქონიათ შემთხვევა, რომ ასეთი წუთები სრულიად უნებურად და თქვენთვის გაურკვეველი მიზეზით გწვევიან? ვის შეუძლია თქვას, თუ საიდან და რა დროს მოფრინდება ის თავისი მსუბუქი ფრთებით, რომ აგავსოს სიხარულით, თვალში ნათელი ჩაგიდგას და დაგანახოს მთელი სიკეთე ქვეყნისა და ცხოვრებისა?

მე ახლა განვიციდი იმას, რაც, ალბათ, თქვენც არაერთხელ გიგრძენიათ, — გულში დაიბადა სამო პანგი და ჟღერს კიდევაც მკაფიოდ, მაგრამ სცადეთ ხმამალა გაიმეოროთ, ჩვეულებრივი ხმით გამოსცეთ! ვერაფერსაც ვერ იტყვით, არავითარი მგავსება არ იქნება იმასთან, რაც იღუმალად გესმით. ის გულის სიღრმეში ცოცხლობს და თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ შორეულად მიმგავსებული ბგერა გამოსცეთ იმ უძირო უფსკრულიდან.

გაეცქიროდი გარემოს და იგივე პანგი მესმოდა, თითქოს მას ჩემთან ერთად ამბობდა წალკოტად ქცეული სავანე, ხევის მდინარის ჩხრიალი, მალა აზიდული მთა, ვარსკვლავებით დასვრეტილი ცა.

### III.

გვიან იყო, როცა სასტუმროში დაგბრუნდი. თითქმის ყველგან სინათლე ჩაქროთ და ეძინათ. აივანზე პატარა ჯგუფი დარჩენილიყო და ახლა ისიც იშლებოდა.

ჩემი ოთახი გაჩაღებული დამხვდა. ისევ არავინ...

— საკვირველი კაცია ვილაც! — უნებურად გამეღიმა. — ან იქნებ უჩინმანინის ქული ხურავს და იმიტომ ვერ ვხედავ?

ეს გარემოება ერთგვარად მართობდა კიდევაც.

მაგრამ მალე გაიფანტა საიდუმლოებაც. დაწოლას ვაპირებდი, როცა ჩემი ყურადღება დერეფანში ატეხილმა ხმაურმა მიიქცია. რამდენიმე კაცი ჩემი ოთახის კარებს უახლოვდებოდა. ისინი თავშეკავებულად ლაპარაკობდნენ, ერთი-ორჯერ ჩაიციენეს კიდევაც, მაგრამ გაუღული ხმით. სამაგიეროდ ერთი, ისევ ის ომახიანი ბანი, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ მეუცნაურა, როცა საღამოს პირველად ვავიგონე, ისე დაურიბებლად გუგუნებდა, თითქოს განზრახ

უნდოდა აქაურობისათვის ძილი დაეფრთხო.

ჯგუფი თანდათან <sup>სასტუმროსკენ</sup> მსვლიერდებოდა, მერე ჩემს ოთახთან შეჩერდა და კარც გაიღო. დერეფანში ათიოდე მამაკაცი დავინახე. მენიშნა, რომ ჩემი მეზობელი მოაცილეს, მაგრამ რომელუნდა ყოფილიყო მათ შორის, ამის გარკვევა შეუძლებელი იყო. წრეთ დგნენ და რამდენიმე წუთს კიდევ განაგრძობდნენ საუბარს. ბოლოს წრეს გამოეყო ერთი, გამოთხოვების ნიშნით მან პაერში ზელი აიქნია და შემოვიდა ოთახში, კი არ შემოვიდა, — შემოეტია.

აი თურმე ვინ ყოფილა ჩემი მეზობელი! ცოტა არ იყოს, არ მესიამოვნა მისი დანახვა. შუა ტანის, შუახნის, ქერათმიანი კაცი იყო. პირველი შთაბეჭდილებით შეიძლებოდა მეფიქრა, რომ დაბაში, ან სადმე თემის დღეობაზე ჩამოსული ატლელი იყო, რომელსაც სრულიად არ გაუჭირდებოდა ცალი ხელით ლოდი აეწია და ერთი სულის შებერვით მტვრად ექცია.

თავაზიანად მივესალმე და მხოლოდ იმისათვის, რომ არ შეემჩნია შემფოთება, რომელიც, ცხადია, ჩემს სახეზე გამოიხატა, მაშინვე მოვუბოდიშე:

— სასტუმროს გამგის ბრალია, თუ თქვენი ნებადაურთველად დაგბინადი აქ... ვეცდები არ შეგაწუხოთ, ბატონო გაბრიელ...

ატლელს არც გაკვირვებია, რომ მისი სახელი ვიცოდი. ალბათ მიჩვეული იყო, რომ ამ რაიონის ცის ქვეშ ყველას უნდა სცოდნოდა მისი ვინაობა.

— რა ბოდიშს ითხოვ, ჭირიმე, — გაისმა ნაცნობი გუგუნე. — ეს ოთახი არც შენია, არც ჩემია. პაერი ორივეს გვეყოფა. დილიდან კი მარტო შენთვის დამილოცნია...

პიჯაკი გაიძრო, ოფლით დაცვარული შუბლი მოიწმინდა და საწოლზე ჩამოჯდა.

პირველი წუთიდანვე გაბრიელმა შენობით დამიწყო ლაპარაკი. მენიშნა,

რომ უბრალო და გულწრფელი ადამიანი იყო. ამის შემდეგ მეც უფრო თავისუფლად ვიგრძენი თავი.

— შორს მიემგზავრებით?

— რა მოგახსენო, — უხალისოდ მიპასუხა და მცირე დუმის შემდეგ დაუშტატა: — რაა შორი და რაა ახლო, ამაზე წარმოდგენა დიდიხანია დაკვარგე.

ამ კაცის გარეგნობაც მიმოწმებდა, რომ მგზავრობა მისთვის უცხო ხილი არ ყოფილა.

— იმიტომ გკითხეთ, რომ დილით მეც უნდა გავუღდე გზას და თქვენი რჩევა, დარწმუნებული ვარ, მეტად სასარგებლო იქნება ჩემთვის.

თვალი შემავლო და მაღიანად დაამტანარა.

— სად მიხვალ, ჰირიშე?

ვუთხარი სათ ვაპირებდი და მოკლედ ვუამბე ჩემი ჩამოსვლის მიზეზიც.

— ჰირიშე, ვაშლოვანშია ეგ ამბავი? — შევნიშნე, რომ დაინტერესდა გავიხილით, თითქოს გაუხარდა კიდევაც. — ყოჩაღ შე ხრიაკ!

როგორც შემდეგ გავიგე, ვაბრიელი არ კმაყოფილდებოდა უხსოვარ დროიდან მომდინარე სოფლის სახელებით, თითოეულს თავისებურად ნათლავდა და ხრიაკც მის მიერ შერქმეული იყო. ზოგიერთ ასეთ სახელს ტუჩის აწვეით იტყოდა, ზოგს დაცინივითაც, მაგრამ მაინც ყოველთვის ალერსი იგრძნობოდა ამ მკაცრი ნათლის გამოთქმაში.

ისევ შემავლო თვალი და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— დარდი ნუ გაქვს, ხვალ იქ იქნებით...

თითქოს სხვათაშორის თქვა, მაგრამ მაინც იმედით მომესმა. მინდოდა გაშერკვია, ხომ არ ვცდებოდი ჩემს შორეულ ვარაუდში? იქნებ წამოცდა, ან უბრალო გამხნევება იყო და სხვა არაფერი? ის იყო უნდა მეკითხა, როცა მისი ბუბუნი გავიგონე:

— უნდა მოსულიყო ის ეშმაკის კერძი... ტყუილად მალოდინა აქამდე...

ალბათ ვერ შეაყვითა ჯერ... რილაც ნაწილი გაუცედა... იმ მკითხველს მე მივაბტერევე, თუ ხვალ დამტოვია... — კიდევ რილაც ჩაილაპარაკა, მაგრამ ვერ გავარკვიე, გულაღმა გაიშლართა საწოლზე და თვალები დახუჭა.

ნათლად არ მესმოდა რა საერთო ჰქონდა ამ მტკარას ჩემთვის მოცემულ იმედთან, მხოლოდ იმას კი ვგრძნობდი, რომ ხვალის გამგზავრებასთან იყო დაკავშირებული.

ეშმაკს თვალი არ უჩანს, რა იყო იმაში შეუძლებელი, რომ ასე შემთხვევით მანქანიან თანამგზავრს შევეყროდი? ამისმა წარმოდგენამ ერთხანს ძილიც დამიფრთხო. ასეთი მოულოდნელობა ბედის დიდ წყალობად მიმანდა და ვცდილობდი ზედმეტად არ მივეცემოდი სიხარულს, რომ ამით ბედი არ დამენახსა.

ვაბრიელს მაშინვე ჩაეძინა. დაბნელებულ ოთახის სიჩუმეში მესმოდა როგორ ფშვინავდა. ხანდახან ისე ღრმად შეისუნთქავდა ჰაერს და ამოისუნთქავდა, თითქოს მკერდში სამკედლოს საბერველი ჰქონდა ჩადგმული. უეცრად ზერინი გავიგონე. ყოველი დასაწყისი ზომიერი იყო, მოდერატო, როგორც ალბათ მისი გამგონე მუსიკოსი იტყოდა. ზროტინი თანდათანობით ძლიერდებოდა და ბოლოს ისეთი გაუძლისი ხდებოდა, რომ ოდნავადაც სუსტი ნერვების მქონე კაცი გაიქცეოდა ოთახიდან და ამჯობინებდა სადმე გარეთ დერეფნის კუთხეში სკამზე გაეთია ლამე. ეს ხმა ხრავდა ყურს, გამოუცნობ შიშს მგვრიდა, ბორგნეულს მხდიდა. ეს იყო ქაოსის ხმა — ზვავის ზათქი, ოკეანეზე გრიგალის განავარდება, უდაბნოში ქარის ღმუილი. მიალწედა თუ არა მწვერვალს, უეცრად შეწყდებოდა. გააფუდებოდა სიჩუმე, მაგრამ დაკვირვული, შფოთიერი, სამძიმო ლოდინში მყოფი. წუთის შემდეგ ისევ გაისმებოდა ფშვინვა, მერე ზროტინში გადადიოდა და ბოლოს იგივე ქაოსი.

ამ ხმას გამოსცემდა ადამიანი. თითქოს უჩვეულო არაფერი იყო და, ვინ იცის, რამდენჯერ მსმენია, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, ვერ შევჩვევივარ მას და ყოველთვის შიშს მგერის.

ყველაზე უფრო დამტანჯველი იყო ლოდინი უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმის შემდეგ. ის იყო მივლულავდი თვალებს, როცა ისევ იწყებოდა ჯოჯოხეთური მუსიკა.

„თუ ეს წამება იმით ამინაზლაურა, რომ ხელ მანქანით წამიყვანს, იმ შემთხვევაში მიპატიებია ყოველივე, — ფიქრობდი გაბოროტებული. — მაგრამ თუ ასე არ მოხდა, ვუსურვებ სამაგიეროდ შეხვედროდეს უფრო ღიბზმიან ზერინის გამოძევას, და შეხვდეს სწორედ მაშინ, როცა უძილობისაგან გათანგული იქნება!“

სასწაული მომხდარიყო და ბოლოს მაინც ჩამძინებოდა.

არ ვიცი რამდენი ხნის შემდეგ, გათენებულზე, ძილი იმან დამიფრთხო, რომ ძლიერ შემანჯღრია რალაცამ. გაჯანბლე თვალი და უცნობი წახე შემეფეთა.

— აღეკით! აღეკით! — ჩამესმა ძილმღვიძარს. — გიცდით!

ეს თქვა და გაქრა. რა იყო, სიზმარი? რა თქმა უნდა, სიზმარი. მაგრამ გაბრიელი? რატომ ვხედავდი ცხადად, რომ მისი საწოლი ცარიელი იყო? ნუ თუ ისე წავიდა რომ არც გამაფრთხილა? მამ ფუქი იმედი მქონდა?

ისე მეძინებოდა, რომ ფიქრი აღარაფერზე შემეძლო. ვინაცვლე გვერდი და ძილს მივეცი თავი.

ღია სარკმელიდან უეცრად საყვირის ხმა შემოიჭრა.

ხომ შეიძლება ნამძინარევე ადამიანს ჩვეულებრივი რამ უჩვეულოდ ეჩვენოს? მაგრამ ეს ხმა რომ სულ ჩვეულებრივი არ ყოფილა და რამდენიმედ განსაცვიფრებელზე იყო, ამის მოწმედ მომყავს სინდისი და ნამუსი, ხოლო თუ ამასაც არ ერწმუნებით, მამა-

პაპათა სალოცავი, სამასსამოცდასხმი წმინდა გიორგი.

საყვირმა ჯერ ისრატუნა, მიშქნეგ ცივად ჩაახველა და უეცრად თითქოს დაგუბებულმა ხმამ ზღუდე ერთბაშად გახეთქა და გზა გაიკაფაო, კივილი მორთო. გამგონეს ხორცსა და ძვალში გაუვლიდა და ელდას დასცემდა.

ამ შიშით გავიღვიძე, წამოვხტი და გადავიხედე.

ქუჩაში მსუბუქი მანქანა იდგა. ვილაც ახალგაზრდა, იქნებ შოფერი, რომელიც ძალიან გავდა სიზმარში ნახულ კაცს, საესე ტომარას და ჩემოდანს უკან ბაწრებით აკრავდა. შევნიშნე ისიც, რომ მანქანაში გაბრიელი იჯდა. ლავისფერი კეპით და გაბუნებული საწვიმართ ვიცანი.

— გიცდით! — დამიყვირა შოფერმა, როცა ფანჯრიდან გადმოყუდებული დამინახა.

ნაჩქაროდ ჩავიციე, რუქჯახს ხელი დაველე და გავედი.

— დილა მშვიდობისა! — მივესალმე ორივეს.

— დალაგდით, ახლავე წავალთ! — მომმართა შოფერმა. — ღონიერად მოსწიე კარი, შიგნიდან მუშტი დაჰკარი, აგრე...

გაბრიელმა არც მომხედა, როცა შის გვერდით მოვთავსდი. ქუდი წარბებზე ჩამოჩაჩვოდა, გასუდრულიყო.

— მოგეცა ლხენა, ფეთება დაფაყენე... მაშინ კი იკადრა, ყმაწვილმა. ხელის განძრევა... დატოვებას მიიბრებდა თავს ჰქუით... — ჩაიბურტყუნა ერთხელ და ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია.

— ო რა ხარ, რა ხარ! — იკრიკებოდა შოფერი. — გათენებული არ იყო, თავზე დამადგა... სული ამომხადა... ნეტავი თუ ჩემს მეტი ვინმე გაგიძლებს! ვიგრძენი. რომ ისინი მეგობრულად იყვნენ ერთმანეთთან.

პირველად ვხედავდი ამ მანქანას და ისეთი შელანძლული გარეგნობა ჰქონდა, რომ გაკვირებით ვათვალიერებდი.

— თქვენ გგონიათ სადმე გზაში გვიმტყუნებს? — გაოცება შემამჩნია შოფერმა. — სრულიად უსაფუძვლო ეჭვია. ტყუილად აყენებ შეურაცხყოფას. დარწმუნებული ვარ, კიდევ დიდხანს გაგვიწევს სასახელო სამსახურს.

ეს იყო საკმაოდ გაცვეთილი გზი № 16 — 45, გასავათებული სოფლის ორღობეში და ღრანტებზე სიარულისგან. საეანეს რაიონში მას ყველა იცნობდა და ყველგან უნახავთ. უნებურად განვიმსკვალე ამ მანქანისადმი პატივისცემით. ვინ იცის რამდენჯერ უტარებიათ რაიონის მუშაეებს, ინეინერებს, ცენტრიდან ჩამოსულ ინსტრუქტორებს ახალი გზების სამუშაოებზე, არხების მშენებლობაზე და, შესაძლოა, ისეთ ადგილებზედაც, სადაც დასაბამიდან ბორბალი არ ასულა.

სანტიმენტალობად ნუ ჩამომართმევთ და ისეთი თანაგრძნობით აღვივსე მისდამი რომ მინდოდა მომეალერსნა. ალბათ, გულთბილად გადაეუსვაამდი ხელს, რომ ერთობ მტკერიანი არ ყოფილიყო.

— აბა, მივდივართ! — კოტიტით წავიდა შოფერი როცა ბარგის მიყვრა მოათავა და კაბინიდან დასაქოქი სახელური გამოათრია.

დაატრიალა, ძალა დაატანა, მკლავის ღონე არ დაზოგა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მორტორი სიცოცხლის ნიშანს არ იჩენდა.

ახლა კაპოტი, ჩასჩრა ხელი მექანიზმში, დიდხანს იფოთარა.

ბენზინის მძაფრი სუნი ამოვარდა და დილის სუფთა ჰაერს შეერია.

დიდხანს ატრიალა სახელური. მანქანამ ერთხელ დაიხროტინა, მაგრამ უშალვე ჩაჩუმდა.

— ჯანბანს შენი თავი! — შეუკურთხა გაპოროტებულმა. ისევ უყირკიტა მორტორს. გაშმაგებით დაატრიალა სახელური.

მოულოდნელად გაცოცხლდა მანქანა, შეირბა, აძიგმიგდა, აბორჯდა, ახმაურდა და, როგორც კი საპეს შეეხო

ხელი, უცბადვე ნახტომი აიღო და გასწია.

— ჰატ, შე ძველო! გაფრინდი ჩემო არაბულას — მხიარულად გასძახა შოფერმა.

შოფერი ზედმეტ სიჩაუქეს იჩენდა. არაბულას, როგორც ეძახდა თავის მანქანას, არავითარი გამხნევება არ სჭირდებოდა. მესაპე აქ თითქოს საჭის მმართველად კი არ იყო საჭირო, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ მანქანის ტემპერამენტი შეენელებინა.

დაბა ზანტად იღვიძებდა. აივანზე ზოგან თეთრეულეებში დაბორიალებდნენ ახლადგაღვიძებულნი.

მანქანამ ჩაიქროლა მოედანზე, ჩამოიტოვა განაპირა უბანი, გადავიდა ხილზე და მთებში გაჭრილ გზას დაადგა.

ადრე იყო და მანც თბილოდა. მანქანა თბილ ჰაერს არხედა. გავიარეთ ხევი, უკან დაეტოვეთ გორაკები და ვაკეზე გავედით. სიშინდის ყანებსა და ზერებს შუა გავიმუღიყო გზატკეცილი.

ყანა ზოგან აეკრათ და ჩალა კონებად შეკრული ეწყო. ალაგ ზოკერა და თათრულა გოგრების ხეავი ეყარა. ვხედავდი და წინასწარ ვტკებოდა სიამოვნებისაგან, რომ ერთი ამათგანი შემწვარი ამოიღეს ლადარიდან, ჩაბერტყეს, ჩაფხეკეს და ჩემ წინ საინზე დადევს... დარწმუნებული ვარ, საღღისოდ თუ არა, სახვალიოდ მაინც მელოდებდა რომელიმე სტუმართმოყვარე კოლმეურნის ოჯახში ამ კაცსა სურვილის შესრულება. თუ კიდევ ამას, — და ალბათ ასე მოხდება, რადგან ჩვენებურთა გულუხვობა ვიცი, — ახლად დადუღებულ მიჭარი დაემატა, ეს იქნება ნამდვილი ამბროზია, ღმერთების გემო და ლაზათი.

წარმოვიდგინე რა ყველაფერი ეს, ოცნებაში მივესალმე ამ ნოყიერ მიწას და კოლმეურნეთ, რომელთა მარჯვენამ ეს მიწა დახნა, დაფარცხა, დამთესა და

მომკა. რა ბედნიერებაა ხედავდე ამ მსუქან ყანებს, რა ბედნიერებაა, რომ ვხედავ მწიფე მტევნებით დაძმობულ ვაზებს, რა ბედნიერებაა, რომ ასეთი მზიური სამშობლო მაქვს!

არაბულა მიჰქროდა. ხმაურით სკრი- და სიერცეს, და უკან გრძელ კუდათ მტვერის კორიანტელს სტოვებდა.

IV.

მე და შოფერი, რომელსაც ლადო ერქვა, მალე შევხმატბილდით და და- ვუახლოვდით ერთმანეთს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, — ერ- თობ ხალისიანი და გულლია კაცი აღ- მოჩნდა.

გზაში მან გადამაჯინა და თავის გვერდით დაშვა.

— ასე აჯობებს თქვენთვის, მეც ხმისგამცემი მეყოლება და ისიც ხალ- ვათად იქნება, — მანიშნა გაბრიელ- ზე. — ძილი აკლია და თუ ვერ გამო- შუშდა, მთელი დღე ბუზღუნით მოგვკ- ლავს, სიცოცხლეს გაგვიმწარებს. ნუ გგონიათ, რომ ანგელოსი ვინმეა!

ჯერ ზვირიანად არ ვიცნობდი, და, აბა, რატომ უნდა მგონებოდა. მაგრამ ამ სიტყვების შემდეგ ის კი მენიშნა, რომ თითონ ელოლიავებოდა. გაბრიელს ხომ აღრევე შევამჩნიე, რომ კეთილად განწყობილი იყო შოფერისადმი, თუმც ხშირად ბუზღუნებდა მასზე.

გაბრიელმა იგრძნო თავისუფლება, გაქიმა ფეხები და სახეზე ცხვირსახო- ცი გადაიფარა.

— დიდი ახირებული კაცია, — იკრი- ჳებოდა ლადო. — ასეა მიჩვეული. მე ჩემს იორღას მივაქროლებ, ის კი სიზმ- რებშია. მივიყვან სადაც საჭიროა და მაშინ გამოჰყიტავს თვალებს... რას იზამ, როცა მეტი დრო არ გაქვს, სადაც მოასწრებ, იქ უნდა წათვლიმო. დასვე- ნებას ბუნების კანონი ითხოვს. ერთი პირა წყალმაც უნდა წაიძინოსო...

ლადოს სხვადასხვა ამბავის ულევო მარაგი ჰქონდა და თითქმის ყველა თავ- შესაქცევი. ისეთი მუნაიფო გამიზბა, თითქოს ძველი ნაცნობები ვყოფილი- ყავით. უცბადვე გამიშინაურა და მრ- ავალი რამ მიაბო თავის თავზედაც. ისიც გამანდო, რომ საცოლე ჰყავდა, მაგრამ დაშორდა.

— ბენზინის ბრალი იყო, — ჩაიცი- ნა ლადომ.

— როგორ თუ ბენზინის?

პასუხის ნაცვლად უეცრად ყველაზე დიდი სიჩქარე ჩაურთო. მანქანა შეხტა და ისე გაქანდა, რომ გარშემო ყველა- ფერი დატრიალდა — მინდორი, მთები, ცა. ესენიც მიჰქროდნენ, მაგრამ უკულ- მა, თითქოს დაფრთხალნი ჩვენ გაგვირ- ბოდნენ.

— რა დავფიცო, მინდოდა მეთხოვა. შესახედავად მოგეწონებოდა, ჯან-ლო- ნით საესე იყო. მეოჯახე დედაკაცი დადგებოდა... ვიშოვიდი თუ არა თავი- სუფალ დროს, შინ მივადგებოდი ჩემი არაბულათი. საჩუქარიც მიმიქონდა, რაც გამეწყობოდა. შობლებიც რიგიანი მო- ხუცები ჩანდნენ, მამა ღურგალი იყო, კარგი ოსტატი. თანამიგრძნობდა... ანი- კოს ემანდნენ ჩემს საცოლეს. რამდენ- ჯერმე გაავსეირნე კიდეცაც მანქანით, მაგრამ ერთი ცული ზნე სჭირდა, — ჩემს გვერდით არ დაჯდებოდა, უკან მოთავსდებოდა, მაშინვე ცხვირის ხი- ლბანდით დაიფარავდა, — და ამის შემდეგ თავის დაქნევით თუ მიპასუ- ხებდა, თორემ სიტყვას ვერ ამოვალე- ბინებდი...

— ქარის ეშინოდა?

— ქარის კი არა! ხი, ხი! რას უზამ- და იმას ქარი? დათვის წააქცევდა რომ დასტაკებოდა... მაგრამ თავის სახლ- შიაც რომ ასე იქცეოდა? რა იყო, მეთ- ქი, ვკითხე ერთხელ, რატომ ხართ ჩემ- თან ასე უცხოთ? რა გგონიათ, რა მი- პასუხა? ბენზინის სუნი გდისო... არა, თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე ბენზინს ვერ იტანდა! იქნებ მართლაც მდიოდა



ბენზინის სუნი, მაგრამ ჩვენს ხელობაში სხვაგვარად როგორ შეიძლება? მამრა ეგონა, ოდეკოლონს ვასხამდი მანქანაში? ვიფიქრე, ვიფიქრე, ჩაუკვირდი გარემოებას და ჩაეაქნე ხელი, აღარ მიეკარებოდა. ასეთი დედაკაცი აბა, რად გამომაღგებოდა? შოფერის ცოლს ბენზინის პატრივისცემაც უნდა ჰქონდეს. ასე არაა?

დიდხნის გათენებული იყო. მზე მაინც არ ჩანდა. მთებს ნისლი მოხვეოდა. ცა მღვრიხა ღრუბლებით იბურებოდა. გზაზე ურმებს წამოეწვიეთ. ზანტად მიათრევდნენ ხარები დატვირთულ ძრებს. მეხრეებს მიეშვათ ნაჩვევი პირუტყვი, თითონ კი ერთად თავმოყრილნი მუსაიფით უკან. მიჰყვებოდნენ. იცნობდა თუ არ იცნობდა, ლადო მაინც საღამს აძლევდა მათ ხელის აწევით.

სახეზე წვეთის დაცემა ვიგრძენი.

— არ შეიძლებოდა არ მოეწვიო, — ჩაილაპარაკა ლადომ. — გუშინ მკბენარი სიცხე იყო და ფეხშიც მტებავდა.

— რევმატიზმი გაქვით?

— არა, ნატყვიარია. ისე გრძნობს ღარის შეცვლას, როგორც კარგი ბარომეტრი. მჩხვლუტდა, მწიწკნიდა. ხმა არა აქვს, თორემ ისე კი მეუბნება, თუ რა ამინდი იქნება მეორე დღეს. ჩემს მარცხენა ფეხში, ჩემო კეთილო, ტექნიკაცაა და მეცნიერებაც. ხი-ხი!

ბორცვაკზე გადავედი და ისევ სწორი, გრძელი გზა გაიშალა. ორივე მხრით დაუსრულებელი ზვარი.

— მე და ჩემი პატრონი თითქმის ერთ ღროს დავიჭერით... კრაკოვთან... იქ მომამტვრიეს ფეხი...

— ვინ პატრონი? გაბრიელი?

— ჩვენი ასეულის უფროსი იყო. მამ! დილით ის დასტრეს, ძლივს მივათრიეთ ორმა ლაზარეთამდე. ისე იყო, სააქაოში აღარ მეგონა. საღამო ხანს მეც გვერდით საწოლზე დამდეგს.

ამ ამბავის შემდეგ ჩემთვის კიდევ უფრო გასაგები შეიქნა მათი მეგობრობა.

ჯერ კიდევ შორიდან თვალი მოგკარი პატარა სოფელს, რუმულუცეფორაკის ძირში იყო გაშენებული მჭარაჯის შეფენება და ქვევით ვაყე ისევ ვენახით იყო დაფარული. სახლებიდან ზანტად ამოდირდა კვამლი და სახურავის თავზე მაღალ სვეტებად იდგა. ოჯახის კერიას სითბო და კმაყოფილება იგრძნობოდა.

აღარც ისე შორს ვიყავით იმ ადგილიდან, როცა გაჩერებული მანქანა დაეინახე. ჩვენი მიახლოებისას ვილაც ქალმა გადაგვიღობა გზა და ხელი ასწია.

— გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში და წამოყვანოთ, — მოგმართა მან. — ის მანქანა გაფუტდა. წვიმას აბირებს, არ ვიცი სად შევაფარო თავი...

ყველაფერი ეს იყო თქმული ფრიად თავაზიანად, სავსებით გასაგები იყო მგზავრის შემფოთებაც, მაგრამ ამავე ღროს მეჩვენა, რომ კი არ გვთხოვდა, არამედ გვაველდებულედა. ამ ქალმა უცბადვე მიიქცია ჩემი ყურადღება. უპირველეს ყოვლისა მისი ხმა მეუცნაურა, — ყოველ სიტყვას ისე წარმოთქვამდა, თითქოს პრიჭინებდა დატანგებული კარის ანჯამა, ან და ლურსმანი, როცა ძველი ფიცარიდან გაზით აძრობენ. მერე კიდევ... მაგრამ რამდენი მისი უცნაურობა ჩამოვთვალო?

შუახანს ცოტათი გადაცილებული იყო. მაღალი, გამხდარი, თითქოს შალაშინით გათლილი. მარჯვნივ გულზე სამკაულოვით ჩამოკიდებული ჰქონდა პენსნე შავი ზონარით. მუქი ნაცრისფერი კაბა ეცვა და ასეთივე ფერის ქაყეტი, რომლის მარცხენა მხარეს პატარა ჯიბიდან ლურჯი აბრეშუმის ცხვირსახოცი მოუჩნდა. ხელში ეჭირა ძველებური საკვიაყი, რომლის მსგავსი ახლა მხოლოდ თეატრალურ ბუტაფორიაში თუ მოიჭებნება. რაღაც გახუნებული, ხელოვნური ყვავილით შემკული ქუდი ეხურა, რომლის ქვემოთ სპილენძის ფერი თმა მოუჩანდა.

თმა შეღებილი იყო, ამის გამო კიდევ უფრო შესამჩნევს ხდოდა სახის ნაოქებს და სწორედ იმას ამჟღავნებდა, რასაც ეს გერგოლიანი მანდილოსანი არასგზით არ აპირებდა შეგუებოდა, — წელთა შეუბრალებელ სვლას და დინხიდან უკან ჩამოტოვებულ ახალგაზრდობას.

პირველ წუთში უნებურად გავიფიქრე, „აქ სადმე ახლო ხომ არ იყო კინო-ექსპედიცია, რომელიც ბუნების ფონზე რაიმე სურათს იღებდა წარსულიდან?“ ერთობ გამოარჩეოდა ყველაფრისგან ეს ქალი და მაგონებდა პერსონაჟს იმ რომანიდან, რომელიც, სულ უმცირესი, ორმოცდაათი წლის წინათ იყო დაწერილი.

თვალი შევაკვლე ლადოს და მაშინვე ორივემ ერთად გაბრიელს გადავხედეთ. გაბრიელს ისევ მშვიდად ეძინა. არ გვინდოდა მისი შეწუხება, მაგრამ ვერც ამ მანდილოსანს გავუბედეთ უარის თქმა. როგორც ჩანს, ლადომაც ჩემსავით პირველწუთიდანვე გადასწყვიტა გულში, რომ წაიყვანდა. მაგრამ კიდევაც რომ ასე არ გადაწყვიტა, ალბათ მაინც ვეღარ გავბედავდით დატოვებას, — ის ხედავდა, რომ ადგილი გვექონდა და იდგა ჩვენს წინ როგორც სინდისის ქენჯნა.

ჩვენ ჯერ კიდევ პასუხი არ გვეთქვა, როცა მან გამოგვიცხადა:

— მაპატიეთ, მაგრამ უკან დაჯდომა არ შემიძლია. თუ ოდნავ მაინც მარჯვენს მანქანა, გულის რევა მეწყება.

უსიტყვოდ დავუთმე ადგილი. ისე დაჯდა, ვითომ დიდი წყალობა მიბოძა.

ლადო მიკოტიტდა გაჩერებულ მანქანის შოფერთან, გამოელაპარაკა, ბოლოს ხელი ჩააქნია და დაბრუნდა.

მეტი რა ძალა იყო, ისევ გადავჯექი და კუთხეში მოვიკარუნჩხე, რომ გაბრიელი არ შემევიწროვებია.

ჩვენს ახალ თანამგზავრს ღირსეულად ეჭირა თავი შოფერთან. იმ პირველ შეკითხვებზე, რომელნიც ლადომ

მისცა, პასუხს აძლევდა ოდნავ შესამჩნევი თავის დაქნევით. მარჯვენა მხარეთულად, გაურყევად, თითქონ წრანით დამაგრებული მანქანის რამ ნაწილი. ვხედავდი მის ზურგს და წერილ კისერს, ამ მეტად არასაიმედო ყუნწს, რომელთანაც თავი ისე იყო შეერთებული, როგორც დამქანარ ყლორტთან დიდი გოგრა.

მხოლოდ ერთხელ იბრუნა სახე მარჯვნივ, მერე მარცხნივ და მეტი აღარ გაუხედავს... ვინ იცის, იქნებ მის სულშიაც გაჩნდა ამ წუთში ცოტაოდენი სითბო, როცა დაინახა მწიფე მტევნებით დამძიმებული ვაზები, ველზე დაკლანილი მდინარე, მწვანით მოსილი გორაკები, გაყვითლებული სიმინდის ყანა...

შეიძლება არ ღირდა ამ საუცხოო მანდილოსანზე ამდენი ყურადღების შეჩერება, მაგრამ მან იმდენი სისხლი გაგვიშრო სულ რამდენიმე საათის შემდეგ, ისეთი ამბავი დაგვიტრიალა, რომ ასე ადვილად ვერ მივცემ დავიწყებას. ო, რომ წარმოგვედგინა, მკირეოდენი ეპვიც რომ აგველო, მაშინ ალბათ, კიდევ დიდხანს იქნებოდა აყუდებული იმ გაფუჭებულ მანქანასთან და ბედის მაწყვეარი.

მისი მეზობლობა არ სიამოვნებდა ლადოს. ეს იმაზე შევამჩნიე, რომ ხმას არ იღებდა. იმ ქალის სიახლოვე მეც უგუნებოდ მხდოდა.

იქნებ თქვენც გამოგიცდიათ: სტუმრად ხართ სადმე მეგობრის ოჯახში. ყველანი მზიარულობთ. ისმის ხმაპალაღი ლაპარაკი, სიცილი. უცერად შემოდის ვიღაც, რომელსაც პირველად ხედავთ და ვიზედაც არასოდეს არაფერი გაგიგონიათ. ჯერ სიტყვაც არ ამოუღია, მხოლოდ ჩამოუარა ყველას და ხელი ჩამოართვა. და, აი, ყველაფერი შეიცვალა: გაქრა უშუალობა, ყველამ და ყველაფერმა თითქოს ფერიც იცვალა, თანდათან ძლიერდება დამბუღლი მდგომარეობა და თითქოს მაჯღა-

ჯუნაც დაგაწვათ გულზე. ყოველივე ეს მხოლოდ იმ უცნობი კაცის შემოსვლამ გამოიწვია. იმ კაცს კი ჯერ სიტყვაც არ უთქვამს, ზის თავისთვის კუთხეში და მღუმარედ შემოგვკვერით... სწორედ ამგვარად მოქმედებდა ჩემზე ეს ქალიც; ერთადერთი ის მანუგეშებდა, რომ დიდხანს არ გაგრძელდებოდა ჩვენი მგზავრობა და მალე დავშორდებოდით ერთმანეთს.

მაგრამ ლადოს განა შეეძლო ხანგრძლივად ჩუმად ყოფნა? მის ნეზობელს სრულიადაც არ სიამოვნებდა საუბარში ჩაბმა, ლადომ კი ერთიმეორეზე დააყარა კითხვები.

— დიდხანია აქ იცდით?

ქალმა თავი დააქნია.

— თქვენი ბედი, რომ შეგხვდით ღერძი გასტეხია. ვერც დაიძვრება, სანამ ახალს არ მოიტანს... ამ კუთხიდან ხართ?

ქალმა თავი გააქნია.

— მაშ ნათესავეებში მიხვალთ? ყურძნის კრეთაზე ხომ არა? ახლა კარგი დროა, დიდი რთველი იწყება.

ქალმა ისევ გააქნია თავი.

— იცით რა, — სერიოზულად უთხრა ლადომ, — აგრე ნუ აქიციანებთ თავს... მანდილოსანმა გაიკვირვა ასეთი რჩევა და ირიბად გადახედა.

— გამოცილებით გეუბნებით... მრავალი შემთხვევა ვიცი... გული აგერევათ და მეც მიშლის საპეს მართვამი, მანერა ვიულებს. გასაგებია?

— გასაგებია, — გაისმა ჭრიჭინი.

— თბილისიდან ჩამოდით?

ქალმა ჯერ თავი დააქნა, მაგრამ, აღბათ, შოფერის დარჩევა მოაგონდა და ისევ ჭრიჭინი მოესმა:

— წუხელ.

პასუხს იძლეოდა მოკლედ, მოჭრილად, თითქოს დებუშას გზავნიდა, სადაც სიტყვის დიდი ეკონომიაა, მაგრამ აზრი მაინც გასაგებია.

— ახლა სად მიხვალთ?

— ვაშლოვანში.

— ვაშლოვანში! — შევძახე უნებურად. მე კი იმედი მქონდა, რომ უფრო ადრე გაეთავისუფლდებოდა მისგან.

— რა საქმეზე? — არ ეშვებოდა ლადო. — მსახურობთ სადმე? დავალებით ჩამოდით?

— შეილთან.

ამის გაგონება სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის. დარწმუნებული ვიყავი, რომ შინაბერა ქალწული იყო, რომელიც არასოდეს არავის არ შეპყვარებია, ვინმეს ოცნების საგანი არასოდეს არ ყოფილა. შეიძლებოდა ადვილად წარმოგვედგინა, რომ დაუტენავი ფიტულის ჩონჩხი იყო და მეტი არაფერი, მაგრამ იმას კი ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ დედა ყოფილიყო და ოდესმე ბავშვის ხელში აყვანა გახარებოდა.

— მაშ თუ ის ვაშლოვანშია, არ შეიძლება არ ვიცნობდე, — უკვე დაინტერესებული იყო ლადო.

— მედეა ავალიანი, — ისე ყრულ თქვა, რომ ძლივს გავიგონე.

ლადოს თვალეებში ხალისმა იელმა. გახარებულმა დასტვინა კიდეცაც.

— ფიუ! ჩვენი მედეა?!

შოფერის ასეთ აღტაცებას არაფრით არ გამოეხმაურა დედაკაცი. ვინ იცის, იქნებ კიდეცაც ეწყინა, რომ ვილაც შოფერმა ასე ფამილარულად ახსენა მისი ქალიშვილი.

— თქვე ოჯახაშენებულო, მაშინვე გეთქვათ ვინც იყავით, — თითქოს საყვედურით, მაგრამ გაბრწყინებული სახით გადახედა ლადომ. — უკაცრავად, თქვენი სახელი?

— ოლიმპიდა დიმიტრის ასული, — მომესმა ჩუმი ჭრიჭინი.

— კინალამ გზაში დავტოვეთ, — სწუხდა ლადო. მერე რა პირით შემეხედნა ისეთი მეგობრისათვის?

შევიშნე როგორ შეკრთა ქალი ბოლო სიტყვების გაგონებაზე. უცბადვე მისკენ იბრუნა სახე. სიბნელე რომ ყოფილიყო, იქნებ დამენახა, თუ როგორ დაკვეთეს მისმა თვალეებმა.

— შეიძლება ითქვას, იქურობის ძვალა... ელსადგურის სული და გული... როგორ შეერცხებოდი, რომ არ წამომეყვანეთ! არ ვარგა ასე, მაშინვე უნდა უთხრას კაცმა კაცს თუ ვინ ხარ... აი, მე კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა მქონდა...

ლადოს ყოველთვის ჰქონდა მარაგად რაიმე შემთხვევა ამა თუ იმ მდგომარეობის დასაზუსტებლად. ეს ადრევე შევნიშნე. მრავალი შემთხვევა მომასმენია იმ მოკლე ხნის განმავლობაში, რაც ერთად ვმგზავრობდით.

— აი, მე კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა მქონდა... გზაში ვილაც კაცმა ხელი ამიწია. ცარიელი მივდიოდი, მაგრამ არ გაუფიქრე. ძალიან მეჩქარებოდა, ერთ ოჯახში დაპატივებული ვიყავი. მივედი... მოგეცათ ლხენა, კარგი მასპინძლობა გაგვიწია. ისეთი პურმარჩილი იყო, ყოველთვის სანატრელი... ჰო და, შუა პურისჭამაში რომ ვართ, ჯარი გაიღო და, იცით ვინ შემოვიდა? სწორედ ის, ვინც გზაში ხელაწეული დავტოვე. თურმე ამ ოჯახის მახლობელი ყოფილიყო. შემრცხვა, სულ ვუ-

ბოდიშე. სირცხვილი იმით გამოვისყიდე, რომ იქიდან მთელი გაბანით წაუ მოვიყვანე... იმის შემდეგ, ვინც შემხვდება, თუ ადგილი მაქვს, უარს ვერ ვუბნები... წარმოდგენილი მაქვს, როგორ გაუხარდება შედეგს თქვენი ნახვა... არ გელით?

ოლიმპიადამ არ უპასუხა.

ლადომ თანაგრძნობით გადახედა:

— იცით რა, თუ მანქანაში ჯდომის დროს ლაპარაკი არ გიყვართ, მაშინ თავის ქიციანით მიპასუხეთ... შეიძლება... წელან ტყუილი გითხარით, რომ გულისრევა დაგეწყებათ... თუმცა, ერთხელ ასეთი შემთხვევა მქონდა...

ლადოს არ დასცალდა ამ შემთხვევის მოყოლა. ცხენი, რომელიც მიბმული იყო გზისპირად ნარვალთან, დაფრთხა საყვირის ხმაზე, გახტა განზე, აქეთ-იქით მიიწყდა, გაწყვიტა ბაწარი და გადასერა გზა. ახლა ლაპარაკის დრო არ იყო, ხოლო როცა პირუტყვთან დაჯახების საფრთხემ განელო, უკვე გადავიწყებული ჰქონდა, თუ რა უნდა ეუწყა ჩვენთვის.

(გაგრძელება იქნება)

აქაი ბულიაშვილი

## ოქროს ჩარახნი

რომანი

★

სარდალ-სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი აღდგომის მარხვის დამდეგამდე ქუთაისს უნდა წასულიყო, რადგან მისი ვარაუდით იმ ხანებში მეფე იმერთა უკვე დაბრუნდებოდა ოდიშიდან, სადაც ის ჯერ დადიანთან და შემდეგ ჭყონდიდელთან სტუმრობდა. პაპუნას სურდა, როგორც სამეფო კარის განმგებელს, მეფეზე ადრე მისულიყო სასახლეში და სოლომონისათვის ყოველივე წესრიგზე დაეხვედრებია. მართალია, თავის მოადგილედ გამოცდილი და ერთგული მოურავი დასტოვა, მაგრამ იცოდა, რომ სასახლის თავგასული მსახურნი მას ბევრად არ გაუგონებდნენ და ყოველივეს არეუ-ღარეუდნენ.

სასახლის კარზე სამსახური აიძულებდა პაპუნას თავის კარმიდამოს მოწყვეტოდა და ამიტომ, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში, წლის რა დროც არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც რამდენიმე დღით მაინც, გამგზავრებულყო საჩხერისაკენ, რათა მოენახლეებინა თავისი თვალუწყდენელი მამულები. ახლაც ზამთარში მოუხდა შინ მისვლა. მართალია, როდესაც ქუთაისიდან გამოემგზავრა, საარაკო ამინდები იდგა მაგრამ თებერვალში მოულოდნელად მოიქუფრა, დასავლეთიდან ქარმა მძიმე ღრუბლები შორეკა და რამდენიმე დღეს გამუდმებულად თოვდა. მხოლოდ ყველიერის კვირას გადაიდარა, ღამით მოიწმინდა და ისეთი

ყინვა დაიჭირა, რომ ალაგ-ალაგ ყვირილაც კი გაჰყინა. სახლთუხუცესს მოურავი ეახლა და მოახსენა, თქვენ რომ საკურდლულად წაბრძანებას აპირებდით, ამაზე უკეთეს ამინდს კაცი ვერ ინატრებსო. პაპუნამ ბრძანა, დაუყოვნებლივ შედგომოდნენ მზადებას, რათა მეორე დღეს გათენებამდე გასულიყვნენ სანადიროდ. მოურავმა მაშინვე დაიბარა მონადირეები და მთელი ღამე საჯალაბოში არ შეწყვეტილა მათი ხორხოზი და მწევარ მეძებართა ყეფა-ღაღავი. ზოგი მონადირე ბანდულებს ასხამდა, ზოგი თხილამურებს აწყობდა და ზოგი პაიქებს იპოხავდა ქონით, რათა ზედ თოვლი არ მოდებოდა. ძლივს მოასწრეს ოდნავ თვალის მოტყუება, რომ მთავარმა მონადირემ და ბაზიერთუხუცესმა ყველანი ზეზე წამოყარა. ბატონი უკვე აბრძანებულყო.

გარეთ ჯერ კიდევ ბნელოდა და ცა ვარსკვლავებით იყო მოქედილი. კერიასთან ნაფიცებე მონადირეებს გაყინული ჰაერი მწარედ კბენდა სახეზე და შიშველ ხელებზე. ამონასუნთქი ჰაერი ორთქლის კამარებად გამოიბოდა ნესტოებიდან.

სამოახლოდან ბატონის მსახური გოგობი იწყობოდნენ და წამდაუწყებლად ერთდამავებს იმეორებდნენ:

— ნეტავი თქვენს ხასიათს. რა უნდა მომცე ქირა ახლა, რო გარეთ გავიდე.

თავზე-საბანწახურული გადია თითქოს თავისთვის ბუზღუნებდა:

— კარი დაკეტეთ, თქვე გასაწყვეტებო. აბა ერთ ფილიმონას ბიჭმა ხელი დაგიქნიოთ, თუ არ გახვიდეთ გარეთ! მონადირის გარეთ გასვლა უკვირთ! კერიას ფიჩხი დააყარეთ და საქმეს მოკიდეთ ხელი, თორემ თუ ავღეკი ზეზე, მე თქვენ გაჩვენებთ...

გოგოები კი ისევ ეძუძგურებოდნენ კარს და ცდილობდნენ ოდნავ მაინც მოეკრათ თვალი ფილიმონას ტანწერწეტა პიკისათვის, რომლის დანახვაც კი დიდი ბედნიერება იყო მათთვის. ფილიმონა ბატონის შინაყმა იყო და თავისი შვილი სადუნა ქუთაისს გააყოლა სახლთუხუცესს, ბატონსაც ემსახურება, თან იქნება ისწავლოს რამე და კაცი დადგესო. სადუნამ ქუთაისში უღვაშის გრეხა და წმასნია ანუ, როგორც იმერეთში იტყვოდნენ, წმანია სიარული ისწავლა. რაკი ბატონის ნაცვამი ლეკური შალის ჩოხა მოიგდო მხრებზე და ფეხზე ქუთაისელი ხარაზების შეეკრილი წულამესტი ჩაიკვა, ქვეყანა თავისი ეგონა. სადუნა ბატონის პირისფარეში და გულის მესაიდუმლე იყო, განუყრელად თან ახლდა და ათასგვარი საიდუმლო დავალებას ასრულებდა. არავის ისე არ ეხერხებოდა გოგოებთან შეუმჩნეველად ჩურჩული, როგორც სადუნას. გოგოებიც თითქოს გრძნობდნენ ამას და სადუნას დანახვისთანავე გვრიტებივით გაინაპებოდნენ.

კაცმა არ იცოდა, რას ჩასჩურჩულებდა სადუნა გოგოებს, რადგან არცერთი მათგანი არ ამხელდა მის ნათქვამს. მარტო გადია მიუხედებოდა ხოლმე ლოყა-ატყვილ და ოდნავდაბნეულ რომელიმე გოგოს, რომ მას სადუნასთან ესაუბრნა, მაგრამ არც გადია იღებდა ხმას. მან იცოდა, რომ სადუნა ბატონისათვის ზრუნავდა. მარტო პირუცვარს გადაისახავდა, გულში მჯიღს ჩაირტყამდა და თავისთვის ჩაილაპარაკებდა.

— როდემდის უნდა ასე ქვრივობაში გაატაროს? ამდენი ცოდვა საიქიოს რი-

თი უნდა ზიდოს? ერთი მაგის მეორედ დაქორწინებას მომასწრებდა მეტრეჭრა მინდა-რა.

გადიამ, ცხადია, არ იცოდა, რომ ბატონის ცოდვათა სამი მეოთხედის მზიდველი თვით სადუნა იყო.

ამ ხორხოცში იყვნენ გოგოები კარებთან, რომ ამ დროს ვიღაცა მოულოდნელად მოეპარა, თუ გვერდი ჩაუარა, და ერთი მაგრად დასკყივლა:

— რა გინდათ აქ. ჰაიტ, თქვენ კი განაცვალეთ ყველას!

გოგოებმა დამფრთხალი ქათმებივით წიაჭი ასტეხეს და ერთის ფათქუნით, სიცილ-კისკისით და ვაივიშით დაიფანტნენ სამოახლოში. ზოგი ისევ საბანქვეშ შეძვრა, ზოგი საფეიქრო დაზგას გადაემხო, ზოგი დაპენტილ მატყლში შეგორდა, ერთმა ლადარში სტუცა ფეხი და ძთელი ოთახი ნაცრის ბულით აავსო.

სადუნამ კი სიცილით ჩაუარა სამოახლოს და საჯინიბოსკენ გასძახა:

— ცხენები ჩქარა, ბატონი გამობრძანდება. სად ავღიხართ აქამდე?

ჯილავდარებმა მაშინვე გამოიყვანეს შეკაზმული ცხენები და პალატის თაღებიან აივანთან მიჰგვარეს, ბატონსა და მის ამალას.

— ტყდება, ბიჭო, თოვლი? — უმისამართოდ იკითხა პაპუნამ და ნაბადი გვერდზე მოიგდო, რომ ცხენზე ადვილად შემჯდარიყო.

— არა, აპ! — ერთად უპასუხა სიმნელიდან რამდენიმე ხმამ. — ქვასავითაა, ბატონო, შუადღემდე მზიანიც რომ იქნეს ძვრას ვერ უზამს.

— აბა გვინადირნია დღეს, — სთქვა პაპუნამ და უნაგირზე შესწორდა.

— ღმერთმა ბედნიერ ფეხზე გატაროთ, — გაისმა აქეთ-იქიდან.

— აბა გვინადირნია დღეს, — გაიმეორა პაპუნამ. — უკ, რა მაგარი ყინვაა. შესხედით ყველა? სადუნა, სადა ხარ?

— აქა ვარ, ბატონო, — მოისმა ეზოს ბოლოდან მათრახის ტყაცუნის და ცხენის ფეხის ბაგუნის.

— აბა გავვიძვნი. მონადირეები და კურძულები სად არიან?

— წინ მიდიან, ბატონო, ძაღლები მიყავსთ-ყე.

— საითკენ მივდივართ, ბიჭო? — იკითხა უცბად პაპუნამ და ცხენის სადავე მოზიდა, თუმცა ჯერ ადგილიდანაც არ დაძრულიყო.

— გელმა გავალთ, ბატონო, კალუათას სერებს გავუყვებით და მერე რავაც წაგვიყვანს კვალი ან ბეინევისკენ ან კორბოლისკენ ვიზამთ პირს.

— აბა შენ იცი.

ცხენოსნები დაიძრნენ. თმაბურძგნულმა ფარეშმა კრიალით გააღო დიდი კიშკარი და მხედრები თანმიყოლებით გაიკრიბნენ ეზოდან.

ციცკარი ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ თოვლით დაფარული მიდამო გზაკვალს მაინც ადვილად გასარჩევს ხდიდა. ცხენოსნებმა სწრაფად ჩაიარეს ებრაელებითა და სომხებით დასახლებული დაბნელებული ბაზარი და ყვირილის პირად გავიდნენ, ხიდზე გასვლის დროს ცხენები ოდნავ გაჯიუტდნენ. ხიდის ისრები თოვზე გაკიდებულივით ირწეოდნენ და კაცი იფიქრებდა, სადაცაა ჩაინგრევად. მხლებლებმა სადავეში ჩასჭიდეს ცხენებს ხელი და ისე გაიყვანეს ხიდზე, ხიდვალმა იწყებოდა საწერეთლოს ცნობილი ხოდაბუნები, რომელიც თითქმის მთლიანად პაპუნას საკუთრება იყო. მართალია, ეს ხოდაბუნები სახლთუხუცესის თვალუწყდენელ მამულების მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ თავისი მდებარეობით, სარწყავი არხებით და საარაკო მოსავლით ისე გამოირჩეოდა არა თუ მის მამულებში, არამედ მთელს იმერეთში, რომ ყველას ზედ რჩებოდა თვალი. ერთხანს გაზვიადებულმა რაჭის ერისთავმა, როსტომმა ამ ხოდაბუნების წართმევაც კი დაუპირა პაპუნას, დრო იხელთა, გამოაგზავნა თვისი ხალხი, დაახვეწინა მთელი ეს თვალუწყდენელი საყანე ადგილები და წერეთელს კი შეუთვალა, ეს მამულები

ჩამარის დროს კახაბერის საკუთრება იყო, ახლა კი მე მეკუთვნის და მთუ ბიჭი ხარ, გაბედე და შიგ ფეხი შედგეო. ახლა ეს როსტომი თვალდათხრილი და დაბეჩავებული მოდინახის ციხეში ჰყავდა დამწყვედელი პაპუნას და როდესაც ხოდაბუნებზე გავიდნენ, სახლთუხუცესმა უნებურად აიხედა თავის მიუვალ ციხისაკენ. აღმოსავლეთის კოშკში სინათლე კიაფობდა და მალა ატყორცნილი, მთის წვერზე შავად აღანდული ციხე ცაში დაკიდულს გავდა.

ხოდაბუნების დაცემული ვაკე მალე გადაიარეს და დაბალი ბუჩქნარებით დაფარულ გორაკებს შეუდგნენ. ცხენოსნებს, მართალია, ფიცხად მიჰყავდათ თავიანთი მერნები, მაგრამ ქვეითებს მაინც ვერ ეწეოდნენ. ისინი მუდამ წინ იყვნენ, რადგან გზას მოკლე ბილიკებით სჭრიდნენ. მაგარი ყინვაც ხელს უწყობდათ, სულმოუთქმელად გარბოდნენ აღმართზედაც და დაღმართშიაც.

უკვე რიყრაყი იყო, როდესაც მთავარმა მონადირემ ბატონს მოახსენა, ახლა კი დროა აქ დაედგეთ, სანამ კურძულები წრეს შეკრავენ და მეძებრები კურდღლებს გამოლენილენო.

მხედრები მაშინვე ჩამოქვეითდნენ და ტყის პირად დიდი მუხის ძირში მოგროვდნენ, სადაც რამდენიმე კაცი ცეცხლს ანთებდა. ზოგი ფიჩხს ეზიდებოდა, ზოგი თოვლისაგან და ნეშოსაგან ადგილს ასუფთავებდა, ერთი მათგანი კი ჩაჩოქილიყო, გღვევიებულ აბედზე ნეშო დაეყარა და თავგამეტებით უბერავდა. რამდენიმე კაცმა საკმაოდ დიდი მორი მოათრია და ბატონს მერხად დაუდგა. სადღნამ მეძებარივით ჰაერი მოყნოსა და მონადირეებს უბრძანა, მორი ცეცხლის პირს იმ მხრიდან დაეგდოთ, საიდანაც ოდნავი სიო უბერავდა, რომ ბატონი ბოლს არ შეეწუხებინა, შემდეგ თავისი ნაბადი მორზე გადააფარა და სახლთუხუცესს თავაზიანად სთხოვა, დაბრძანდითო. მალე ცეცხლიც დაინთო, ხმელ ფოთლებს ალი მოედო. ცეცხლს



იმდენი ფიჩხი დააყარეს, რომ კაცის სიმაღლე კოცონი დადგეს. ალი მზიარულად ამორბოდა ქვემოდან, ხმელ ბრტებს ეხვევოდა და თანდათან ძლიერდებოდა. სიცივისაგან გათოშილი ბატონის მსლებელი აზნაურები მაშინვე მისცივიდნენ კოცონს და ზოგი ხელებს ჰყოფდა ალში და ზოგი ფეხს. მწვავე ბოლი თვალბეში სცემდა მათ, მაგრამ მაინც ერთი მხრიდან ექუქტურებოდნენ ცეცხლს, რადგან მოპირდაპირე მხარეზე ბატონი იჯდა ნაზადგადაფარებულ მორზე და არც ფიქრობდა ცეცხლისაკენ თუნდაც ოდნავ წახრილიყო. მხოლოდ თიფთიყის ჩაბალახი მოიხსნა და წვერგაპარსული სახე ხელებით მოიხრისა, მერე უღვაშები გადაიგრინა და ფარეშს უბრძანა, მისთვის ჩიბუხი გაეწყო.

საღუნამ მონადირეებს გასძახა ცხენიდან ხურჯინი მოეხსნათ, რომლის ერთ თვალში სავსე ტიკტორა იყო, ხოლო მეორეში შოთი პურები და სამწვადე ხორცი ელაგა. სწრაფად გათალეს გრძელი შამფურები, ზედ მზარეულის მიერ წინასწარ კოხტად დაკრილი ხორცი ააცვეს და დანაკვერცხლებულ ცეცხლზე მიუფიცეს.

— ბატონო, უზმოზე ჩიბუხს ნუ ინებებთ, — ურჩია უფროსმა მონადირემ, სახელგანთქმულმა ზურაბამ, სახლთუხუცესს, — აგერ მწვადები იქნება ახლავე მზად. აქ იმისთანა მაგარი ჰაერია, რომ კაცს აუცილებლად მოგაშვიებს, თორემ დილით ლუქმას რა ჩამაყარებს პირში.

— მართალია, შენ წარმოიდგინე, მადა გამიხსნა ამ ცივიმა ჰაერმა, მოხსენი, ბიჭო, ტიკტორას თავი, — გასძახა პაპუნამ და გრძელტარიაანი ჩიბუხი განზე გადასდო.

მალე მწვადებიც შეიწვა და საუზმეს შეუდგნენ. ყველანი ფეხზემდგარნი ილუქმებოდნენ. მარტო პაპუნა იჯდა ცეცხლის პირად, ხელში გრძელი შამფური ეჭირა, პატარა ბასრი დანით ნახევრად შეაჭრიდა მწვადის ნაჭერს და

ჩივრით მთუკითხავდა ხელმე მსლებლებს.

- საღუნა, მოდი.
- ღმერთმა თქვენი წყალობა ნუ მოსაკლოს, — უპასუხებდა საღუნა, მწვადის ნაჭერს ხელს წაატანდა და მხოლოდ მაშინ შეაჭრიდა პაპუნა საბოლოოდ ამ ნაჭერს. ახლა მეორეს გასძახებდა:
- კიკოლა, მოდი.
- თქვენ მიირთვით, ბატონო. ღმერთმა თქვენი წყალობა ნუ მომაკლოს, — გამორბოდა კიკოლა.
- ბარამ, შენი ჯერია.
- თქვენი დღეგრძელობა ნუ მოაკლოს მთელს ამ იმერეთს. მადლობა მომიხსენებია.

პაპუნას არ დავიწყებია არცერთი მსლებელი და მონადირე. ყველას ჩამოურიგა მწვადი. მხოლოდ ამის შემდეგ ააჭრა თავისთვისაც ერთი ნაჭერი და მარტო ამით დაკმაყოფილდა. საერთოდ თითონ ძალიან ცოტასა სჭამდა და ყოველ მნახველს აოცებდა თავისი თავდაჭერილობით. სამაგიეროდ ღვინოს იმდენს სჭამდა, რომ მთელ იმერეთში ვერაფერს სჯობნიდა. არც არასოდეს ითვრებოდა და მუდამ ერთნაირად ფხიზელი იყო.

- ჩამომისხი, ბიჭო, ერთი მაგ ტიკტორადან. ამ სიცივეში თუ უფრო არ შემცივდა მაგის დაღევით, — მიმართა პაპუნამ ფარეშს, — რომელი წააიღებ, ქვიშხური თუ რქაწითელი.
- ეხ, ბატონო, რკოა, ჩიხური.
- ჰოო, კარგი ყოფილა. — გაუწოდა ხელი პაპუნამ. ფარეშმა ცარიელი ყანწი ხელში შეაჩეჩა, შემდეგ ტიკის თითს თავი ჩააყოფინა ყანწში და ღვინომ ლიკლიკით დაიწყო დენა, — რა ეშველება ჩვენ კაცს, ეს რომ არ ჰქონდეს დასალევი. რაეა იტყვი, ყმაწვილებო.
- რა ბრძანებაა, ჩვენი სიცოცხლე აღარ ეღირებოდა, — უპასუხეს აქეთიქედან.
- პაპუნამ ის იყო მოიყუდა კიდეცაყ ყანწი, როდესაც ბეჭობზე გადამდგარმა



ზურაბამ რომელიც მაღლიანად ილუქ-  
მებოდა, უცხად დაიძახა:

— გამორეკეს, ბატონო, კურდღელი.  
შორიდან მართლაც მოისმა ყიჟინა და  
ძაღლების ყეფა. პაპუნამ დასცალა ყან-  
წი და ფეხზე წამოიჭრა. ყველანი აფუს-  
ფუსდნენ, ჩაბალახები შეისწორეს და  
ცხენებს მოსართავები მოუჭირეს.

— სადაა ჩემი შურდულა. მომგვარეთ  
აქ. — დაიძახა პაპუნამ.

— ახლავ, თქვენ ნუ ჩქარობთ, ბა-  
ტონო, მე თითონ გეტყვით. — მშვიდად  
უპასუხა ზურაბამ და ბატონს მოჰგვარა  
მისი საყვარელი მწევარი „შურდულა“,  
ცუცხეთელი მებატონისა და მთავარი  
ციხისთავის ქაიხოსრო აგიაშვილის ნა-  
ჩუქარი. მაღლა აწოწილი და წვლში  
რკალივით მოხრილი მწევარი თავის უშ-  
ნოდ წაგრძელებულ თავს განზე სწევდა  
და გასაქცევად მიიწევდა. ცდილობდა  
დასხლეტოდა მონადირეს, რომელიც  
მას ბატონისაკენ ეზიდებოდა.

— მოდი აქ, შე უქკუო, — ეუბნებოდა  
ზურაბა მწევარს, — მოდი, ბატონი ვე-  
ლარ უნდა იცნო?

— აბა, ჩემო შურდულა, არ შემარც-  
ხეინო, — მოუალერსა სახლთუხუცესმა  
ძაღლს, დაიხარა და ფეხები გაუსინჯა.

— ამის დამწვევი, ბატონო, ქვეყანაზე  
სულიერი ცხოველი არ იქნება, — შეაქო  
მონადირემ მწევარი.

— ფრჩხილი რო ჰქონდა ფეხში ჩაზრ-  
დილი, რა უქენი — ჰკითხა პაპუნამ.

— ის არაფერი, ბატონო. მოვშერი  
და გაუარა.

— ვითომ იქნება ბლომად კურდღე-  
ლი? როგორ ფიქრობ?

— კვალია, ბატონო, უამრავი. ამას  
დახედეთ, აი აგერ, ცოტა აქეთ მობრძან-  
დით, ქაღალდზე რაღა დეიწერება ასე  
კარგად, ამ გაყინულ თოვლზე რომ  
სწერია.

პაპუნა მიჰყვა მონადირეს, რომელმაც  
ფერდობთან მიიყვანა და თითით ანიშ-  
ნა. მართლაც თოვლით დაფარული მთე-

ლი ფერდობი ათასნაირი კვალით იყო  
დაჩითული.

— ესაა, ბატონო, კურდღლის, — მი-  
უთითა ზურაბამ თავისებურ კვალზე. —  
ამას შეხედეთ, უკანა ფეხებით აჩნევს  
ასეთ კვალს, თითქო რიკები მიუტრავს  
ფეხებზე და ისე უხტუნავია თოვლში.  
ეს კვალი, სამყურა ბალახს რომ ჰგავს —  
ესაა, ბატონო, მგლის კვალი, თქვენ უკეთ  
იცით ჩემზე, ჩემი სწავლება რაღა გჭირ-  
დებათ, მაგრამ მაინც მოგახსენებთ, თუ  
არ გამიძისხდებით.

— სიტყვი, ჩემო ზურაბა, მე ბევრი  
არ მესმის ამ კვლების. ეს რისი კვა-  
ლია? — მიუთითა პაპუნამ.

— ეგ ფრინველისაა ბატონო, მაგრამ  
დანამდვილებით ვერ გეტყვით, რისაა.  
ქორია ან იქნება სხვა რამეა. ქორს უფ-  
რო გავს, აგერ ბრჭყალებიც კი აჩნია.  
ესაა, ბატონო, მელის კვალი. აგერ აქ  
წოლილა, ხედავთ?

— ჰო, მაგრამ სუყველამ აქ მოიყარა  
თავი?

— ასე იცის, ბატონო, ახალ ნათოვზე,  
სალამობით, მთელი ნადირი გამოდის.  
ერთმანეთის კვალს დასდევენ.

შორიდან მოისმა ძაღლების ყეფა და  
გამბეული ყიჟინა. მალე თოვლით დაფა-  
რულ სერზე გამოჩნდა ორი დაფეთებუ-  
ლი კურდღელი, რომლებიც ჩასაფრე-  
ბულ მონადირეებისკენ გამობრძოდნენ.  
პაპუნა მაშინვე მოვლო ცხენს, დანარ-  
ჩუნებმაც მას მიბაძეს და როგორც კი  
მონადირეებმა მწვერები კურდღლებს  
მიუტრეს, ცხენოსნებმაც დასცეს ყიჟინა  
და კვალდაკვალ მიჰყვნენ მწვერებს.

შეშინებულმა კურდღლებმა მაშინვე  
იბრუნეს პირი და აღმართს მიეტანენ.  
ჯერ კიდევ ეს ორი კურდღელი სერზე  
არ იყო ასული, რომ ზემოდან კიდევ  
ხუთიოდე კურდღელი გამოჩნდა, ეტყო-  
ბოდა, ისინი უფრო თავგამეტებით მორ-  
ბოდნენ, რადგან სანამ მოისაზრებდნენ  
უკან გაბრუნებას, პირდაპირ ფეხებში  
შეუვარდნენ მწვერებს, გაქანებულ-  
მა ძაღლებმა თავი ვერ შეიკავეს და

რამდენჯერმე ყირას გადავიდნენ. მხოლოდ ერთი კურდღელი გახდა ამ შემთხვევის მსხვერპლი. ის გათანგა ყველაზე ბოლოს ჩამორჩენილმა მწვევარმა, დანარჩენმა კურდღლებმა თავს უშველეს და ზოგი ალთას გაიქცა, ზოგი ბალთას. გაწბილებული მწვევრები წამოიჭრენ ზეზე და ამ ზორხოცში ყველანი ერთ კურდღელს გამოუდგნენ თავიანთი ბატონების გულსახეთქად.

შეიქნა ერთი ძახილი, წრუპუნის, ყველანი ცდილობდნენ ძაღლების ყურადღება სხვადასხვა მხარეს გაქციულ კურდღლებისაკენ მიექციათ, ჰკრეს ქუსლი ცხენებს და დაედევნენ მწვევრებს:

აირია მონასტერი.

პაპუნა დანარჩენებს ჩამორჩა, რადგან ზურაბი მიიჭრა გამარჯვებულ მწვევართან, ცოცხალი კურდღელი გამოგლიჯა პირიდან, უკანა ფეხებში ხელი ჩაელო, დაიქნია, თავი ქეაზე ახეთქებინა და შემდეგ ძუნძულით გამოიქცა ბატონთან, რათა ნანადირევი მიერთმია.

— ბედი არააო, იტყვიან! — შენიშნა პაპუნამ, როდესაც ზურაბამ კურდღელი გაუწოდა. მაგ ძაღლი თუ მწვევრად ივარგებდა, ვინ იფიქრებდა. ცხოვრებაშიაც ასეა. წახვალ ომში და ხედავ ყველაზე დავარდნილი და ფეთხეში იმისთანა გმირობას ჩაიდენს, რომ სახელგანთქმულ ვაჟაკებს უკან მოიტოვებს.

— ისინი ტყვილა მიდევნენ, ბატონო ტყუილია აწი ვერც ერთი ვეღარ დაიჭერს. რახან ჩირგვებში შეასწრებს, იქ, მწვევარი ვეღარაფერს იზამს მეორედ უნდა დაუარონ თავი კურძეალებმა.

ზურაბამ მოიხსნა რქის საყვირი და მთელი ძაღლონით ჩაბერა. მონადირეებს იხმობდა უკან. ქვეითად მიმოფანტულმა მონადირეებმა ზურაბას მიბაძეს და თავიანთი საყვირები ააბიპინეს. მალე კვლავ ყველამ ერთად მოიყარა თავი და ზურაბა წავიდა, რომ ადგილი შეენაცვლებინათ, ახალი წრე შეეკრათ და მეძებრებით კვლავ გამოერეკათ კურდღლები,

შუადღისათვის უკვე ათამდე კურდღელი ჰყავდათ დაქერდულ-მეგრემ ვეხლებული გახდნენ ნადირობა შეეწყვიტათ, რადგან თოვლი დაღბა და არათუ ცხენებს, ქვეითებსაც კი აღარ შეეძლოთ უთხილამუროდ თოვლზე სიარული. წელამდე ეფლობოდნენ ნამქერში.

პაპუნამ ბრძანა, ბუკი დაეკრათ და ყველასათვის ემცნოთ, რომ ნადირობა დამთავრებული იყო.

ზურაბამ მაშინვე შეასრულა ბრძანება და მალე მონადირეებმა დაიწყეს თავმოყრა დიდ წიფლებთან, სადაც პაპუნას ბჭობა ჰქონდა მსლებლებთან, შინ დაბრუნებულიყვნენ, თუ აქ ესადილნათ.

— ძალიან შორს წამოესულავართ. დაღამებამდე ვეღარც კი მივასწრებთ საჩხერეს მისვლას. ასე იცის ნადირობამ გატყუება. წასვლა სჯობს, ბატონო, — ურჩია ზურაბამ ბატონს.

— მართალია, მეც ასე ვფიქრობ, — დემოწმა პაპუნა და შემდეგ შეგროვილებს მიუბრუნდა: — ყველანი მოხველით? ხომ არავინ გვაკლია.

ჯერ კიდევ პასუხი არ მიეღო, რომ ამ დროს ბექობიდან მოისმა ძახილი:

— ზურაბა, აქეთ... აქეთ...

— ეს რომელია? — იკითხა პაპუნამ.

— სადუნა გახლავთ, ბატონო... —

უპასუხა ზურაბამ და შემდეგ ბექობისაკენ გასძახა: — რა გინდა, სადუნა... რაა? აქ მოდი, ბატონი გიბრძანებს...

— ზურაბა... ორი წყვილი თხილამური წამოიღე და ამოდი ჩქარა... — გაისმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად სადუნას ხმა.

— რაღაც ამბავია, ბატონო, — გადიქნია თავი ზურაბამ და მაშინვე აფუსფუსდა წასასვლელად. ვილაცებს მისწვდა, ქამრებზე დაკიდული თხილამურები შეხსნა და ბექობისაკენ გაიქცა.

— ცხენზე შეჯექ, ზურაბა, — მიამძახა პაპუნამ.

— არა, ბატონო, ფეხით უფრო ჩქარა ავალ, — უპასუხა ზურაბამ და ნაბიჯს უმატა. ფეხებზე კალათებდაკრული ზურაბა სასაცილოდ მიამიჯებდა თოვლზე.

რამდენიმე ცხენოსანმა სცადა დაღვე-  
ნებოდა და გაესწრო ზურაბასათვის, მაგ-  
რამ ნაბუქ ფერდობზე ცხენები კისრამ-  
დე შეიჭრენ თოვლში და ამიტომ იძუ-  
ლებულნი გახდნენ უკან გამობრუნებუ-  
ლიყვნენ.

—:—

ყველანი დაძაბული ყურადღებით  
აღვივებდნენ თვალს ზურაბას, რომელ-  
მაც, როგორც იქნა, მიიღწია ფერდობს,  
ერთხანს რაღაცას ელაპარაკებოდა სა-  
დუნას და შემდეგ დაფეთებულობით გა-  
იქცა იმ მიმართულებით, საითაც სადუ-  
ნა უთითებდა. მალე სადუნაც დაეღვე-  
ნა თან და ორთავენი თვალთაგან მიე-  
ფარენ.

— ი! — უნებურად აღმოხდა სახლთ-  
უხუცესს. — ჩვენ მაინც გაგვაგებინონ  
რა მოხდა!

— იქნება ირემი ნახეს თოვლში ჩაფ-  
ლული, — გამოსთქვა მოსაზრება ჭა-  
ლეღმა ახალგაზრდა აზნაურმა კუწუწა  
აბაშიძემ, რომელსაც ტუჩები და ცხვი-  
რი ერთნაირად ჰქონდა წაგრძელებული  
და თავისი მეჩხერი უღვაშებით მელაის  
წააგავდა.

— ირემს რა უნდა, ყმაწვილო, აქ, —  
წარბშეკვრით გადახედა აბაშიძეს  
სახლთუხუცესის მიშკარბაშმა ტარიელ  
აბღუნელიშვილმა, — როდის იყო, კორ-  
ბოლის გზაზე ირემები დადოდნენ. ალ-  
ბათ, გზად მოდიოდა ეინმე და თოვლში  
ვეღარ გამოაღწია.

— მაგ კი ნამდვილია, სწორეთ მასე  
იქნება, — დაემოწმენ მიშკარბაშს აქეთ-  
იქედან.

მართლაც, სერზე მალე ოთხი კაც-  
გამოჩნდა. სადუნა და ზურაბა წინ მიუძ-  
ლოდნენ ორ უცნობ მამაკაცს. ფეხებზე  
ყველას თხილამურები ამოეკრა და ოთ-  
ხივენი ისე მოაბიჯებდნენ, თითქო ყო-  
ველი ფეხის ნაბიჯზე, თოვლზე, ნახე-  
ვარწრის მოხაზვას ლამობდნენ. იმათ  
სწრაფად ჩამოიარეს დაღმართი და რო-

დესაც დაუახლოვდნენ პაპუნას ამაღას,  
უცნობები დაწინაურდნენ და მიორბადი-  
სახლთუხუცესისაკენ მიაშურეს. ერთი  
მათგანი, კორბოულელი გლეხი, მაშინ-  
ვე შეიცნეს, ხოლო მეორე სრულიად უც-  
ხო ვინმე იყო და ჩაცმაზე ეტყობოდა,  
რომ დიდგვარიანთა ოჯახიდან უნდა ყო-  
ფილიყო. ორთავენი წელამდე სრულიად  
დასველებულნი იყვნენ თოვლში სია-  
რულით.

— მადლობა უფალს, რომ ბედმა მარ-  
გუნა შევხვედროდე სახელოვან სარ-  
დალს და იმერთა მეფის მარჯვენა  
ხელს... — მიმართა უცნობმა პაპუნას  
და ქუდი მოიხადა. — გამარჯვებას გო-  
სურვებთ თქვენი ბრწყინვალეობა.

— კილოზე გატყობ-ქართლიდან უნ-  
და იყო. ჩვენში არ ვიცით აგრე თქმა.  
„თქვენი ბრწყინვალეობა“ რუსებმა ვას-  
წავლეს ალბათ. ვინა ბრძანდებით, ყმაწ-  
ვილო?... — ღმილით ჰკითხა პაპუნამ.

— ბესარიონ გაბაშვილი გახლავართ.  
თქვენი მორჩილი მონა, განატიცებული  
და ექსორიაქმნილი ერეკლე მეფის მიერ!

— ბესარიონ გაბაშვილი? — გაოცდა  
პაპუნა, მაშინვე ჩამოხტა ცხენიდან და  
ბესიკს მიუახლოვდა — მეფის ერეკლეს  
მდივანი?! დესპანად წარგზავნილი სპარ-  
სეთს... მგოსანი ბესიკად წოდებული...  
ქეშმარიტად ბედნიერი ვარ, ყმაწვილო,  
რომ ჩემს საბრძანებელში მხვდა წილად  
მფარველად მოგვევლინო და ხელი გამო-  
ვიწოდო. ჯერ ნება მომეცი მოგვევიო...  
მერე... ღმერთო, კი მომკალი, ამ თოვლ-  
ში მთლად დასველებულხარ. აბა ნაბადი  
ჩქარა, — მიუბრუნდა პაპუნა მხლებ-  
ლებს, — როსტომ, აქ ახლომახლო მო-  
სახლეები არ არიან?

— კი, ბატონო, სულ ახლო აქ ჩემი  
გლეხები სახლობენ.

— აბა გავვიძებნი, იქ ცეცხლთან გა-  
ვამროთ ჩვენი სტუმარი, პურიც ვაჭი-  
მოთ, მოშვიებული იქნება და შემდეგ  
შინისკენ გაექუსლოთ. შენ კი კუწუწა  
ჩამოხტი და ბატონ სტუმარს მიართვი  
ეგ ცხენი. როსტომ, ისეთი გზით ვვატა-

რე, რომ ცხენი არსად დაგვეფლოს თოვლშია.

— კი, ბატონო, თქვენ მაგის დარღი ნუ გაქვთ, ამ ბრეკზე წავიდეთ, აქ ქარი-საგან სულ ახვეტილია თოვლი.

— აბა, წავიდეთ, — ბრძანა პაპუნამ. კუწუწა ნაცემივით ძლივს ჩამოვიდა ცხენიდან, ხმალი უკან მოექცა და ისე სასაცილოდ გამოეჩარა ფეხებში, რომ ნამდვილ კუდამოძებულ მელას დაემსგავსა. თავისი წერილი თვალებით მოუსვენრად იხედებოდა აქეთიქით, თითქოს გასაქცევ გზას დაეძებდა და აღვილიდან არ იძროდა. „რალა მე გამომარჩია ამდენ ამაღში? — ფიქრობდა გაცეცხლებული კუწუწა. — ჩემზე ნაკლები ვერაფერ ნახა? ან ეს ვინ ჩემი ფეხებია, რომ მაინც-დამაინც უცხენოდ სიარული არ ეკადრებოდეს. უნდა ამოვუდგე გვერდში ახლა ამ პირდაუბანელ გლეხებს და ვიტუნებლო ამათთან. სადუნას არ აკადრა ფეხით სიარული იმ სოხანეზე დაბადებულს და მე ქვე უნდა ვეთრიო ამ თოვლში!“

პაპუნას მონადირეებმა, საბატონო გლეხებმა, ერთმანეთს თვალი ჩაუყარეს და ღომილით გადახედეს კუწუწას.

— ჩამოართვი, ბოშო, ცხენი, — წააკრა მუჯღღუგნი ზურაბამ ყველაზე ოხუნჯესა და ენამწარე ფარეშს ტარასის, — რას დაგიღია ეგ პირი!

— უპ, ღმერთო კი მომკალი, — მივარდა ტარასი კუწუწას, სადავე გამოართვა და ცხენი უცხო მგზავრს მიჰგვარა. — შებრძანდი, ჩემო ბატონო, დაღლილი ბრძანდები, — მიმართა მან ბესიკს და მარჯვენა უხანგი მოზიდა.

ბესიკი შეჯდა ცხენზე და პაპუნას მხარდამხარ მიჰყვა. დანარჩენი ცხენოსნები ცოტა მოშორებით დაედევნენ.

ტარასიმ თვალი გააყოლა წინწასულებს და მერე შუბლზე იტყვიცა ხელი:

— რა ქვია ახლა ამას! — წამოიძახა ტარასიმ ისეთი ხმით, თითქოს ვინმეს ენით აუწერელი, აღმამფთოთებელი დაწმალაული ჩაედინოს. — ვითომ, ეს სახე-

ლოვანი აზნაურიშვილი რომ არ ჩამოესვა ცხენიდან ბატონს, სხვა ვინმე ვუღარ მონახა? თუ ასე იყო, იმ უცხო კაცს ზურგზე შევისვამდით და ისე გავიყვანდით საჩხერეში. რა მოხდა ვითამ!

ყველანი ხედებოდნენ, რომ ტარასი ამას ხუმრობით ამბობდა, კუწუწას გულისსახეთქად, გულში ეცინებოდათ, მაგრამ უხერხულობა იგრძნეს და ხუმარა ფარეშს არ აყენენ. მარტო კუწუწა ვერ მიხვდა, ტარასი რომ ამასხარავებდა, რადგან ძალზე გულმოსული იყო, ფარეშის გამოსარჩება მან ნამდვილ თანაგრძნობად მიიჩნია და ამ აღმფთოთებულ გულშემატკივარს დამშვიდება დაუწყო:

— ერთი ალილუია დედელსაც შეცდებათ, ჩემო ტარასი, რა ვუყოთ მერე.

— იმე, რავე რა ვუყოთ, შენ გენაცვალე. ბატონს რავე უნდა შეცდომოდა მაგ. აქედან საჩხერეში ამ მოშალ თოვლში ფეხით გასვლას მეხუმრები? მაგ წულამესტები რავე გაგიძლებს. მარა მე მაგას კი არ ვწუხვარ. რავე გაკადრეს! ესაა, რო მარუხებს. აზნაურს თუ მასე მოეპყრობიან, მე რა სიკეთეს უნდა მოველოდე. ასე წამობრძანდი, შენი ჭირი-მე, ჩემს კვალს მოყვები. დაგისველდა უკვე ფეხი? დედა, ღმერთო, კი მოშკალი, ცოტა მსუბუქად დაადგი, შენი ჭირი-მე, ცოტა მსუბუქად...

კვალდაკვალ მიმავალი ბიჭები, სიცილით იპაქებოდნენ, პირზე ხელს იფარებდნენ, ერთმანეთს ეხეტექებოდნენ და განგებ უკან რჩებოდნენ, რომ ხარხართ გული ეჯერებინათ.

— ფიანდაზი მაინც მქონდეს ახლა, ფეხქვეშ გაგოვებდი. — განაგრძობდა ხუმრობას ტარასი, — ამ მეფეებს რომ უგებენ ხოლმე ფეხქვეშ, გაყოლებული რომაა ერთი კიდედან მეორე კიდემდე. თავიდან ბოლოს რომ ვერ ხედავ, არც წვიმაა არც თოვლი, მიდის და მიახიჯებს ამ ძვირფას ფარჩაზე, ასეთ დროს რაში ჭირდება ერთი მითხარი, ახლა უნდა გქონდეს აქ, როცა კაცს ჭირდება, მა-

მინ გოუგე ფეხქვეშ, მიაშველე, რომ გეიაროს, რაეარც რიგი და წესია. რა უკუღმართადაა მოწყობილი ეს ჩვენი ქვეყანა, ხანდახან — რომ დაუფიქრდები, კუდიდან ვიშლები... მერე ვისთვის შემიწუხეს ეს სახელოვანი აზნაურისშვილი, ქემანინც გავიგოთ. რა იქნა ის კორბოულელი...

— ეგერ მიდის, დავუძახოთ, ჰეი, კორბოულელი... მოგვიცადე პატარა, — გასძახა ზურაბამ.

კორბოულელი ცხენოსნებს მისდევდა და მოესმა თუ არა ძახილი, მაშინვე შედგა და მონადირეებს დაუწყო ლოდინი.

— მოგვიცადე, შე კაცო, — უთხრა მას ტარასიმ. როდესაც დაუახლოვდა, — რა გეჩქარება, ჩვენც იქით მოვდივართ. შენი გვარი?

— სისვაძე.

— ერთი ეს გვითხარი, თუ კაცი ხარ, ვინაა მაგ, შენ რომ მოგყავდა? საიდან გაინდა ამ ჩვენს სამეფოში?

— რა ვიცი, შენი ჰირიმე. რაეარც თქვენ იცით, ისე ვიცი მეც. ამოვიდა ამ ზამთარში კორბოულში, ქართლის მე-ბატონის ამილახვარის კაცი მოყვა და იმან გვითხრა, ეს თქვენს მეფესთან მიდის ქუთაისს და საჩხერეში მიგვარეთ წერეთელსო. კი, ბატონო-თქვა. გუშინ ნამეტანი თოვდა, მარა დამე რო ყინვა დეიქირა, აღარ მოიცადა, ადვილად ვიფლითო. ვეხვეწე, პური არ მაკლია და ღვინო, რა გეჩქარება, ამ დაურწყებებს ჩვენთან ბრძანდებოდეთქვა, მარა არ ქნა. წამევედით, სანამ მზე დახედავდა თოვლს, კარგად ვიარეთ, მერე რო მოღბა, გატყდა თოვლი, მე სულელმა თხილაპური არ წამოვიდე, ვიფიქრე, აქაა დიდი თოვლი, თვარა ქვეით სულ არ იქნებათქვა, თურმე ქვეით უფრო მეტი ყოფილა.

— საჩხერეში წელზეა თოვლი, — შენიშნა ზურაბამ, — და ასე ამბობენ, ქუთაისში სახლები აღარ ჩანს თურმე.

— ალბათ ნამდვილი იქნება, ჩვენსა ქარის მოტანილი თოვლია და იქ მართლა

მეტი იქნება. ჩემს მასსოკობაში ერთხელ მოთოვა ასე. — დედაჩემი კორბოულელი და შემდეგ განაგრძო. — წამოვედით, შენი ჰირიმე, და მოვარდევით ამ თოვლს, ერთი ორ ადგილას ზევის გადაჯგვვა მოგვიხდა და ისე დავიღალეთ ჰორივე, რომ სულს ვეღარ ვითქვამდით. მოვწყდით მუხლებში. ამასობაში მოგვესმა ძაღლების ყეფა და ე! მაშინ ვთქვი, ახლა კი გადავრჩით ამ თოვლში დახრჩობასთქვა.

— კი, მაგრამ შენ რაღად მოდიხარ აქეთ, ბარემ უკან გაბრუნებულიყავი.

— ქვევით ნათესავეები მყავს, შენი ჰირიმე და იმათთან მოვიციდი ერთ ორ დღეს. ეს კაცი ქვე ჩაგაბარეთ და აწი რალა მაქვს სადარლო.

— კაცო, სახლში სტუმარი გეწვია, ის მაინც ვერ ჰკითხე, ვინაა საიდანაა, რა კაცია? შენ თუ არ კითხე, თითონ მაინც არ წამოცდა? — არ ეშვებოდა ტარასი.

— მაგ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ქვევკითხე. გვეხედე სადამოს, და, რო დაიძახეს ეზოს ბოლოს, მასპინძელოო, გამოვედი, ვინა ხარ თქვა ვკითხე. მე ვარ ამილახვარის კაციო მითხრა და კიდევ მახლავს ერთიო. მობრძანდითქვა ეუთხარი. შემოვიდნენ ჩემთან დავაჯინე კერიის პირს, შევხედე, ეს განათლებული კაცი ქე შემჩნა ხელში.

— კი მარა, ვინ ვარო, ვინ? — მოუვიდა გული ტარასის.

— ამას ახლა ასე უცბად ხო არ მეტყუოდა ვინ ვარო. დაჯდენ, ბატონო, ეს ორი კაცი და ლაპარაკობენ ერთმანეთში. აქიდანო, შენი ჰირიმე, საჩხერეში დილას რომ წახვიდე, დღის ბოლომდე, გზაში სამჯერ რომ მაინც გამოიძინო, მაინც ჩახვალო.

— ვინ ამბობს მაგას?

— ის ამილახვარის კაცი. შენ უნდა წაყვეო მითხრა...

— ვინ გითხრა?

— ვინ მითხრა და იმ ამილახვარის კაცმა.

— რა იქნა ის კაცი.

— ის შენი ჭირივე ამ დილას უკან გაბრუნდა.

— მერე?

— მერე, მე ვუთხარი, რაღა არ წავყვებითქვა და დილას ქვე წამოვვდიოთ აქეთ.

— კი მარა, ამ კაცს ის მაინც ვერ კითხე ვინ ხართქვა?

— ახლა, რაც საკითხავი იყო, ქვე ვკითხე და მეტი რა უნდა მეკითხა. თუ აგრე გეთანადრება გული, აგერაა ის ადამიანი, მიბრძანდი და კითხე. ი! არ გამიჭირა საქმე!



იმერთა მეფეს სოლომონს და ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლეს ურთიერთობის, მართალია, სამეგობრო ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული, მაგრამ ორთავე იღუმლად ებრძოდა ერთმანეთს. ერეკლეს სურდა, რომ სოლომონს ეცნო ქართლ-კახეთის მეფის უპირატესი მდგომარეობა და ისევე დამორჩილებოდა მას, როგორც განჯის და ერევნის სახანოები. სამაგიეროდ სოლომონს თავი მაიჩნდა ბაგრატიონთა გვარის უფრო კანონიერ მემკვიდრედ და თუ ამიერ და იმიერ საქართველოს გაერთიანება კვლავ უნდა მომხდარიყო, მაშინ იმერთა მეფეს თავისი დიდი წინაპრის დავით აღმაშენებლის მსგავსად სამეფო ტახტი ქუთაისიდან თბილისს უნდა გადაეტანა. ასეთ აზრებს განსაკუთრებით უღვივებდნენ სოლომონს ქართლიდან გამოქცეული თავადები, რომელნიც არაერთაქ საშუალებას არ ერიდებოდნენ, რომ როგორმე ერეკლე ტახტიდან გადმოეგდოთ, ამ უკმაყოფილოთა მეთაური ელიზბარ ერისთავი იყო, რომელიც გადმოვიდა თუ არა ქართლიდან, მაშინვე შეუდგა სათანადო თადარიგს, დაუმოყვარდა სოლომონს, შეირთო მისი და ცოლად და დაუწყო რწმუნება იმერთა მეფეს, გადაჭრით აღემართა ხელი ერეკლეს წი-

ნალმდეგ. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მსტოვრებს ყოველდღე მრქონდათ ათასნაირი ამბები თბილისიდან, ერეკლეს მტრული მოქმედების შესახებ იმერთა მეფის წინააღმდეგ. ამბობდნენ, თითქოს ერეკლე აქეზებდა გურიელსა და დალიანს, რომ ისინი არ დამორჩილებოდნენ სოლომონს, თითქოს ერეკლემ განგებ დაიმოყვრა ტახტისმაძიებელი ჩერჩეტი დავით გიორგის-ძე, რათა ის გაემეფებინა იმერთაში და ვინ მოსთვლის, კიდევ რას არ ეუბნებოდნენ ისედაც ეკვიან იმერთა მეფეს. სოლომონმა კარგად იცოდა, რომ როდესაც იმერთის ტახტის განმტკიცება ჯერ კიდევ სანახევროდაც არ ჰქონდა დამთავრებული, მისთვის ერეკლეს წინააღმდეგ მოქმედება არც ხელსაყრელი იყო და მითუმეტეს, არც ადვილი, და ამიტომ ამკარა მტრულ მოქმედებას ერიდებოდა. მაგრამ ამ ხანებში ორი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა, რამაც სოლომონი აიძულა შეტევაზე გადასულიყო. თბილისიდან მსტოვრებმა აცნობეს, რომ ერეკლეს გადაწყვეტილი აქვს იმერეთში თავისი შვილი ლეონის გამეფება, რასაც დადიანიც და აფხაზეთის მთავარიც ემხრობიანო. ხონთქარსაც თანხმობის დასატური მიუცია, ოღონ იმერეთიდან სოლომონი მოაშორე და მთელი ეს მხარე თუნდაც შენი იყოსო. ამ ამბავში სიმართლის მაგვარი გამოსკვიოდა. იმერთა მეფით თავგაბეზრებულ სულთანს, შესაძლებელია მართლა წაექეზებია ერეკლე, რადგან თითონ რამდენჯერაც სცადა სოლომონის განადგურება, იმდენჯერვე მარცხი განიცადა.

ამ ამბავს ზედ დაერთო ისიც რომ სწორედ იმ ხანებში მოსკოვიდან ქუთაისს ჩამოვიდნენ ბესიკის მამა ზაქარია მოძღვარი მთელი თავისი ოჯახით და ალექსანდრე ამილახვარი, რომელიც ერთ დროს ერეკლემ აწამა შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, დაასაჩიხრა და საპყრობილეში ჩააგდო. ეამიანობის

დროს ალექსანდრე გაიქცა თბილისიდან და მოსკოვს შეაფარა თავი.

ჩამოსულებმა მაშინვე მიაშურეს სოლომონს და სწოცარს ამბები მიუტანეს. პეტერბურგში სარწმუნოდ გაეგოთ, რომ ერეკლეს მოლაპარაკება გაება ოსმალეთთან. ზონთქარს ერეკლესაგან მოუთხოვია დარიალის კარი გადაეკეტა რუსებისათვის, სამაგიეროდ პირდებოდა იმერეთის ტახტზე მისი ერთერთი შვილის აყვანას, თუკი ის, ცხადია, იკისრებდა ოსმალეთის ქვეშევრდომობას. ამ ამბავს ისეთი აღმფრთვება გამოეწვია პეტერბურგში, რომ მათ საბოლოოდ გადაეწყვიტათ — ალექსანდრეს სიტყვებით — ერეკლეს გადაყენება და ქართლ-კახეთის ტახტზე ქართლის ბაგრატიონთა რომელიმე წარმომადგენლის აყვანა.

ამ ამბებში გაცილებით მეტი ჭორი იყო, ვიდრე სინამდვილე, მაგრამ იმ ცხელ გულზე სოლომონისათვის ესეც საკმარისი იყო, რომ ერეკლეს საწინააღმდეგოდ მოქმედება დაეწყო. მან მაშინვე გამართა საიდუმლო თათბირი თავის ერთგულ თავადებთან და ქართლიდან გამოქცეულ მეზატონეებთან. გადაწყდა სპარსეთიდან ჩამოეყვანათ ალექსანდრე ბაქარის-ძე, რომელიც სათავეში უნდა ჩადგომოდა ამბოხებას. ალექსანდრე ამილახვარი არწმუნებდა სოლომონს, რომ საკმარისი იქნებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის თუნდაც სურამში გამოჩენა, რომ ქართლის მთელი თავადები მაშინვე მასთან გამოცხადდებოდნენ თავიანთი მხედრებით და მარტო ეს იქნებოდა საკმარისი ერეკლე თბილისიდან განედევნათ. ამასობაში რუსეთიდანაც შემოვიდოდა დამსჯელი ჯარი, რომელიც, ცხადია, ქართლის კანონიერ მემკვიდრეს დაუტერდა მხარს.

სოლომონი დათანხმდა ამ გეგმას და მაშინვე შეუდგნენ თადარიგს. საჭირო იყო სპარსეთს საიმედო კაცის გაგზავნა, რომელაც ბატონიშვილს ჩამოიყვანდა, მაგრამ საუბედუროდ ასეთი სანდო კაცის შოვნა არც ისე ადვილი იყო. რა-

დესაც შეუდგნენ იმის ბეჭობას, რა გზით უნდა წასულიყო სპარსეთს გასაგზავნი კაცი, აღმოჩნდა, რომ ყველა გზა შეკრული იყო. ახალციხეზე ვერ გაივლიდნენ. ცხადია, არც თბილისის გზით შეიძლებოდა წასვლა, ისევე კავკასიონის მთები უნდა გადაელახათ და რუსეთის სათავდაცვო ხაზის გასწვრივ, რომელსაც მაშინ „ლინაას“ უწოდებდნენ, საფოსტო გზას დადგომოდნენ და მოზღოვზე გავლით ყიზლარს ჩასულიყვნენ. იქედან კი ან დერბენდში მივიდოდნენ, საიდანაც ხომალდები დასცურავდნენ სპარსეთის ნავთსადგურ რეშტამდე, ან კიდევ ასტრახანს. აქედანაც დადიოდნენ ხომალდები, მხოლოდ ზღვის გზა ერთორად გრძელდებოდა.

დერბენდს წასვლა შეუძლებელი იყო. მართალია, ფატალი-ხანი ერეკლეს მოსისხლე მტერი იყო და მის მოწინააღმდეგე მეფის კაცს კიდევაც დაეხმარებოდა, მაგრამ სანამ დესპანი მის სასახლის ბჭეებამდე მიღწევდა, მანამდე, ვინ იცის, შეიძლება ცოცხალიც ვერ გადარჩენოდა სტეპებზე მოთარეშე ყალმუხებს.

სოლომონმა გააშლევინა რუსეთიდან ჩამოტანილი დიდი რუკა, რომელზედაც მთელი მსოფლიო იყო დახატული, და, როდესაც დიდებულებთან ერთად დაკვირვებით გააკვლია წასასვლელი გზა, ყველა შეაშინა მანძილის სიდიდემ და გზის სიძნელემ. ვისაც კი შესთავაზა სოლომონმა წასვლა, ყველამ უარი განაცხადა. ზოგმა სპარსული ენა არ იცოდა, ზოგმა კიდევ ათასი რამ მოიმიზეზა. ქუთაისში მაშინ სპარსეთს მოსიარულე არცერთი გაქარი არ მოიპოვებოდა, რომ მისთვის მაინც დავეალეზინათ ეს საქმე და ამიტომ, მოულოდნელად, საოცარ გაკვირებაში ჩავარდნენ. ზაქარია გაბაშვილმა რამდენჯერმე გულისწყევტით წამოიძახა, ნეტავ ჩემი ბესიკი აქ იყოს, იმას ხომ მთელი ქვეყანა მოვლილი აქვს; სპარსეთშიაც ყოფილა ალექსანდრე ბა-

ტონიშვილი სწორედ იქ გაიცნო და კიდევაც ჩამოიყვანდაო.

ეს ამბები შემოდგომის მიწურულს მოხდა, ამის შემდეგ მთელი ორი თვე ეძებდნენ კაცს. კათოლიკე მისიონერების იმედი ჰქონდათ, იქნებ მათ შორის მაინც იყოს ისეთი სანდო ადამიანი, რომელსაც სპარსეთი მოვლილი ჰქონდეს, რომ ეს საქმე მივანდოთო, მაგრამ ვერაინ ვერ ნახეს. სოლომონს, თან ბრაზი აღრჩობდა, თან სირცხვილი სწვავდა, ასეთი სამეფო რად მინდა რომ სხვა სახელმწიფოში გასაგზავნი კაცი ვერ მომინახავსო. ბოლოს, მეფე ისევ სახლთუხუცესმა ანუგეშა, თქვენი დავალების შესრულების მსურველი ბევრია და მათ შორის როგორ ვერ ავარჩევთ სანდო ადამიანს, ეგ საქმე მე მომანდეთო.

ეს კი უთხრა, მაგრამ ის კი აღარ იცოდა, როგორ უნდა შესრულებინა დავალება, არჩევანს ვინ დაეძებდა, ოღონდ ერთი ადამიანი მაინც ენახა ისეთი, რომელიც ამ საქმეს იკისრებდა. მეტი აღარა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ თითონ ეკისრა ეს საქმე და გულშიაც ასე ჰქონდა განზრახული, თუ ვინმე ვერ ენახე, გაესწირავ თავს და ის იქნებოა.

და ახლა სახლთუხუცესი მოულოდნელად ბედმა ისეთ იღბლიან ფეხზე წამოიყვანა სანადიროდ, რომ მოუვლინა ადამიანი, რომელიც თითქოს საგანგებოდ გაეჩინა ღმერთს ამ საქმის შესასრულებლად. სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა. მაშინვე წინასწარ კაცი აფრინა საჩხერეში, დიდებული სტუმარი მომყავს და საგანგებოდ მოემზადეთო, თითონ კი იქვე გზადშეხვედრილ პირველ ქობს მიაწერა, რომ თოვლში მთლად დასველებული მისი სტუმარი კერძის გუზგუზა ცეცხლთან გამშრალიყო.

— რომელი სახლობს აქ? — იკითხა პაპუნამ და ქობში დაუკითხავად შეაბიჯა. — ოჰ, პავლია, შენა ხარ? — იცნო მან შეგებებული თეთრწვერა მოხუცი. — გამარჯვება, ჩემო პავლია. ხომ არ ვეწყინა ჩემი მოსვლა?

— რას ბრძანებ, შენი ჰირიმი, — დაიჩოქა პავლიამ და სახლთუხუცესს მუხლზე ეამბორა, — იმას მოვესწარი, მიკადრე და ჩემს ქობში შემოაბიჯე, ამაზე მეტი ბედნიერება იქნება ჩემთვის?

— აბა, ჩემო პავლია, ერთი კარგი ცეცხლი დაგვინთე, ძვირფასი სტუმარი მეწვია, მეფის ტოლი კაცი, ქართლელი. არ ვათქმევინოთ სტუმრის მიღება არ იციანო. თოვლში უვლია, ხომ ხედავ, მთლად დასველებულა. ერთი ეს გავაშროთ ცეცხლთან და მერე გავუდგებით გზას.

— რავე გზას გოუდგებით! — იწყინა პავლიამ, — ჩემთან ამ დოურწყების კვირას ერთი ზაქაპურს რომ არ წაეტეხოთ ყური, ისე რავე იქნება. ახლავე, შენი ჰირიმი.

ბესიკი მაშინვე მიუახლოვდა კერიას და ცეცხლს მიეფიცა, ფეხშიშველა პატარა ბიჭუნამ კერიას ხმელი ფიჩხი დააყარა. აღმა სწრაფად იფეთქა და მთელი სახლი გაანათა. გრძელი დარბაზის გამჭვარტლული კედლები და ჰერის დვირეები შავად ლაპლაპებდა. ამ გრძელ დარბაზს ორი კარი ჰქონდა, თავსა და ბოლოს, ხოლო ფანჯრების მოვალეობას ერთი პატარა საკმეღი ასრულებდა, რომელშიაც მუშტიც კი არ გაეტეოდა. ერთი კედლის გასწვრივ მთელ სიგრძეზე ჩაყოლებული იყო ვანიერი საწოლი ტახტი. ტახტის ბოლოს იდგა ორი ზანდუკი და იქვე ეწყო დაკეცილი ლეხსაბნები. ბესიკს გაუკვირდა, რომ მთელ სახლში მარტო ეს მოხუცი პავლია და პატარა ბიჭუნა იყო, რომელმაც ცეცხლს ფიჩხი დააყარა თუ არა მაშინვე გარეთ გავიდა. ცოტახნის შემდეგ ბიჭუნა ისევ შემოვიდა, ტახტზე შეაბიჯა, ზანდუკებს თავი ახადა, იქიდან რაღაც დაკეცილი ტანსაცმლის მაგვარი ამოიღო და მაშინვე ისევ გარეთ გახტა. ცხადი იყო, ქალები გარეთ გასულიყვნენ და ალბათ საბძელში იცვლიდნენ საშინაო ტანსაცმელს. მართლაც სანამ პავლია სახლ-



უხუცესის ჯალაბის მოკითხვას მოათავებდა, კარი გაიღო და დარბაზში სამი ქალი შემოვიდა. უფროსი მთვანი პავლიას მეუღლე საკმაოდ ხანში შესული, მაგრამ საოცრად ახოვანი ქალი იყო. ის პირდაპირ გაემართა სახლთუხუცესისაკენ, მოეხვია, ჯერ მხარზე აკოცა და შემდეგ ხელზე.

— შენ გენაცვალე, შენი აყვანი რამდენჯერ დამირწვევია, ახლა ამ ჩემს ქოხში შენს ნახვას მოვესწარ. ხომ კარგად ბრძანდები, შენ შემოგვევლოს შენი სალომე!

— კარგად, ჩემო სალომე, კარგად.

— ესენი, ეს ერთი ჩემი ქალიშვილია, მეორე რძალი, — გააცნო სალომემ ახალგაზრდა ქალები სახლთუხუცესს. და მერე უცბათ ბოდინის მოხდით მიესალმა ბესიკს, — უიმე, ღმერთო, მომკალი, უცხო აღამიანი ვერ შეგნიშნეთ. დაბრძანდით, თქვენ კი შემოგვევლეთ, არ მოიწყინოთ და ახლავე იქნება ყველაფერი.

— სალომე, არაფერზე შეწყუბდეთ, — მიმართა პაპუნამ მოხუც ქალს, — ეს ჩემი სტუმარი, როგორც კი გაშრება ამ ცეცხლთან, მაშინვე უნდა შეესვა ცხენზე და საჩხერეს წავიყვანო.

— უიმე, რავე გეკადრებათ, ასე რავე გაგიშვებთ. საჩხერეში, მზე არც კი იქნება ჩასული, რო ვახვალთ!

— ქალო, დატრიალდი, ლაპარაკს კი ნუ უნდები, — დაუცაცხანა მეუღლეს პავლიამ, თითონაც ადგილზე დაფათურდა, ჩოხის სახელოები აიკეცა, ვითომ რაიმე საქმეს აკეთებდა და ისევ სახლთუხუცესს შეხედა, — მართლა იმ თქვენ მსლებლებს... აქ შემოიყვან...

— არა უშავთ რა. იყონ იქ! — ხელი აუქნია პაპუნამ, მას მოთმინება არ ყოფნიდა, სურდა ბესიკთან განმარტობებით ესაუბრა.

— არ შეცივდებათ? წავალ აბა, თონესთან მაინც მივიყვან გათბებიან. — სთქვა პავლიამ და გარეთ გავიდა.

— ქვეითები წავიდნენ, ცხენოსნებს უთხარი მზად იყვენ, ახლავე წავალთ-

თქო, — მიიძახა პაპუნამ პავლიას და შემდეგ ბესიკს მიუბრუნდა: — სანამ გაშრებოდე, ჩემო ძვირფასო სტუმარი, მანამდე დაწვრილებით მიამბე შენი თავგადასავალი.

— მგონი ასჯერ მაინც დამჭირდეს კელავ თოვლში დასეველება და გაშრობა, სანამ ჩემს თავგადასავალს ბოლომდე გაიმბობდე, — სიცილით უთხრა ბესიკმა და ცეცხლზე მხარი იბრუნა.

— შენ თუ იცი, რომ მამაშენი უკვე ქუთაისშია.

— როგორ? — გაოცდა ბესიკი, — ნუთუ მართლა?

— მთელი ოჯახით გვეახლა რუსეთიდან.

— მერე მე რად არ მაცნობა?

— ასე ამჯობინა. ვითუ ერეკლემ რაიმე შესწამოს და დასაჯოსო. კიდევაც დაუსჯინხარ. ალბათ გააგო, ალექსანდრე ამილახვარი და მამაშენი რომ ეახლენ ჩვენ მეფეს და...

— როგორ? ალექსანდრეც აქ არის?

— დიახ! ისიც აქ არის. ჰოდა მიუტანეს ალბათ ამბავი ერეკლეს, იმანაც იფიქრა ეს ბესარიონი ალბათ განგებ შემომიჩინესო და... კიდევ კარგი რომ ცოცხალი გადარჩენილხარ. თითონ გიყო ექსორია, თუ გამოექეცი?

— გამოვექეცი — ამოოხვრით უბასუხა ბესიკმა და უცბად ისეთი ბოღმა მოაწვა, რომ კინაღამ ცრემლები გადმოსცივდა თვალთაგან.

— სოლომონმა დიდის წყალობით მიიღო მამა შენი, ქუთაისში ადგილ მამული უწყალობა. ბინა დროებით გელათში მისცა, სანამდი ქუთაისში სახლს აიშენებდეს და ქუთათელი რომელიმე ეკლესიაში გაამწესებდეს. — ანუგეშა პაპუნამ ბესიკი, რადგან სახეზე მოღრუბლეა შეატყო. — ახლა იმასაც უნდა გამოგიტყდე, კაცი რომ რამეს საგანგებოდ ინატრებს, ისე საგანგებოდ სანატრელი იყო შენი თავი ჩვენთვის. რომ იცოდე, ჩვენი მეფე როგორ გაიხარებს შენის

ნახვით, მაშინ კი იტყვი, მართლა ბედნიერი ვყოფილვარო.

შწარე ფიქრებში გართული ბესიკი არც კი უსმენდა სახლთუხუცესს. ის ერთხანს გარინდული იდგა და თვალს ადევნებდა ქალებს, რომელნიც ფუსფუსებდნენ, გობებს და ჯამებს ახრავუნებდნენ, ვოკებით გარბი-გამორბოდნენ, რაღაც კასრები გაჰქონდათ და შემოჰქონდათ. სალომე მოკლე განკარგულებებს აძლევდა რძალს და ქალიშვილს და ისინიც უხმოდ ასრულებდნენ ოჯახის უფროსის ბრძანებას.

ბესიკს უყვირდა, როგორ უბრალოდ და შინაურულად ევირა თავი მთელ ამ გლეხის ოჯახს, სახლთუხუცესის წინაშე, მსლებლებმა, დიდგვარიანმა აზნაურებმაც კი, ვერ ვაბედეს თავის ბატონს ქონსი შეჰყოლოდნენ და გარეთ იცდიდნენ. ესენი კი თან საქმიანობდნენ და თანაც თავისუფლად ესაუბრებოდნენ პაპუნას. ეკითხებოდნენ ამბებს, ხუმრობდნენ და თუმცა მართალია ამის უფლებას მათ მასპინძლის მდგომარეობა ანიჭებდა, მაინც საკვირველი იყო მდებობა ასეთი თავისუფალი და თანაც მიწი-დეელი ყოფაქცევა დიდებულთა წინაშე.

პაპუნა მიხვდა, რომ მისი სტუმარი გულისყურით ვერ უსმენდა, რადგან ალბათ დადლილი იყო თოვლის ჯვებით და ყურადღებაც დაბნეული ჰქონდა, ამიტომ ისევ პავლიასთან გააბა საუბარი.

— მოსავალი როგორი გქონდა პაპუნა? — ჰკითხა პაპუნამ, — პური ბევრი მოგივიდა?

— პური, შენი ჭირიშე, შენს ხოდაბუნებში რომ მოდის, ისეთი რომ მოდიოდეს, ჩვენთან, რაღა გვიჭირს, მარა, მაინც არა უშავსრა.

— სიმიინდი თუ დათესე?

— იმე რაღა არა! ეგ ნამეტანი კარგი რამე მოვიდა ჩვენში. მე სულ პატარა ბოვში ვიყავი, პირველად მამაჩემმა რო მოიტანა მავისი თესლი, შენი ჭირიშე, არგვეთიდან. ამ ჩვენი არგვეთიდან კი

6. „მნათობი“, № 3.

არა, შორობანთან რო არგვეთია იჭიდან. ტარო რო დევინახეთ, შეგვეშინდა, ეს რა არისთქო, ისე დევერიქა კხილუში სიმიინდს. ასე ამბობენ, შეიძლება ამ მაღალ ადგილს არც კი მოვიდეს, ამას დაბლობი უყვარსო. დავთესეთ, მევიდა მარა რა მევიდა, ველარაფერში დავტრეთ. ეს სასიმიინდეც მაშინ დავდგით. ასე გვასწავლეს, უნდა მოიწინას კედლები, რომ ქარმა უაროს იქით-აქითო. დავფქვით წისქვილზე. ჩვენ გვეგონა პურივით თუ ცხვებოდა, მარა მერე ისწავლეს ქალებმა გამოცნობა და ახლა შენი ჭირიშე, მაგაზე უკეთესი თუ არის რამე ქვეყანაზე, არ მგონია. აგერ ამ პატიცემულ ქართლელ კაცს არ ენახებოდა ალბათ. ეგაა, რომ შრომა ჭირდება დიდი, ორჯერ თუ არ გათონხენ, ბალახი მოერევა და კი აღარ გაიზრდება.

მაღე ქალებმა მოიტანეს პატარა მერხის მაგვარი დაბალი სუფრა და საპატო სტუმარს წინ დაუდგეს. ბესიკი ჯერ საბოლოოდ გამშრალი არ იყო და მის ტანსაცმელს კიდევ ასდიოდა ბული, ამიტომ ის, ისე მოხერხებულად დასვეს ცეცხლთან, რომ კიდევაც გამშრალყო და სუფრასაც მისწვდომოდა. მასპინძლის ქალიშვილმა სტუმრებს ხელი დააბანინა, ხოლო რძალმა სუფრაზე დააწყო თონიდან ახლადამოყრილი შოთები და კეცზე გამომცხვარი ხაჭაპურები. ამას თანვე მოაყოლეს ნიორწყალში ჩაწყობილი აქნილი შემწვარი ქათამი, ხოლო პავლიამ ლალისფერი ღვინით აავსო კაობები.

— აბა, ძვირფასო სტუმარო, შენ ამისთანა რამ თუ გიქამია, ოდესმე, — ღიმილით უთხრა სახლთუხუცესმა ბესიკს, ხაჭაპური აიღო, შუაზე გადატეხა და გაუწოდა.

—:—

მზე უკვე ჩასული იყო, როდესაც, საჩხერეს მივიდნენ. ცხენები დგაფუნით მიაბიჯებდნენ საოცრად დამბალ და

წყლად წასულ თოვლში. დაბის მთელი მოსახლეობა გარეთ გამოფენილიყო და ცნობისმოყვარეობით აღევნებდა თვალს ნადირობიდან დაბრუნებულ სახლთუხუცესსა და მის ამაღას. ყველანი მოწიწებით ესალმებოდნენ ცხენოსნებს. ებრაელები მისალმებასთან კითხვებსაც აყრიდნენ მონადირეებს;

— რა ქენით, კარგად ინადირეთ? ბევრი მოკალით? კურდღლები დახოცეთ? — უფრო ხმადაბლა, წინ მიმავლებს რომ არ გაეგონათ, კითხულობდნენ: — ის უცხო კაცი ვინ არის?

სასახლეში მისვლისთანავე პაპუნამ გასცა განკარგულება, რომ საბატო სტუმრისათვის სათანადოდ ეცათ პატივი. მას განსაკუთრებით სურდა გამოეჩინა თავი ბესიკის წინაშე და ეჩვენებინა, თუ როგორი ყოვლისშემძლე და ყოვლისპატრონი იყო. ჩამოქვეითდნენ თუ არა ცხენებიდან, პაპუნამ, ჯერ ნაბადიც კი არ მოეხსნა; სადუნას უბრძანა, ახლავე ამოიყვანე ბაზრიდან თერძი და ხარაზი, რომ ამ ჩვენს ახალ სტუმარს ზომა აღღონ საუკეთესო ტანსაცმელი და მაშვები შეუყვარონო. ბესიკს მართლაც შემოეცვითელ-შემოგლეჯილი ჰქონდა თავისი ტანსაცმელი, ხოლო ფეხზე, უკვე ძნელი გამოსაცნობი იყო, რა ეცვა.

სადუნამ თვალის დახამხამებაში მოიყვანა საიდანღაც თერძიც და ხარაზიც. ის იყო კიდევაც ჩამოსხდნენ საკარცხლულებზე პაპუნა და ბესიკი, გუზგუზა ბუხრის წინ, როდესაც სადუნა ორთავე ოსტატს დარბაზში შეუძღვა.

— ასე უცბად საიდან მოიყვანე, ბიჭო, ესენი, ჯიბეში ხომ არ გესვა? — გაიცინა პაპუნამ და შემდეგ ოსტატებს მიუბრუნდა: — იცოდეთ, ამას კი არ უყვრათ ტანსაცმელს, მე მიყვრათ. დაეხედავ, არ მომეწონება და მორჩა თქვენი საქმე. ხვალ საღამოს მზად უნდა იყოს ყველაფერი.

— ფეხსაცმელი კი, შენი ქირიმე, მოესწრება, მაგრამ... შეყოყმანდა თერ-

ძი — ტანსაცმლის რა მოგახსენო... მართო ღირკილოების დაქვრებას... //

— არავითარი მაგრამ... შევიტრებები ბევრი გყავს. დაიჯინე და ამუშავე. კაბახალოხი უნდა იქნეს იმისთანა, რომ მეც არ მენახოს უკეთესი. — უბრძანა ოსტატებს პაპუნამ.

ოსტატებმა ყაპის გრეხილი ძაფით ზომა აიღეს (თითოეულ სიდიდეს ძაფზე ნასკვით აღნიშნავდნენ) და იმ წამსვე წაივინდნენ. პაპუნას სურდა სტუმრისათვის საეპაშმო სუფრა გაეშალა და მასთან გათენებამდე ესაუბრა, მაგრამ ბესიკმა სთხოვა, რადგან ძალზე დაღლილი ვარ, ნება მომეცი დასაძინებლად წაივინდეო. მასპინძელმა მართლაც შეატყო დაღლა და ვინაიდან ბესიკი თბილ ბუხართან საეჭვოდ იქექებოდა, ფარეშებს უბრძანა, სტუმრისათვის მოეგლოთ.

ფარეშებმა ბესიკი მისთვის მიჩენილ ოთახში წაიყვანეს, სადაც დიდი სპილენძის ქვაბი შემოიტანეს, ჩასვეს შიგნამგზავრი სტუმარი, ცხელი წყლით ტანი დააბანინეს, ახალთახალი აბრეშუმის საცელები მოართვეს და ასევე სუფთა აბრეშუმის ლოგინი გაუშალეს. დაქანცული ბესიკი მაშინვე შეგორდა ლოგინში, ეგონა იმწამსვე ძილს მისცემდა თავს. მოლოდინის მიუხედავად მთელი ღამე თეთრად გაათენა. მას თითქმის ქვეყნის ნახევარი მაინც მოეგლო, მაგრამ არასოდეს არ განეცადა ასეთი უჩვეულო და უცნაური განწყობილება სხვა ქვეყანაში გადახვეწისა, როგორსაც ახლა განიცდიდა. როდესაც ჯერ სპარსეთს, ხოლო შემდეგ რუსეთს მიემგზავრებოდა, გრძობდა, რომ ეს იყო დროებით და ისევ თავის კუთხეში დაბრუნდებოდა. ახლა კი ის მიდიოდა იმ მხარეში, სადაც სამუდამოდ უნდა დასახლებულიყო, უნდა დაეწყო ცხოვრება სრულიად ახალ ხალხში, ახალ თავისებურ ზნეჩვეულების და ხასიათის ადამიანებს შორის და, ვინ იცის, შეიძლებდა თუ არა მათს შეგუებას

მოგზაურობაც ისეთ დროს მოუხდა, როდესაც ბუნებაც არ იყო მიმზიდველი, სიცივე ძვლებამდე ატანდა, თოვლითდაფარული მიდამო თვალს არ ხბლავდა და ამიტომ ყველაფერი ცუდად ეჩვენებოდა.

მხოლოდ გათენების ხანს, როდესაც მამლებმა ყვილით გული იჯერეს და ბატონის კარმიდამოში მსახურნი ახმაურდნენ, მხოლოდ მაშინ ჩაეძინა ბესიკს და შეადღემდე ლოგინიდან არ აღდგარა. გაიღვიძა თუ არა, ფარეშმა მაშინვე მოართვა ღამაზად მოქარგული ფოსტლები და მისი ქალაქური ტანსაცმელი, რომელიც ისე გაესუფთაებინათ და ოსტატურად დაეკონკათ, რომ არც კი ემჩნეოდა, თუ სადმე დახეული იყო. ან გაკვეთილი. მერე დალაქი ეახლა, იქვე ბუხართან დასვა, წვერი გაპარსა და თმა ღამაზად შეკრიჭა. დაიბანა თუ არა პირი, ფარეშმა მოახსენა, ბატონი სახლთუხუცესი დიდხანია დარბაზში გელოდებათ და უთქვენოდ საუზმის მირთმევას არ აპირებსო. ბესიკმა ფოსტლებზე დაიხედა რადგან ეუხერხულეობდა ასე შინაურულად გასულიყო მასპინძელთან დარბაზში, მაგრამ ფარეშმა დაამშვიდა, ნუ გერიღებათ, მარტო ბრძანდება და საღამოსთვის კი, როდესაც სტუმრები გეახლებიან, ახალ მაშვიებს მოგართმევეთო.

პაპუნა მართლაც დარბაზში დაუხედა. ბუხართან იჯდა და ბესიკის მოლოდინში გრძელტარაიან ჩიბუხს აბოლებდა. დაინანა თუ არა სტუმარი, მასპინძელმა მაშინვე ბუხართან მიიწვია და მსახურს უბრძანა საუზმე მოერთმიათ. ისევე, როგორც გლეხის ქოხში, აქაც, ორთავეს, შუაში, დაბალი, ერთი ფიცრისაგან გათლილი სუფრა ჩაუდგეს, რომელზედაც ხის ჯამები და ვერცხლის ლანგრები დააწყეს. აქაც, ხაქაურები, ქუინტი ყველი და შემწვარი წიწილები მოიტანეს.

— ამ დილას, ეს იყოს, და დღეს ირმის მწვადებით გაგიმასპინძლები.

მოვასწროთ, თორემ ხვალიდან მარხვა იწყება და წენი მტერიც აღდგომამდე სახსნილოს არ მოგვაკარებენ. — შინაურული ხუმრობით უთხრა პაპუნამ ბესიკს და მხოლოდ იმისთვის, რომ სტუმარი აეყოლიებინა, ხაქაურს მისწვდა. — აბა, მიირთვი, ჩემო სტუმარო. თქვენში მგონი შეპატიეება არ იციან.

პაპუნას მოთმინება არ ჰყოფნიდა, რადგან დაწვრილებით სურდა ქართლ-კახეთის ამბები გამოეცითხა ბესიკისათვის, გაეგო ერეკლეს სახლის საიდუმლოებანი და გულდასმით გარკვეულიყო დიდებულთა შორის გამბულ იმ იდუმალ ხლართებში, რაც მუდამ თან ახლავს სამეფო კარს. ამიტომ ისაუზმეს თუ არა, პაპუნამ უბრძანა ფარეშს, რომ მათთან არაეინ შეეშვათ და მწუხრამდე არ შეუწყვეტია ბაასი სტუმართან. ისინი ხან ბუხართან ისხდნენ, ხან კი აივანზე, რადგან საოცრად თბილი მზიანი დღე იყო და აივანიც მზისგულზე გამოდიოდა. აქედან მოჩანდა, თოვლით დაფარული ბენიე-გორისის დაღარული ზეგანი, აბღუშელიშვილთა სამოსახლოსთან ამართული ციხე-კოშკი, ქორეთისა და უდერძის საყდრები და აქაიქ მიმოფანტული სახლები. აქედანვე მოჩანდა სახლთუხუცესის მთელი ეზომი დამო და ამ ეზოზე მოკრული პატარა დაბა, წიწილებივით ერთად შეყუჟული ქოხმახებით, სამჭედლო ფარდულეებით, სავაკრო დუქნებით და ქულბაქებით. თვით სახლთუხუცესის ეზომი დამოც თავისებურ ქალაქს წარმოადგენდა და ამ დილსა და თაღებიან აივნებით შემკულ სასახლეს გარშემო შემოხვევოდნენ ბელელ-ზულეები, სამოახლო და საფარეშო შენობები. საბაზიერო და სამეძებრო ფაცებები, საქონლის თავლები და საჯინბოებები, საღორეები, საქათმეები, საბატენი და საიხვენი, ცხვრის ფარეხები, და ყოველივე ამას ერთი მთლიანი ტყრუშული ჰქონდა შემოვლებული.

ამ სანახაობამ უნებურად მიიქცია ბესიკის ყურადღება. ქართლკახეთში ერთ ეზოგარშემოში ამდენი ნაგებობა იშვიათი იყო. თავადთა ქეთიკირით ნაგებ, თუნდაც გაღავნიტ შემოზღუდულ, სასახლეებთან ძნელად თუ მოკრავდა კაცი თვალს ან ბედლებს, ან თავლებს, ან კიდევ საჯინიბოებს. პურს ორმოცეშში ინახავდნენ, თავლებისა და საჯინიბოების ნაცვლად მიწურები ჰქონდათ გაკრილი, გლეხობა ხომ მთლიანად მიწურებში ცხოვრობდა.

საუბრის დროს ბესიკი ხშირად უზიარებდა მასპინძელს თავის შთაბეჭდილებებს და ეკითხებოდა იმერთა ყოფაცხოვრების თავისებურებათა შესახებ. პაპუნას კი უფრო ქართლ-კახეთის ამბები სურდა გაეგო, ბესიკის კითხვებზე გაკვირით იძლეოდა პასუხს და კვლავ ერეკლეს კარის ამბებს უბრუნდებოდა. დაწვრილებით ამბობინა, თუ როგორი იყო ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა განწყობილება, როგორ იმგზავრა ირანსა და რუსეთში და განსაკუთრებით ალექსანდრე ბაქარის-ძის შესახებ გამოჰკითხა ყოველი წერილმანი.

ალბათ, გათენებამდე ვერც კი შოთავებდნენ საუბარს, მაგრამ საღამოეამს, როდესაც მზე ჩაიწვერა და ისინი ისევ ბუხარს დაუბრუნდნენ, ოსტატებმა ბესიკს ახლად შეკერილი ტანსაცმელი მოართვეს, თანაც სტუმრებმაც დაიწყეს თავმოყრა და ბესიკი მაშინვე გაემართა თავის ოთახისაკენ, რომ ახალი ტანისამოსი ჩაეცვა.

როდესაც ბესიკი დარბაზში გავიდა, იქ უკვე სანადიმო სუფრა გაეშალათ და სტუმრები დასხდომას აპირებდნენ. ბესიკს ეუხერხულებოდა ახალი, და თანაც თავისებური, ტანსაცმელი, ამას ზედ დაერთო სტუმართა ცნობისმოყვარე კირკიტი, და ამიტომ, ოდნავდაბნეული შეჩერდა დარბაზში. პაპუნამ წარუდგო-

ნა სტუმრადმოსულ ნათესავენს ქართლიდან გადმოხვეწილი მგოსანი, ქალეზიცი და კაცებიც ერთნაირი თავდახრით მიესალმენ ბესიკს, რომელმაც ცნობისმოყვარეობით შეათვალღერა იმერთა მაღალი წოდების ქალთა და კაცთა მარაქა.

ქალები გარეგნობით დიდად არ განსხვავდებოდნენ ქართულ ან კახელ ქალთაგან. უფრო თეთრნი იყვნენ, თუმცა მათ სითეთრეს, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ქალებს, ხელს უწყობდა უხედაწმამელი უმარული. უმრავლესობას თმა წერილ ნაწნავებად ჰქონდა დაწნული, რომლებიც კოჭებამდე სწვდებოდათ. ზოგიერთებს შუბლზე აღმასისთვლიანი ჯიღები ან შუბლის ქინძისთავეები დაემთავრებინათ, ხოლო ყელზე მარგალიტის ფარულეები ან ოქროს ძეწკებზე დაკიდული ძვირფასი ქვებით მოოქვილი ჯვრები ეკიდათ.

მამაკაცები უფრო ლამაზნი იყვნენ. ახოვანნი, მხარბეჭიანნი და ტანწერიწენი. უმეტესობა წვერგაბარსული იყო და მხოლოდ რამდენიმე მოხუცს ამშვენებდა მკერდზე გადაფენილი თეთრი წვერი. თმა თითქმის ყველას ერთნაირად გაჩეჩილი ჰქონდა და ბუნჯივით აღვათ თავზე. ფაფანაკი ზოგს თმებზე ჰქონდა შემოდებული, ზოგს კი მხარზე.

აქაც ისევე, როგორც ერეკლეს კარზე, მამაკაცები კედლის გასწვრივ დასხდნენ, ხოლო ქალები მათ პირდაპირ გამწვრივდნენ. სუფრის ბოლოში, ოდნავ განცალკევებით, პატარა მაგიდას უსხდნენ მოსაკრავენი და მომღერალნი. ბესიკმა უნებურად მიაქცია ყურადღება მათ შორის ერთ თეთრწვერა უსინათლო მოხუცებულს. ის თავის განიერი მხრებით და ლამაზი სახით საოცრად ირჩეოდა დანარჩენთაგან.

დარბაზი გაჩირადნებული იყო კელაბტრებში ჩადგმულ მსხვილი სანთლებით. მღვდელმა აკურთხა თუ არა

სუფრა, ყველანი უხმოდ შეუდგნენ სერობას. ფარეშებს შემოჰქონდათ თავდადებული ვერცხლის ლანგრები, რომელზედაც ეწყო, ასოასოდ აქნილი შემწვარი წიწილები, მოხარული ხორცი, სხვადასხვა სანელებელით შემზადებული შიგნეული, ამას მალე მოაყოლეს საცივი, შემდეგ შემწვარი გოჭები და ბოლოს ირმის მწვადები. მერიქიფენი წამაღწუმ ავსებდნენ სხვადასხვა სასამოებს, კულებს, აზარფეშებს, ყანწებს, კინკილებს, სარიოშებს და რიგრიგობით აწვდიდნენ სტუმრებს.

შუამამში არც იყვნენ შესულნი, რომ პაპუნამ ანიზნა მომღერლებს და იმათაც მაშინვე წამოიწყეს ჯერ მრავალქამიერ, ხოლო შემდეგ ამას მოაყოლეს რამდენიმე ძველებური სიმღერა. ყურმახვილმა ბესიკმა მაშინვე მიაქცია ყურადღება ამ მრავალხიან თავისებურ სიმღერებს, მაგრამ ყველაზე უფრო გააოცა უსინათლო მოხუცის დაბალმა ღერინმა. ვერც ერთმა მომღერალმა, ვერც კრინის, ვერც მოძახილის და ვერც ბანის მოქმელმა ვერ მოახერხა თავისი ხმით თუნდაც ოდნავ დაეფარა მოხუცის წარმტაცი, მაგრამ ამავე დროს მჭუხარე ღერინი. კაცი იფიქრებდა, ეს მოხუცი, თუ დააცადეს, თავისი სიმღერით ამ სასახლეს სახურავს ახდისო.

— აჰ! რა წარმტაცად მღერის! — მიუბრუნდა ალტაცებული ბესიკი პაპუნას. — ვინ არის იგი? მღაბიოს არა ვაგს.

— მღაბიოს? — პაპუნას თვალბმა ისე ბოროტად იელვა, რომ ბესიკს რატომღაც შიშის ერუანტელმა დაუარა. — როგორაა სახარებაში: „ხოლო რომელმა აღიმაღლოს თავი თავისი, იგი დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თავისი, იგი ამაღლდეს.“ ხადილი ხომ იცი, ყმაწვილო, რას ნიშნავს? — ჰკითხა პაპუნამ ბესიკს — თქვენში ასეთი სიტყვა არ იციან.

— ვიცი, ხადილი მასპინძლობას ნიშნავს. — უბასუხა ბესიკმა. — სულხან

საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ასე აქვს განმარტებული: ზადღლსკიმეჭრნი მასპინძლობას უწოდებენო.

— სახარებაში კიდევ ასე სწერია: „ოდეს ჰყოფდე სამხარსა გინა სერსა, ნუ ჰხადი მეგობართა შენთა... აჰამედ ოდეს ჰყოფდე შენ სამხარსა, ჰხადე გლახაკთა უმეცართა, მკელობელთა და ბრმათა“.

პაპუნამ უკანასკნელი სიტყვა განსაკუთრებულად ხმაძალდა სიტყვა და თანაც გესლიანად ჩაიციხა.

ღარბაზში მოულოდნელი სიჩუმე ჩამოვარდა და ყველა სახლთუხუცესს შეაქებრდა, ზოგი ცნობისმოყვარეობით ზოგი მლიქვნელური ღიმილით, რადგან კარგად იცოდნენ, ვის შეეხება ლაპარაკი და რა უნდა ეთქვა სახლთუხუცესს.

— წმინდა სახარების სიტყვები მიიძღულებს ფართოდ გავფლო კარი და შევირდომო უსინათლო მოხუცი, — განაგრძო პაპუნამ, — ძვირფასო სტუმარო, შენ გინდა იცოდე, ვინ არის ეს მოხუცი? ახლავე მოგახსენებ. ეს არის, ვინც საკუთარი განდიდებისათვის ებრძოდა ჩვენ დიდებულ სოლომონ მეფეს, სოლომონს, რომელიც აგერ რამდენი წელია იღწვის, რათა ფეხზე წამოაყენოს, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის მიერ, ოდესღაც აყვავებული, მაგრამ ახლა მთლად დაჩაჩანაგებული იმერთა მხარე. ეს მოხუცი გახლავთ ის, ვინც მრავალჯერ მოუქნია დანა, ზურგში ჩასაცემად, ჩვენს ქვეყანას. სოლომონ მეფემ აკრძალა ტყვის ყიდვა, ეგ კი თურქებს უთვლიდა, ჩქარა ჯარებით შემოდით, მეც დაგეხმარებით, რომ თქვენ ისევ გექნეთ საშუალება ფაშებს და ბეგებს პარამხანებში ქართველი ლაშაზი გოგოები ხოლო იანიჩართა და მამულეთა რაზმებს ვაყები მიჰგვაროთო, სოლომონი ჩვენი ციხეებიდან იქ მოკალათებულ თურქთა განდევნას ცდილობდა, ეს მოხუცი კი, თავისი ჯარით, მოლაღატე ლევან აბაშიძესთან ერთად თურქებს უღდა გვერდით და...

— როგორ? — აღმზოდა ბესიკს, — ნუთუ ეს?...

— დიახ, ეს უსინათლო მოხუცი, როსტომ რაჰის ერისთავი გახლავთ, — სთქვა პაპუნამ და შემდეგ თავი მაღლა ასწია და ბრმა მოხუცს გასძახა, — გახსოვს, ხოდაბუნში რომ მომიხტი და ადგილები დამიხანი. წინათ კახაბერს ეკუთვნოდა და ახლა ჩემიაო. ახლა მე შენს გულს ვფარცხავ...

გაისმა თავშეკავებული ხარხარი. მამაკაცები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და, სახლთუხუცესისათვის რომ ესიამოვნებინათ, ძალით იქაუბოდნენ სიცილით. სუფრის ბოლოს კუწუწა აბამიძეს შელიასავით ამოეყო თავი და ისე უცნაურად კრეკდა კბილებს, კაცი იფიქრებდა, ორივე ფეხით მახეში გაბმულა და ახლა ქვეყნის მოსატყუებლად იციხისო.

მარტო ბესიკი არ იცინოდა. ნაღვლიანი და წარბებშეკრული გასცქეროდა დაბეჩავებულ მოხუცს, რომელსაც ოდნავ დაეხარა თავი და სდუმდა.

როდესაც სიცილი ოდნავ მინელდა, როსტომმა ნელა ასწია თავი და ხვერდივით მომხიბლავი ხმით მიმართა სახლთუხუცესს:

— მე უკვე მომეგო მოსაგებელი, წერეთელი. წინათ თვალხილული ვიყავ, მაგრამ ბრმა, ვერაფერს ვხედავდი. ახლა კი ბრმა ვარ, მაგრამ ყველაფერს ვხედავ. ახლა გავახილე გონების თვალი, ჩავიხიდე გულში და დავეინახე, რომ თურმე ჯოჯოხეთის მსახური ვიყავ. მაგრამ მიხსნა უფალმა, მძიმე სასჯელით გამომასყიდინა ყოველივე ჩემი შეცოდებანი. დიღია ღვთის ძალა, ყოველივე მისი ნებით ხდება, სასახელოა, რომ თავი კეთილ საქმეთა მოციქულად გამოგყავს, მაგრამ ვაი თუ, ვითარცა ფარისეველთ სწევით, შენცა და სოლომონიც, საქმეთა მათთაებრ იქმთ. რაკი სახარება გცოდნია, ესეც გემახსოვრება: „იმარხეთ და ჰყავით, ხოლო საქმეთა ფარისეველთაებრ ნუ იქმთ.

რამეთუ სთქვიან და არა ჰყვიან, რამეთუ შეკრიბან ტვირთი მძიმე და ძნელად სატვირთავი და დაჰსდვიან მხართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითაცა მათითა არა უნებნ შეპრუნან იგი. და ყოველთა საქმესა მათსა იქმან საჩუვენებლად კაცთა.“ მე მიკვირებ სოლომონის დიად საქმეთა დალატს, მართალი ხარ, ცუდს ჩავდიოდი, მაგრამ არც შენი გულწრფელობა მკერა. ახლა სოლომონის კარზე პირველი კაცი ხარ, თავს იჯერებ და ქვეყანასაც აჯერებ, ღმერთისა და ხალხის სამსახურისათვის ვიღწვიო, მაგრამ თუ ეგ შენი მდგომარეობა შეირყა და სასახლის კარზე გავლენა დაჰკარგე, მაშინვე ქვეყნის სამსახური დაგავიწყდება და ხონთქართან პირველი გაიქცევი, მიწველეო.

— მაშინ წერეთელი კი არა; ერისთავი ვიქნები.

— მეც მაგას მოგახსენებ, მაგრამ ეცადე, რომ რაც მე სასჯელი მხვდა წილად, იგივე არ მოგეზლოს.

— მაგას თავი დავანებოთ, შენ ის გვიამბე შენ და ჯადარ ჯადარიძე როგორ შეხვდით ერთმანეთს, — გაუქილიკა სიტყვა პაპუნამ და მერე უცბად ბესიკს მოუბრუნდა, — მაგას ერთი ერთგული ჯადარიძე ჰყავდა, სტაცა ხელი, რად ხარ ასე ერთგულიო, და თვალები დასთხარა. შარშან სააღდგომოდ ის ბრმა მოსულა აქ საჩხერეში და ეკლესიაში დამალულა, გაეგო, რომ თვალდათხრილი როსტომი აქ მყავდა. მიუტანია წითელი კვერცხი და მიულოცია: შენც წახდი და მეც წამახდინე, ქრისტე აღგდა გიხაროდესო.

სიცილმა ისევე იფეთქა სუფრაზე, მაგრამ ბესიკი კვლავ წარბშეკრული იჯდა და ოდნავი ღიმილითაც კი არ გაუხსნია სახე. ის ხანდახან გადახედავდა ხოლმე მასპინძელს და უნებურად გრძნობდა, რომ ბრმა მოხუცი, მისანივით რომ წინასწარმეტყველებდა, მართალი იყო პაპუნას მიმართ. სახლთუხუცესის ლამაზსა და მოზდენილ სახეში, გამოკრთო-

და, რალაც თავისებური, ბოროტი გამო-  
მეტყველება, რაც საეკვოთ ხდიდა მის  
კეთილშობილურ მისწრაფებათა სინამ-  
ღვილეს.

ბესიკი უცხად აღგა, მასპინძელისაგან  
ნებართვა აიღო, როსტომ ერისთავთან  
მსურს სიმღერა რამ ვთქვაო, და სუფ-  
რის ბოლოსაკენ გაემართა.

— აბა სმენა იყოს და გაგონება. —  
დაიძახა სახლთუხუცესმა, — ამბობენ  
ჩვენს სტუმარს თვით ყაენიც კი გაუკ-  
ვირვებია თავის სიმღერით, აბა ახლა  
ენახოთ, როგორ შეუწყობს ხმას როს-  
ტომის ღვრინს.

ქრამული მიწყნარდა და დარბაზ-  
ში საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა.

ბესიკი მოუჯდა გვერდით როსტომს  
და ხმადაბლა უთხრა:

— მომინდვით კადნიერება, თქვენო  
ბრწყინვალეზავ, თუ ნებას მომცემ...

— შენ კახბატონის კარის ხუცესის  
ზაქარია მოძღვრის შვილი ყოფილ-  
ხარ, — უთხრა რუსტომმა, — მამაშენ-  
ზე გამიგია ანტონ კათალიკოსს ებრძო-  
დაო. შენზე კი ამბობენ დიდი მოღეჭ-  
სე და მომღერალიაო. აბა, შენ იცი, რაც  
გენებოს ის სიმღერა სთქვი, შვილო,  
მე ყოველ სიმღერას შევაწყობ ნემს  
ღვრინს. თუმცა ერთი ანდაზისა არ  
იყოს ბულბულმა სთქვა, ჩემისთანა სიმ-  
ღერა არავინ იცოდა, მარგამ ისეთმა  
აღალმა ჩამომიქროლა, ყველა დამაფიწყ-  
ყო. მაგრამ არა უშავს რა, იქნებ კიდევე  
მოვახერხო.

ბესიკმა ოდნავ ჩაახველა და წამოიწი-  
ყო უძველესი სიმღერა „შენ ხარ ვენა-  
ხი ახლად აღყვავებული“. მომღერლებ-  
მა სწრაფად შეუწყვეს ხმები, ასწიეს  
სიმღერა, მაგრამ ბესიკის სიმღერა  
სწრაფად ავარდა მაღლა, დაიბუბუნა  
როსტომის ღვრინმა, უცხად დაძვარა  
და მოგულდა დანარჩენთა ხმები, მაგრამ  
ბესიკის ხმა კიდევე უფრო მაღლა წავი-  
და და ეს ორი ხმა როსტომის ღვრინი და  
ბესიკის მაღალი მოძახილი, როგორც

საქიდაოდ გამოსული ტანწერწერა კა-  
ბუკი და ბუმბერაზი გოლიათი, კარგა-  
ხანს ებრძოდნენ ერთმანეთს.

ბოლოს ღვრინი თითქო დაეშვა,  
ზღვასავით კილით-კიდემდე გადაიშალა,  
ხოლო მოძახილი კიდევე უფრო წერწე-  
ტად წავიდა მაღლა და მსმენელი იფიქ-  
რებდა, რომ ის სადღაც ვარსკვლავებ-  
თან რეკავდა.

ამ სიმღერამ გასაოცარი შთაბეჭდი-  
ლება მოახდინა მსმენელებზე. მიჩუმ-  
დნენ თუ არა მომღერლები, ალტაცე-  
ბულმა სტუმრებმა ისეთი ქრამული  
ასტეხეს, რომ ყურთასმენა აღარ იყო.

ყოველი კუთხიდან ისმოდა:

— ეს რა მოვისმინე?

— ღელა, თქვენი ჰირიმეთ, თუ ვის-  
მე გასმენიათ ასეთი სიმღერა.

— იქნება სამოთხეში თუ მღერიან  
ამგვარად.

— ეს რა არის გამაგებინეთ, კიდევე  
მღერიან თუ ყურში მიწვივის ასე!

— რაფრად ასწია ხედავთ? როსტო-  
მის ხმას მოერია, ეს ვინ ყოფილა.

როსტომმა კი თავი მაღლა ასწია და  
იკითხა:

— სადა ხარ, შვილო, წახვედი თუ  
აქა ხარ?

— აქ გახლავართ, — უბასუხა ბე-  
სიკმა.

— ღმერთმა დღეგრძელი და ბედნიე-  
რი გამყოფოს, შვილო. გმადლობ, რომ  
ამ უსინათლოს, გარდა ღვთისა, ყოვე-  
ლი ადამიანისაგან მივიწყებულ მო-  
ხუცს, კიდევე განმაცდვევინე ამქვეყნიუ-  
რი ნეტარება შენის დიდებულის სიმ-  
ღერით.

ფარეშმა გავარვარებული დაირა შე-  
მოიტანა და ქალებს მიაწოდა. ცოტა-  
ხნის ერთმანეთშორის ხვეწნა უარის  
ნემდევ, ვილაც სარივით ხმელმა ქალმა  
შოკიდა დაირას ხელი და საცეკვაო  
დაუკრა. მამაკაცების მხრიდან კი ერთ-  
მა კრახანასავით ვიწრო წელანმა  
ახალგაზრდამ მსუბუქად დაჰკრა ფეხი



მაგიდის შუაგულს, გადახტა დარბაზში და გაშალა ხელი საცეკვაოდ.

ნაღიმი გათენებამდე გაგრძელდა.



— არბ ღღის შემდეგ, როდესაც თოვლი თითქმის აიღო, პაპუნა ბესიკთან ერთად ქუთაისს გაემგზავრა. გათენებული არც კი იყო, რომ გზას გაუღდნენ. მდინარე ყვირილის პირით მიდიოდნენ და გასცდნენ თუ არა სახეგრეს, მაშინვე საოცარ კლდოვან დერეფანში შევიდნენ. მდინარის გაღმა-გამოღმით, ჭრიალო კლდეებში აუარება გამოქვაბულები მოსჩანდა. გამოქვაბულები უმეტესად დაკიდულ კლდეთა შუაგულს იყვნენ და მათ გასწვრივ მოსჩანდა ძელქვის ხის აივნების ნარჩენები. ზოგან გამოქვაბულებში კედლები ამოეშენებინათ, რომლის შუაგულს ხის ჩარჩოიანი ოთხკუთხა ხერელი იყო დატოვებული. ეს ხერელი, ცხადია, კარის მოვალეობასაც ასრულებდა და ფანჯრისაც. კლდეებს ძირი საკმაოდ ღრმად ჰქონდათ გამოფიტულ გამოქმული, ასე რომ, ვაოცებას იწვევდა, თუ როგორ მიუღდნენ უძველეს ხანაში ადამიანები ასეთ გამოქვაბულებს, ან როგორ ავიდნენ ამ ფრიალო კლდეზე, აზიდეს სამენი მასალა და ბინა მოაწყვეს.

შალე მღვიმის მონასტერი გამოჩნდა. ამ ტაძრის დანახვამ კიდევ უფრო განაცვიფრა ბესიკი. კედელივით ამართულ კლდეს, რომლის სიმძლვე ასორმოცდაათ აღლზე მეტი იქნებოდა და ძირი კი ღრმად ჰქონდა მთელ სიგრძეზე გამოფულრული, შუაგულში ისეთი დიდი გამოქვაბული ჰქონდა, რომ შიგ მთელი ტაძარი იყო შედგმული. ტაძრის გასწვრივ კი მოჩანდა შვეულ კლდეზე უკვე ადამიანის ხელით გამოკვეთილი ქვაბების მწკრივი.

— ლაერინთო! — აღმოხდა ბესიკს.

— რაო? — ვერ გაიგო სახლთუხუცესმა.

— კუნძულ კრიტას არს მთა ქვაბებიანი და მღვიმეოანი მწველან შუქსვალ ამოსავალი და ყოველთა მზგვესთა მისთა ლაერინთო ეწოდება. ქართლში ბევრია კლდეში გამოკვეთილი ქვაბები, მცხეთასთან, შიომღვიმის მონასტერთან, უფლისციხეს, ვარძიას, მაგრამ ადგილი მზგავსი ამისა, ასეთის მიუვალი ქვაბებით ჯერ არ მინახავს. თუ თქვენს ნებაც იქნება ავიდეთ მონასტერში.

პაპუნა დათანხმდა. ცხენს მათრახი გადაკრა და ვიწრო კლდოვანი ბილიკით აღმართს შეუღდა. დანარჩენებიც მიჰყვნენ. ცხენები ფრთხილად მიაბიჯებდნენ კლდოვან ფერდობზე. აქაიქ, თეძოს ძვლებივით უცნაურად გამოფიტულ ქვებში, თავი ამოეყოთ კორჩიოტას ყვავილებს.

მონასტერში ზარების რეკვა ატყდა. ალაყაფთან სახლთუხუცესს მონასტრის წინამძღვარი და მონაზონთა მთელი გუნდი შეეგება. სტუმრები ჩამოსხდნენ ცხენებიდან და სათითაოდ მიიღეს წინამძღვრის ლოცვაეურთხევა. ბესიკს მოთმინება არ ყოფნიდა და ეჩქარებოდა ამ ზღაპრული მონასტრის დათვალიერება, მაგრამ მოულოდნელად სახე დამკვნარ მონაზონთა შორის თვალი მოჰკრა ერთ ისეთ წარმტაც ახალგაზრდა ქალს, რომ აღლვებისაგან კინაღამ თვალი დაუბნელდა. მთლად შავებში მორთული ქალის სახე ახლად გაშლილი ვარდივით ღვიოდა, თვალები თითქო სხივებს აფრქვევდნენ და მარჯნისფერ ტუბებზე სიხარულის მომგვრელი ოდნავი ღიმილი კრთოდა. არასოდეს არ განუცდია ბესიკს სიცოცხლისა და სიყვარულის ასეთი ძახილი ასე ძლიერად, როგორც ამ ღვთაებრივი სილამაზით შემკული ქალის ხილვის დროს. იქნებ მთაბეჭდილებას ხელს უწყობდა და აღლიერებდა ამ ქალის მონაზონობა. შეიძლება ჩვეულებრივ გარემოცვაში, საღამე ნაღიშზე, ან ოჯახში, რომ ენახა ეს ქალი, იქნებ არც კი მიექცია მისთვის ყურადღება, მაგრამ აქ, ამ კლდეში,

შევარდენთა ბუდეებთან შეყუჟულ მონასტერში, სადაც ყოველი ქალი სა- მუდამოდ იყო მოწყვეტილი ამქვეყნიურ ცხოვრებას და მხოლოდ ლოცვა ვედ- რებისათვის იყო განწირული, ასეთი ლამაზი ქალი ერთიათად უფრო ლამა- ზად და წარმტაცად ეჩვენებოდა. ბესიკს ისეთი გულსჩქროლა აუტყდა, რომ ამის შემდეგ აღარაფერისთვის ყურად- ლება არ მიუძღევია. მთვრალივით, ლას- ლასით მიჰყვა სახლთუხუცესს. მათ გა- აარეს გალავანით შეზღუდული ეზო მო- ნაზონთა სენაკების წინ, გაძვრენ კლდე- ზე მიშენებულ თაღებიან სამრეკლოს ქვეშ და კლდეში გამოკვეთილი ვიწრო ბილიკით გავიდნენ იმ გამოქვაბულში, რომელშიაც ტაძარი იყო აგებული. ბესიკი გულისხგვრით ნატრობდა, რომ კიდევ ერთხელ მაინც მოეკრა თვალი იმ მონაზონისათვის.

დაიწყო თუ არა პარაკლისი, ბესიკმა რამდენჯერმე შეათვალიერა მონაზონთა გუნდი. ტაძარში შედარებით ბნელოდა და ღღის სინათლეს შეჩვეული თვალით ძნელი იყო მკვიდროდ შეგვეფუფულ მო- ნაზონთა შორის წარმტაცი არსების სა- ხის გარჩევა, მაგრამ დაიწყეს თუ არა გალობა, ბესიკმა სწრაფად მოიხედა და მანიწვე დაინახა მომხიბლავი ასული ტაძრის კუნძულში. ის, როგორც უმც- როსი, სულ ბოლოში იდგა და წკრიალა ხმით გალობდა. ბესიკს მოეჩვენა, რომ ქალი მისკენ იცქირებოდა, ხოლო რო- გორც კი შეამჩნია ქალმა ამ უცხო კაც- მა ჩემსკენ მოიხედაო, შემკრთალმა, მა- შინვე იბრუნა სახე და უფროსებს ამო- ეფარა. გულდაწყვეტილი ბესიკი ისევ კანკელს შეაკეერდა, აღსავსე იმედით, რომ პარაკლისის დამთავრების შემდეგ კიდევ ეღირსებოდა ამ მშვენიერის ხილვა. მოლოდინი არ გაუმართლდა. ქა- ლი საღდაც გაქრა და ბესიკი ამოოდ ცდილობდა ამდენ მონაზვნებში ერთ- ხელ მაინც მოეკრა მისთვის თვალი.

მონასტერი დატოვეს ისევ ხეობაში ჩავიდნენ და გზას გაუდგნენ. ცაზე მო-

ულოდნულად მძიმე ღრუბლები დაემვა და ახლა ეს კლდოვანი ღერქვანო- უფ- რო პირქუში და ზღაპრული კანდაქ ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ ამ ხეობას ასეთივე ჩაბნელებული პირქუში დე- რეფენები უერთდებოდნენ, ხოლო დევ- თა ღიბებივით გადმოზღვნილ ან კე- დელივით ფრიალო ჩამოთლილ კლდე- ებზე კვლავ მოჩანდა ადამიანის ხელით გამოკვეთილი ქვაბები.

ცხენოსნები ხან წყვილწყვილად მი- დიოდნენ, ხან კვალში მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. ფიქრებში წასულ ბესიკს საღუნა წამოეწია და სხვებს რომ არ გაეგონათ, დაბალი ხმით ჩაულაპარაკა: — რავე მოგწონთ აქაურობა, ბატო- ნო. ჰო, რა ლამაზი გოგოა იმ მონას- ტერში, თუ მოკარით თვალი!

— როგორ არა. მე ისეთი მომხიბ- ლავი არავინ მინახავს, — უპასუხა უზომოდ ვახარებულმა ბესიკმა იმით, რომ საშუალება ეძლეოდა ამ ქალის ვი- ნაობა გაეგო.

— შეგატყვეთ, ბატონო, თვალი მოგ- ტაცათ. ეგპ, რა არის ადამიანის ბედი, — ამოიოხრა საღუნამ და ცხენის საღავე მოზიდა, რომ ბესიკი ოდნავ წინ გაეშ- ვა. მხარდამხარ მას მარტო თავის ტოლ- თან შეეძლო ევლო.

— ვინ არის ეგ ქალი? — ჰკითხა ბე- სიკმა.

— ეპ, ვინაა, ბატონო, და ბუშია მაგ უბედური. რა საოცრადაა მოწყობილი ეს ჩვენი ქვეყანა, — გაცხარდა უცბად საღუნა, — ვითამ ყოველი ადამიანი ღვთის ნებით არაა გაჩენილი? რა დაა- შავა ახლა მაგ უბედურმა. ყაფლან ბაქრაძემ ქვრივი შეაქდინა და ეგ ბავ- ში გააჩინა ქვეყნად, რა მოხდა მერე, მაგისი რა ბრალია? ადამიანი არ არის? აქაო და ბუშიაო, მაგის გათხოვება არ შეიძლებაო.

— რისთვის? — გაოცდა ბესიკი.

— ბუშს ვინ შეუშვებს ოჯახში, შე- ნი ქირიმე. არა და, მაგაზე უმშვენიერე- სი ქალის მნახველი არა ვარ. უნდა დაქ-

კნეს ეგ უბედური აგრე მონასტერში. ცოდვა არ არის? თავისი მშობლების ცოდვა მაგან უნდა იწინიოს? მერე, მგონია, თვალში მოხვდი, ბატონო. ის უბედური სულ უენ გიციქროდა. პარაკლისი რომ გათავდა, პირველი გაეარდა ტაძრიდან, ალბათ ეშინოდა, არავინ შემამჩნიოს რამეო. მერე ეზოზე რომ

გავიარეთ, სამრეკლოს სენაკის სარკმლიდან ფარულად იჭყიტემოდანდა პირდაპირ თვალებით გკამდა. მაგ უბედურს ეგლა ეჭირებოდა? თქვენისთანა დიდკაცს კი არა, ჩემისთანას არავინ აღირსებს მაგ საბრალოს და რისი იმედით ვარდება ამ ცეცხლში.

(გაგრძელება იქნება)

კოპირ ვახში

## თავისუფლების გზა

თავი მთავრად \*

როგორ იმოგზაურა უორითს ბიდიონ ჯეკსონმა და როგორ მოა-  
რიბა საჭმე ისა, რომ არჩივანი მისი იყო.

კოლამბიის „პირველი ნაციონალური  
ბანკის“ ქიეპრეზიდენტმა კარლ რო-  
ბინსმა თავი გაიჭნია და გიდიონს უთხრა,  
არა, არ მაინტერესებსო, ხელს არ მოგვე-  
ცემსო, სრულებით არ მაინტერესებსო,  
და თანაც ოდნავ გაიღიმა, რომ თავისი  
სკეპტიციზმი დაედასტურებინა. იგი  
მოთმინებით უხსნიდა გიდიონს:

„იცი თუ რა, ჯეკსონ, საქმე ასე უბრა-  
ლოდ არ კეთდება. ქაოსი გვექნებოდა,  
ასე უბრალოდ რომ ვწყვეტდეთ ყველა-  
ფერს. ჩემთან მოდიხარო ათასი დოლა-  
რით და მეუბნებით, რომ თქვენ ხართ  
ვიღაც ზანგებისა და თეთრი ნაძირაღე-  
ბის ჭრელი ბრბოს წარმომადგენელი,  
კარუელის მიწაზე უკანონოდ მოკლა-  
თებული ზიზნების წარმომადგენელი,  
და წინადადებას მაძლევთ, რომ ბანკი-  
დან სესხი მოგცეთ საჯარო ვაჭრობაზე  
მიწის შესაძენად. ეს სრულიად ფანტას-  
ტიკური რამაა“.

„უბრალო სესხი კი არა, — შეედავა  
გიდიონი, — ნასესხები ფული საგირაო  
თანხა იქნება“.

„დაიცადეთ, ჯეკსონ, — გააწყვეტინა  
სიტყვა რობინსმა, — საღად განსაჯეთ  
თქვენ თვითონ. აბლა ცუდი დროა, ძნე-  
ლად თუ ვინმე გაბედავს საერთოდ გი-  
როს აღებას, მით უმეტეს ისეთ მამულ-  
ზე, რომელიც არ არსებობს, აბა ორი-

ოდე მაწანწალა ზანგი რა გარანტიას უნ-  
და წარმოადგენდეს?“

„გთხოვთ, ბატონო, მისტერ რობინს,  
შევედრა გიდიონი, — ჩვენ მაწანწალე-  
ბი როდი ვართ; მთელი ჩვენი სიცოცხ-  
ლე იმ მიწაზე ვცხოვრობთ, იმ მიწას  
ვაშუშავებთ, სამჯერ საკუთარი მოსავა-  
ლი ავიღეთ. რომ მოხვიდოდეთ და საკუ-  
თარი თვალით ნახავდეთ კარუელის მი-  
დამოს, დარწმუნებული ვარ, აზრს გა-  
მოიცვლიდით“.

„ზანგებისაგან ჭკუის სწავლებას ჩვე-  
ული არ ვარ“, — მიუგო რობინსმა.

„მისტერ რობინს, ბატონო, ამიტომ  
არ მითქვამს. ნამდვილს მოგახსენებთ,  
მერწმუნეთ, ბატონო! ჩვენ პატიოსანი  
ხალხი ვართ, ჩვენი ერთადერთი იმედი  
ორიოდე აკრი მიწაა“.

„სრულიადაც ვერ ვხედავ ამ პატიოს-  
ნებას, — მოთმინების ფილა აევსო მის-  
ტერ რობინსს. მან საათს დახედა და თა-  
ვი დაუქნია მცველს, რომელიც ცოტა  
მოშორებით იდგა ტიხრის უკან. — „თუ  
კეთილსინდისიერებასა და მუშაობის  
სურვილს გამოიჩენთ, ვინც არ უნდა  
იყიდოს ის მიწა, ყველას იქვე დაგტო-  
ვებთ და სამუშაოს მოგცემთ. მართალი  
თუ გინდათ იცოდეთ, მე არ მომწონს ის  
იდეა, რომ ზანგებს საკუთარი მიწა ჰქონ-  
დეთ; ეს მათ გააფუჭებს მხოლოდ. უკაც-  
რავად, ჯეკსონ, მაგრამ საქმეები

\* გაგრძელება. „მნათობი“, № 1.

მაქვს". — და ამ მომენტში მცველიც მოვიდა, გიდიონს ხელი მოჰკიდა მკლავში და გარეთ გაიყვანა.

რეიჩელი გიდიონს ანუგეშებდა: „ყველაფერი კარგად იქნება, გიდიონ, დაიმახსოვრე ჭეშმის სიტყვა; ნახავ, თუ საქმე კარგად არ დამთავრდეს“. გიდიონს სადღაც, გონების კუნძულში ესმოდა ცოლის სიტყვები და ამავე დროს ფიქრობდა: რამდენია, ნეტავ, ზანგებში კიდევ ისეთი, რომლებიც ასევე ფიქრობენ, როგორც ეს — მხოლოდ დღევანდელ დღეზე, და ზვალინდელზე კი არასოდეს არ ზრუნავენ! აგერ გიდიონი უბადრუკი, ზეჩავი დაბრუნდა კარუელს, რეიჩელს კი უხარია, რაკი ქმარი შინა ჰყავს.

„რატო ფიქრობ, გიდიონ?“ — იკითხა რეიჩელმა. ჯენი მამას მკლავებზე აუცოცდა. მარკუსი ბუხართან იწვა. რეიჩელმა ახლა ვოგონას მიმართა: „შენი დაწოლის დროა, ჯენი“.

„ახლა რალაზე ვიამბო, მტრედო?“ — ჰკითხა გიდიონმა ჯენის.

„მელაკულაზე“.

„მელაკულაზე! რაც ვიცოდი, ყველაფერი ვიამბე უკვე, ჩემმა მშემე“, — სთქვა გიდიონმა.

„რატომ არასოდეს არ შეხვედრია მელაკულა ჯავშანა კუს?“ — არ ეშვებოდა ჯენი მამას.

„ვინა სთქვა, არ შეხვედრიაო?“ — დაიწყო გიდიონმა, — „მელაკულა ძალიან გამპრიახი, ყველაზე უფრო გამპრიახია ფიქვენარში. ამიტომაც იგი არად ავდებს ჯავშანა კუს. ჩვენს კუს ისეთი სქელი ჯავშანი აცვია, რომ არავის არ ჰგონია, თუ იგი გამპრიახია“.

კარებზე მოაკაყუნეს და რეიჩელმა ჯემს ალენბი შემოიწვია შინ. ალენბი დაჯდა და ჩუმად იყო, სანამ გიდიონი ზღაპარს დაამთავრებდა. ზღაპრის დასასრულს კი გიდიონი ყოველთვის იმ წუთისათვის შემოინახავდა, როცა ჯენი ჩაიძინებდა. ალენბიმ ჯერ ამინდზე სთქვა ორიოდ სიტყვა, მერე რეიჩელი

შეაქო, კარგად გამოიყურებო, და დაბოლოს შენიშნა:

„რაც კოლამბიაში მტრედო მსოფლიო-ნელი არ იყო ჩემთვის, გიდიონ!“

„მეც ასე მგონია“.

„რას ფიქრობ, როგორ უნდა მოიქცე ახლა?“

„ალბათ, ჩარლსტონს წავალ“.

„უკეთესად არც იქ შეგხვდებიან“.

„მაშინ წავალ ბოსტონს, ნიუ-იორკს, ფილადელფიას“ — მიუგო გიდიონმა.

„ქვეყნის დასასრულს“, — გაიფიქრა რეიჩელმა. ალენბიმ კი სთქვა: „ამ მიწას ხომ ივადებ ხელში, გიდიონ?“

„ივადებ“.

„მე მგონია ჩავადებ ხელში, გიდიონ“, გაიმეორა მოხუცმა. „შენ რომ ჩემს ქონში დამე გაათე, მას შემდეგ, სწორედ გითხრა, მჯერა, რომ შენ შენს გზას ბოლომდე გაჰყვები. რამ უნდა შეგაჩეროს, გიდიონ? მე მგონია, ვერაფერი ვერ შეგაჩერებს. ოღონდ ნურაფერს იზამ მარტო იმისთვის, რომ ძალა შეგწვეს. ძალა თავისთავად ფუქია. შინ დაბრუნებას ნუ მოიშლი“.

„რისი თქმა გინდა ამით?“

ალენბიმ მხრები აიჩეჩა და გაიღიმა. „მე ერთი ყბედი მოხუცი ვარ, გიდიონ, და, შეიძლება, ზედმეტსაც ვყბედლობ... თუ ზემოთ წახვალ, ჩრდილოეთში და იანკებს ნახავ, ერთი რამ არ დაგავიწყდება: ისინი ყველანი ერთი ცომიდან გაკეთებული როდი არიან. ზოგ მათგანს შავი კაცი უფრო სძულს, ვიდრე რომელიმე სამხრეთელს; ასეთებისთვის ჩვენ ვართ უცხონი, უცნაური შეკვანიანი არსებანი. იმ სამხრეთელებისათვისაც კი, რომელთაც ვძულვართ, ჩვენ უცხონი არა ვართ; მათთვის ჩვენ ამ მხარის ისეთსავე განუყოფელ ნაწილს წარმოვადგენთ, როგორც ფიქვენარები, პამბა და თამბაქოა. შენ ისეთ იანკებსაც შეხვდები, — მართალია ცოტას, — რომლებიც რალაე საოცრად, უცნაურად არიან გარდაქმნილი; ისინი შენთან ერთად მოუსხდებიან სუფრას, ხელს ჩამოგართმე-

ვენ და შენი კანის ფერს მნიშვნელობა აღარ ექნება. ასეთ ზალს ენდ, გიდიონ, გულიც გაუღე. ორი თაობის მანძილზე ისინი ჩვენი განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ, რადგან მათ სწადლათ აღამიანთა ძმობა; ყურს ნუ ათხოვებ ტყუილებს, რომლებსაც მათ შესახებ გაიგონებ“.

გიდიონმა თავი დაუქნია. მოხუცი დაიხარა, გიდიონს მუხლზე დაადო ხელი და სთქვა: „ზედმეტად ნუ იამაყებ, გიდიონ; თუ რამე შემოგაძლიონ, აილე. ქვეყანაზე რომ არ იყვენ ისეთები, რომლებიც იღებენ, და ისეთები, რომლებიც იძლევიან, ჩვენ ახლა ველურებოვით ვიქნებოდით. შენ უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისათვის მიდიხარ, მაგრამ თუ სადმე წააწყდ წიგნებს, ცოტა ქაღალდს, გრიფელის დაფებსა და ცარცს — ჩვენ ყველაფერი ეს ძალიან გვიკირდება, გიდიონ“.

„კარგი, დავიმახსოვრებ“, — სთქვა გიდიონმა.



მისცა, მაგრამ მათი კითხვისას გიდიონი დაიბნა, შეწუხდა: „არც ერთი არაა ცოცხალი“, — დაასვენა მან. „ნამაგიეროდ ემერსონით იგი უფრო ბედნიერი იყო და აღენბი ამის გამო უთხრა: „კარგი იქნება მას რომ შეხვდებოდე, გიდიონ“.



შემოდგომა ახალდამდგარი იყო, როცა გიდიონი ჩარლსტონს ჩავიდა და კვლავ კარტერგბთან გამოცხადდა. კარტერგბმა იგი დიდი სიხარულით მიიღეს. მერმე გიდიონი ფრენსის კარლოზოს მიადგა. კარლოზომ რაღაც უცნაური ღიმილით ჩამოართვა მას ხელი და უთხრა: „მაშ, ასე, თქვენ კვლავ აქა ხართ, გიდიონ“.

„ოდნავ უფრო ხნიერი და ოდნავ უფრო გამოცდილი“.

„ისიცა და ისიც ცოტა“, — დაეთანხმა გიდიონი. იგი გაშეშებული იჯდა კარლოზოს სასტუმრო ოთახში და ხელები მუხლებს შუა ჩაეწყო; წინ ღვინით სავსე ჭიქა ედგა და რამდენიმე ტბილი ნამცხვარი ეწყო. ოთახი მას ახლა უფრო პატარად ეჩვენებოდა, ვიდრე ახსოვდა; ასევე პატარად მოეჩვენა მას თვით კარლოზოც. გიდიონი ფრთხილი სიღინჯით ლაპარაკობდა; კარლოზო არაფერს ამბობდა, სანამ გიდიონმა კოლაშვიის ბანკირის შესახებ არ ჩამოაგდო საუბარი.

„გაგიკვირდათ მერე ეს ამბავი, გიდიონ?“

„არა, ძალიან არ გამკვირებია. დაახლოებით მოველოდი კიდევ“.

„ალბათ, — შენიშნა კარლოზომ, — იგივე ამბავი მოხდება აქაც. იცით რა, გიდიონ, მისი საზომით რომ მივედგეთ, რობინსი არც თუ ისე უსამართლოდ მოგვეკათ. რა შეგიძლიათ თქვენ შესთავაზოთ მას? ორიოდ დოლარი ნაღდი ფული, პატიოსანი სიტყვა, სავარაუდო მხარის დაქვერა რამდენიმე ლატაკი ზანვისა და თეთრი კომლისაგან და მერტის-

<sup>1</sup> უილიამ ბლესტონი — 1723 — 1780 წ. ინგლისელი იურისტი.

<sup>2</sup> თომას პეინი — 1737 — 1809 ამერიკის რევოლუციის მოღვაწე

მეტად ბუნდოვანი მომავალი, რომელიც უფრო თქვენს ოცნებაში არსებობს“.

„მომავალი ყოველთვის ოცნებაშია“, შენიშნა გიდიონმა.

„ასეა თუ ისე, დიახ, გეთანხმებით. მაგრამ ნუთუ ვერ ხედავთ, გიდიონ, რომ ეს მიწის პრობლემა ყველგან დგას, მთელს სამხრეთში, რომ ეს ერთადერთი დიდი პრობლემაა, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი მომავალი. როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა? გასული წლის მარტში თედეს სტივენსმა კონგრესს წარუდგინა თავისი კანონპროექტი მიწის განაწილების შესახებ. როგორი იყო მისი წინადადება? იგი მოითხოვდა შეამზოხეთათვის დიდი პლანტაციების ჩამორთმევას, მათს დანაწილებას და თვითელი თავისუფალი მიწათმოქმედისათვის ორმოცდაათი დოლარისა და ორმოცი აკრი მიწის გადაცემას სამოსახლოდ. დაიცადეთ ერთი წუთით, მე მინდა ზუსტად წაგიკითხოთ, რა სთქვა თვითონ სტივენსმა ამის შესახებ“. კარლოზო საწერ მაგიდასთან მივიდა, რაღაც ქაღალდები გადაქექა, მობრუნდა და წაიკითხა:

„ეს გეგმა უეპველად გამოიწვევს სამხრეთის სისტემისა და ადამ-წესების რადიკალურ გარდაქმნას. მისი მიზანია გადატრიალება მოახდინოს სამხრეთის მოსახლეობის შესრულებებსა და განწყობილებებში. ამან, შესაძლოა, შეაშინოს გონებაჩლუნგი ადამიანები და შეაფოთოს სუსტერეგებიანი ხალხი. ასე მოქმედებს ხოლმე პოლიტიკური ზნეობრივი ხასიათის ყოველი დიდი პროგრესული ცვლილება. სამხრეთის შტატები ყოველთვის დესპოტიზმისა და არა სახალხო მმართველობის განსახიერება იყო. ნამდვილი უფლებრივი თანასწორობის არსებობა შეუძლებელია იქ, სადაც მთელი მიწა რამდენიმე ათასი კაცის საკუთრებაა. როგორ იარსებებენ რესპუბლიკური დაწესებულებანი, თავისუფალი სკოლები, თავისუფალი ეკლესიები, თავისუფალი საზოგადოებრივი

ურთიერთობა ისეთ საზოგადოებაში, რომელიც მდიდრებისა და უმცირესობის რევს, ერთის მხრით ოციათასაკრიანი მამულებისა და მეფური სასახლეების მფლობელთა და მეორე მხრით პატარა ქოხების მოზინადრეთა ნარევს წარმოადგენს?“.

კარლოზო ახლა გიდიონს მიუახლოვდა და ხელები გაშალა: „კარგი, ესეც ასე. სტივენსის სიტყვით, ჩვენ ჩვენი კონვენტითა და ახალი კონსტიტუციით წინააღმდეგობაში მოექცევით, რადგან, რის მაქნისია ჩვენი ლამაზი იდეები, თუ თავისუფალი საფუძველი არ იქნება? ასეთი საფუძველი კი უნდა იყოს მიწის მესაკუთრე თავისუფალი ფერმერები, უმიწაწყო ყმებისა და მოჯამაგირეების ნაცვლად“.

„თქვენი წინადადება როგორილია?“ — შეეკითხა კარლოზოს გიდიონი. — მე რამდენიმე მათგანისათვის მაინც მაქვს გეგმა, პრაქტიკული გეგმა, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია“.

„ჩემი გეგმა კი თორმეტი მილიონისთვისაა“, — გაიღმა კარლოზომ. მან ხელები უკან დაიწყო და ისე მიაწვა სავარძლის ზურგს. — „გასულ თვეში თედეს სტივენსის სახით ჩვენ დიდი და შესანიშნავი მებრძოლი მეგობარი დაეკარგეთ. მაგრამ მან გზა გვიჩვენა გზა — განუშარტოთ ხალხს მდგომარეობა, უზრუნველვეყოთ მისი საარჩევნო ხმის უფლება, შევიტანოთ მასში განათლება, პატიოსანი წარმომადგენლები მიეცეთ მას და მერე ლეგარული საშუალებებით ვიბრძოლოთ ჩვენი შტატის საკანონმდებლო ორგანოებსა და კონგრესში მიწის საყოველთაო კანონიერი განაწილებისათვის“.

„ამასობაში კი ხალხი უნდა იტანჯებოდეს,“ — სთქვა გიდიონმა.

„მართალია, ხალხი დაიტანჯება და ჩვენ უნდა შევეუშუბუქოთ მას ეს ტანჯვა, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, მაგრამ საერთო მდგომარეობასთან შე-

დარებით ჩვენ ბევრის გაკეთებას ვერ შევძლებთ“.

„ასეა თუ ისე, — სთქვა გიდიონმა, — მიწის ყიდვა გადაწყვეტილი მაქვს. თუ აქ ვერ ვიშოვნე ფული, ბოსტონში ან ნიუ-იორკში მოვახერხებ რამეს“.

სკამის ზურგზე მიყრდნობილი კარდოზო ცოტა ხანს მდუმარედ მისჩერებოდა გიდიონს, მერე დაჯდა და სთქვა: „მოდი, ასე მოკრივდეთ, გიდიონ. მე ვიცნობ ისააკ უენტს, ბოსტონელ ბანკირს. იგი ძველი ებოლიციონისტია და ისეთი კაცია, რომ ყოველ დოლარს არ მისტირის. წერილს გაგატანთ მასთან, გფიქრობ, რომ ამ წერილს საკმაო წონა ექნება მის თვალში. ფრედერიკ დუგლასთანაც გაგატანთ წერილს, შესაძლებელია იგი დაგეხმაროს ამ საქმეში, თუ სხვაგან არაფერი გამოვიდა. სამაგიეროდ, უნდა აღმითქვათ, რომ მომავალ არჩევნებში შტატის საკანონმდებლო ორგანოს დებუტატობის კანდიდატი იქნებით“.

„ხვალ რომ ვითხრათ პასუხი?“ — იკითხა გიდიონმა.

„კეთილი. მოდით ხვალ სადილად!“.

მეორე დღეს გიდიონმა ჩარლსტონის ზანკირები მოინახულა. ერთი მათგანი პოლკოვნიკი ფერტონი იყო, რომელსაც გიდიონი სტივენ პოლმისის სადილზე შეხვდა. როცა კვლავ კარდოზოსთან მოვიდა, გიდიონი უკვე მოელოდა მის შეკითხვას:

„როგორაა საქმე?“

„როგორც თქვენ მოელოდით“, — ოდნავი ღიმილით მიუგო გიდიონმა.

„იმედია, მხიარული ზანგის რეპუტაცია მაინც არ შეგილახავთ? იგი ბედნიერია სიმდიდრეშიაც და სიღარიბეშიაც.“

„ასეცაა, — უხალისოდ სთქვა გიდიონმა, — თავს უბედურად არა ვგრძნობ“.

„კანდიდატობაზე რას იტყვით?“.

„თუ კი ვინმეს ვუნდოვარ, — დაყაბულდა გიდიონი, — უარს არ ვიტყვი. ვეცდები აღარ ვავიხსენო — ვინ ვიყავი ერთი წლის ან ხუთი წლის წინათ“. და

მერმე დაურთო: „ის, რაც კანონებისა და კანონმდებლობის შესახებ წაგიკითხე, მაფიქრებინებს, რომ მათზე ბევრად უფრო ცუდის დაწერა მგონი ვერც კი შევძლო“.

„მოხარული ვარ, გიდიონ!“ — სთქვა კარდოზომ.

„მე კი არა. ხომ ხედავთ, მე ვერც კიდევ გამოყრუებული ზანგივით ვლაპარაკობ. თუ შესაძლებელია, კარგი იქნებოდა მალე წაესულიყავი ჩრდილოეთისაკენ, თუნდაც ხვალვე“.

„რატომაც არა, ხვალვე გაემგზავრეთ“.

მატარებელი რომელსაც გიდიონ ვეკსონი ღამით ვაშინგტონიდან ჩრდილოეთისაკენ მიჰყავდა, ვრიალით შეიჭრა ახალ ქვეყანაში ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ყველაფერი, რაც მან აქამდე თავისი ოცდაჩვიდმეტი წლის ცხოვრების მანძილზე გადაიტანა — ქარიშხალს და მიწისძვრები, — მოხდა მისთვის ცნობილ ქვეყანაში სამხრეთის მიწაზე, რომელმაც იგი შობა, ძუძუ აწოვა და გამოზარდა, რომელიც მას სცემდა, სტანჯავდა და აწამებდა, და მაინც აქამდე ეს მიწა მისთვის ერთადერთი იყო; იგი იცნობდა მას, გამოფიტულს, ბნელსა და უმეცარს, იცნობდა მის გვერანებულ ნიადაგს და ტიალ ცხოვრებას, იცნობდა დიდ ფეოდალურ სახლებს, რომლებიც მრისხანედ დაჰყურებდნენ თეთრი მოჯამაგირეებისა და შავი მონების ქვედა სამყაროს. და ისე კარგად იცნობდა, რომ სამხრეთის რომელ კუთხეშიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ყველგან ერთსადაიმავე სითბოს, რაღაც შინაურულს გრძნობდა. ამ ახალ ქვეყანაში კი ყველაფერი სხვანაირი იყო. ვაშინგტონი, უზარმაზარი თეთრი სასახლეებისა და ტალახიანი ქუჩების ქალაქი, ისეთი რამ იყო, რომლის მსგავსიც კი არა-



სოდეს ენახა გიდიონს. ახლა იგი რკინი-  
გზის ვაგონში იჯდა თეთრ ადამიანებს  
შორის; ისინი გაზეთებს კითხულობ-  
დნენ, ურთიერთშორის მასლაათობდნენ  
და არცერთი არ იყო წინააღმდეგი, არც-  
ერთი არაფრად არ აგდებდა იმ ამბავს,  
რომ მათ შორის შავი კაცი იმყოფებოდა.  
შემოდგომა ახალდამდგარი იყო, აქ კი  
უკვე ცივოდა. გიდიონს ესმოდა მკვეთ-  
რად, აჩქარებით წარმოთქმული ნაწყ-  
ვეტ-ნაწყვეტი ფრაზები:

„გრანტი? გენერალია და არა სახელმ-  
წიფო მოღვაწე!“

„მერე და რაა ცუდი, მისტერ, იმამი,  
რომ გენერალი იყოს პრეზიდენტი.“

„არ მომწონს.“

„ოპონ იქნებ ისევ თქვენ ჯონსონი  
გინდათ?“

„ჩემს მაგიერ ნუ ლაპარაკობთ, მის-  
ტერ, ჩემი აზრი მე თვითონ ვიცი.“

„რადაც არა სჩანს.“

„ზორბალი, ზორბალი ხომ სამოცდა-  
ორი ცენტია!“

„ეს თქვენი პერალდია, მისტერ? შე-  
იძლება წავიკითხო?“

„მე ჩიკაგოში ორი ჟაჟი მყავს. ორი-  
ვეს ძალიან კარგად აქვს საქმე.“

მეორე დღეს თვალწინ გავეჭიროლა  
ჯერზის დაბლობებში, შემდეგ უშნოდ  
გაქიმულმა ულაზათო ქალაქმა ნიუ-ორკ-  
მა და ბოლოს უკანასკნელმა სადგურ-  
მა — ჯერზი სიტომ, რომლისაგანაც ნიუ-  
იორკს მხოლოდ მდინარე ჰყოფდა. ბო-  
რანზე გიდიონი მოაჯირზე ხელჩაკიდე-  
ბული თვალებს აცეცებდა; მდინარეზე  
ნავეები გუბეში გაფანტულ ნაფოტებს  
წააგედნენ; ბორნები და გემები ისეთ  
სქელ, შავ კვამლს სტოვებდნენ წყალ-  
ზე, თითქოს თეთრ კრიალა ქალაღლზე  
ნახშირის ზოლები გაუვლიათო; აქვე  
იყო ათასნაირი ზომის აფრიანი ნავები,  
პატარა გაგულსებული ბუქსირები, კარ-

ქაების ქარავნები, ხოლო მდინარის  
გალმა — დიდძალი სახლები.

გიდიონი შესცქეროდა ყოველივე ამას  
და აგონდებოდა იანკის არმიები, რომ-  
ლებიც დინჯ შეუბოვრობით კვალდა-  
კვალ მისდევდნენ მტერს. არაერთხელ  
გაურღვევია მტერს მათი რიგები, მაგ-  
რამ ისინი ყოველთვის ხელახლა ერთ-  
დებოდნენ. გაპირვებით, ალაღმართ-  
ლად, და უშნოდ სწავლობდნენ ისინი  
ომის ხელოვნებას, მაგრამ ბოლოს მაინც  
მთელი სამხრეთი შეარყია, ყველგან და-  
იგუგუნა თავისუფლების საბრძოლო  
პიშნმა. აი სწორედ ისინი იყვნენ მის  
თვალწინ, ეს პატარა, უფერული ადამი-  
ანები, რომლებსაც ახლა ბორანი გაე-  
სოთ, ეს ქუჩებში მოფუსფუსე ბრბო,  
თავიანთ საქმეში გართული ხალხი. ირ-  
ველივე კი უწესრიგობაა, ფუსფუსი, ჩოჩ-  
ქოლი, ხმაური, გრიალი; სანაპიროებზე  
ზვინებად დახვევებული საქონელი, კუჭ-  
ყიანი ქუჩები, ხელურმების მწკრივები,  
სავაჭრო ფარდულები, გეიპაყები, ეტ-  
ლები, ოთხთვალეები, ფურგონები, ერთ-  
მანეთს რომ უსწრებდნენ ქვაფენილზე-  
კვამლის ზეწარი წითელი აგურის სახ-  
ლებზე, ურამული სხვადასხვა ენებზე-  
ათასი ეროვნების ადამიანები იყვნენ აქ-  
და არავენ არ აქცევდა ყურადღებას მა-  
ღალ შავ კაცს. დღეს ისეთივე აუტანე-  
ლი სიცხე იდგა, როგორც გუშინ არა-  
ბუნებრივი სიცივე იყო. ეს იყო ამინდი,  
რომელიც ეხამებოდა ამ შფოთიან, თავ-  
ხედ, ბინძურ, უბადრუკ და თავისთავი-  
სადმი რწმენით აღსავსე უზარმაზარ ქა-  
ლაქს. ეს ის ქალაქი იყო, სადაც ასიოდე  
ზანგი იმსხვერპლა გაცოფებული ბრბოს  
რისხვამ. ეს აგრეთვე, ის ქალაქი იყო,  
სადაც ათასობით მუნებმა ხელსაწყო-  
იარაღები დაჰყარეს, საკუთარი ფულით  
იყიდეს სამხედრო ფორმა და თოფები და  
ასეული მილი გაიარეს სამხრეთისაკენ  
იმისათვის, რომ შავი კაცი თავისუფალი  
ყოფილიყო, თუმცა მათ არა გაეგებო-  
დათ რა ომისა და ხოცვა-ჟლეტისა. ეს  
ის ქალაქი იყო, რომელიც წლების გან-

2 ულისეს გრანტი 1822 — 1885 გენერალი  
ა. ზ. პრეზიდენტი 1869 — 1877 წ.

მავლობაში ზედინედ ვზავნიდა ლეგიონებს ბრძოლის ველზე, და სწორედ ამ ქალაქშივე ხდებოდა უსაშინელესი აჯანყებანი ომისა და სამხედრო კანონების წინააღმდეგ. გიდიონი აკვირდებოდა, ჰკვირობდა და ყველაფერი, რასაც ხედავდა, ხალისს უკარგავდა ამას...

მოსტონი უფრო უბრალო იყო, უფრო ჰგავდა სეთ ქალაქებს, რომლებსაც გიდიონი იყო შეჩვეული. ზღვის პირას მდებარე წყნარი, ხშირი ამწვანებული ხეებით მოჩრდილული ქუჩა, სადაც ისაყ უენტი ცხოვრობდა, ძლიერ წააგავდა ჩარლსტონის ქუჩებს, სახლები მომკვლავებული იყვნენ და ამიტომ ძლიერ მშვიდობიანად გამოიყურებოდნენ; სუფთა თეთრი საღებავის ქვეშ დამსკდარი და ჭიანჭყაში კედლის ფიკრები მოსჩანდა. გიდიონმა გაუბედავად დააკაუნა კარზე ჩაქუჩით. კარი გაუღო გახამებული თავსახვევითა და წინსაფარით მორთულმა ქალიშვილმა და თავაზიანად ჰკითხა გიდიონს, ვინ ვნებავითო. „მისტერ ისაყ უენტი, თუ შეიძლება“. „შემობრძანდით, ბატონო“, — სთქვა მსახურმა, ცისფერთალუბიანმა და სელისფერთმიანმა მსახურმა ქალმა ვერმონტულ კოლოზე.

გიდიონმა ქული მოიხადა და შევიდა. „დაბრძანდით, ბატონო, მისტერ უენტს მოვასხენებ, რომ თქვენ აქა ხართ. როგორ ბრძანეთ — თქვენი სახელი?“

„გიდიონ ჯექსონი“.

„მისტერ გიდიონ ჯექსონი, სხვა არაფერი?“

„მისტერ ფრენსის კარდოზოს წერილი“.

„კარგი, — სთქვა მსახურმა, — დაბრძანდით!“ მისი თავაზიანობა უბრალო, პირდაპირი და ჩვეულებრივი იყო. ქალი არ ცდილობდა, რომ გიდიონს თავისუფ-

ლად ეგრძნო თავი, და გიდიონი თავს მაინც უფრო თავისუფლად გრძნობდა ვიდრე ოდესმე უგრძნებია თეთრი კაცის სახლში. მან თვალი მოაწვია ოთახს: ბუხრის აქეთ-იქით ორი დიდი კომფორტული სავარძელი შენიშნა, მყისვე უკუაგდო ფიქრი, რომელიმე მათგანზე დამჯდარიყო. მერე ნაბიჯი გადასდგა ტახტისაკენ, რომელიც კედელთან იყო მიღებული მის პირდაპირ, მაგრამ გადაიფიქრა: ბოლოს დაჯდა ფართო ჩიბენდილისებურ სკამზე, ხოლო მერე, როგორც კი ნაბიჯის ხმა მოესმა, ფეხზე წამოხტა. როცა ისაყ უენტი ოთახში შემოვიდა, იგი გახევებული იდგა უხერხულ პოზაში.

ისაყ უენტი პატარა ტანის კაცი იყო: მისი მელოტი თავი ძლივს სწევდებოდა გიდიონის ზოლებიან ყელსახვევს. მას პატარა მოყვითალო უღვაშები, თხელი ტუჩები და წვრილი მოვარძო ნიკაბი ჰქონდა. ახლა მას საშინაო ეკეტი, შავი შარვალი და აბრეშუმის ფოსტლები ეცვა; მაგარ თეთრ საყელოზე შავი ყელსახვევი ჰქონდა. იგი მარდად, ჩიტისებრი გოგვით მიიჭრა გიდიონთან, სწრაფად გაუშვორა ხელი და სთქვა:

„რაა თქვენი სახელი? ჯექსონი? გიდიონ ჯექსონი? გოგომ მითხრა, რომ თქვენ ვილაციის წერილი გაქვთ, დაავიწყდა კი — ვისი. საკვირველია, როგორ ახსოვს, რომ მხრებზე თავი აბია“.

„წერილი, ბატონო, ფრენსის კარდოზოსაგანა“, — მიუგო გიდიონმა.

„კარდოზოსაგან? თქვენ სამხრეთიდან ხართ?“

„სამხრეთ-კეროლიანიდან“, — უპასუხა გიდიონმა.

„კარგი. რასა იქმს კარდოზო? უნდა დიდი კაცი გახდეს პოლიტიკაში? სადაა წერილი?“

გიდიონმა წერილი გაუწოდა. უენტმა სწრაფად გახია კონვერტი, წერილი გადაიკითხა და მერე ისევ გიდიონს შეაცქერდა. „კარდოზოს უდიდესი წარმოდ-

გენა აქვს თქვენზე“, — სთქვა მან. — რატომ არ დაჯდებით? დალევთ რამეს?“ — მან თავით ანიშნა ერთერთ სავარძელზე ბუხართან და სურასა და ორ ჭიქას წააღვლო ხელი. გიდიონი დაჯდა. — ეს ხერესია. — სთქვა უენტმა. — გიყვართ ხერესი?“

გიდიონმა თავი დაუქნია.

„ეს თუ არა, — მხრები აიჩეხა უენტმა, — შავებს მეტწილად არაფრად ეჭიანინებათ მაგარი სასმელები. არ არიან შეჩვეული. ჰქონდათ საშუალება გემო გაეისინჯათ. ჩვეულება — ეს ყველაფერია. მე წინათ უისკის, ვსკამდი, ახლა ხერესს ვსვამ. უისკი ახლაც გულით მინდა, მენატრება, მაგრამ ჯანმრთელობა მლაღატობს. სიგარას არ ინებებთ?“

გიდიონმა თავი გაიქნია.

„კარგი. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ მე რომ მოვწიო? არა თუ მცა რას დავეძებ, თუნდაც წინააღმდეგი იყოთ. როცა ჩემი ცოლი ცოცხალი იყო, მხოლოდ ნასადილევს ვწევდი ამ საოხრეს“. მან გრძელი შავი სიგარა ამოიღო და მოუკიდა, სავარძელში ღრმად ჩაეფლო, ფეხები გასკიმა და ბუხრის პირბალისაკენ გააბოლა. „აქ სწორია, — მან წერილზე ანიშნა, — რომ თქვენ კონვენტში იჯექით. უნდა მიამბოთ ამის შესახებ. გახეთებიდან ვერაფერი ვერ გავიგე. ჯერ ამ თქვენს მიწის გეგმაზე მელაპარაკეთ. არა, სადილისთვის შემოვიწინათ ეს ამბავი. მე მინდა, რომ ექიმმა ემერიმ მოუსმინოს, იგი აქ იქნება; იმდენად სულელია, რომ ყველაფრის აწონ-დაწონა უყვარს. ახლა კონვენტის შესახებ მიამბეთ“.

გიდიონმა უამბო. ამ პატარა კაცთან გიდიონი თავს მყარ, სწორ ნიადაგზე გრძნობდა, დამშვიდებული იყო. უენტის იფურთხებოდა, კამათობდა, არ ეთანხმებოდა გიდიონს, მოთმინებიდან გამოდიოდა და უყვიროდა კიდევ სტუმარს, მაგრამ ყოველთვის როგორც ტოლიტოლს. გიდიონი თითქოს შავი აღარ იყო; მან, თავის სიცოცხლეში, შავებს

შორის იმყოფებოდა იგი, თუ თეთრებს შორის, პირველად ახლა დაიფიქვს. სხვისებით თავისი კანის ფერი მანამს სხვაგვარულში პირველად ელაპარაკებოდა იგი ისეთ ადამიანს, რომელსაც, ხანგრძლივი და მოფიქრებული ფსიქოლოგიური პროცესის შედეგად, ისეთი წრთენის შედეგად, რომელიც, ალბათ, მის ბალღობაშივე დაიწყო, ნათელ და მარტივ ცნებებში ჰქონდა შეთვისებული რასული დემოკრატიზმი. უენტისათვის გიდიონი სუბიექტურად ადამიანი იყო; სხვანაირად ფიქრი მისთვის ისევე შეუძლებელი იყო, როგორც საშუალო ამერიკელისათვის შეუძლებელია ლათინურ ენაზე აზროვნება. როდესაც საუბარი მიწის საკითხსა და კონვენტში მის ირგვლივ გამართულ კამათს შეეხო, უენტმა ყვირილი დაუწყო გიდიონს:

„ეხ, რა სულელი იყავით, ჯექსონ, თქვენცა და ყველა დანარჩენიც! სტივენსი ხომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მაშინ! ჰკითხეთ მას რჩევა? სთხოვეთ ვინმეს ვაშინგტონში მხარი დაექირო თქვენთვის? არა, მარტო დააპირეთ ცივილიზაციის გარდაქმნა! ყველაფერი ეს კარდოზოს ბრალია! კულტურული ბრძოლები! კუთანაკლები ხალხი რას იზამ, თქვენ ხელიდან გაუშვით ისტორიული შესაძლებლობა! ეს სწორედ ის მომენტი იყო, როცა შეიძლებოდა ერთბაშად მოგელოთ ბოლო პლანტაციებისათვის. განა თქვენ ეს გააკეთეთ?“

როდესაც იგი ამგვარად უყვიროდა გიდიონს, იგი უყვიროდა თავის ტოლს, არა შავ კაცს, არა თეთრს, არამედ თავის ტოლ-ადამიანს. აქ არ იყო თავანთანობა ან რაიმე ზღუდეები. ყოველივე ეს გასაგები გახდა გიდიონისათვის, როცა უენტმა უთხრა მას: მე ებოლიციონისტების ოჯახიდან ვარ, მისტერ ჯექსონ. შესაძლებელია, მე ამ ჯიშის საუკეთესო წარმომადგენელი არც ვიყო. მე განუწყვეტლივ შინ ვიჯექ, როცა სხვები იპრძოდნენ და იხოცებოდნენ. მაგრამ ცოტა რაშ მეც გააკეთეთ; ჩემმა ფულმა სარგებლო-

ბა მოიტანა. ალბათ, არ იცით, რომ მოხუცი ოსავატომელი ბრალენი სწორედ აი აქ იჯდა, სადაც თქვენ ზიხართ ახლა, და მთხოვდა ფულს, იარაღს, თოფის წამალს, მებრძოლებს. დიახ, მას უნდოდა ღვთის რისხვასავით მოვლენოდა მთელს სამხრეთს და აღეგავა მონობა პირისაგან მიწისა. ფულიც და იარაღიც მივეცი. ეს, თითქოს, ათასი წლის წინათ იყო; ამ საშინელი სენის მოსპობა მაშინ ადვილად გვეჩვენებოდა. მერე კი სისხლისაგან ვიცლებოდით მთელი ოთხი წლის განმავლობაში. სწორედ აქ იჯდა მოხუცი ბრალენი თავისი წვერით და თვალები უფიზგიზებდნენ. გინდათ გაიგონოთ მისი სიტყვები? მე მახსოვს ეს სიტყვები:

უფალ ღმერთს არ დავვიწყებოვართ, მისტერ უენტ, — სთქვა მან, — მაგრამ ჩვენ, მისტერ უენტ, ჩვენ საბრალო, პატარა, შეშინებულმა მლოლავმა არსებებმა დავვიწყეთ უფალი ღმერთი ერთა ცისათა, ჩვენი მამების ღმერთი, რომელმაც ისრაელის შვილი ეგვიპტიდან გამოიყვანა“. ასეთი იყო მისი სიტყვები, ჯექსონ. იგი, თქვენ რომ ზიხართ ახლა, იქ იჯდა, ემერსონი — აქ, მე ფეხზე ვიდექი. უაღლომ და მე ერთმანეთს გადავხედეთ. იცით რა, ჯექსონ, მოხუცი ჯონ ბრალენი დიდი კაცი იყო, დიდი კაცი, რომელიც ვერ გაიგვს. მოხუცმა იცოდა, როგორ უნდა ჩაენერგა რწმენა ხალხისთვის. მე მორწმუნე არ ვარ და უფრო მეტად მომაქვს თავი ჩემი ათეიზმით, ვიდრე თვით ექიმ ემერსონ, მაგრამ იმ წუთებში, როცა მოხუცი ოსავატომელს ვუხმენდი აი აქ, მეც ვიწამე ღმერთი; იგი, ჩემი წინაპრების ღმერთი, დიადი და მრისხანე, ღვთიური მოხუცი, რომელიც მილიგრამებს მოჰყოლოდა ჩვენს ქვეყანაში. თითქოს ჩემს გვერდით იდგა. ზომ არ გაწყენინეთ, მისტერ ჯექსონ? თქვენ, იქნება, მორწმუნე ხართ? ზანგებში ბევრია მორწმუნე“.

„მე არაფერი მწყენია თქვენგან“, — დინჯად მიუგო გიდიონმა.

მათ ცოტა კიდევ იბაასეს; მერე უენტ-

მა გიდიონს მცირე ხნით წამოწოლა ურჩია სადილობამდე. „ასეთი ჩვეულება მაქვს, ვხუტდები. თქვენ ახალგაზრდა კაცი ხართ, ჯექსონ, მაგრამ ცოტა თვალის მოტყუება არც თქვენ გაწყენთ“. გიდიონმა შენიშნა: „ჯერ არ მომიძებნია ბოსტონში გასაჩერებელი ადგილი და იქნებ თქვენ მიმასწავლოთ სასტუმრო ზანგებისათვისო“. — „რა თქმა უნდა, თქვენ ჩემთან გაჩერდებით“, — სთქვა უენტმა. გიდიონი შეეცადა შეპატივებას. მაგრამ უენტმა ყურიც არ ათხოვა მის სიტყვებს. მერე მსახური ქალი შემოვიდა და გიდიონს მისთვის განკუთვნილი ოთახისაკენ გაუძღვა ზემო სართულზე.



„ომის მიმდევრო ორი წლის შედეგი, — სთქვა გიდიონმა, — ჩვენი გამოღვიძება იყო. ბოროტი შავი კოდექსებით უნდოდათ ჩვენი დაბრუნება უკან, პირდაპირ მონობაში. იცით, პლანტატორები ფიჭობდნენ, რომ კავშირის გამარჯვების უგულვებელყოფა ადვილი იქნებოდა მათთვის, და ისინი თითქმის არც სცდებოდნენ. მაგრამ ეს აშბავი აღარ განმეორდება. ჩვენ მტკიცე და ალალი კავშირი შევქარით ღარიბ თეთრებთან; ჩვენ ერთად ვდგავართ ახლა და ფხიზლად ვართ. ძალა-უფლება ჩვენს ხელთაა და მას ვერაფერს წაგვართმევს!“

სუფრას სამნი უსხდნენ. ბანკირი ისაყ უენტი, ექიმი ნორმან ემერი, უკვე სახელმოხვეჭილი პიონერი მუცლის ღრუს ოპერაციებისა, რითაც მან ბოსტონსაც გაუთქვა სახელი, და გიდიონი. ემერი გამკრიახი გონებისა და მახვილი ჰუმორის პატრონი იყო. ისიცა და უენტიც ქვრივები იყვნენ; მათ შორის გულთბილი, მაგრამ უფრო ზომიერი მეგობრობა იყო.

„კი მაგრამ რა საშუალებით აპირებთ ძალა-უფლების შენარჩუნებას, მისტერ ჯექსონ?“

„სამი საშუალებით, — უბასუხა გიდიონმა ემერის. — ჯერ ერთი, არჩევნებით. რაც არ უნდა მოხდეს, ამაში ყოველთვის დავამარცხებთ პლანტატორებს; მათს თვითულ ხმაზე ჩვენ ოცი ხმა გვექნება. მეორე, ჩვენ განათლებას მივიღებთ. სულ დიდი ათი წელიწადი გვეკირდება, რომ განათლებულა ბავშვების მთელი თაობა აღვზარდოთ. ბატონო ექიმო, ემერ, ეს იქნება ჩვენთვის ყველაზე დიდი იარაღი. პლანტატორებმა თვითონ გვაწავლეს ეს გზა, როცა ისინი დანაშაულად სთვლიდნენ, თუ მონას განათლების სურვილი ექნებოდა, თუნდაც თავისით რომ ესწავლა რამე. შესამე საშუალება მიწაა, რაზედაც უკვე მოგახსენეთ. იქ, სამხრეთში, ჩვენ ყველანი მიწის მუშა ხალხი ვართ; ქარხნები, თქვენსავეთ, არა გვაქვს, მიწა გვარჩენს. თუ კაცს ხელში სახნისი უჭირავს, ლუკმაპური მაინც არ გამოეღვევა. როცა მიწა გვუქნება, როცა მას გაეანაწილებთ, როცა ჩვენში თავისუფალი ფერმერები გვეყოლება, როგორც თქვენშია, მაშინ ჩვენც საკუთარ ფეხზე დავდგებით და ხმაიადლა, მტყიცედ ვილაპარაკებთ. თუ კი ერთხელ დავებატრონეთ მიწას, მას არასოდეს აღარ დავთმობთ“.

„მალან კარგი, — სთქვა უენტმა. — ეთქვათ, ეს თქვენი უტოპია ახალ სამხრეთზე, ეს თქვენი მშვენიერი ოცნება სკოლებზე განხორციელდა. ემერი, გინდა ცოტა კონიაკი?“

„ხომ გითხარი, რომ შენს გულს კონიაკი ვნებს. მომბეზრდა ერთსა და იმავეზე ლაპარაკი“.

„კარგი. ეთქვათ, ჯეკსონ, რაც თქვენ გვითხარით, ესეც იქნება, მაგრამ ყველაფერი ეს მომავლის პოლიტიკური გეგმაა. ბიზნესი სულ სხვაა. თქვენ რომ ჩემთან მოწყალეების სათხოვნელად მოსულიყავით, შეიძლება ხელი გამოემწოდნა, შეიძლება არა. ეს ბევრ რამეზე დამოკიდებულია. ხომ გესმით, მე გულჩვილი, სანტიმენტალური კაცი არა ვარ“.

„მე მეონია, მას ეს ამბავი ესმის, ისაა, — შენიშნა ემერი.“

„მაგრამ თქვენ მოდიხართ ფანტასტიკური გეგმით. თქვენს ხალხს ცოტაოდენი ფული უმოვნია; ამ ფულით განგზირახავთ მეტად სახიფათო ავანტურა მიწის ირგვლივ, ავანტურა, რომელსაც სულ მცირე თხუთმეტი დოლარი საგირაო თანხა დასჭირდება ყოველ დოლარზე. რომლის დაბანდებასაც თქვენ მთავაზობთ, და რისი იმედი უნდა მქონდეს? ერთი მუჭა ყოფილი მონების, რამდენიმე ლატაკი თეთრის, რომლებიც ცოტახნის წინათ შეამბოხეთა არმიასი იყვნენ, და კეთილი ზრახვების? თქვენ მთხოვთ, დაუბანდო ფული აბსოლუტურად უცნობ საქმეში. ჰქვია ეს, ჯეკსონ? თქვენ თვითონ განსაჯეთ!“ მან სიგარას მოუკიდა; ემერი სავარძლის ზურგზე გადაწვა და ოდნავი დიმილით უთვალთვალბდა გიდიონს. უიმედობა გავარჯერებულ სიმძიმედ დააწვა გიდიონს. ასეთი შორეული გზა გამოვლო, ფულის ნაწილი უკვე დახარჯა, დოლარის შოვნისთვის წელში უნდა გაწყდეს, ერთმა სიცოცხლეც შეესწირა ამ დოლარს. მარტო რკინიგზის ბილეთი რამდენი დოლარი ღირს?! ასეთი შორეული გზა გამოუვლია და შესძლებს კი ამაზე უფრო შორს წასვლას? ნუთუ კარდოზო სავსებით სწორი იყო? ნუთუ ყოველი პროგრესი ტანჯვაწვალების ნაყოფია, უსასრულო ტანჯვის ნაყოფი? ნუთუ საწყალმა კაცმა მარად და მარად უნდა ატაროს ეს საწინეღი ტვირთი?

„შესაძლებელია, არ იყოს ჰეკიანური, — დიწყო გიდიონმა. — მე ბევრი არაფერი მესმის ამ საქმეში, თითქმის არაფერი მესმის. მაგრამ მე ვიცი ბამბისა და ბრინჯის საქმე. მთელი ჩემი სიცოცხლე იმას ვუყურებდი, თუ როგორ იზრდება ბამბა, როგორ სედება კოკორი, როგორ კრეფს მას მინდორში ზანგი. მიჩვენე ბამბის მარცვალი და ხარისხს გეტყვი. მიჩვენე ბრინჯის მარცვალი და გეტყვი სადაა მოსული, მალლობში თუ

დაბლობში. ეს კი ვიცი, დამიჯერეთ. და ურთო რამ ვიცი კიდევ: აქ თქვენ, იანკებს, შეგიძლიათ ბამბიდან ქსოვილის გაკეთება. ამ თქვენ ახალ ინგლისში ყველგან ფაბრიკები შენდება. როგორ გინდათ მოქსოვით, თუ ბამბის მომყვანი არაყინ იქნება? ვინდათ, რომ პლანტატორებმა მოიყვანონ? ამას დიდი დრო დასჭირდება; მათ ჯერ ჩვენ უნდა გავტყუდებოთ, რომ ბამბა ძველებურად მოიყვანონ. და როგორი იქნება ბამბის ფასი, თუ რამდენიმე პლანტატორი გაუწევს მას კონტროლს? თქვენ შეეკითხებით, რა ვარანტია უნდა მოგცეს ჩვენმა ხალხმა. სწორედ ეს: ჩვენს ქვეყანას ბამბა სჭირდება, მთელ ქვეყანას სჭირდება ბამბა. ოთხი წელიწადია ბამბის კარგი მოსავალი არ ყოფილა. ახლა მასზე დიდი მოთხოვნილებაა. მიეცი ჩემ ხალხს მიწა, გაუშვი მაგალითი გიჩვენოს, გაუშვი მთელ კეროლიანას დაანახოს, თუ რისი გაკეთება შეიძლება. თუ თქვენ ამას იზამთ, თუ არ შეგეშინდებათ, მაშინ სხვებიც გაბედავენ. ხუთი წელიწადი ვეადროვეთ ჩვენს საკუთარ მიწაზე და ვაწეყდებით და ბამბას მაინც დავთესავთ, ვაწეყდებით და მას მაინც მოვკრავთ. ვალს გადაგიხდით ყოველ ცენტს და სარგებელსაც მოგცემთ. ვინახავთ ოდესმე ზანგების მუშაობა? თუ ყოფილხართ ქვემოთ, სამხრეთში, ძველი მონობის დღეებში, მაშინ ნახავდით, როგორი მუშაობა შეუძლიათ ზანგებს, როცა ზურგზე მათრახს სცემენ. მაგრამ ერთს ვეტყვით: თავისუფალი ზანგი თავის საკუთარ მიწაზე ორჯერ უფრო კარგად იმუშავებს. ეს კარგად ვიცი. დამიჯერეთ, მისტერ უენტ, მოწყალეების სათხოვნელად არ მოვსულვარ. მიტომ კი არა, თითქოს ვამპარტავნობდე, მაგრამ ეს ამბავი სხვაა; ეს, პატროსან სიტყვას გაძლევთ მოწყალეობა არ იქნება“.

გიდიონმა დაამთავრა; არასოდეს არ ულაპარაკნია მას აქამდე თეთრ ხალხთან ასე მხურვალედ და ამდენი. იგი

დარცხენილი იჯდა, თავს უხერხულად ვარძობდა და უპირისპირად უყურებდა სუფრას. ექიმის ჩვენებას ფრჩხილებს ათვალთვრებდა. ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ კუთხეში მდგარი დიდი ძველებური საათის ტაქატუკი არღვევდა. მერე უენტმა სიგარის ფერფლი დარეკა და იკითხა:

„რამოდენაა კარუელის მამული, ჯემსონ?“

„ოცდაორი ათას აკრზე მეტია ცოტათი“.

ემერიმ დასტვინა; უენტმა ნელა გააქნია თავი.

„როგორი მიწაა?“

„ნახევარი მაინც იქნება კარგი სათესი, — უპასუხა გიდიონმა — დანარჩენი ბუჩქნარია, ფიჭვის ტყეები, ცოტა საძოვარი და ერთი ცვაობი“.

„სახლი ხომ არის?“

„პლანტაციის დიდი სახლია. კარუელები იქ მხოლოდ ხანდახან ცხოვრობდნენ; მეტწილად ჩარლსტონში იყვნენ“.

„როგორ ფიქრობთ, იყიდის ვინმე იმ სახლს, როგორც გამოსადეგ რამეს?“

გიდიონმა თავი გაიქნია. „ძალიან დიდი სახლია. იმ პლანტატორებს, რომლებმაც მიწა შეინარჩუნეს ძლიერ გაქვთ თავი. არა მგონია, რომ სამაისო თავისუფალი ფული ჰქონდეს ვინმეს ჩვენს შტატში“.

„იცი თუ რამდენადაა შეფასებული მთელი მამული — მიწა, სახლი და ყველაფერი?“

„ფედერალურმა აგენტმა ომამდელი შეფასებით, მონები რომ გამოეკლოთ. ოთხას ორმოცდაათი ათასი დოლარი სთქვა. როგორც ვარაუდობენ, საჯარო ვაჭრობაზე აკრი ხუთ დოლარად გადააპირებენ მთელი მამული ოცდაორ ნაკვეთად დაჰყონ; თითო ნაკვეთი ათასდრეისი იქნება. ზოგი ნაკვეთი მეტად გაიყიდება, ზოგი კიდევ ნაკლებად“.

„თქვენ სთქვით, რომ დაახლოებით ოცდაათი ოჯახი ხართ. სამი ათასი აკარი კარგი საქმე იქნება. მე ვიცნობ ზოგიერთ მასაჩუეტსელს, კარგი ფერმა რომ მოუწყვია ოც ან ოცდაათ აკრზე და ბანკშიაც გადაუნახავს ფული. აქაური მიწა კი ვერაფერი შეილია“.

„მართალია, ბატონო, — დაეთანხმა გიდიონი, — ჩვენი მიწა კარგია, მაგრამ ნაკვეთში დაახლოებით ნახევარი თუ იქნება სახანავ-სათესი. ხალხი კი გასწმენდს ზოგან, მაგრამ ეს ხანგრძლივი სამუშაოა. გარდა ამისა ჩვენ იქ სხვანაირი მეურნეობა გვაქვს, ვიდრე აქ თქვენებურ ხალხს. თქვენ რძის მეურნეობას მისდევთ, ჩვენ კი, გარდა სიმინდისა და ბოსტნეულისა, რაც სარჩოდ გვეჭირდება, გარდა ორიოდ ღორისა, ნაღდი ფულის მომტანი მარცვლი უნდა ვთესოთ. ბამბა კი ფულს ვერ მოიტანს, თუ თხუთმეტ-ოც აკრზე მაინც არ დასთესე“.

„როგორ უნდა გაასაღოთ ბამბა?“

„ერთ ძველ ჯინს ვიყიდით, ერთ საჯორგავს — ასეთები ბლომად იშოვება. რკინიგზა უკვე კეთდება და მატარებელზე დასატვირთავად მხოლოდ ათ მილზე მოგვიხდება ბამბის გადაზიდვა“.

„ჯორები გყავთ?“

„გვყავს რამდენიმე. შეიძლება კიდევ ვიყიდოთ“.

უნტი ემერის მიუბრუნდა და შეეკითხა: „რა აზრისა ხარ, ექიმო?“

„მე მინახავს, რომ შენ უფრო უიმედო საქმეზე გადაგიყრია ფული“.

„ერთ-მესამედში შემოგვიდგები?“

„მე ბანკირი არ ვარ,“ გაიღიმა ემერიმ.

„ჩემზე მეტი ფული შენა გაქვს. რად გინდა, საიქიოს მაინც ვერ წაიღებ!“

„არა უშავს რა სააქაოსაც გამოდგება“.

„მე რომ გარანტია მოგცე, მაშინ შემოგვიდგები მესამედში?“

„თუ შენ იძლევი გარანტიას, ჩემი მესამედი რაღად გინდა?“

„მე მინდა კომპანია, — მორჩილებით სთქვა უნტი. — ამაზე უფრო სულელურ საქმეში არასოდეს შემიტოპავს“.

„ვერც შენ წაიღებ ფულს საიქიოს,“ — შენიშნა ემერიმ.

„მართალია. ყური მიგდეთ, ჯექსონ; თქვენ მე სამჯერ უფრო ძვირი მიჯღებთ, ვიდრე მოხუცი ოსავატომელი დამიჯდა, და ჯერ არც კი ვიცო, ღირხართ თუ არა თქვენ მის ნახევარად მაინც როგორც აღამიანი. კარგი. თხუთმეტი ათასი დოლარის ჩეკს გამოგვიწერო. მაღლობას ნუ მიხლდით. საქმე გადაწყვეტილია. ახლა, მოდი, გვიამბეთ რაზე თქვენს შესახებ“.

\*  
\*  
\*

უნტი რთული ბუნების ადამიანი იყო. ემერის წასვლის შემდეგ იგი გარე-ერაქმულ იქცა და გიდიონს ესაუბრებოდა. ხალათში გახვეული ჩია კაცი ზედიზედ ეწვეოდა გრძელ წავ სიგარებს. ბლომად სვამდა კონიაკს და გიდიონს ეუბნებოდა:

„სამოცდაშვიდი წლისა ვარ, ჯექსონ, და სრულიად მარტოხელა სწორედ ამიტომ უფრო ვიყურები უკან. შენი ხნის რომ ვიყავი, გიდიონ, რევოლუციის ჯარისკაცები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ; მაშინ ახალ ინგლისში მაგარი ხალხი ვცხოვრობდით. დაუფიქრდი ამას. ჩვენ აქ ღვთის სიტყვითა და ღვთის კანონით მოვედით, ზელში კომბალი გვეჭირა და ტუჩებს დიმილი არ გვიხსნიდა, და ჩვენ საარსებო ლუკმა გამოვგლიჯეთ ამ პირქუშ და ხრიოკ მიწას. დიდი საქმეები მოვიმოქმედეთ, გიდიონ; საყრებულოებში დემოკრატია ცოცხალ ძალად იქცა, იგი სუნთქავდა ჩვენს ზორის. ახლა ეს ყველაფერი დავიწყებულია, ასე არაა? მე მალე მოვეკვდები, მოკვდება ემერიც, უაღლო სულ უფროდაუფრო ხუცდება, თორა<sup>1</sup> გა-

<sup>1</sup> პენრი თორი (1817 — 1862) ამერიკელი პუბლიცისტი და ფილოსოფოსი.

ნდვილად ცხოვრობს, უტიერი სად-  
ლაც გადაიკარგა, ღონფელოვ რაღაც  
სისულელებს მიედმოედება. სადღა  
ჩვენი დიდება? ჩვენ კი ვზივართ და  
საკუთარ ქიპებს დავცქერით. სულ პა-  
ტარა ნაპერწკალია შეგვრჩენია, გი-  
დიონ, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ, სა-  
ნამ ვცხოვრობდით, დიდ საქმეებსაც  
ვაკეთებდით. ახლა ზემოთ წამოყეფე“.

გიდიონი უკან გაყვავა მას; უენტი ნე-  
ლი, დაღლილი ნაბიჯით აღიოდა კიბე-  
ზე; იგი ბაქანზე შეჩერდა შესასვენებ-  
ლად და სულის მოსათქმელად. ისინი  
შევიდნენ ერთ ოთახში, რომელიც უენ-  
ტის ვაჟისათვის უნდა ყოფილიყო გან-  
კუთვნილი და, როგორც გიდიონმა შე-  
ატყო, მასში დიდი ხანია არავის უც-  
ხოვრია. აქ იყო ერთმანეთზე შელაგე-  
ბული წიგნების ზეინები, უბის რვეუ-  
ლები, მინერალების კოლექცია, ბუს  
ორი ფიტული, ფანქრით დახატული  
გოგონას სურათი, ლაკროსის ორი ჩო-  
განი, ინდოელთა მოკასინები და ორ-  
ანბიანი ნავის ოსტატურად გამოჭრილი  
მოღელი. უენტმა სთქვა:

„იგი უილდერნისში დაიღუპა, გიდიონ  
ბრძოლის მეორე დღესვე. მე ველაპარა-  
კე მისი ასეულის მეთაურს და მან მიამ-  
ბო ყოველივე. ბიჭი სამჯერ დაიჭრა:  
ორჯერ მკლავში, ერთხელ თავში, და  
მანაც განაგრძობდა ბრძოლას. გიდიონ,  
აღბათ ათასჯერ მაინც ემჯდარვარ  
დაბლა ბუხართან დ მიცდია გამეგო,  
მიცდია მიემწვდარიყავ მას, თავი მის  
ადგილას წარმომედგინა და შემეგნო —  
რატომ უნდა დარჩენილიყო იგი საბრძო-  
ლო მწყობრში, როცა დაფლუთილი  
იყო, სისხლისაგან იცლებოდა და ფეხ-  
ზე კვდებოდა. გიდიონ, შენ ახალგაზრ-  
და კაცი ხარ, მაგრამ რაღაც არის შენ-  
ში. შენ შენი ხალხის წინამძღოლი იქ-  
ნები. ჩვენ უნდა ვაკვივო, გიდიონ! რაც  
არ უნდა მოხდეს, ჩვენთან ნუ გასწყვეტ  
კავშირს“.

„რაც არ უნდა მოხდეს“, — თავი და-  
უქნია გიდიონმა.

„კარგი. ახლა კი სულ უნდა შეიკრათ  
ეს წიგნები, უკლებლივ მისი სათამა-  
შოები და საბავშვო წიგნები თავანზეა,  
შეგიძლია ისინიც წაიღო“.

„ამათი წაღება უხერხულია“, — და-  
იწყო გიდიონმა.

„სისულელეა. ამ ოთახში ერთი წე-  
ლიწაღია არ შემოვსულვარ. ჩემი ბიჭის  
სახეს, რაც მე მეკუთვინის, გულში ვინა-  
ხავ, ხოლო ეს ნაგავი არ მჭირდება.  
თქვენ კი გამოგადგებათ და ასეც უნდა  
იყოს. რაკი თქვენს საქმეში თხუთმეტ  
ათასი დოლარით შემოვდივარ, გრიფე-  
ლის ოციოდე დაფისა და ერთი კოლო-  
ფი ცარცის მომატება როგორმე არ გა-  
მიჭირდება. მხოლოდ მითხარი, სად  
გავგზავნო და დანარჩენზე თვითონ  
ვიზრუნებ“.

მეორე დღეს, სანამ უორჩესტერში  
წავიდოდა ჯეფის სანახავად, გიდიონ-  
მა ექიმ ემერის დისპანსერში შეიარა.  
სადღა იყო გუშინდელი თავაზიანი და  
სალუქი ჯენტლმენი?! თეთრხალათიანი  
საქმიანი მეცნიერი ორ ახალგაზრდა  
ასისტენტთან ერთად ავადმყოფებს  
იღებდა, რომლებმაც სავსე იყო ოთა-  
ხიცა და ტალანიც. ბოსტონის ამ ნა-  
წილმა გიდიონს მოაგონა ნიუ-იორკი:  
ქოხები, მიღრეცილ-მოღრეცილი სახ-  
ლები, ჭუჭყიანი ქუჩები, სილატაკე, და-  
რიბი ირლანდიელები, ღარიბი პოლო-  
ნელები, ღარიბი იტალიელები. ემერის  
დისპანსერი წარმოადგენდა შეკეთე-  
ბულსა და სუფთა კრემისფერი საღება-  
ვით თავიდან ბოლომდე შეღებილ ძველ  
სახლს. გიდიონი მისაღებ ოთახში იჯდა  
და თვალს არ აშორებდა ექიმს და მის  
ავადმყოფს — მკერდჩავარდნილ, მრუ-  
დეილდურებიან ბიჭს.

„ხედავთ, ჯეკსონ?“ რვა წლის შიშ-  
ველ ბიჭუნას ხელები გულზე დაეკრი-  
ფა და ცაბცახებდა. „არ ვიცი, რა სე-  
ნია; ყოველ კვირაში მოდის ათი-  
თორმეტი ასეთი ავადმყოფი და მხო-  
ლოდდამხოლოდ ღარიბი ხალხიდან.  
მე თვითონ გამოვევგონე სახელი. Ma-



lefcio paupertis<sup>1</sup>, — საკმაოდ მკერ-  
მეტყველური სახელწოდებაა!"

მან ხელი გადაუსვა ბიჭუნას. „კარგი, შვილო, ჩაიცვი, იცით რა, ჯექსონ, საზოგადოების სნეულებანი სხვადასხვა სახეს იღებენ. ჩვენ ვიბრძოდით და ვიხსოვებოდით თქვენი ხალხის განთავისუფლებებისათვის, მაშინ როდესაც აქვე, ცხვირწინ, საკუთარი სიბინძურის ორმო იზრდებოდა. ეს ხომ სირცხვილია, დიდი სირცხვილი, რომ ჩვენ, რომლებიც ცივილიზებულებს ვუწოდებთ თავს არ შეგვიძლია უფასო წამალი მივაწოდოთ ხალხს, არ შეგვიძლია თუნდაც მცირე სამეცნიერო კვლევა-ძიება ვაწარმოოთ იმისათვის, რომ გავიგოთ ეს შავი მავია, მედიცინა რომ ეწოდება. აქ, ამ მდიდარ ქვეყანაში ხალხი სნეულდება და იხსოვება შიმშილის გამო, სუფთა ჰაერისა და შშის სინათლის ნაკლებობის გამო. ქველმოქმედება, რომელსაც მე ვეწვევი, ჯექსონ, საზოგადოებრივი ბორცვ-ტრა, და ხანდახან ფიქრობ კიდევ, რომ ჩემი სახელოვანი მეზობლები ამ ქალაქში სწორად იქცევიან, როცა ქიხას მაგრადა უკრავენ პირს.“

მერე ემერიმ ჯექსონს შესახებ ჰკითხა გიდიონს: „დარწმუნებული ხართ, რომ მას მართლა უნდა ექიმი გახდეს?“

„ეინ იცის? ის ხომ ჯერ კიდევ ბავშვია, — მიუგო გიდიონმა, — მაგრამ ნიკიერია ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი ვაჟია.“

„ჰო, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში უმადლესი განათლების მიღება მისთვის სინამდვილეში შეუძლებელია. ჩვენი სამედიცინო სასწავლებლები აქ ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ შესაძლებელია შავი კაცი ავად გახდეს და ავადმყოფს უმკურნალოს. თავის დროზე, როდესაც თქვენ თქვენს უტოპიას განახორციელებთ კეროლიანაში, ფიქრობ. რომ ამაზედაც იზრუნებთ, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ჯერჯერობით კი,

თუ იგი გამოცდას ჩააბარებს, შეუძლია ედინბურგის უნივერსიტეტში შევიდეს, შოტლანდიაში“.

„შოტლანდიაში? — გიდიონმა ყოყმანით გაიქნია თავი. — ძალიან შორსაა, არა?“

„კარგა შორსაა. საბედნიეროდ ევროპაში ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, რომ შავი კანი ადამიანს დაბალ არსებად აქცევს“.

„არ ვიცი, — მერყეობდა გიდიონი, — იგი ჯერ სულ ბავშვია... მისი გავზავნა მარტო ასეთ შორეულ ადგილას... ალბათ, მთელი წლით...“

„სულ ცოტა, სამი წლით მაინც“, — შეაწყვეტინა სიტყვა ემერიმ და თანაც ცნობისმოყვარეობით დააცქერდა ტკივილის გამოხატულებას ზანგის სახეზე. გიდიონი მერყეობდა, იგი გაუბედავად ეძებდა გამოსავალს: „მე კარგად მესმის, — დაიწყო მან ენის ბორძივით, — რაკი მისთვის ასე სჯობს, ცხადია... მაგრამ რეჩეული, დედამისი...“

„მაშინ მე გირჩევდით, — მხრების ანეშით სთქვა ემერიმ, — რომ თავი დაანებოთ მის ექიმობაზე ფიქრს“.

„კი, მაგრამ მას სწორედ ექიმობა სწადა“, — სთქვა გიდიონმა.

„ამას ფულიც დასჭირდება“.

„როცა სამხრეთში დავბრუნდები, — სთქვა გიდიონმა, — მე, ალბათ, ჩემს კანდიდატურას წამოვავყენებ არჩევნებში“. იგი კვლავ შეეყოყმანდა. — „კონვენტში სამ დოლარს გვაძლევდნენ დღეში დოლარსა და ორმოცდაათ ცენტს როგორმე გადავღებ, — ეს საკმარისი იქნება?“

ემერი მიბრუნდა. „საკმარისი იქნება“, — გაოსმა მისი წყნარი პასუხი. იგი ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა, მერე ისევ გიდიონისაკენ მიბრუნდა. „უური მიგდეთ, ჯექსონ, სადაა ახლა თქვენი ბიჭი?“

„უორჩესტერის პრესბიტერიანულ სკოლაში“.

<sup>1</sup> სილტაკის სენი (ლათ.).

„ვიცი ეს სკოლა. იქ წერა-კითხვის მეტს ბევრს ვერაფერს ისწავლის. რამდენი ხანია იქაა?“

„ოთხი თვია“.

„აქვს თვემდე გააჩერეთ. თქვენა სთქვით, რომ იგი თქვესმეტისაა. ორი თვის შემდეგ აქ მოვიდეს, და ერთ წელიწადში მე მას უფრო მეტს ვასწავლი, ვიდრე ისინი ათ წელიწადს შეასწავლიან. იცოდეთ, რომ თავის შესანახავი ფული მან თვითონვე უნდა იშოვოს. მე ბიჭი მაინც მჭირდება იატაკის დასაგველად, ლაბორატორიის დასარეცხავად, იარაღებისა და ჭურჭლის დასაწმენდად. მე ისეთი ცუდად გამოცხვარი ებოლიციონისტი არა ვარ, როგორც უენტია, თუ ბიჭი საკმოდ ნიჭიერი გამოდგა, თუ ოდნავ მაინც გამოიჩენს სათანადო მიდრეკილებას, თუ მუყაითი იქნა, მე მას ორ წელიწადში ისე გავწრთენი, რომ ედინბურგში გამოცდები ჩააბაროს. ხოლო თუ ასეთი არ გამოდგა...“



უორჩესტერში ღირსეული ჩარლზ სმიტის კაბინეტში გიდიონმა ექიმ ემერის ნათქვამი გაიმეორა. წყნარი, რბილი, მორიდებული ბუნების სმიტმა სთქვა: „ღიახ. ჯეფი კარგი ბიჭია, ძალიან კარგი, მეტად პატიოსანი, არავის არ აყენებს რაიმე უსიამოვნებას, მაგრამ გიდიონმა უნდა გაიგოს, რომ განათლება ნელი პროცესია, მომქანცავი პროცესი; გიდიონმა უნდა გაიხსენოს, რომ სულ მცირე ხნის წინათ ბიჭმა არც წერა იცოდა, არც კითხვა. მართალია იგი მიმბაძველობის დიდ უნარს იჩენს და სწრაფად ითვისებს ყველაფერს. მაგრამ მედიცინა ისეთი პროფესიაა. რომელიც უმალდეს განსწავლულობას მოითხოვს. განა გადაჭარბებული თავის-მოიმედებობა არაა ემერის მხრით იმის თქმა, რომ მას ორ წელიწადში შეუძლია ბიჭის მომზადება ედინბურგისათ-

ვის?“ გიდიონს არ შეეძლო პასუხი გაეცა ამ შეკითხვაზე. „დაჯანსაღებოდა დაეასკვნათ, რომ მედიცინა ერთადერთი გზაა, რომლითაც ახალგაზრდა კაცს თავისი ხალხის სამსახური შეუძლია? რა იქნება, რომ იგი მჭადაგებელი გამოვიდეს? ბიჭუნას უსათუოდ აქვს სულიერი მიდრეკილებანი და განა ეს მოწოდება არ არის?“

„არ იფიქროთ, რომ მე მაღლიერი არ ვიყო, თქვენ მისთვის ბევრი რომ გააკეთეთ, ეს მე კარგად მესმის“, — განაღირს უთხრას სმიტს, თუ რას ნიშნავს როგორც მისთვის, ისე რეინელისათვის ჯეფის უნახაობა ხუთი წლის განმავლობაში? ესმის კი თეთრ ხალხს, თუ რას ნიშნავს ბავშვი შავი კაცისათვის? „მაგრამ მას უნდა ექიმი გახდეს... დეე ისე მოიქცეს, როგორც მას სურს“.

„ბუნებრივია, თუ ბიჭი ნამდვილადაა გარკვეული თავის მისწრაფებაში“.

„მე მოველაპარაკები მას“, სთქვა გიდიონმა.

ჯეფი უფრო მალალი მოეჩვენა გიდიონს, ვიდრე ახსოვდა. იგი უფრო მაღალიც იყო და უფრო მეტადაც მიაგავდა მამას. გიდიონს გაუადვილდა შვილთან ლაპარაკი, რაც აქამდე მისთვის ძნელი იყო.

ისინი ქალაქს გასცდნენ და ახლა თემშარაზე მიაბიჯებდნენ.

„მოგწონს აქაურობა?“ — ჰკითხა გიდიონმა.

ჯეფმა მიუგო, რომ აქაურობა მოსწონს. არა მარტო იმიტომ, რომ აქ ხალხი კარგად ეპყრობა მას; არა, ეს ამბავი უფრო ღრმაა. აღამიანები არც აქ არიან წმინდანები; ზოგიერთი მათგანი აქაც შავ პირუტყვს დაგიმახებს. ქალაქელეზბიდან ბევრს სძულს შავები და მუდამაც სძულდათ, მაგრამ აქ მაინც თავს სულ სხვანაირად გრძნობ, სამხრეთთან შედარებით.

გიდიონმა თავი დაუქნია. „ბეჯითად ვსწავლობ“, — სთქვა ჯეფმა.

„ძალიან კარგი“. მერე, რამდენიმე წუთის შემდეგ, გიდიონმა ჰკითხა შეილს „გიდიონია იმაზე, თუ რა უნდა გააკეთო სკოლის შემდეგ?“

„მინდა ექიმი გამოვიდე“, — მიუგო ჯეფმა.

ისინი გორაკის თხემზე გავიდნენ. მათ დაბლა მზე უკვე აღიოდა. ფერმერი ძროხებს მოერეებოდა საძოვრიდან; მისი ძალი შეუსვენებლივ წაეწკა-ვებდა.

„დავბრუნდეთ“, — სთქვა გიდიონმა.

ისინი ნულა მიდიოდნენ. ჯეფი შეეცადა დალაგებით გამოეთქვა თავისი აზრი. გიდიონი ჩუმად იყო. „ჩვენ ახალი ხალხი ვართ, — სთქვა ჯეფმა. — ხომ გესმის, რისი თქმა მინდა?“ გიდიონმა თავი დაუქნია. „მე ვგულისხმობ მას, რომ თეთრი ბიჭი იმას აცეთებს, რაც უნდა, ან რასაც დაუნინავენ; მას არ სჭირდება მზადება იმისათვის, რომ ხალხს ემსახუროს“.

„გიდიონმა კვლავ თავი დაუქნია.“

„მე ასე ვფიქრობ, — განაგრძო ჯეფმა, — მე აქ ვსწავლობ, ხოლო მარკუსი, კერი, ლინკოლნი და სხვა დანარჩენები აქ არ არიან. გამოდის, რომ, მე განსაკუთრებული ბედი მეწია და ჩემის აზრით ეს ბედი მაკისრებს რაღაც მოვალეობას, სამსახურს, რისთვისაც უკან უნდა დავბრუნდე და ჩვენებს ვუთხრა: შეხედეთ, აი ეს შევიძინე და თქვენთან მომაქვს; კაცი ავიდაა, შეიძლება მოვარჩინო შეთქვი“.

გიდიონმა სთქვა: „ღირსეულ სმიტს უნდა, რომ შენ მოქადაგე გამოხვიდე. ვანა ეს ხალხის სამსახური არ არის?“

„შეიძლება, — დაეთანხმა ჯეფი, — მაგრამ მძა პიტერი, ჩემი ფიქრით, ძალიან კარგი მოქადაგეა. ქადაგია. ქადაგება მეცნიერება არაა. ღირსეული სმიტი კეთილი კაცია, კარგი აღამიანი, მაგრამ ქადაგება ჩემი საქმე არაა“.

გიდიონმა უამბო მას ემერის შესახებ, დისპანსერის შესახებ. ემერის წინადადება გააცნო და აუხსნა, თუ როგორ

შეიძლება, რომ ზანგი ედინბურგის უნივერსიტეტში ექიმი გახდეს. დაამბო-ლი, სუნთქვაწვერული ჯეფი — ხარხად იქერდა მამის სიტყვებს. გიდიონმა საქმის ორივე მხარე გადაუშალა ვაჟს: შესაძლებელია ემერიმ გადაიფიქროს, შესაძლებელია ორი წელიწადი საკმაო არ აღმოჩნდეს ჯეფის გასაწვრთნელად და ემერის მთელი ეს ამბავი მობეზრდეს.

„ორი წელიწადი საკმაო იქნება“ — სთქვა ჯეფმა, — ღმერთმანი, საკმაო იქნება. ყველაფერს გააკეთებ, რასაც ემერი მეტყვის, დღედაღამე ვიმუშაებ. ისე დაეუბნე და დაეუსუფთაებ ყველაფერს, რომ სარკესავით კრიალებდეს: გუებნები, მამა, ღმერთმანი, არ გამოიჩინდება. ყველა ამბობს, რომ ჩემზე ღონიერი ერთი ბიჭიც არაა მთელ ქალაქში. მისტერ ჯარვისის ოთხთვალა თხრილში გადაუვარდა; მე მარტო ავწიე და გამოვიტანე. იმ თეთრი ექიმის სამუშაო ვერ გამტებს; ოღონდ ამიყვანოს და მთელი დღეობით ვიმუშაებ მისთვის და ვისწავლი კიდევ“.

ისინი გზას განაგრძობდნენ. გიდიონი უკვე იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ეთქვა ეს ამბავი რეიჩელისათვის. მას უნდოდა ხელი მოეხვია ჯეფისათვის, გულში ჩაეკრა იგი, მაგრამ ვერ გაბედა. იგი უდიდეს, გაურკვეველ სიამაყეს გრძნობდა. რა კარგი იქნებოდა ჩამოჯდომა სადმე ჯეფთან ერთად, გულის გადაშლა მისთვის, ყველაფერის თქმა, რაც მას აქვს სათქმელი. მოულოდნელად გაისმა ჯეფის სიტყვები:

„გამიშვი, მამა, ხომ გამიშვებ?“

„კარგი“, — დათანხმა გიდიონი.

თითქმის უკვე ბნელოდა და მათ ფეხს აუჩქარეს პასტორის სახლისკენ. ჯეფი აღგზნებული იყო, მოზღვავებული ენერგია ბობოქრობდა მასში. გიდიონს კიდევ უფრო უნდა მოემატებინა ნაბიჯისათვის, რომ მას არ ჩამორჩენოდა.

გამომგზავრების წინ გიდიონმა ვაჟს უთხრა: „ჯეფ, ბიჭო, მე და შენ ორივე

ძველი დროის სიბნელიდან გამოვედით; მანძილის შესახებ ჩვენ ძველებურად ვფიქრობთ, ვანგარიშობთ — რამდენს ვაივლის კაცი ერთ დღეში და სიშორე სევდით გვივსებს გულს, მაგრამ ეს სწორი არაა; რამდენიმე დღე, ჯეფ, და შენ აქა ხარ, ანდა კეროლიანაში. თუ ჩემი ჩამოსვლა მოგინდეს, შემატყობინე და ჩამოვალ. თუ სახლი მოგენატროს, არ შეგეშინდეს, მომწერე და სამგზავრო ფულს გამოგიგზავნი“.

მან ჯეფს საჩუქრები გადასცა. მათ ხელი ჩამოართვეს ერთმანეს და მერე გიდიონმა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში პირველად აკოცა თავის ვაჟს.



დაბრუნდა თუ არა კარუელს გიდიონი — კაცი, რომელმაც უდიდეს გამარჯვებას მიიღწია, თითქმის შეუძლებელი შესძლო — მაშინვე აქაური უბედურების ამბავი შეიტყო. ის-ის იყო მიესალმა თავისიანებს და ხელში აიყვანა ჯენი, რომ ანაზღად თვალს რამდენიმე გარუჯული ბოძი მოხვდა იმ ადგილას, სადაც ბოსელი ეგულებოდა, ქოხების ნაცვლად კი ორი საკვამლე მილი აზიდულიყო ჰაერში. ყველა ჩუმად იყო, დაღვრემილი, შემფოთებული სახეებით; რეიჩელი გიდიონს მიეკრო. „მარკუსი სადაა?“ — დაიგმიხა გიდიონმა.

მაგრამ მარკუსი კარგად იყო; აჯერ, მისკენ მოიწვედა. „რაშია საქმე? — იცი თხა გიდიონმა. — როდის მოხდა ეს ამბავი? როგორ?“ იგი სიკვდილის უცნაურმა, თითქმის მისტიკურმა გრძნობამ შეიპყრო; მან ირგვლივ მიმოიხედა — აკლდა თუარა ვინმე მათ შორის? მერიონ ჯეფერსონს მკლავი ჰქონდა შეხვეული, ჰანიბალ ვაშინგტონის ცოლს, ალას, ხელში გიდიონის აქ არყოფნის დროს დაბადებული ჩვილი ბალდი ექი-

რა. სიკოცხლე და სიკვდილი ერთად მიიბიჯებდნენ.

„მითხარით, რა მოხდა!“ — კვლავ იკითხა გიდიონმა.

მაშინ ენდრიუ შერმანის ცოლს — ლუსის — ტირილი აუვარდა; ენდრიუმ მას დამშვიდება დაუწყო, ეფერებოდა: „კარგი, ლუსი, კმარა“. და გიდიონი მიხვდა, რომ მომკვდარიყო ლუსის ბიჭუნა. ცხრა წლის ჯეკი, რომელიც დედის სიამაყე იყო თავისი ღია ყავისფერი კანიოთა და არაჩვეულებრივი სილამაზით, რაც სამხრეთ კეროლიანის ორი „საუკეთესო ოჯახის“ სისხლის ნაყოფს წარმოადგენდა. გიდიონმა ძმა პიტერს შეხვდა და ამ უკანასკნელმა წყნარად წარმოსთქვა: „უფალმა გვარჩუნა და უფალმა წაგვართვა“.

„როგორ მოხდა?...“ — იკითხა გიდიონმა.

ძმა პიტერი მოჰყვა ამბავს; ზოგჯერ სხვებიც ეშველებოდნენ, რომ არაფერი გამორჩენოდათ. ზოგი ამის მოწმე იყო, ზოგი — იმის. გიდიონის წასვლის შემდეგ მეოთხე დღეს მოხდა ის, რის შესახებაც მათ აქამდეც სმენოდათ, მაგრამ რაც ჯერ არავის ენახა კარუელის მიდამოებში. დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე ისინი ბრუნდებოდნენ მწუხრის ლოცვიდან, რომელიც ძმა პიტერმა ბოსელში მოაწყო, რადგან გარეთ ცოტა ციოდა. იმ საღამოს ძმა პიტერმა 99 ფსალმუნზე იქადაგა — ეს მას არასოდეს დაავიწყდება: „ღალადებდით წუთისა ყოველი ქვეყანა, მონებდით უფალსა სიხარულით“. ისინი ბოსლიდან გამოვიდნენ, მაგრამ მაშინვე არ წასულან შინისაკენ — პატარ-პატარა ჯგუფებად დაიყვნენ და ცოტა ხანს ასე იდგნენ, როგორც, საერთოდ, წირვის შემდეგ სჩვევია ხალხს. და მერე მათ დაინახეს: დასავლეთით საძოვრების გადამმა, გორაკზე, უზარმაზარი ჯვარი ერთბაშად აინთო და გიზგიზებდა. ეს ამბავი პირველად ერთმა დედაკაცმა შე-

ნიშნა, დაიკვილა და მაშინ სხვებმაც მიაქციეს ყურადღება.

ქალებმა წივილ-კივილი ატეხეს, ზოგიერთი ბავშვი შიშისაგან ცუდად გახდა. დიახ, გიდიონს წარმოადგენილი ჰქონდა როგორ მოხდა ეს: ჯერ წყნარი დიასი და შემდეგ ერთბაშად აღმოდებული ჯერის საშინელი გამოსახულება. მამაკაცებმა მაინც მალე მოახერხეს ქალებისა და ბავშვების დაწყნარება. ძმა პიტერმა დარწმუნებით განაცხადა, წმინდა ჯერის ნიშანი, გინდ სისხლში იყოს იგი და გინდ ცეცხლში, ბოროტებას არავის უქადისო. ზოგმა ამ სიტყვებში ნუგეში ჰპოვა; დანარჩენებმა, ვისაც უკვე ჰსმენოდა კუ კლუქს კლენის შესახებ, ტუჩები მოკუმეს და სიტყვა არ დაუძრავთ. სანამ ჯვარი შთლად არ დაიწვა, ფეხი არავის მოუცვლია, მერე კი შინისკენ გაემართნენ, თუმცა ბევრი მათგანი ჯერ კიდევ შემფოთებული იყო.

„მერე, — განაგრძო ახლა ჰანიბალ უაშინგტონმა, — გავიფიქრე: ჯვრები თავისთავად არ იწვის, თუ ვინმემ, სასიეროდ, ცეცხლი არ მოუკიდა-მეთქი; არა, ჩემო ბატონო. რაღაც ძალიან უცნაური სჩანდა ეს ამბავი, და ტრუბერს ვუთხარი, იმ გორაკთან მივიდეთ და ჩვენი თვალთ ენახოთ-მეთქი.“

მათ თოფები აიღეს ხელში, საძოვარს გარს მოუარეს და მეორე მხრიდან მიადგნენ გორაკს. იქ არავინ იყო, ფიჭვის ორი მორიდან გაკეთებული დანახშირებული ჯვარი დახჭდათ მხოლოდ; ჰაერში ნავთის მაგარი სუნი იდგა და მიწაზე თივა იყო მიმოფანტული. მწელი არ იყო იმის მიხედვრა, რაც აქ მომხდარიყო. ვილაცამ ჯვარი დაასო, თავიდან ბოლომდე თივით დაძინძა, ნავთი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა. რაღაც ბავშვური, უგუნური და თანაც საშინელი იყო ეს ამბავი; ამგვარი ამბები მათ აღრეც სმენოდათ; და ახლა ამ სანახაობამ გააოცა და ნამდვილ საშიშროებაზე უფრო მეტად შეაშფოთა ისინი.

როდესაც შინ დაბრუნდნენ, ნახეს, რომ მამაკაცები მათ ვეღარც მოხდნენ. ჰანიბალ უაშინგტონმა ნახული უამბო მათ. ალენბიმ სთქვა: „ჩვენ აქ კარუელში ჯერ არ განგვიცდია სამხრეთის ეს არამზადობა“. ამ დროს ებნერ ლეიტი და ძმები-ფრენკი და ლესლი კანსონები ამოვიდნენ შეიარაღებულნი; სიბნელეში გაისმა მათი ძახილი: „ჰელო, ჰელო, გამოგვხედეთ!“ მათაც დაენახათ ჯვარი თავიანთი სახლებიდან და ამბის გასაგებად ამოვიდნენ.

„ალბათ, არაფერიც არაა“, — სთქვა ჰანიბალ უაშინგტონმა.

„იქნებ ეს ის კლენია. ან იქნებ ვინმე შეზობელთაგანმა ისულელა.“

„არა მგონია, რომ ვინმე აქაურმა გააკეთოს ასეთი ბრყვეული რამ“, — სთქვა ებნერ ლეიტმა. ამის შემდეგ ბევრი ოლაპარაკეს, ბევრი იკამათეს იმაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. კაცმა რომ სთქვას, არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. ახლა, უყვებოდნენ რა გიდიონს ამ ამბავს, მათ უნდოდათ დარწმუნებულყვნენ, რომ გიდიონს ესმოდა მათი მაშინდელი მდგომარეობა. რა უნდა ექნათ ასეთი სისულელის წინაშე? ვილაცამ სთქვა, მოდი, დარაჯები დავაყენოთ, და ამაზე ვილაც მეორემ სავსებით სამართლიანად მიუგო — ჩვენ კანონის მორჩილი ხალხი ვართ და ცივილიზებულ ქვეყანაში ცხოვრობთო. სხვას რომ თავი დაეანებოთ, ყოველ დამე დარაჯების დაყენება შეუძლებელი იყო.

„ზომ მართალია, გიდიონ?“ — ყოყმანით იკითხა ახლა ძმა პიტერმა.

„მართალია, — თავი დაუქნია გიდიონმა. — მერე რა მოხდა?“

რა და ყველა დასაწოლად წავიდა; მართალია ჩქეულებრივზე გვიან, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ყველამ დაიძინა. შეუღამე დიდი ხნის გადასული იყო, როცა ეს ამბავი მოხდა. ახლა ყველას ერთი და იგივე ჰქონდა საამბობი, თუ როგორ გამოვლენიანთ ფლოკვების თქა-

რათქურზე. ქალებიდან ზოგმა ყვირილით გამოიღვიძა — სამინელი სიზმარი ეგონათ; ზოგი მამაკაცი ლოგინში დარჩა შეშინებული. ჰანიბალ უამინგტონმა, ენდრიუ შერმანმა, ფერდინანდ ლინკოლნმა და ტრუბერმა, რომლებსაც გატენილი თოფები ლოგინებთან ჰქონდათ დატოვებული, თქარათქურის გაგონებზე თოფებს ხელი დასტაცეს და გარეთ გაცვივდნენ. გარეთ გამოვიდნენ აგრეთვე ძმა პიტერი, ალენბი და კიდევ ათიოდე სხვა, მაგრამ თოფი არცერთ მათგანს არ ჰქონდა. ყველას მუხსიერებაში ერთი და იგივე სურათი იყო: ცხენებს მოაქუნებდნენ თეთრ სუღარებში გახვეული შეიარაღებული მხედრები, სულ თორმეტნი იყვნენ, თუმც ეს ამბავი თავდაპირველად შეუმჩნეველი დარჩა. მხედრების ნახევარს ხელში დღევით გაქვლითილი ჩირაღდნები ეჭირა და იმ დროს, როცა ზანგები გარეთ გამოცვივდნენ, ძველი, გამხმარი ბოსელი უკვე იწვოდა, თივა ტყაცატყუით ისროდა მაღლა აღის გრძელ ენებს. ძროხები და ჯორები თავზარდაცემული ღრიალებდნენ. ტრუბერმა აღიარა, რომ პირველად მან გაისროლა. მან სთქვა, რომ ჯორების ხმის გაგონებაზე დაუფიქრებლად ესროლა ერთერთ თეთრ სუღარიანს, მაგრამ დარწმუნებული იყო, — და სხვებიც ასე ფიქრობდნენ, — რომ ბრაზისაგან გაცოფებულმა დაუმინებლად გაისროლა და ვერავის ვერ მოახვედრა. უმაღვე, ალბათ ამ გასროლის გამო, თეთრსუღარიანებმა ცხენები მიიბრუნეს, ჩირაღდნები ქოხებთან დაჰყარეს, უწესრიგო ზალზი მისცეს და გაჰქუსლეს.

„ხომ გაიგე, გიდიონ“, — სთქვა ახლა ალენბიმ, — რა მხდალი არამხადებიც იყვნენ! ერთმა გასროლამ გააქცია ყველანი. დიდი რამ ეგონათ ეს თეთრი პერანგები, ეს ავაზაკური თავდასხმა ღამით, ეს ცეცხლწაიდებული ჯვრები, მაგრამ, დანახვს თუ არა, რომ ჩვენ იარაღი გვაქვს, შეეშინდათ, კურდღლე-

ბივით მოჰკურცხლეს. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნეთ ბნელში გაშლილი ჯგუფ ბერმანი — როუი ტუკია შებღში მოხვედროდა; ჩვენ ვცდილობდით ცეცხლი ჩაგვექრო, საქონელი გადაგვერჩინა და ვერც კი შევამჩნიეთ საბრალო ბავშვი, მას კი ხმის ამოღებაც არ შეეძლო.

ლუსი შერმანი კვლავ აქვითინდა. დანარჩენი ძმა პიტერმა უამბო გიდიონს. მოკლული ბავშვის დანახვამ ყველა შეაძრწუნა და ველარაგინ ებრძოდა ცეცხლს რიგაიანად; საქონელი გადაარჩინეს, მაგრამ ბოსელი და ორი ქოხი კი მთლად ერთიანად დაიწვა. ცეცხლის დანახვაზე ებნერ ლეიტი, ფრედ მაკპიტ, მისი ვაჟი, ჯეიკ სატერი და ძმები კარსინები მოცვივდნენ. ჰანიბალმა გაიხსენა, როგორ შეხედა ებნერ ლეიტმა მოკლულ ბავშვს და როგორ შეივინა — ასეთი ვინება მათ აქამდე არ გაეგონათ კაცის პირიდან. „იცი რა, გიდიონ, — აღელვებული ხმით სთქვა ჰანიბალმა, — ამან ერთი ეჭვი გაგვიფანტა. რა არ ვიფიქრეთ! ყველა თეთრზე მივიტანეთ ეჭვი, იმათზედაც კი ვიფიქრეთ. მაგრამ, როცა ისინი მოვიდნენ, მივხვდით, რომ ჩვენი ეჭვი ტყუილი იყო. ამით ბავშვს სიცოცხლე ვერ დაუბრუნდებოდა, მაგრამ რაღაც შეება მაინც ვიგარქენით“.

„მერე რაღა ჰქენით?“ — იკითხა გიდიონმა და მის ხმაში ისეთი შეგუბებული ბოღმა გაისმა, თითქოს სხვა ვინმე ლაპარაკობსო.

ამაზე ალენბიმ მიუგო: „რა უნდა გვექნა, გიდიონ? მეორე დღეს ებნერ ლეიტმა ჯორი შეკაზმა და დაბაში ჩაიფიდა. გავიგეთ, რომ მან შერიფს რაღაც მოსთხოვა, შერიფმა კი მას, თურმე, სიცილი დააყარა. გავიგონია ვინმე ჯესონ პიუგარი, ძველ დროში რომ მონებით ვაჭრობდა?“

„გამიგონია“.

„ხო და ებნერს ყური მოუყრავს ლაპარაკისათვის, რომ აქაური კლერის მეთაური ის ყოფილა, ებნერს პირში მი-

უხლია მისთვის ეს ამბავი, მას კი ებნენ-რისთვის მურდალი ზანგთა მოტრფილად უწოდებია, ჩხუბი ამტყდარა მათ შორის და, თურმე, ებნერს იგი, ცოტა დააკლდა, ხელში კინალამ შემოკვდომია. მათ გარშემო ხალხი მოგროვილა; ებნერს დამბაჩა უძერია და დღუძახნია — აბა ვის უნდა პირველი იყოსო; ჩარლი კენტი, რომელიც ომის დროს რაზმში ებნერთან ერთად იყო, მას ამოდგომია გვერდში. მერე ებნერი თავის ჯორზე შემჯდარა და შინ დაბრუნებულა. მეორე დღეს პანბალმა ოთხთვალა გაამზადა; ორივე წავედით კოლამბიას და იქ მაიორ შელტონს ველაპარაკეთ.

„შელტონმა რაღა გითხრაო?“

„ასე სთქვა — ზომებს მივიღებთო. მათ გამოთქმა ჰქონიათ ასეთი, გიდიონ, — ზომებს მივიღებთ“.



კოლუმბიაში მაიორმა შელტონმა გიდიონსაც იგივე უთხრა: „წეგძლიათ დამშვიდდეთ და დარწმუნებული იყოთ, რომ სათანადო ზომებს უკვე ღებულა ბენ“. შელტონი მაღალი კაცი იყო, მოკუტრული თვალების ცივი გამოხედვით; მას ცხრა წლის წინათ დაემთავრებინა უესტ პონტი<sup>1</sup>. ის საკმაოდ ახალგაზრდა იყო იმისათვის, რომ დამდურებოდა თავის ბედს, რომელმაც იგი ამ მიყრუებულ სამხრეთში გადმოკარგა და თანაც ისეთ პოლიციურ თანამდებობაზე, რომელითაც იგი იმათს გაბოროტებდა იმსახურებდა, ვისაც პატივს სცემდა, და იმათს სიმპათიას, ვინც მას ეზიზღებოდა.

„როგორია ეს სათანადო ზომები?“ — შეეკითხა გიდიონი.

„სამხედრო ზომები, რომელთა შესახებ მე არც განზრახვა მაქვს და არც მოვალე ვარ თქვენთან ვილაპარაკო. თქვენი საჩივარი მიღებულია; ძიება სწარმოებთ“.

„ჯერჯერობით კი მოკლული ბავშვი მოკლული რჩება და საქმე ამით მთავრდება“.

„არა, რა თქმა უნდა, საქმე ამით არ მთავრდება, — მოუთმენელი ხმით სთქვა შელტონმა. „ნუ ცდილობთ ჩემი სიტყვები უკუღმა განმარტოთ, მისტერ ჯექსონ. რამდენადაც მე საქმის ვითარება მესმის, ბავშვის მკვლელობა შემთხვევით მოხდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ დამნაშავეთა შესაპყრობად“.

„შემთხვევით — წამოიძახა გიდიონმა. — შემთხვევით იყო, რომ იმ თეთრხალათიანმა ბანდიტებმა ჯვარი დასწვეს, სოფელს თავს დაესხნენ, ბოსელს უცხელი წაუვიდეს, ბოსელს, რომელიც ჩვენ კი არ გვეკუთვნის, მაიორო შელტონ, არამედ ამჟამად შეერთებული შტატების მთავრობის საკუთრებაა როგორი შემთხვევითი ამბავია ეს?“

„სამწუხაროა“...

„ალბათ, ძალიან სწუხხართ! დაგანტრესათ კი კლენის აქაურმა ორგანიზაციამ? გამოარკვეით, დაჰკითხეთ ისეთებს, როგორიცაა ჯექსონ ჰიუგარი? გააკეთეთ რამე ამის მსგავსი?“

„ნუ მიყვირით, ჯექსონ! მე არ ვაპირებ ციბრუტივით ვიტრიალო, რამდენი ზანგი აქ მოვა მფარველობის სათხოვნელად და კივილს მორთავს!“

გიდიონმა თავშეკავებული ხმით მიმართა: „მომისმინეთ, ბატონო. მე მოთმინებიდან არ გამოვდივარ და არც ვამოვალ. მე თქვენ არაფერს არ ვთხოვთ. მე ვლაპარაკობ ჩვენს უფლებებზე. ჩვენი ქვეყნის კონგრესმა სამხედრო მფარველობა დააწესა ამ ოლქისათვის, სანამ სამოქალაქო სამართალი დამყარდებოდეს. ან თქვენ უნდა გავიწიოთ ეს მფარველობა, ან ჩვენ თვითონ დავიკავთ თავს. მეც ვიბრძოდი ომში, უფროსი სერჟანტი ვიყავი ზანგების ორმოცდამეთოთხმეტე მასაჩუსეტის ლეგიონში. ცხრა ბრძოლა გადავიხადეთ და ყოველ ათ კაცში რვა მსხვერპლი ვახდა

<sup>1</sup> სამხედრო აკადემია ნიუ-იორკის მახლობლად.

მოკლულის ან დაკრილის სახით. გაბსოვთ, როგორ შეეუტიეთ ვაგნერის ფორტს? ოთხასი მოკლული დაგერჩა ჩვენი ლეგიონიდან მის ბასტიონებზე და მათ შორის პოლკოვნიკი შოც. მეამბოხეებმა მისი გვაში აკოწყეს და საერთო საფლავში ჩააგდეს ზანგებთან ერთად იმიტომ, რომ იგი — თეთრი ჯენტლმენი, უსპეტაკესი თეთრი ჯენტლმენი — ზანგების ლეგიონს სარდლობდა. გაბსოვთ ჩვენი სიმღერა: „ცათა კარები ფართოდა პოლკოვნიკ შოსთვის გაიღო“. ამ ამბებზე ლაპარაკი არ მიყვარს, ისინი წარსულს ჩაბარდნენ, ავ წარსულს. მაგრამ გუბნებით: თუ თქვენ არ გაგვიწვეთ მფარველობას, მაშინ ჩვენ თვითონ დავიცავთ ჩვენს თავს“.

მაიორმა შელტონმა შეაკრად წარმოსთქვა: „მე ბოლოს მოვეუღებ წესრიგის ყოველგვარ დარღვევას, თეთრების მიზეზით იქნება იგი გამოწვეული, თუ შეეების“.

„ჩვენ კი ჩვენით დავიცავთ თავს“, — მიუგო გილიონმა.

მერე, დაბრუნდა თუ არა კარუელს, გილიონმა თავი მოუყარა ყველა შავსა და თეთრ მამაკაცს და გამოუცხადა:

„თქვენ იცით, რა გამოვიდა ჩემი მგზავრობიდან ჩრდილოეთში ბოსტონელმა ბანკირმა ისააკ უენტმა თხუთმეტი ათასი დოლარის ჩეკი მომცა. მიწა უნდა ვიყიდოთ და უნდა შევიწინარჩუნოთ კიდეც. ეს ბოროტება, რომელიც უკვე თავს ჰყოფს, ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედებს. მე წინადადება შემომაქვს: დავიცავთ ჩვენი უფლებები. შევქმნათ ჩვენი საკუთარი მილიცია, რომელიც კვირანი ერთხელ მიიღებს წრთენას სანამ ამის საჭიროება იარსებებს“.

დიდი კამათი ატყდა. ფრენკ კარსონმა პირდაპირ სთქვა, წრთენა ზანგის ხელქვეით ჰქუამი არ მიჯდება. სტიუარტის ყოფილ ჯარისკაცს არაფრად ეჭამნიკა გილიონის გეგმა. წრთენის ხელმძღვანელად გილიონმა დაასახელა ფრედ მაკიუ, რომელიც ომის დროს უნტერ-

ოფიცერი იყო. კენკი უყარეს და მაკიუც დათანხმდა. მან ჰანბნა უაშინგტონი და ებნერ ლეიტ აირჩია თანაშემწედ. ალენბიმ ეკვი შეიტანა მთელი ამ ამბის კანონიერებაში, მაგრამ ამაზე გილიონმა უპასუხა, რომ ისინი მხოლოდ იარაღის ტარების იმ უფლებით სარგებლობენ, რომელიც კონსტიტუციით აქვთ მონიჭებული. რაც ომი გათავდა ისინი ყველანი ისედაც ატარებენ იარაღს და მათი ორგანიზებული წრთენა გაფრთხილება იქნება დამისპერანგოსანთა ბანდებისათვის, რომ ისინი იოლ დავლას არ წარმოადგენენ მათთვის. გილიონი თითქმის არ სცდებოდა: ამის შემდეგ დიდმა დრომ გაიარა, სანამ კლერი კვლავ მოაწყობდა თავდასხმას კარუელის მიდამოებში.



გადაწყდა, რომ მიწის საყიდლად საჯარო ვაჭრობაზე წავიდნენ ებნერ ლეიტ, გილიონი და ჯეიმს ალენბი. რწმუნებულად გილიონი დანიშნეს. იანკი-ვექილმა დანიელ გრინმა გილიონს კარუელის მამულის გეგმა უშოვა. საჯარო ვაჭრობამდე დარჩენილი დრო კარუელებმა გეგმის კირკიტს მონადომეს და ათასნაირად ყოფდნენ მიწას. მათ წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ იმაზე, თუ როგორ დაანაწილებდნენ მიწას მთავრობის მიწის მზომელები ათასაკრიან ნაკვეთებად, მაგრამ ისინი ცდილობდნენ ყოველგვარი შესაძლებლობა გაეთვალისწინებინათ. გილიონი, ებნერი და ფრანკ კარსონი მთელი კვირის განმავლობაში დააბოტებდნენ კარუელის ოცდაორათასაკრიან მამულში. მათ ისეთი ადგილები აღმოაჩინეს, რომელთა არსებობა აქამდე უცნობი იყო მათთვის. ფრენკ კარსონმა აზრი გამოსთქვა, რომ იმ ადგილას, სადაც ლეუე შვიდ ფუტზე ეშვებოდა, იაფი დაჯდებოდა წისქვილის აგება და სიმინდს თვითონ



დატყვედნენ. ისინი მაღალი ხშირფოთ-ლიანი ჰადრების ტევრს წააწყდნენ. ამ მშვენიერი ადგილი იქნებოდა საცხოვრებლად. როდესაც ებნერ ლეიტმა შეიღდა აქრზე გაკიმულ ჰაობზე სთქვა, ეს კი არაფრად გვეკირდება და უნდა მოვერიდოთო, გიდიონმა მოითხოვა კარგად დაეთვალიერებინათ ეს ადგილი. ჰაობში ახალგაზრდა მეორედ ნაყარი ხეები აღმოჩნდა, მათი აჩეხა ადგილი იქნებოდა. მიწა წავ და არაჩვეულებრივად პოხიერ, მსუქან ნეშომპალს წარმოადგენდა. „აქ წელიწადში ბრინჯის ორი კარგი მოსავალი მოვა, თუ კაცს ბრინჯი აქვს, შიმშილი ვერას დააკლებს“, — სთქვა გიდიონმა. ოცნებით აღზნებულმა გიდიონმა მათ აუხსნა, რომ ამ ჰაობზე გაქვანილი ფიხსფენილი დაახლოებით ოთხი მილით შეამოკლებდა მანძილს რკონიგზამდე. ფრენე კარსონმა მსუქანი მიწა თითებში მოსრისა, გაიღმა და სთქვა: „სწორედ იმ ბორცვზე, ჰადრებში ავიშენებ სახლს. ამ საოხრე ბამბის ნაცვლად ბრინჯს დაეთესავ და ხალას ფულს ჩავიჯიბებ. ღმერთმა დასწყველოს, კაცი არ მინახავს, რომ ბამბას გაებედნიერებინოს“. მე ბამბას დაეთესავ, — სთქვა გიდიონმა, — ჩვენს ქვეყანაში ბამბას დიდი გასავალი ექნება, მინდა ვნახო, როგორ გაიწლებიან კოკრები და ვთქვა, ჩემია-მეთქი“. „ასეთ დაბლობში ციება იცის“, — დაურთო ებნერმა.

ამგვარად, საჯარო ვაჭრობამდე დარჩენილ დროში მათ თითქმის მთელი მამული მოიარეს ფეხით. ყველგან მოსავალს იღებდნენ; 1868 წელი ბარაკიანი შემოდგომით იწურებოდა. სახელდახელოდ აგებული ბედლები სიძინდის ყვითელი ტარობით აივსო; თეთრების მიერ მოყვანილ ბამბას კარგი მაზანდა ჰქონდა. და ერთ დამეს ხალხმა პირველი საბარგო მატარებლის ყურისწამლები სტენა გაიგონა.

ოქტომბრის ოცდარს გიდიონმა, ებნერ ლეიტმა და ჯეიმს ალენბიმ თავიან-

თი ოთხთვალა კოლაშიის ერთერთ თველაში დააყენეს და საჯარო ვაჭრობაში თავმოყრილ ხალხს შეუქრითდნენ. მათ რიდან გიდიონს ხელი დაუქნია დანიელ გრინმა, რომელიც იმისთვის იყო დაქირავებული, რომ მათ მაგივრად ეწარმოებინა ვაჭრობა: იგი გზას იკვლევდა მათენ და ზღვა ხალხში ხან გამოჩნდებოდა და ხანაც ინთქებოდა. ექპილს კუბოკრული კოსტიუმი ეცვა, თავზე თეთრი ქილის ქუდი ეხურა და პირში მსხვილი შავი სიგარა ჰქონდა გარკობილი. „სალამი, ჯეკსონ, სალამი!“

საჯარო ვაჭრობას ხალხი შტატის ყველა კუთხიდან მოაწყდა. უკანასკნელ დღეებში ეწვიმა და ახლა შტატის მთავარი ქალაქის ატალანებულ ქუჩებში ოთხთვალეების, ეკიბაეებისა და შეკამული ცხენებისაგან ტევა არ იყო. აუქციონერის კათედრა კაპიტოლის კიბეზე მოეწყობო. სახელდახელოდ დამზადებულ სტენდებზე გაკრული იყო გადასახადებში ჩამორთმეული მამულების რუკეა, რომლებზედაც გასაყიდი ნაკვეთები ფერადი ფანქრით შემოეხაზათ. სტენდებს ყოველი ჯურის ხალხი მისეოდა: ჩარლსტონელი ჯენტლმენები, მოჯამაგირე ზანგები იანკი სპეკულანტები, მთიანი რაიონებიდან მოსული ფერმერები და პლანტატორები ისეთი შორეული შტატებიდანაც კი, როგორც ნიუ-ორლეანსი და ტექსასია; აქვე იყვნენ მორგანის წარმომადგენლები იუნიტარიანული ეკლესიის წარმომადგენლები და ორი ინგლისური სამიწათმფლობელო კომპანიის წარმომადგენლები. ასთექს-მეტი ათასი აკრი მიწა უნდა გაყიდულიყო.

გიდიონს ვიღაცამ სახელოზე მოსწია. მობრუნდა თუ არა, მისი თვალები სტოვენ ჰოლმსის ოდნავ მომღიმარე თვალებს შეხჭდა. გიდიონმა მას ებნერ ლეიტი და ჯეიმს ალენბი გააცნო და ჰოლმსიც ძალდაუტანებელი ფაქიზი თავაზიანობით მიესალმა მათ.



„მიწის საყიდლად მოსულხართ, გიდიონ?“ — იკითხა ჰოლმსმა.

„ღიახ“.

„მაშ, ორივე ერთ საქმეზე ვყოფილვართ. მე დადლი კარუელის, პოლკოვნიკ ფენტონისა და ნაწილობრივ საკუთარი სახელით ვმოქმედებ“.

„კარუელის მიდამო გაინტერესებთ?“ — რაც შეიძლებოდა უბრალო, ბუნებრივი ხმით შეეკითხა გიდიონი.

„შესაძლოა, ანდა რამე სხვა კარგი ნაკვეთი. დადლის არ უნდა იმ სახლის დაბრუნება, იგი მას ზედმეტ ტვირთად აწვა ყოველთვის. გავიგე, რომ სესხს ეძებდით ჩარლსტონში“.

„სესხი ბოსტონში მივიღე“, — მიუგო გიდიონმა.

„მართლა? მოდიტ, ერთმანეთის წინაღობდეგ ნუ ვივაჭრებთ, უცნობებიც ბლომად არიან. გიდიონ, ცოტა ხნის წინათ თქვენი ხალხი იყო, რაღაც უსიამოვნება რომ შეემთხვა?...“

„კლენტან“, — დაურთო გიდიონმა.

„ეს არამზადები, წყევლი თეთრი ნაძირალები... — სთქვა ჰოლმსმა. — მოხარული ვარ, რომ შეგხვდით, გიდიონ, თქვენი შეხვედრაც სასიამოვნოა, ბატონებო“.

მოშორდა თუ არა მათ ჰოლმსი, ლეიტმა შენიშნა: „ასეთებს კოჭებში ვატყობ, გიდიონ, ოფიცერი იყო, ხომ?“.

„მე მგონია“.

„კარგი ვაუბატონი უნდა იყოს. ვინ იცის, რამდენი ზანგი ჰყავდა ძველად! ეტყობა, საკუთარ დედას არ დაინლობს“.

ცოტა ხნის შემდეგ საჯარო ვაჭრობაც დაიწყო და ამ წუთიდან მოყოლებული გიდიონისა და მისი მეგობრებისათვის, ისევე, როგორც ხალხის უმეტესობისათვის, ყველაფერი უიმედო დომხალად იქცა. ორი აუქციონერი რიგრიგობით გაპყვიროდა: „მეოთხე ნაკვეთი, ჩიბდენი, მეოცდაორე, ჩრდილოეთით, მთავრობის ფასი ორი დოლარია, რვაასი

აკრი — ორი დოლარი, ორი დოლარი, ორი დოლარი, ორი დოლარი, ორი დოლარი, ორი დოლარი, ორი დოლარი და ათი ცენტი თხუთმეტი ცენტი, თხუთმეტი ცენტი...“ გრინი პირში გარკობილი მოღრეცილი, ჩამქარალი სიგარით აქოშინებული მივარდა გიდიონთან და უთხრა: „შეხედეთ ამ გეგმას! ნაკვეთები აღნიშნულია, სულ ოცდასამი. თვითული ცოტათი ნაკლებია ათას აკრზე! სახლი ცალკე გადს ორასაკრიანი ნაკვეთით. მთავრობის მინიმუმი აკრზე დოლარია!“

გიდიონმა, ლეიტმა და ალენბიმ ბრბოს თავი დააღწიეს და გეგმას დააცქერდნენ. „ამოიჩინეთ სამი ნაკვეთი“, — უთხრა მათ გრინმა, — და მერე დანარჩენებიდან თანმიმდევრობით შემცვლელები“.

„როგორ?“

„როგორ და ჯერ საუკეთესო მიწა. მას აღწინაავ. . . . . ით;“ — მათ თითოთ უჩვენეს სამ ყველაზე უფრო სასურველ ნაკვეთზე. — „ახლა, აქედან დაწყებული, თანდათანობით, იმ შემთხვევისათვის, თუ პირველები ვერ გავითრეით“. გიდიონმა და ებნერმა სწრაფად ასწონ-დასწონეს დანარჩენი ოცი ნაკვეთის კარგი და ცუდი და თანმიყოლებით დანომრეს ისინი. „უმაღლესი ფასი ზუთი დოლარია?“

„ზუთი დოლარი“, — კვერი დაუკრა გიდიონმა, — მაგრამ ეცადეთ, უფრო იაფად იყიდოთ“.

„რაც შემიძლია...“ — თავი დაუქნია გრინმა და უკანვე შექერა ხალხში. აუქციონერის ხმა კვლავ მონოტონურად ზუსუნებდა. ყოველი მხრიდან გაისმოდა მოვაჭრეთა შეძახილები შენაძლევი ფასის შესახებ მიწის აგენტები იდაყვებით იკვლევდნენ გზას ამალღებული ადგილისაკენ. ვაჭრობა დილის ცხრასათზე დაიწყო; შუადღეზე იგი კვლავ გრძელდებოდა, კარუელის მამულის ჯერი კი, კიდევ არ მოსულიყო. მერე, ორ საათზე, კარუელის პირველ ნაკვეთს

მოხვდა ჩაქუჩი. გიდიონის ყურადღება ვერ ასწრებდა ყველაფრის დაჭერას, რაც იქ ხდებოდა. ხუთი საათისთვის კი ყველაფერი დამთავრდა. ქანცამოლეული, მოთელილი, მაგრამ ტრიუმფალურად მომღიმარე გვექილი ხალხიდან გამოძვრა: „ჩვენია!“

„რომელი?“

ორი იმათგანი, რომლებიც A<sup>1</sup>-ით აღენიშნეთ“. ვეკილმა დაქმუქვნილი გეგმა სასიარულოდ დაგებულ ფიცრებზე გაშალა და იქვე დაიჩოქა. გიდიონი, ებნერი და ალენბი თავზე დაადგნენ. „ეს ორი ზუსტად ოთხ-ოთხ დოლარად აკრი“. ლეიტმა სისხარულის კიეინა დასცა, ხტოდა და ბარძაყებზე ირტყამდა ხელებს. „ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა დასწყევლოს, გიდიონ, ამას შეხედე! სწორედ ის ბორცვია ჰადრებიანი! აგერ ის ტაფობი-გოგოს გაევსავით ხორციანი!“ გიდიონსაც ბედნიერების ღიმი უთამაშებდა პირზე; მან გრინის გვერდით ჩაიჩოქა. „მესამე სადღაა?“

„თქვენ რომ მეოთხე ნომერი დააწერეთ შემცვლელეებში, იმის ფასი, საკვირველია, მაგრამ ხუთ დოლარამდე ავიდა აკრზე. დარწმუნებული ხართ, რომ კარგად იცნობთ იმ ადგილებს?“

„ღმერთმა დასწყევლოს, ვიცნობთ, მაშ! — მიუგო ებნერმა. — კეთილი, ის ნაკვეთიც კარგია, ძალიან კარგი.“

„პირველ ორ ნაკვეთში შვიდიათას სამასი, კარგი საქმეა, გიდიონ, შესანიშნავი საქმეა პირდაპირ ნაჩუქარია. მესამე — ოთხიათას შვიდას ორმოცდაათ დოლარად. აჰა თქვენი მიწაც. თითქმის სამი ათასი აკრი“.



შინ ტრიუმფით ბრუნდებოდნენ. მოხუცი ჯეიმს ალენბი ჯორს მიერეკებოდა, გიდიონი და ებნერი მთვრალი ხმით მღეროდნენ: „იასამანი ნორჩია და ღილის ცვარში ჰყვავისო; მე შენზე

ვეჭირობ, ლამაზო, და სევედამ მომკლას ლამისო“. ებნერმა ორ დოლარად ერთი ხელადა არაყი იყიდა და იგი დაგვიდიონი მთელ გზაზე, კოლაშბიდან დაწყებული, მას შეეძვეოდნენ, სანამ არ გამოწრითეს. გიდიონი კარგი მსმელი ვერ იყო. იგი იშვიათად სვამდა და ისიც მეტად ფრთხილად. ხელადის სამ მეოთხედს ებნერი გეახლათ, დანარჩენს გიდიონი, მაგრამ ახლა ორივე დიდების თანაბარ მწვერვალზე გრძნობდა თავს. გიდიონი გამკვლავლეს უყვიროდა: „ხვალინდელი დღე ჩვენ გვეკუთვნის, ეჭვი არაა, იგი ჩვენია!“ კარუელში ალენბი მოჰყვა კოლაშბის ამბავს. რეიჩელმა გიდიონის დანახვაზე გაიცინა, მერე ლოგინში დააწვინა იგი. გიდიონი მას თავისკენ ეწეოდა, ლოგინში, რეიჩელი ეწინააღმდეგებოდა: „გიდიონ, როგორ არ გრცხვენია!“ მაგრამ ყველაფერი ეს ძველ დროს აგონებდა რეიჩელს. გიდიონი იცინოდა და თავისი ტბილი ბოზი ხმით მღეროდა, სანამ ბოლოს არ ჩაეძინა.

მეორე დღეს ძმა პიტერმა საგანგებო კრება მოიწვია და ხალხს მიმართა: „რიცხვთა წიგნში სწერია:“ „და შენ გამოხვედი ქვეყანით გამომდინარისა რძისა და თაფლისა და შეიყუანენ ჩუენ, და მომცენ ჩვენ ნაწილი იგი აგარაყთა და საყურძნეთა...“ იგი ნელა და გარკვევით ჰადაგებდა. უმიწაწყოთა ქვეყანაში მათ მიწა ჰპოვეს. ღვთის წყალობა ხედა მათ წილად და იგი აგრეთვე შეგარდმო ნიშანიცაა, რამეთუ ათასი თვალი შეჰყურებდეს, როცა წაჭი კაცი ერთ ნაჭერ მიწას შეიძენს. „ღირსეულად მოიხმარეთ იგი,“ — დაასრულა ჰადაგება ძმა პიტერმა.

კრების შემდეგ მიწის განაწილებას შეუდგნენ. დაყოფნება არ ივარგებდა, რაკი ამ ადგილიდან აყრა, თავთავიანთ ნაკვეთებზე დასახლება და საზამთროდ რამე თავშესაფართა აგება გადაწყვეტილი იყო. გიდიონი აღრევე გრძნობდა, რომ მიწის განაწილება ძნელი იქნებო-

და, მაგრამ იმის წარმოდგენა მაინც არ შეეძლო, რაც ახლა ხდებოდა: მამაკაცები ჩხუბობდნენ, გაცხარებით დავობდნენ, უკმაყოფილებას გამოხატავდნენ, მიწის ნაკვეთებს ერთმანეთს ადარებდნენ დაეკვებულნი, რომ მოტყუებული რჩებიან, ერთმანეთს რას არ ეძახდნენ, თეთრები შავების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, შავებიც ინსტიტუტრად მხარში ამოუდგნენ ერთმანეთს თეთრების წინააღმდეგ, და ასე გრძელდებოდა აურზაური, სანამ, დაბოლოს, გიდიონმა არ დაიღრიალა:

„გეყოფათ! ღმერთმა დაგწყევლოთ, ყველა გასულელდით! აქამდე მოგვიღწევია და ახლა მზად ხართ ყელი გამოსჭრათ ერთმანეთს! ერთი კაცი ამოვირჩიოთ, კენჭი ვუყაროთ; დე, მან გაანაწილოს მიწა. ვინ გინდათ, რომ იყოს?“

მათ გიდიონი უნდოდათ, მაგრამ მან უარი სთქვა. მერე ალენბი და ძმა პიტერი დაასახელეს; სამი ხმის უმეტესობით ძმა პიტერი გავიდა. ტრუპერმა მას ჰკითხა: „კი, მაგრამ შენ ვინდა უნდა ამოვირჩიოს მიწა?“. ამაზე ძმა პიტერმა მიუგო: „რაც გადარჩება, სულ ერთია“. მაშინ მათ ერთმანეთს გადახედეს, შერცხვათ და უხერხულად გაიღიმეს. ამის შემდეგ საქმე უკეთ წავიდა.

დროთა ვითარებამ ის მოიტანა, რომ, როცა კვლავ ხმის მიცემის დრო დადგა, ეს ამბავი ბუნებრივი და მარტივი იყო ამ ხალხისათვის; ბუნებრივი იყო აგრეთვე ისიც, რომ ისინი არ უფიქრდებოდნენ იმ ათასნაირ წუჭილმან ამბებს, რომლებიც მათში ცვლილებებს იწვევდნენ. ერთი წლის წინათ ისინი შეიარაღებული წავიდნენ ხმის მისაცემად, ახლა კი საქმე სხვანაირად იყო. ქვეყანა გამოიცვალა; ხალხიც გამოიცვალა; მომავალი აწმყოდ იქცა მათთვის და ისინიც მომავლის ნაწილი გახდნენ. შავები და თეთრები ერთად გაუდგნენ ქალაქის გზას ნოემბრის პირველ სამშაბათს, დილაადრიან. ჰაერი მოახლოებული ზამთრის სუსხით იკბინებოდა. მტვრიან შარზე ქარი ხმელ ფოთლებს ერეკებოდა, შავებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ერთსულოვნად მიეცათ ხმა რესპუბლიკელებისათვის. ებნერ ლეიტმა კი სთქვა, რომ იგი, ასეა თუ ისე, ხმას დემოკრატებს მისცემს. ასე მოიქცა პაპამისი, ასე მოიქცა მამის პაპაც და მას არ უნდოდა ელაღატნა ამ ჩვეულებისათვის. მიუხედავად ამისა, ხმის მისაცემად მაინც ყველა ერთად შევიდა ქალაქში.

თარგმანი ინგლისურიდან

გივი შვანიანი

(დაგრძელება იქნება)

პეპელ ნინოკოყვა

## გიორგი მერჩულე

ქართული მწერალი მათე საუკუნისა<sup>1</sup>

✓

დასავლეთ-სამხრეთის ფილმის სახელმწიფო  
 («ფხვანის სახელობა»)

და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულის ძეგლში.

მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, მე-8 — 10 საუკუნეთა მანძილზე, დასავლეთ საქართველოს, როგორც ცნობილია, ეწოდება „აფხაზეთი“. ასე ეწოდება დასავლეთ საქართველოს კერძოდ გიორგი მერჩულის ძეგლშიაც.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ეს სახელწოდება „აფხაზეთი“ შერჩა დასავლეთ საქართველოს უფრო გვიან ხანაშიაც, მას შემდეგაც, რაც საქართველოს სამეფო-სამთავროები მე-10 — 11 საუკუნეთა საზღვარზე გაერთიანდნენ ერთი მთლიანი სახელმწიფოს სახით. ამ გაერთიანებული სამეფოს ოფიციალურ სახელწოდებაში, როგორც ცნობილია, პირველად მოიხსენებოდა აფხაზეთი, რა სახელითაც იგულისხმებოდა მთელი დასავლეთი საქართველო.

მე-12 — 13 საუკუნეებში, როდესაც საქართველოს ფარგლებში გაერთიანდა მთელი კავკასია (და აგრეთვე შემოერთებულ იქნა კავკასიის მოსაზღვრე სანაპიროები ანატოლიისა და ირანისა), სრული ტიტულატურა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთა, როგორც ცნობილია, შემდეგი იყო:

„მეფე აფხაზეთი და ქართველთა (ქართველთა, იბერიელთა), რანთა და კახთა, სომეხთა, შარვანშა (შარვან-შაჰი) და შაჰანშა (შაჰან-შაჰი), და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელი“.

როდესაც ეს ტიტულატურა შემოკლებით იხმარებოდა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ეწოდებოდა „მეფე აფხაზეთი“, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს მთლიანად აღებულს ეწოდებოდა „აფხაზეთი“, „ქვეყანა აფხაზეთისა“. ასე მაგალითად, როგორც ქართულს, ისე უცხოურ წყაროებშიაც, დავით აღმაშენებელს და თამარ მეფეს ხშირად მიემართება ეს ტიტული — „მეფე აფხაზეთი“, ხოლო მე-12 — 13 საუკუნეთა საქართველოს, რომელიც მთელს კავკასიას მოიცავდა, ეწოდება „აფხაზეთი“, „ქვეყანა აფხაზეთისა“.

<sup>1</sup> გაგრძელება. იხ. №16 10, 11 (1949 წ.), 1 (1950 წ.).

ამრიგად სახელწოდება „აფხაზეთი“ გახდა სინონიმი ჯერ დასავლეთ საქართველოს, ხოლო საქართველოს გაერთიანების შემდეგ იგი ეხმარებოდა როგორც სინონიმი მთლიანად საქართველოს სახელმწიფოს.

რა წარმოშობისაა ეს სახელწოდება „აფხაზეთი“ ასეთის გაფართოებული მნიშვნელობით? ვინ იყვნენ თვით აფხაზნი, რომელთაც თავისი სახელწოდება გადასცეს ჯერ დასავლეთ საქართველოს, ხოლო შემდეგ მთელ საქართველოს სახელმწიფოს?

სახელწოდება „აფხაზეთი“ — გაფართოებულის მნიშვნელობით, როგორც ზოგადი სახელწოდება დასავლეთი საქართველოსი, პირველად შემოდის ხმარებაში, როგორც მოვიხსენეთ, მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან, რა დროსაც შეიქმნა დასავლეთ-საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო — „აფხაზეთის სამეფო“ ანუ „აფხაზთა სამეფო“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ საქართველოს, „აფხაზთა სამეფოს“ დაარსების გამო ის შეხედულებაა მიღებული, ვითომც ამ დროს, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, მოხდა დაპყრობა დასავლეთ საქართველოსი აფხაზების მიერ (რომლებიც არა-ქართული წარმოშობის ტომად არის მიჩნეული), და ვითომც ამის შემდეგ მომდევნო ორი საუკუნე (მე-9 — 10 საუკუნეები) — ეს არის ერთგვარად „აფხაზური ერა“ დასავლეთ-საქართველოს ისტორიაში.

ქართული ისტორიის მიღებულ სახელმძღვანელოში დასავლეთ საქართველოს — „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსების ისტორია ასეა განმარტებული: მოგვყავს სათანადო ამონაწერი:

„მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ამ დროისათვის (მე-8 საუკუნის მეორე ნახევრისთვის) დასავლეთ საქართველოშიაც. როგორც ვიცით, მე-6 საუკუნის დამდეგიდან აბაზგების (აფხაზების) სამთავრო ეგრისის სამეფოდან გამოყოფილი იყო და ბიზანტიის კეისარს ემორჩილებოდა უშუალოდ. ეს მთავრები შემდეგში კეისრებმა თავის ერისთავებად აქციეს აფხაზეთში. მე-8 საუკუნეში აფხაზეთი უკვე მჭიდროდ დასახლებული, და მშვიდობიანობით მოსარგებლე ქვეყანა იყო.

„მე-8 საუკუნის დამლევეს ბიზანტიაში დიდი შინაური შფოთი და არეუ-ღარევა ატყდა. ამით ისარგებლა აფხაზთა ერისთავმა ლეონ მეორემ, მოირთო ძალა ხაზართა მეფისაგან, რომლის ასულის შეილიც იგი იყო, და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. ამ დროს ძველი ეგრისის (დასავლეთ საქართველოს) სამეფო დაუძღურებული იყო. აფხაზთა ერისთავმაც ადვილად დაიპყრო ეგრისი და არგვეთი (დასავლეთი საქართველო — ვიდრე ლიხის მთამდე).

„ლეონმა და მისმა მემკვიდრეებმა თავის სატახტო ქალაქად ქუთათისი, დღევანდელი ქუთაისი აირჩიეს... ამის შემდეგ აფხაზთა ერისთავმა „მეფის“ წოდებულებაც მიიღო.

„დინასტიის მიხედვით დასავლეთ საქართველოს ამ ახალ სამთავროს „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა. თვით მოსახლეობის შემადგენლობაში დიდა ცვლილებები არ მომხდარა. მე-9 — 10 საუკუნეებშიაც დასავლეთ სა-

ქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ისევე საკუთრივ ქართველი ტომები — ქართვები, მეგრელები და სვანები შეადგენდნენ. ამრიგად, ამ შეხედულების თანახმად, აფხაზებს მე-8 საუკუნის დასასრულს დაუპყრობთ დასავლეთი საქართველო — ვიდრე ლიხის მთამდე და დაუარსებიათ „აფხაზთა სამეფო“.

ხოლო ვინ იყვნენ აფხაზები?

აფხაზები, წარმოდგენილი შეხედულებით, მიჩნეულია არაქართული მოდემის ტომად. მართალია, მას შემდეგ, რაც აფხაზებმა დაიპყრეს დასავლეთი საქართველო, მოსახლეობის შემადგენლობაში „დიდი ცვლილება“ არ მომხდარა, და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ისევე საკუთრივ ქართველი ტომები — ქართვები, მეგრელები და სვანები შეადგენდნენ. მაგრამ ივარაუდება, რომ ნაწილობრივი ცვლილება მაინც მომხდარა; ეს ნაწილობრივი ცვლილება ვითომც იმაში გამოიხატა, რომ ქართველი ტომების (ქართვების, მეგრელებისა და სვანების) მიწაწყალზე მოხდა ნაწილობრივი ჩამოსახლება არა-ქართველი აფხაზთა ტომისა, მოხდა გაფართოება აფხაზთა ტომის ტერიტორიისა ქართველი ტომების ტერიტორიის ანგარიშზე.

ეს შეხედულებანი, მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ საქართველოს — „აფხაზთა სამეფოს“ შესახებ, არ შეეფერება სინამდვილეს.

საისტორიო მასალების პრეციზული ანალიზის შედეგად, როგორც ეს ქვემოთ ნათელი გახდება მკითხველისათვის, ირკვევა შემდეგი:

1. აფხაზეთის ტერიტორია იმ ეპოქაში, როდესაც დაარსდა „აფხაზთა სამეფო“, ე. ი. მე-8 საუკუნეში, დასახლებული იყო ქართველი ტომებით, და ეს არა მარტო ამ დროს, მე-8 საუკუნეში, არამედ საერთოდ მთელი ძველი ისტორიის მანძილზე, ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში. აფხაზები და აფხაზეთში მოსახლე სხვა ტომები (აბსილები, მისიმიანები, სანიხები) ეს ისეთივე წმინდა ქართველი ტომები იყვნენ, ქართული წარმოშობისა, ქართულის დიალექტზე მოლაპარაკე, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართველი ტომები, — ქართვები, მეგრელები და სვანები.

2. გარდა იმისა, რომ აფხაზები ქართველები იყვნენ წარმოშობითა და ენით, თვით ისტორიული ვითარება აფხაზეთის სამეფოს დაარსებისა არაა სწორად გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. სინამდვილეში არავითარი დაპყრობა დასავლეთ საქართველოსი აფხაზების (ე. ი. აფხაზეთში მოსახლე ქართველი ტომის) მიერ არ მომხდარა, არამედ მოხდა, აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით, განთავისუფლება როგორც აფხაზეთისა, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებისა ბიზანტიის იმპერიის პატრონობისაგან.

ძირითად ისტორიულ პირველწყაროში — „მატიანე ქართლისაჲ“-ს ძველში — პირდამირ აღნიშნულია, რომ აფხაზთა ერისთავი „გაადგა ბერძენთა (ბიზანტიელთა) და დაუპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“; ე. ი. აფხაზთა ერისთავმა აფხაზეთიდან კი არ დაიპყრა ეგრისი, არამედ ორივე მხარე, აფხაზეთიცა და ეგრისიც ვიდრე ლიხის მთამდე დაიპყრა ბიზანტიელთაგან, განთავისუფლა ბიზანტიელთა პატრონობისაგან.

ამ ჩვენ ხაზს ვუსყავთ ამ ერთ ფაქტს, ზოლო ისტორიული ვითარება მთლიანს სახით აღდგენილი გვაქვს ქვემოთ.

3. ზემოთ-აღნიშნულთან დაკავშირებით აქ საქიროა ხაზი გავუსვავთ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ სწორედ მას შემდეგ, რაც დასავლეთი საქართველო, აფხაზეთთან ერთად, აფხაზეთის დინასტიის მოთავეობით, განთავისუფლდა ბიზანტიის ბატონობისაგან, და შეიქმნა დასავლეთ-საქართველოს — „აფხაზეთის სამეფო“, სწორედ ამ დროიდან იწყება მკვეთრი წმინდა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება დასავლეთ საქართველოში. ბერძნული ენა, რომელიც ბიზანტიის ხანგრძლივი ბატონობის შედეგად გაბატონებული იყო დასავლეთ საქართველოში როგორც მთავარი სახელმწიფო ენა, განდევნილ იქმნა სწორედ აფხაზეთა დინასტიის მიერ და ბერძნულის ადგილი მთლიანად ქართულმა დაიჭირა. ბერძნული ენა განდევნილ იქმნა ეკლესიიდან, და მის მაგიერ ქართული იქმნა შუქმოდებული. დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც მანამდე იერარქიულად დაკავშირებული იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქატთან, ჩამოშორდა კონსტანტინეპოლს და დაუკავშირდა ქართლის (იბერიის) საკათოლიკოზოს.

ამრიგად ხანა „აფხაზეთა სამეფოსი“ ეს არის ეპოქა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასავლეთ საქართველოში.

რასაკვირველია, ყოველივე ეს უცნაური და გაუგებარი იქნებოდა, თუ ჩვენ დაუშვებდით, რომ დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთა სამეფო“ ვითომც შეიქმნა დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შედეგად უცხო არა-ქართველი ტომის მიერ. მაგრამ, როგორც მოვიხსენეთ, არაფერი ამის მსგავსი სინამდვილეში არ მომხდარა; დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო შექმნილია ქართველი ტომების მიერ, და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის არის ქართველი ტომი აფხაზები.

შეხედულებანი, რომლებიც მიღებულია აფხაზეთა ტომის ვინაობის შესახებ და დასავლეთ საქართველოს — „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსების ისტორიული ვითარების შესახებ იმდენად დაცილებულია სინამდვილეს, იმდენად შემცდარად წარმოგვიდგენს არა თუ ერთ კერძობითს საკითხს, არამედ მთელ პერიოდს ქართველი ხალხის ისტორიაში, რომ ჩვენ საქიროდ მიგვაჩნია დაწერილებით შეეჩერდეთ ამ საგანზე, რათა საკითხში სრული სინათლე იქმნეს შეტანილი. ჩვენ აქ სპეციალურ მიმოხილვას მივუძღვნით საკითხებს:

ა) როგორი იყო აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში, ვინ იყვნენ აფხაზები და აფხაზეთის მკვიდრი სხვა ტომები;

ბ) რა ისტორიულ ვითარებაში მოხდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსება.

ამ საკითხთა განხილვის შემდეგ ჩვენ შევხებით ცნობებს, რომელთაც შეუცავს გიორგი მერაულის ძეგლი „აფხაზეთის სამეფოს“ შესახებ.





## 1.

**აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა  
ანტიკურ ხანაში და საშუალ საუკუნეებში.**

გადავდივართ რა აფხაზეთის ისტორიული ეთნოგრაფიის საკითხთა განხილვაზე, ჩვენ აქ წინასწარ შევჩერდებით კითხვაზე, თუ როგორი იყო ტერიტორიული მოცულობა საკუთრივ აფხაზეთის მხარეთა (ვიწრო მნიშვნელობით).

## 2.

**აფხაზეთის მხარეთა ტერიტორიული მოცულობა.**

სახელწოდებით „აფხაზეთის მხარენი“ ანუ „აფხაზეთი“ ვიწრო მნიშვნელობით—ჩვენ ვგულისხმობთ გარკვეულ გეოგრაფიულ ერთეულს, სახელდობრ, „აფხაზეთის საერისთავო“-ს ტერიტორიას იმ ფარგლებში, რომელშიაც იგი არსებობდა მე-8 საუკუნის შუა წლებში (ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე დაარსდებოდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო „აფხაზეთის სამეფოს“ სახელწოდებით).

ეს ტერიტორიული ერთეული — „აფხაზეთის საერისთავო“ ანუ „აფხაზეთი“ ვიწრო მნიშვნელობით არ იყო შემთხვევითი, დროებით შეკონწიწებული ადმინისტრატიული ერთეული, არამედ წარმოადგენდა მყარს გეოგრაფიულ მთლიანს, რომელსაც არ შეუცვლია თავისი ადრინდელი ტერიტორიული მოცულობა მას შემდეგაც, რომ იგი შევიდა ჯერ დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოს შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში.

როდესაც ძველ-ქართულს და ბიზანტიურს საისტორიო წყაროებში საუბარია აფხაზეთის ქვეყანაზე ვიწრო მნიშვნელობით, იგულისხმება აფხაზეთის ტერიტორია ზემოთ-აღნიშნულ ფარგლებში, ე. ი. მე-8 საუკუნის აფხაზეთის საერისთავოს მოცულობით. კერძოდ გვიან ხანაში, მე-12 — 13 საუკუნეებში (თამარის ეპოქაში) არსებული ადმინისტრატიული ერთეული ცხუმიის საერისთავო ტერიტორიული მოცულობით იგივეა, რაც მე-8 საუკუნეში არსებული აფხაზეთის საერისთავო.

საისტორიო წყაროების ჩვენებათა თანახმად საზღვრები საკუთრივ აფხაზეთის მხარეთა (მე-8 საუკუნის აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში) შემდეგი იყო.

ჩრდილოეთის მხრით საზღვრად დასახელებულია მდინარე ნიკოფსისის ხეობა. ამ მდინარეზე მდებარეობდა ქალაქი ამავე სახელწოდებისა, საისტორიო წყაროებში კარგად ცნობილი ქალაქი ნიკოფსია.

მდინარე ნიკოფსისა ერთვის შავ ზღვას ტუაფსესა და გელენჯიკს შუა, ტუაფსედან ოცი კილომეტრის ჩრდილოეთით<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ქალაქ ნიკოფსისის ადგილმდებარეობა ზუსტად ირკვევა მე-5 საუკუნის პერიპლუსის ჩვენების მიხედვით (იხ. SC, I, გვ. 278). აღსანიშნავია ამასთან, რომ მდინარე ნიკოფსისს დღემდე შერჩენილი აქვს ძველი სახელი; მას ამჟამად ეწოდება, ოღნავ შეცვლილად „ნიკოფსუი“ (რუსულ რუკებზე Heroncyxo).

მდინარე ნიკოფსისის ხეობა გაჰყოფდა აფხაზეთის მხარეებს დიდი ჯიქეთიდან. (კერძოდ ქალაქი ნიკოფსია, რომელიც საზღვარის ხაზზე მდებარეობდა; მშენებლობა აფხაზეთის ფარგლებში) <sup>1</sup>.

ეს რაც შეეხება ჩრდილოეთ საზღვარს.

აფხაზეთის მხარეთა (აფხაზეთის საერისთავოს) სამხრეთი საზღვარი ეს იყო ძველი დროიდანვე არსებული დიდი საფორტიფიკაციო ნაგებობა — კელასურის კედელი, „ზღუდე, საზღვარი კლისურისა“, რომელიც იწყება მდინარე კელასურის შესართავთან (ქალაქ სოხუმის მიდამოებში, 5 კილომეტრის სამხრეთით) და აქედან გადადის ფანავის ქედზე კოლორის, ხეობაში.

ეს სამხრეთი საზღვარი გაჰყოფს აფხაზეთის მხარეებს (ყოფილ აფხაზეთის საერისთავოს) შიდა-ეგრისიდან.

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი აფხაზეთის მხარეთა არის კავკასიონა; სამხრეთ-დასავლეთი საზღვარია — შავი ზღვა.

აფხაზეთის მხარეთა დასახლებული საზღვრები ზუსტად ირკვევა როგორც ქართული, ისე ბერძნული საისტორიო წყაროებით.

მოგვყავს აქ წყაროების ჩვენება.

მე-10 საუკუნის ბერძენ ავტორს კონსტანტინე პორფიროგენეტს ასე აქვს აღწერილი ჯიქეთის (დიდი ჯიქეთის) და აფხაზეთის მხარეების ტერიტორიული მოცულობა; კონსტანტინე პორფიროგენეტი წერს:

„ჯიქეთი (იგულისხმება დიდი ჯიქეთი) მდებარეობს 300 მილის მანძილზე, დაწყებული უკრუხიდან (მდინარე ყუბანიდან) ვიდრე მდინარე ნიკოფსიამდე. სადაც მდებარეობს ამავე სახელწოდების ქალაქი...“

„ჯიქეთიდან, ე. ი. მდინარე ნიკოფსიიდან, ვიდრე ქალაქ სოტირიუპოლამდე (ე. ი. თანამედროვე სოხუმამდე) ზღვის ნაპირას მდებარეობს აბაზგეთი (აფხაზეთი), აგრეთვე 300 მილის მანძილზე“ <sup>2</sup>.

ამრიგად აქ ზუსტად მოხაზულია ის საზღვრები აფხაზეთის მხარეთა, რაც ზემოთ იყო ნაჩვენები.

რაც შეეხება ქართულ წყაროებს, აქ აფხაზეთის მხარეთა საზღვრები ასეა აღნიშნული:

სამხრეთ საზღვრად აფხაზეთის მხარეებისა ნაჩვენებია კელასურის კედელი — „ზღუდე იგი, საზღვარი კლისურისა“ (ჯუანშერის მატთან) <sup>3</sup>;

ხოლო ჩრდილოეთ საზღვრად წყაროებში დასახელებულია:

ა) ნიკოფსია ანუ ნაფსაძს ნავთსადგური (იოანე საბანისძე, გიორგი მცირე მთაწმინდელი, აგრეთვე შემდგომი ხანის ქართული მატრიანეები) <sup>4</sup>.

<sup>1</sup> იხ. გიორგი მცირე მთაწმინდელი, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა (ათონის კრებული 1901 წ.) გვ. 315.

<sup>2</sup> იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit. თავი 42.

<sup>3</sup> იხ. გვ. \* 419 — 420/201, \* 429/208 — 209.

<sup>4</sup> იხ. იოანე საბანისძე, გვ. 66; გიორგი მცირე მთაწმინდელი, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა (ათონის კრებული, 1901 წ.), გვ. 315.

ბ) „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“ (ჯუანშერის მატია-ნე)<sup>1</sup>. როგორც ეს ცხადი ხდება ერთხმით ჩვენებებიდან საისტორიო წყაროებისა, რომლებიც აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვრად ნიკოფსიას აღნიშნავენ<sup>2</sup>, „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“ ქალაქ ნიკოფსიის სექტორის მდინარე ყოფილა<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ ქალაქი ნიკოფსია არა მხოლოდ მე-8 საუკუნეში ყოფილა საზღვარი აფხაზეთის მხარეებისა, არამედ შემდეგაც იგივე ნიკოფსია იყო საზღვარი დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სამეფოსი („აფხაზეთის სამეფოსი“), ხოლო შემდეგ გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოსი.

უფრო გვიანაც, მე-12—13 საუკუნეებში, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარია იგივე ნიკოფსია. (მე-12—13 საუკუნეებში, საზღვრები საქართველოს სახელმწიფოსი, რომელიც ამ დროს მოიცავდა მთელ კავკასიას, ასე აღინიშნებოდა: „ნიკოფსიით განდარუბანდამდე“)<sup>4</sup>.

ჩვენ ამით დავასრულებთ აფხაზეთის მხარეთა საზღვრების ამ მიმოხილვას. ამრიგად, როგორც ირკვევა, აფხაზეთის მხარეები, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას კელასურის კედელიდან ვიდრე ნიკოფსიამდე (ნიკოფსიის ჩათვლით). თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით შეიცავდა შემდეგ ერთეულებს: ეხლანდელი აფხაზეთის ასსრ-ის ჩრდილოეთ ნაწილს (სახელდობრ სოხუმის, გუდაუთის და გაგარის რაიონებს მთლიანად და ნაწილს ვულჩიფსის რაიონისა), ადლერის რაიონს, სოქის რაიონს და ტუაფსის რაიონს.

აფხაზეთის მხარეები აქ აღნიშნულ საზღვრებში დასახლებული იყო რამდენიმე ტომით, რომელთა შორის მე-8—10 საუკუნეებში, და საერთოდ საშუალ საუკუნეებში, მთავარი ადგილი ეკირა აფხაზთა ტომს, რის გამო მთელ მხარეს აფხაზეთი ეწოდებოდა.

სახელდობრ აფხაზეთში (აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში) მოსახლეობდა შემდეგი ოთხი ადგილობრივი ტომი: 1. აფხაზები; 2. სანიკები (სანიხები) ანუ პენიოხები; 3. აბსილები; 4. მი-

<sup>1</sup> იხ. ჯუანშერის მატიანე, გვ. \* 429/209. (მეად. ლენტი პროველი, გვ. \* 98/3).

<sup>2</sup> „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“. როგორც ირკვევა საისტორიო წყაროების ჩვენათა შეფარდებიდან, ეს არის მდინარე შაფსუხო, რომელიც მომდინარეობს ნიკოფსიის ხეობის მონაზღვრედ ჩრდილოეთის მხრიდან; იგი არის პირველი მდინარე დიდი ჯიქეთისა ნიკოფსიის საზღვრის ჩრდილოეთით. დიდი ჯიქეთი მე-8 საუკუნეში პოლიტიკურად ხაზარეთთან იყო დაკავშირებული (იგი, როგორც ირკვევა, „მცირე ხაზარეთში“ შედიოდა) და ამიტომ არის, რომ მონაზღვრე პირველი ხეობის მდინარეს რქმევია „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“.

ამ მდინარის შესახებ წყაროებში ამავე დროს აღნიშნულია, რომ იგი მომდინარეობს იმ სექტორში, სადა დასწყდების წვერი კავკასიასა“. ტუაფსეს ჩრდილოეთით კავკასიონის ქედის სიმაღლე თანდათან კლებულობს, აქედან იწყება კავკასიონის ქედის „დატელომა“. კერძოდ მდინარე ნიკოფსიასა და შაფსუხოს სათავეებთან კავკასიონის ქედიდან ჩამოდის მძლავრი შტო, რომლის კვრინაქები აღებნა შავ ზღვას მდინარე შაფსუხოს და ნიკოფსიის ხეობათა გაყოფებით. როგორც სწამს, ეს შტო, კავკასიონისა იგულისხმება ქართულ წყაროებში, სადაც აღნიშნულია, რომ მცირისა ხაზარეთისა მდინარის ზონაში „დასწყდების წვერი კავკასიასა“ (ანუ შვირე ტექსტით: „დასწყდების წვერი კავკასიასა“).

<sup>3</sup> იხ. დავით აღმაშენებლის ანდერძი (ქრონიკები, II, გვ. 51), ისტორია — აზნანი შარვანდელთანი, გვ. \* 701/500, \* 711/516, \* 650/435) და სხვანი.

ს ი მ ი ა ნ ე ბ ი. გარდა ამ ოთხი ადგილობრივი მკვიდრი ტომისა აფხაზეთის მხარეთა ჩრდილოეთ სანაპიროზე ჩამოსახლებული ყოფილან ჯიქეზი (ეს სარგს აფხაზეთის ჯიქეთი).

სულ აფხაზეთის მხარეები მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობისა და გეოგრაფიული განაწილების მიხედვით განიყოფებოდა შემდეგ ერთეულებად, რომლებიც ქვემოთ არის ჩამოთვლილი.

1. მ თ ი ა ნ ი ა ფ ხ ა ზ ე თ ი ანუ ძ ი რ ი თ ა დ ი ა ფ ხ ა ზ ე თ ი.

ანტიკური ხანის საისტორიო წყაროების შედარებითი განხილვიდან ირკვევა, რომ ძირითადი ტერიტორია აფხაზეთა ტომისა ეს იყო მთიანი ზონა აფხაზეთისა, რომელიც მოიცავდა მდინარეების ბზიბის, ფსოუს და მზიმთის ხეობათა ზემო ნაწილს. ეს ტერიტორია აფხაზეთა ტომს უჭირავს როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში. აღმინდელი ცენტრი ამ ძირითადი აფხაზეთისა (მთიანი აფხაზეთისა), როგორც ირკვევა, იყო მზიმთის ხეობაში. თვით მზიმთის მდინარეს (რომელიც ადღერთან ერთვის შავ ზღვას), ეწოდებოდა მდინარე \* აბასხი (აბაზგი), აფხაზეთა მდინარე.

2. ზ ლ ე ი ს - პ ი რ ი ა ფ ხ ა ზ ე თ ი ანუ ძ ე ე ლ ი ს ა მ ხ რ ე თ ი ჰ ე ნ ი ო ხ ე თ ი (სანიხეთი, სანიგეთი).—ზღვისპირი მხარე ისტორიული აფხაზეთისა, სახელდობრ ზონა სოხუმის, ბიკვინთის და გაგრა-ადღერის სექტორებისა ანტიკურ ხანაში შედიოდა ჰენიოხების (სანიხების, სანიგების) ტომის ტერიტორიის ფარგლებში, ხოლო ანტიკური ხანის დასასრულს ეს ტერიტორია მეზობელ აფხაზეთა ტომის ტერიტორიის ფარგლებში გადასულა. წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან ირკვევა, რომ ეს მომხდარა მე-3 — 4 საუკუნეებში ახალი წელთაღრიცხვისა<sup>1</sup>. ამ დროიდან მოკიდებული, საშუალო საუკუნეთა განმავლობაში, ეს ზონა აფხაზეთა სატომო ტერიტორიის ნაწილს შეადგენს. პოლიტიკური ცენტრი ამ მხარისა — ზღვისპირა აფხაზეთისა (ძველი სამხრეთი ჰენიოხეთისა) იყო ც ხ უ მ ი (თანამედროვე სოხუმი). ხოლო საეკლესიო ცენტრი — ბ ი კ ვ ი ნ თ ა (რეზიდენცია აფხაზეთის კათალიკოსთა).

აღრეული საშუალო საუკუნეების საისტორიო წყაროებში მოხსენებული ორი სამთავრო აფხაზეთისა — ეს არის ზემოთ დასახელებული მხარეები — მთიანი აფხაზეთი (ძირითადი აფხაზეთი) და ზღვისპირი აფხაზეთი.

3. შ უ ა ჰ ე ნ ი ო ხ ე თ ი (სანიხეთი, სანიგეთი). — აფხაზეთში მოსახლე ოთხი ძირითადი ტომიდან (აფხაზები, ჰენიოხები, აბსილიბი და მისიმიანები) ანტიკური ხანის დასასრულსა და საშუალო საუკუნეებში მთავარი ადგილი ეჭირა აფხაზების ტომს. ხოლო უფრო ადრე, ანტიკურ ხანაში, აფხაზეთის ამ ტომთა შორის ასევე მთავარი ადგილი სჭირა ჰ ე ნ ი ო ხ ე ბ ს (იგივე სანიხები, სანიგები). შუაგული იმ ტერიტორიისა, სადაც ძველიდანვე მოსახლეობდა ჰენიოხთა ტომი, ეს არის სოჭის რაიონი, დაწყებული მდინარე მზიმთის ხეობის დასავლეთიდან (ზოსტის სექტორიდან) ვიდრე მდინარე შახმთე. ეს შუაგული ნაწილი თავისი ძველი სატომო ტერიტორიისა, რომელიც ჰენიოხებს ეჭირათ

<sup>1</sup> არიანეს პერიპლუსის ცნობების მიხედვით ზღვისპირი აფხაზეთი მე-2 საუკუნეში სანიხების ტერიტორიის ფარგლებში შედიოდა (იხ. SC, I, გვ. 222). ხოლო მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფის პერიპლუსის ცნობების თანახმად მე-5 საუკუნეში ზღვისპირა აფხაზეთი უკვე აღარ შლის სანიხეთის ფარგლებში; სანიხების ტერიტორია ამ დროს შემოიფარგლებოდა ზონით მდინარე მზიმთის ხეობის დასავლეთიდან ვიდრე მდინარე შახმთე (იხ. ქვემოთ).

ანტიკურ ხანაში, შეუნარჩუნებიათ მათ საშუალო საუკუნეებშიაც<sup>1</sup>. (რაც შეეხება ძველი ჰენიოხეთის სამხრეთ ნაწილს, იგი, როგორც მოვიხსენიებთ, კავშირშია სატომო ტერიტორიას შეუერთდა, ხოლო ჩრდილო ჰენიოხეთის შენაშენებ, რომელიც ჯიქეთს დაუპერია, ქვემოთ გვაქვს საუბარი).

4. აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი — მოიცავდა ეხლანდელ ტუაფსის რაიონს, დაწყებული შახეს მდინარიდან ვიდრე ნიკოფსიამდე. ეს ტერიტორია, რომელიც, როგორც ირკვევა, ადრე ჰენიოხების მიწა-წყალს შეადგენდა, შემდეგ ჯიქების ხელში გადასულა. საერთოდ ჯიქები შავი-ზღვის სანაპიროზე მოსული ტომია; ჯიქები თავდაპირველად იმიერი კავკასიის მკვიდრი ტომი ყოფილა და შემდეგ გადმოსულა შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც მათ თანდათან გაუფართოებიათ თავისი ტერიტორია<sup>2</sup>.

რომ ჯიქები არ არიან ძველი ამორიგენები აფხაზეთის მხარეთა ჩრდილო სანაპიროზე, არამედ შემდეგ გადმოსულან ამ თემში; ეს ირკვევა არა მხოლოდ ანტიკური ხანის წყაროების ჩვენებათა მიხედვით, არამედ ტრადიცია ამის შესახებ დაცულია საშუალო საუკუნეთა ქართულ მატიანებშიაც, სადაც აღნიშნულია, რომ ჯიქების თავდაპირველი სამშობლოა კავკასიის იმიერი მხარე და მხოლოდ გვიან ხანაში „ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“<sup>3</sup>.

ცენტრი აფხაზეთის ჯიქეთისა (ძველი ჩრდილო ჰენიოხეთისა) იყო ქალაქი ნიკოფსია. აღსანიშნავია, რომ ძველი სახელი ქალაქ ნიკოფსიისა ყოფილა „ლახიკა“, არიანეს პერიპლუსში, აგრეთვე მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფის პერიპლუსში ეს პონტიკი მოიხსენება სახელწოდებით *Παλιχά Ααζιχί* „ძველი ლახიკა“ (იხ. ამის შესახებ უფრო დაწერილებით ქვემოთ).

5. აბსილეთი. — აფხაზეთის მხარეთა ტომს, რომელიც ატარებდა სახელწოდებას აბსილი ანუ აფსილი (იგივე აფსილი, აფსარი), ეკირა პონიარო კელასურის (ძველი კორახის მდინარის) ზემო ნაწილი და მისი მიმდგომი ზონა

<sup>1</sup> მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფის პერიპლუსში სახლები სანიხების ძირითადი ტერიტორიისა ასეა განსაზღვრული: „მდინარე ახუნთიდან ვიდრე მდინარე აბსაკამდე (\*აბსილი) — სახლობენ სანიხები“ (იხ. SC. I. გვ. 278). როგორც ეს ირკვევა პერიპლუსში აღნიშნული მანძილებიდან, მდინარე ახუნთა ეს არის მდინარე შახე, ხოლო მდინარე აბსაკი (\*აბსილი) ეს არის შიშითა. ამრიგად სანიხების ძირითადი ტერიტორია მე-5 საუკუნეში მოიცავდა ზონას მდინარე შახედან ვიდრე მდინარე შიშითამდე. (რაც შეეხება თვით შიშითის ანუ \*აბსილის ხეობას, რომელიც აკრავდა საზღვარს, იგი უკვე საკუთრივ აფხაზეთის ნაწილს შეადგენდა; ამის მიხედვით საზღვარი იწყებოდა შიშითის — \*აბსილის ხეობის გაყოფებით, დასავლეთის მხარეზე, ხოსტის სექტორიდან).

სანიხები მკვიდრობდნენ ამ ტერიტორიაზე საშუალო-საუკუნეთა მანძილზე (იხ. ისტორია — აზმანი შარავანდელთან, გვ. \* 650/435; ცნობასანიხთა — სანიხთა შესახებ მე-12 საუკუნეში).

<sup>2</sup> ანტიკური ხანის ავტორები მე-8 საუკუნიდან ვიდრე 1 საუკუნემდე ძველი წელთაღრიცხვისა, რომლებიც ეხებებიან პონტის ამ ნაწილს, (მეკატე მილეთელი, კელანიკე მიტილენელი, სკილაქს კარიანდელი, პალეფრატ აბილუსელი, არტემიდორ ეფესელი) შავი ზღვის სანაპიროზე არ იცნობენ ჯიქებს და უშუალო მეზობლებად ჰენიოხებისა მოხსენებულნი არიან ახაველთა. მხოლოდ სტრაბონი (მითრიადატის ომის ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით) პირველად მოხსენებს ჯიქებს, რომლებიც ჩამოსახლებულან ახაველთა და ჰენიოხთა შუა. ამის შემდეგ ჯიქები თანდათან აფართოებენ თავის ტერიტორიას და დაიპყრენ ახაველთა მიწა-წყალს მთლიანად, ხოლო ჰენიოხებიდან შეიერთებენ მის ჩრდილოეთ სანაპიროს.

<sup>3</sup> იხ. ცხობრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. \* 322 — 323/135.

გუმისთის ხეობიდან ვიდრე კოდორის ხეობამდე. ჩრდილოეთის მხრით იგი ესაზღვრებოდა კავკასიონის ქედს (ძარუხის უღელტეხილის ზონაში), მთავარი პუნქტი აბსილეთის ტერიტორიის იყო წიბელი (წიბელთა, უფროსად ცნობილია წიბელთა) <sup>1</sup>.

6. მისიმიანეთი. — აფხაზეთის მხარეთა ტომი, რომელიც ატარებდა სახელწოდებას მისიმიანი, მოსახლეობდა კოდორის ხეობაში (წიბელდას ზემოთ, ვიდრე კლუხორის უღელტეხილამდე). მთავარი პუნქტი მისიმიანთა ტერიტორიისა იყო ჩხარი, იგივე ჩხალი (— თანამედროვე ჩხალი, ჩხალთა, — კოდორის ხეობის ზემო ნაწილში), რომელსაც აგრეთვე „რკინის-ციხე“ რქმევია <sup>2</sup>.

7. გარდა ზემოთჩამოთვლილი ექვსი მხარისა, რომლებიც შედიოდა აფხაზეთის მხარეების (აფხაზეთის საერისთავოს) შემადგენლობაში, აქ ცალკე უნდა მოვიხსენოთ კიდევ ერთი პროვინცია, რომელიც თუმცა არ შეადგენდა აფხაზეთის მხარეთა უშუალო ნაწილს, მაგრამ ერთხანად დაკავშირებული ყოფილა აფხაზეთთან. ეს არის მხარე, რომელიც მდებარეობდა აფხაზეთსა და შიდა-ევრისს შორის და რომელსაც ძველ-ქართულ მატიაჩეებში ეწოდება „ევრის-წყალსა და კლისურასა შუა ქვეყანა“ <sup>3</sup>.

ტერიტორიული მოცულობა აფხაზეთსა და შიდა-ევრისს შუა მდებარე ამბუფერული მხარისა შემდეგი იყო.

სამხრეთი საზღვარი, რომელიც გაყოფდა ამ მხარეს შიდა-ევრისიდან ყოფილა ევრის-წყალის, თანამედროვე ბედიის-წყალის სექტორი; თვით ბედია

<sup>1</sup> საზღვრები აბსილეთის მხარისა ირკვევა შემდეგ ცნობათა მიხედვით:

ა. აღმოსავლეთი საზღვარი. — მე-8 საუკუნის ავტორის ავთია სქოლასტიკოსის ჩვენების თანახმად წიბელი (წიბელთა), რომელიც აბსილეთის მთავარ პუნქტს წარმოადგენდა, მისი-მელთა ქვეყნის საზღვართან მდებარეობდა. (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, III, გვ. 160). ასევე მე-7 საუკუნის ავტორის ანასტასი აპოკრიფარის ცნობით ფუსთა (ფუსტა), რომელიც მთავრად წიბელის სექტორში მდებარეობს, აბსილთა და მისიმიანთა საზღვართა ზონაში არის ნაჩვენები (ibid., IV, გვ. 44). ამის მიხედვით აღმოსავლეთი საზღვარი აბსილეთისა გასდევდა წიბელის სექტორში, ამ პუნქტის აღმოსავლეთით.

ბ. დასავლეთი საზღვარი. — პროკოპი კესარიელის ცნობის თანახმად საზღვარი საკუთრივ აფხაზეთსა და აბსილეთს შორის იყო ქედი, რომელიც ეშუება კავკასიონიდან და აღგება შეეზღვის ციხე ტრაქეასთან (ანაკოფიასთან). ამის მიხედვით აბსილეთი მოიცავდა გუმისთის ხეობას (ცარდა ქვემო სექტორისა) და საზღვარის ხაზი გასდევდა ამ ხეობის დასავლეთით (ibid., II, გვ. 127).

გ. ჩრდილოეთი საზღვარი აბსილეთისა, მე-8 საუკუნის ავტორის მენანდრე პროტექტორის ცნობის თანახმად, იყო კავკასიონის ქედი დარენის გზის (ძარუხის უღელტეხილის) ზონაში (ibid., III, გვ. 236 — 237).

დ. სამხრეთის მხრით აბსილეთი ესაზღვრებოდა შიდა-ევრისს (კელისურის კედლის ხაზით) და ცხუმის (სოხუმის) თემს.

<sup>2</sup> საზღვრები მისიმიანეთის მხარისა ირკვევა მე-6—7 საუკუნეთა ავტორების — ავთია სქოლასტიკოსის, მენანდრე პროტექტორის და ანასტასი აპოკრიფარის ცნობების მიხედვით. მისიმიანეთის მხარის მოსაზღვრენი იყვნენ: დასავლეთით — აბსილეთი; სამხრეთით — შიდა-ევრისი (რომლისაგან მას გაყოფს ბუნებრივი საზღვარი — ფანაისი ქედი); აღმოსავლეთით — სვანეთი (რომლისაგან მას გაყოფდა აგრეთვე ბუნებრივი საზღვარი სვანეთ-აფხაზეთის ქედი). ჩრდილოეთ საზღვრად აღნიშნულია კავკასიონი (კლუხორის უღელტეხილის ზონა).

<sup>3</sup> იხ. ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. 119 (ანასელი ქართლის ცხოვრება).

(ქალაქი ეგრისი) ეკუთვნოდა შიდა-ეგრისს, ხოლო ამის ჩრდილოეთით იწყებოდა ეს ბუფერული ზონა<sup>1</sup>. გარკვეულ ხანებში საზღვარი სჩანს გასდევდა ბუფერული ზონის მეზობელ მდინარეზე, რომელსაც ეწოდება ღალიძგა<sup>2</sup>. (თვით საზღვროდებოდა ღალიძგა მეგრულ დიალექტზე სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ღალიძგისა, მდინარე საზღვრისა).

ჩრდილოეთი საზღვარი ამ ბუფერული ზონისა ყოფილა კელასურის კედელი, „ზღუდე, საზღვარი კლისურისა“<sup>3</sup>.

დანარჩენი საზღვრები — ბუნებრივი მიჯნებია: ჩრდილოეთით თანავის ქედი, სამხრეთ-დასავლეთით — შავი ზღვა.

ამ-რიგად ამ ბუფერული ზონის ტერიტორია მოიცავდა თანამედროვე ოჩეჩინის რაიონს და სამხრეთ ნაწილს გულრიფშის რაიონისა.

ეთნოგრაფიულად და ისტორიულად ეს ბუფერული ზონა შიდა-ეგრისის ნაწილს შეადგენდა და აფხაზეთთან იგი მხოლოდ პოლიტიკურად ყოფილა დაკავშირებული, ისიც ხანმოკლე დროის განმავლობაში. საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ მთელი ანტიკური ხანის მანძილზე და აგრეთვე ადრეულ საშუალო საუკუნეებში ვიღარც მე-5 საუკუნემდე ეს ბუფერული ზონა საკუთრად ეგრისის ნაწილს შეადგენდა. ხოლო მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში, ასევე მე-8 საუკუნეში, როდესაც ჩამოყალიბდა აფხაზეთის საერისთავო, ეს კუთხე უკვე აღარ შედიოდა აფხაზეთის მხარეთა შემადგენლობაში და ისევ ძველებურად ეგრისის ნაწილად ითვლებოდა<sup>4</sup>. ამრიგად უშუალო პოლიტიკური კავშირი ამ კუთხისა აფხაზეთთან მე-6 — 7 საუკუნეთა ფარგლებს არ ვასცილებია.

აქ რამდენიმე შენიშვნა ამ მხარის სახელწოდებაზე. როგორც აღნიშნულა გვექონდა, ქართულ მატრიანეებში ეს მხარე მოიხსენება როგორც „ეგრის-წყალსა და კლისურას შუა-ქვეყანა“. გამოთქმა „შუა ქვეყანა“ აქ არაა შემთხვევით ნახმარი მემატრიანის მიერ, არამედ ასეთი სახელი ჰქონია შერქმეული ამ ბუფერულ მხარეს თვით ადგილობრივ. არქაული პერიოდის ძველ-ქართულში სინონიმი სიტყვისა „ქვეყანა“, როგორც ცნობილია, არის სიტყვა „სოფელი“, ასე რომ სახელწოდება „შუა ქვეყანა“ არქაული პერიოდის ძველ-ქართულში იქნებოდა „შუა სოფელი“. აღსანიშნავია, რომ ეს სახელწოდება ამ მხარისა, სწორედ ამ უძველესი არქაული ფორმით „შუა სოფელი“ შენახული ყოფილა ადგილობრივ ბოლო დრომდე, თვით მე-18 — 19 საუკუნეებამდე. ერთ საისტორიო ძეგლში, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის (ნიკოლოზ დადიანის „ქართველთა ცხოვრება“) აღნიშნულია, რომ აფხაზეთის ტერიტორიას, რომელიც იწყებოდა სოხუმის სამხრეთით და აღწევდა მდინარე ღალიძგამდე, ერქვა „შუა სოფელი“<sup>4</sup>. ამრიგად ეს უძველესი დროიდან მიმდინარე სახელწოდება „შუა სოფელი“ დაცული ყოფილა ადგილობრივ და მიემართებოდა ამ მხარეს იმავე ტერიტორიულ ფარგლებში, როგორადაც ეს აღნიშნულია ქართულ მატრიანეებში.

<sup>1</sup> იხ. ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. \* 358/157, \* 399/185, \* 401/186.

<sup>2</sup> იხ. ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. \* 358/157, \* 399/185, \* 401/186; *ჯუანშერი*, გვ. \* 419 — 420/201, \* 429/208 — 209.

<sup>3</sup> იხ. ამის შესახებ ქვემოთ, გვ. 129.

<sup>4</sup> იხ. ე. თაყაიშვილის გამოცემა (OP. I), გვ. 15.

ბ.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვინაობა.

გადავიღეთ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ ვინ მოსახლეობდა აფხაზეთის ზემოთ-ჩამოთვლილ მხარეებში ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში (და კერძოდ იმ ეპოქაში, როდესაც ჩამოყალიბდა დასავლეთ-საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფო).

წყაროების განხილვიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის მხარეთა ტერიტორია მთელი ამ პერიოდის მანძილზე, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში დასახლებული ყოფილა ქართველი ტომებით. სახელდობრ:

1. „შუა სოფელ“-ში ე. ი. ტერიტორიაზე ეგრის-წყალიდან ვიდრე კელასურამდე — მოსახლეობდნენ ეგრისელნი, — მეგრელ-ლანჩნი.

2. ჰენიოხ-სანისების ისტორიულ ტერიტორიებზე კელასურიდან ვიდრე სოჭის ზონამდე (ე. ი. ზღვისპირ აფხაზეთსა და შუა ჰენიოხეთში) მოსახლეობდა იმავე — მეგრელ-ლანჩთა ტომის შტო.

3. მთა აფხაზეთი (ძირითადი აფხაზეთი) დასახლებული ყოფილა ტომით, რომლის ტომობრივი სახელწოდება ყოფილა „მოსხი“, იგივე მესხი. როგორც ირკვევა აფხაზეთშიაც ადგილი ჰქონია ისეთსავე ტერიტორიულ თანამეზობლობას მეგრულ-ლანჩურ და მესხთა ტომებისა, როგორც ჩვენ გვაქვს სამხრეთ კოლხიდაში, სადაც სამეგრელოსა და ჭანეთს შუა ზოლთა-შორისად არის შექრილი მესხური ტომის შტო (გურულები და ქობულელ-აჭარლები). რომელ დიალექტზე ლაპარაკობდა აფხაზეთის მესხთა ეს ტომი, საკუთრივ ქართულზე, თუ ადგილობრივ ეგრისულ დიალექტზე, გაურკვეველი რჩება. საფიქრებელია, რომ თავდაპირველი ენა ამ ტომისა საკუთრივ ქართული იყო (რასაც გვაფიქრებინებს მთელი რიგი გეოგრაფიული სახელების საკუთრივ ქართული ხასიათი) და უფრო გვიან უნდა მომხდარიყო ამ ტომის გადასვლა ეგრისულ დიალექტზე.

4. აბსილეთში (რომლის ძველი სახელწოდებაა კორახეთი) ნარევი მოსახლეობა იყო ორი ქართველი ტომისა: მეგრელ-ლანჩებისა და მესხებისა.

5. მისიმიანეთში (რომლის ძველი სახელწოდებაა კოლაეთი) ასევე ნარევი მოსახლეობა იყო ორი ქართველი ტომისა: მეგრელ-ლანჩებისა და სვანებისა. ამ მხარეში მოსახლე ტომს მიემართებოდა სახელწოდება: „სვან-კოლხები“ ანუ „მეგრ-სვანები“ (ე. ი. მეგრელ-სვანები).

6. დასასრულ ისტორიული აფხაზეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე მხარე — აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი (ტუაფსეს რაიონი) თავდაპირველად ეგრისელების ტერიტორია ყოფილა და მხოლოდ შემდეგ გაჩენილა ამ მხარეში შერეული მოსახლეობა ჯიქებისა და ეგრისელებისა.

•

განვიხილოთ ამის შემდეგ წყაროების ჩვენებანი ჩამოთვლილი მხარეების მოსახლეობის შესახებ.

თავდაპირველად შევჩერდებით ჩვენებაზე, რომელსაც შეიცავს ძველ-ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულება „ცხოვრება ქართველთა“.

ლეონტი მროველის თხზულების ჩვენება უპირველად მნიშვნელოვანია ჯერ ერთი იმის გამო, რომ ეკუთვნის ეპოქას, როდესაც ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფო; ამასთან ამ ჩვენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ ამ საისტორიო ძეგლის ეთნოგრაფიული ცნობები აღბეჭდილია პრეციზული სიზუსტითა და ზედმიწევნილობით.



ლეონტი მროველი, როგორც ცნობილია, სპეციალურად ეხება კავკასიის ეთნოგრაფიის საკითხებს; იგი ისახავს მიზნად წარმოგვიდგინოს საქვეყნოსა-დროინდელი მთლიანი ეთნოგრაფიული სურათი.

სახელდობრ ლეონტი მროველის თხზულებაში მოხსენებულია კავკასიის შემდეგი ხალხები, განხილულია მათი წარმოშობის საკითხი და აღნიშნულია მათი გეოგრაფიული გავრცელება:

ა) ქართველები და მისი ცალკე ტომები: „ქართულნი“ (იბერიელები), ეგრისელები (დასავლეთ საქართველოს ქართები, მეგრელ-ლაზები და სვანები), ჰერცი;

ბ) კავკასიის ალბანეთის ტომები: რანნი და მოვაკენლი;

გ) სომხები;

დ) დაღისტანის მთიელები: ლეკები, ხოზონიხები, — (ხუნუები), დიდოელები;

ე) ჩრდილო-კავკასიის მთიელები: „ღურძუკნი (ქისტის ტომები) კავკასიანნი, ჯიქნი (ჩერქეზთა ტომები);

ვ) ჩრდილო-კავკასიის ირანული და თურქი ტომები: ოვსნი, პაკანიკნი, ხაზარნი<sup>1</sup>.

ამრიგად ლეონტი მროველი წარმოგვიდგენს თავისი ეპოქის კავკასიის ეთნოგრაფიულ-ტომობრივი შემადგენლობის სრულ სურათს.

რაც შეეხება აფხაზეთში მოსახლე ტომებს (აფხაზებს, ჰენიოხ-სანიხებს, აბსილებს, მისიშიანებს), ლეონტი მროველი მათ ცალკე არ ასახელებს, რადგან, როგორც ირკვევა, არა სთვლის მათ ქართველებისაგან გამოყოფილ ცალკე ეთნოგრაფიულ ერთეულად; ისინი მას ქართველ ტომებად მიაჩნია, სახელდობრ ამ ტომებს ლეონტი მროველი მიაკუთვნებს ეგრისელების (ე. ი. დასავლეთ საქართველოს ქართების, მეგრელ-ლაზებისა და სვანების) ჯგუფს. ლეონტი მროველის ცნობის თანახმად ეთნოგრაფიული ეგრისის ჩრდილოეთი საზღვარი, სადამდისაც აღწევს ეგრისელ ტომთა მოსახლეობა, ეს არის „მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წასწედების წვერი კავკასიასა“<sup>2</sup>. ლეონტი მროველის ამ გარკვეული ცნობის თანახმად ეთნოგრაფიული ეგრისის საზღვარი ნიკოფსიამდე აღწევს და აფხაზეთის მხარეთა ჯგუფი მთლიანად აღებული (ე. ი. როგორც საკუთრივ ძირითადი აფხაზეთი, ისე ისტორიული ჰენიოხეთ-სანიხეთი, აბსილეთი და მისიშიანეთი) ეთნოგრაფიულად ეგრისის ნაწილს შეადგენს. ეგრისელი ტომებით არის დასახლებული.

ამრიგად ლეონტი მროველის თხზულება აქ აღძრული საკითხის გამო სრულიად გარკვეულ ჩვენებას შეიცავს, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობის საისტორიო ჩვენებად უნდა ჩაითვალოს.

განსახილველი საკითხისათვის არაა აგრეთვე ინტერესს მოკლებული ჩვენება სომხური საისტორიო წყაროებისა.

მას შემდეგ რაც ჩამოყალიბდა დასავლეთ-საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფო და ამ სახელმწიფო ერთეულის ოფიციალურ სახელწოდებად მიღებულ იქმნა „სამეფო აფხაზეთისა“ ანუ „სამეფო აფხაზთა“, აღრინდელი ხანის სომხურ წყაროებში აფხაზეთის ამ სახელმწიფო ერთეულს ეწოდება ეგრისის სა-

<sup>1</sup> იხ. პავლე ინგოროყვა, ლეონტი მროველი (ენიმეის მოამბე, X, 1941 წ.), გვ. 126 — 127.

<sup>2</sup> იხ. ლეონტი მროველი, გვ. \* 98/3.

მეფო, ხოლო აფხაზთა მეფეებს ეწოდება „ეგრისელი“ ანუ „მეგრელი“. ტერმინი ეგრისელი, მეგრელი, აქ სინონიმია ტერმინისა „აფხაზი“ აფხაზთა იდენტიფიცირებულია ეგრისთან, ხოლო აფხაზი — ეგრისელთან, მეგრელთან, მათ შორის არავითარი სხვაობა არაა დადებული. ასეა ეს ყველაზე ადრინდელ ხომბურ საისტორიო ძეგლში, რომელიც ასე ფართოდ ეხება „აფხაზეთის სამეფოს“ ისტორიას, — მე-9 — 10 საუკუნეთა მწერლის იოანე სომეხთა კათოლიკოსის მატიანეში.

განვიხილოთ ამის შემდეგ საისტორიო წყაროების ჩვენებანი აფხაზეთის ცალკეული მხარეების ეთნოგრაფული შემადგენლობის შესახებ ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში.

მიმოხილვას დავიწყებთ სამხრეთიდან.

1. „შუა სოფელი“ (ტერიტორია მდინარე ეგრის-წყალიდან ვიდრე კელასურამდე, მოქვის და ღრანდის თემები).

ანტიკურ ხანაში (დაწყებული მე-6 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა) და ადრეულ საშუალო საუკუნეებში, მოსახლეობა ამ მხარისა ყველა არსებულ წყაროებში ნაჩვენებია კოლხები-ლაზები.

იხ. პეტატიე მილეთელი (მე-6 საუკ. ძვ. წ.), SC, I, გვ. 2.

სკილაქს კარიანდელის სახელი წარწერილი ძველი (მე-4 საუკ. ძვ. წ.), SC, I, გვ. 85 — 86.

სტრაბონი (I საუკუნე ახ. წ.), SC, I, გვ. 135.

პლინი სეკუნდი (II საუკ. ახ. წ.), SC, II, გვ. 178 — 179.

არიანე (134 წ. ახ. წ.), SC, I, გვ. 221 — 222.

კლავდი პტოლემე (მე-2 საუკ. ახ. წ.), SC, I, გვ. 240, 247.

ანონიმი გეოგრაფოსი მე-5 საუკუნისა (ახ. წ.), SC, I, გვ. 275.

ანონიმი გეოგრაფოსი მე-5 საუკუნისა (ახ. წ.) პერიპლუსში წერს:

„ღიოსკურიადან ანუ სებასტოპოლიდან (თანამედროვე სოხუმი) ვიდრე აფსარამდე, (თანამედროვე სარფი ბათომის რაიონში, მდ. კოროხის სამხრეთით) — საზღობს ხალხი, რომელსაც ეწოდებოდა კოლხი, და რომელსაც ამჟამად გადარქმეული აქვს სახელი როგორც ლაზი“ (იხ. SC, I, გვ. 275, § 48).

მე-7 საუკუნის ავტორის თეოდოსი განგრელის ცნობების მიხედვითაც ეს კუთხე საკუთრივ ლაზიკის ნაწილია. აქ, სოფელ მოქვის სანახებში, მდებარეობდა ერთ-ერთი რეზიდენცია ლაზიკის მთავრის — პატრიკიოსისა. (ამ რეზიდენციის სახელწოდება იყო „ჯიხა-ხორა“) <sup>1</sup>.

როგორც ამ პერიოდში, მე-5 — 7 საუკუნეებში (რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსების ხანას), ისე ამის შემდეგაც, მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე, ამ მხარის მოსახლეობა ქართულია. მოსახლეობა აქ შეიცვალა მხოლოდ ახალ საუკუნეებში, სახელდობრ მე-17 საუკუნეში, როდესაც ეს კუთხე დაიკავეს კავკასიის მთიელებმა და ძველი დროიდანვე ამ მხარეში ბინადარი მოსახლეობა — ეგრისელები — ნაწილობრივ აიყარა და გადმოსახლდა შიდა-ეგრისში, ხოლო ნაწილობრივ შეერია აქ ჩამოსახლებულ კავკასიის მთიელებს.

<sup>1</sup> იხ. თეოდოსი განგრელის მოგონებანი (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გეორგიკი, IV, გვ. 50, 54). — „ჯიხა-ხორა“ მეგრულად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ციხე-სახლი“.

ქართველი გეოგრაფოსის ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დაცული ცნობებიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში მოსახლეობა ყოფილა არა მხოლოდ „შუა სოფელში“ (ე. ი. მოქვისა და დრანდის თემებში), არამედ ქართველებით ყოფილა დასახლებული აგრეთვე ცხუმის (სოხუმის) თემი, რომელიც ამ დროს ოდიშთან არის დაკავშირებული. ძველი ქართული მოსახლეობა ამ დროისათვის ჯერ კიდევ აღწევდა ვიდრე ანაკოფიის ზონამდე (ეხლანდელი ახალი ათონი) <sup>1</sup>.

უღარესად საყურადღებოა აგრეთვე ცნობები, რომლებიც დაუცავს მე-17 საუკუნის უცხოელ ავტორებს, მისიონერებს ლუი გრანეიესა და არქანჯელო ლამბერტის, რომელთა ჩვენების თანახმად მოსახლეობა ამ მხარისა — „შუასოფლისა“ — ქართულია.

ლუი გრანეიეს მოხსენება, როგორც ცნობილია, დაწერილია აქვე, შუასოფელში, მოქვეში. (იგი ასეა ხელმოწერილი: „მოქვი, სამეგრელოში, 2 მარტს, 1615 წელს“) <sup>2</sup>.

არქანჯელო ლამბერტის ცნობების თანახმად მე-17 საუკუნის შუა წლებისათვის ფაქტიური საზღვარი ქართული მოსახლეობისა ოდნავ სამხრეთით გადმოწეულა, სახელდობრ საზღვარი ქართული მოსახლეობისა მე-17 საუკუნის შუა წლებში ყოფილა მდინარე კოდორის და დრანდის ზონა. არქანჯელო ლამბერტის ცნობათა მიხედვით ირკვევა, რომ საზღვარის ხაზი ამ დროს გასდევდა ფანავის ქედს, ადგებოდა კოდორის შუა წელს წებელდის ქვემოთ, მიჰყვებოდა კოდორს დრანდის სექტორამდე, ხოლო შემდეგ გადადიოდა კოდორის მარჯვენა მხარეზე და ადგებოდა შავ ზღვას დრანდის თემის დასავლეთით <sup>3</sup>.

ამრიგად მე-17 საუკუნის შუა წლებში ქართული მოსახლეობა იყო მთელ ტერიტორიაზე კოდორის აღმოსავლეთით, ხოლო კოდორის დასავლეთით ქართული მოსახლეობა იყო დრანდის თემში. რაც შეეხება საკუთრივ ცხუმის (სოხუმის) თემს, იგი, როგორც ირკვევა, თანდათანობით დაცილია მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში.

2. ჰენიოხეთ-სანიხეთის ისტორიული ტერიტორიები: ა. სამხრეთი ჰენიოხეთი (ზღვისპირი აფხაზეთი); ბ. შუა ჰენიოხეთი; გ. ჩრდილო ჰენიოხეთი (აფხაზეთის ჯიქეთი).

ანტიური ხანისა და საშუალ საუკუნეების საისტორიო წყაროებში სახელწოდება ამ ტერიტორიებზე მოსახლე ტომისა დამოწმებულია, როგორც მოხსენებული გვექონდა, შემდეგის ფორმებით: ჰენიოხი, სანიხი და სანიგი.

ყველა ეს ფორმები ერთი და იმავე ეთნიური სახელწოდების დიალექტური სახესხვაობაა. უფრო ადრინდელ ხანაში, დაწყებული მე-5 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა ვიდრე 1—2 საუკუნეებამდე ახალი წელთაღრიცხვისა ეს სახელი გვხვდება ფორმით ჰენიოხი (ასე იხილეთ ანტიკური ხანის ავტორებში: ჰელანიე, სკილაქს კარიანდელი, არტემიდორე ეფესელი, სტრაბონი,

<sup>1</sup> იხ. ვახუშტი, აღწერა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 169. (იხ. ამ საკითხზე უფრო დამტკიცებით ცალკე).

<sup>2</sup> იხ. მოხსენება ლუი გრანეიესი, СМОНПК, XLIV, 1915 წ., გვ. 31—52.

<sup>3</sup> იხ. არქანჯელო ლამბერტი, СМОНПК, XLII, 1913 წ., გვ. 128 (შუად. გვ. 2) და რუკა არქანჯელო ლამბერტისა.

პლინი სეკუნდი, კლავდი პტოლემე), ხოლო ახალი წელთაღრიცხვის 1—2 საუკუნეებიდან ამ სახელწოდების ჩვეულებრივი ფორმაა — სანისი (იხ. პლინი სეკუნდი, არიანე, მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი, აგრეთვე საშუალ საუკუნეთა ქართული საისტორიო ძეგლი „ისტორია-აზმანნი შარავანდედთანი“).

სახელწოდება ამ ტომისა გვიჩვენებს, რომ იგი ეკუთვნოდა ქართველ ტომთა კოლხურ-ლაზურ (მეგრულ) შტოს; ეს სახელწოდებანი ჰენიოხი, სანისი, მიღებული იყო სწორედ კოლხურ-ლაზურ (მეგრულ) ტომთა ჯგუფში, სადაც იგი ფართე გავრცელებით სარგებლობდა.

სახელდობრ გარდა აფხაზეთისა ეს სატომო სახელწოდება ჩვენ გვხვდება შიდა-საქართველოში, საქართველოს კოლხურ-ლაზური ზონის მთელ რიგ მხარეებში.

ა. ეს სატომო სახელწოდება მიღებული იყო სამხრეთ კოლხიდაში; ანტიური ხანისა და ადრეულ საშუალ საუკუნეთა წყაროების ჩვენების თანახმად „ტომი სანთა ჰენიოხთა“, „ტომი ჰენიოხთა“ — ეწოდებოდა სამხრეთ კოლხიდის ლაზური შტოს ტომს, რომელიც მოსახლეობდა რიზე-ათინის მხარეში (თანამედროვე ლაზები) <sup>1</sup>.

ბ. ჰენები, ჰენეთელი (=ჰენიოხები) ეწოდებოდა ქანური შტოს ტომს პონტოში (ხალიბების მეზობლად) <sup>2</sup>.

გ. სახელწოდება სანები მიღებული იყო პონტოს მთების ქანურ ტომებში <sup>3</sup>.

დ. სახელწოდება „ჰენიოხი“ ჩვენ გვხვდება აგრეთვე კოლხური ტომის განსახლების ძველ ტერიტორიაზე — პროვინციაში კოლა; კოლის მთებს ეწოდება „ჰენიოხთა მთები“, აგრეთვე „კორახის მთები“ <sup>4</sup>.

რაკი ამრიგად, ირკვევა, რომ სახელწოდება ჰენიოხი-სანიზი (სანი) ყოფილა სახელწოდება კოლხურ-ლაზური (მეგრული) ტომებისა, ვასაგები ხდება ამის შემდეგ ის გარემოება, რომ ანტიკური ხანის წყაროებში აფხაზეთის ჰენიოხების ტერიტორიას ხან ჰენიოხების მიწა-წყალი ეწოდება, ხან კოლხებისა.

ასე მაგალითად ანტიკური ხანის წყაროების ჩვენების თანახმად ქალაქი დიოსკურია და მისი თემი ჰენიოხების მიწა-წყალზე მდებარეობდა, ხოლო დიოსკურიას ეწოდება არა მხოლოდ ჰენიოხთა ქალაქი, არამედ ამავე დროს კოლხთა ქალაქი <sup>5</sup>.

ასევე ძველი ქალაქი ბიჭვინთა, რომელიც ჰენიოხების მიწა-წყალზე მდებარეობდა, აგრეთვე კოლხთა ქალაქის სახელწოდებით მოიხსენება <sup>6</sup>.

რომ ჰენიოხები ეკუთვნოდნენ ქართველ ტომთა ჯგუფს (კოლხურ-ლაზურ შტოს) ეს სრულიად უდავოდ დასტურდება კერძოდ იმით, რომ ჰენიოხთა მიწა-

<sup>1</sup> იხ. პლინი სეკუნდი, SC, II, გვ. 178; არიანე SC, I, გვ. 222; მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფი, SC, I, გვ. 273.

<sup>2</sup> იხ. პლინი სეკუნდი, SC, II, გვ. 178 (შედ. Гап, Известия др. греческих и римских писателей о Кавказе, 1884 წ., I, გვ. 103). იხ. აგრეთვე სკილაქს კარიანდელის სახელით წარწერილი ძეგლი, SC, I, გვ. 86. (მენეთის ნავთსადგური), სტრაბონი, SC, I, გვ. 157 (ჰენეთის მდინარე), აპოლონ როდოსელი, SC, I, გვ. 413, 414 (ჰენეთის კონცხი).

<sup>3</sup> იხ. სტრაბონი, SC, I, გვ. 158; არიანე SC, I, გვ. 222.

<sup>4</sup> იხ. პლინი სეკუნდი, SC, II, გვ. 181.

<sup>5</sup> იხ. სკილაქს კარიანდელის სახელით წარწერილი ძეგლი, SC, I, გვ. 85; სტრაბონი, SC, I, გვ. 135; პლინი სეკუნდი, SC, II, გვ. 179; კლავდი პტოლემე, SC, I, გვ. 240; იულიუს სოლინუსი, SC, II, გვ. 278.

<sup>6</sup> იხ. სტრაბონი, SC, I, გვ. 135.

წყალის გეოგრაფიულ პუნქტთა სახელწოდებანი, რომლებიც მოიხსენება საისტორიო წყაროებში, იხსნება ქართულის, ქართველური ენა — დიალექტების საშუალებით.

გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებათა საკითხს ქვემოთ ცალკე სპეციალურად ვეხებით, აქ კი ჯერ შევჩერდებით ერთი გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებაზე, რომელიც ეთნიურ სახელთან არის დაკავშირებული, სახელწოდებაზე ლ ა ზ ი კ ა.

როგორც მოხსენებული გვექონდა, აფხაზეთის მხარეთა ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე პუნქტი ეს იყო ნიკოფსია, რომელიც მდებარეობდა ჩრდილო პენიონხეთის (შემდეგდროინდელი აფხაზეთის ჯიქეთის) ჩრდილო მიჯნაზე. სახელწოდება ნიკოფსია შედარებით ახალი წარმოშობისაა; იგი დამოწმებულია მხოლოდ მე-5 საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვისა, ხოლო ანტიკურ ხანაში ნიკოფსიას რქმევია: „ლ ა ზ ი კ ა“, „ძველი ლ ა ზ ი კ ა“. მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის სანაპიროზე, ლაიას კონცხის ჩრდილოეთით, მდებარეობს პუნქტი — „ძველი ლაზიკა (Παλιὰ Λαζική), რომელსაც ამჟამად ეწოდება ნიკოფსია“<sup>1</sup>.

ეს პუნქტი, ამავე სახელწოდებით „ძველი ლ ა ზ ი კ ა“, მოიხსენება აგრეთვე არიანეს პერიპლუსში მე-2 საუკუნისა<sup>2</sup>.

ის გარემოება, რომ აფხაზეთის ქვეყნების (ძველი ჩრდილო-პენიონხეთის) ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარე პუნქტს ნიკოფსიას რქმევია ლ ა ზ ი კ ა, ე. ი. იგივე სახელი, რომელიც ერქვა ეგრისის ქვეყანას, — უადრესად მნიშვნელოვანი ჩვენებაა; აქ ჩვენ გვაქვს სრულიად ზუსტი, ბრწყინვალე დადასტურება მე-8 საუკუნის ქართველის ავტორის ლეონტი მროველის ცნობისა, რომლის თანახმადაც შავი ზღვის სანაპირო ვიდრე ნიკოფსიამდე შეადგენდა ეთნოგრაფიული ეგრისის ნაწილს.

### 3. ს ა კ უ თ რ ი ვ ა ფ ხ ა ზ ე თ ი ( შ ი დ ა - ა ფ ხ ა ზ ე თ ი ).

აქ ჩვენ საგანგებოდ შევჩერდებით აფხაზეთის მხარეთა მთავარი ტომის აფხაზების სატომო სახელზე.

წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ ამ ტომის სახელწოდების თავდაპირველი სახეობა არის მოსხი, იგივე მესხი.

ანტიკური ხანის ყველა ძველ წყაროებში, დაწყებული მე-5 საუკუნიდან. ძველი წელთაღრიცხვისა ვიდრე 1 საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა აფხაზებს ეწოდება მხოლოდ ეს სახელი მოსხი. (რაც შეეხება ტერმინებს \*აბასხი, აფხაზი, რაც დიალექტიური სახესხვაობა იმავე ძველი სატომო სახელწოდებისა „მოსხი“, — ესენი ბევრად უფრო გვიან შემოდის ხმარებაში. ამათ შესახებ ქვემოთ).

ძველი ბერძენი ავტორი პელანიკე მიტილენელი (მე-5 საუკ. ძვ. წ.) თანამედროვე აფხაზეთში მოსახლე ტომს უწოდებს: მოსხი<sup>3</sup>. პელანიკეს ცნობით აფხაზეთის მოსხთა ტომის მოსაზღვრენი არიან პენიონხები, კორახები (მდინარე კორახის, თანამედროვე კელასურის ხეობის მცხოვრებნი), კერკეტნი (ჩერქეზნი, კავკასიონის ქედის იმიერ) და ხარიმანტნი. ამ ჩვენებათა მიხედვით მოსხების ეს-

<sup>1</sup> იხ. SC, I, გვ. 278.

<sup>2</sup> იხ. SC, I, გვ. 224.

<sup>3</sup> იხ. SC, I, გვ. 270.

ტერიტორია ზუსტად განისაზღვრება შიდა-აფხაზეთის (საკუთრივ აფხაზეთის) ზონით.

პალეფატ აბილონელს (მე-4 საუკუნე ძვ. წ.) აფხაზეთში მოსახლე ტომი ასევე მოხსენებული სახელწოდებით მოსხი (მის მეზობლებად დასახელებულნი არიან იგივე კერკეტნი და ხარიმანტნი) <sup>1</sup>.

უფრო გვიან ხანაშიაც, მითრიდატ დიდის ომების ისტორიკოსები და აგრეთვე თვით სტრაბონი აფხაზებს იცნობენ მხოლოდ ამ სახელწოდებით მოსხი (მათ მოსაზღვრედ მოიხსენებიათ იგივე ჰენიოზნი და კერკეტნი) <sup>2</sup>.

აქ საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე აფხაზთა ამ ძველი სატომო სახელის — „მოსხი“-ს სხვადასხვა დიალექტურ ფორმებზე, რომ გასაგები გახდეს ამ სახელწოდების გვიანდელი ფორმები: \*ბასხი, აფხაზი.

აფხაზთა ამ სატომო სახელწოდების „მოსხი“-ს არქაული დიალექტური ფორმებია:

მოსხი (მოსოხი) = მასხი (მასახი) = ბასხი (ბასახი).

ამ უკანასკნელი ფორმიდან ბასხი (ბასახი) მომდინარეობს აფხაზთა ერთ-ერთი კლანის ეთნიური სახელწოდება: ბ ა ს ხ ო გ ი <sup>3</sup>, აგრეთვე შიდა-აფხაზეთის ერთ-ერთი თემის სახელწოდება \*ბასხი <sup>4</sup>.

დაბოლოება „ხი“, როგორც ცნობილია ჩვეულებრივი ბოლოკიდური ფორმანტია ქართული ეთნიური სახელებისა: მოს-ხი (მეს-ხი), კოლ-ხი, კას-ხი (კა-ხი), ტაო-ხი, ჰენო-ხი (ჰენიოხი) = სანი-ხი.

ბოლოკიდური „ხი“ ეთნიური სახელების დაბოლოებაში სადაურობაზე მიუთითებს; იგი იმავე ფუნქციას ასრულებს, როგორც დაბოლოებანი — „ელი“, „არი“ (მაგალითად სახელწოდებაში: ოდიშ-ელი, ოდიშ-არი).

ასე, ქვეყნის სახელია ტ ა ო, ტომის სახელია: ტ ა ო - ხ ი, ტ ა ო - ე ლ ი. ქვეყნის სახელია კ ო ლ ა, ხოლო ტომის სახელია კ ო ლ - ხ ი, იგივე კ ო ლ - ე ლ ი, ანუ კ ო ლ - ა რ ი <sup>5</sup>.

ისევე როგორც სახელწოდებას „კოლ-ხი“ მოეპოვება პარალელური ფორმები კოლა-ელი და კოლა-არი, ასევე ეთნიურ სახელწოდებას ბასხი (ბასახი) ჰქონია ასეთი პარალელური ფორმები:

ბ ა ს - ხ ი ( ბ ა ს - ა - ხ ი ) = ბ ა ს - ი ლ ი = ბ ა ს - ა რ ი.

ყველა ეს ფორმები ამ სატომო სახელისა, როგორც ბ ა ს ხ ი, ისე ბ ა ს ი ლ ი და ბ ა ს ა რ ი აგრეთვე დამოწმებულია <sup>6</sup>.

განვიხილოთ ამის შემდეგ ამ სატომო სახელებიდან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელწოდებანი.

ძველ-ქართულში გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ისეთი სახეობა, როდესაც გეოგრაფიულ სახელწოდებას თავში ერთვის აფიქსი „ა“ ან „ე“.

ასე, სატომო სახელიდან „ჰანი“ ჩვენ გვაქვს გეოგრაფიული სახელწოდებანი:

ა) ჰან-ეთი და

ბ) ა-ჰან-რა, რომლის სახენაცვალი ფორმაა: ა-ჰარა.

<sup>1</sup> იხ. SC, I, გვ. 270.

<sup>2</sup> იხ. SC, I, გვ. 135.

<sup>3</sup> იხ. ლ. ლულოვ, Общий взгляд на страны, занимаемые черкесами, абхазцами и другими смежными с ними народами, ЗКОРГО, 1857 წ., IV, გვ. 181.

<sup>4</sup> ამ სახელწოდების სახენაცვალი ფორმაა (აფსუას ენაზე): ბსხუ, ფსხუ (იხ. იქვე, გვ. 181)

<sup>5</sup> ეთნიური სახელის ამ ფორმიდან კ ო ლ - ა რ ი მომდინარეობს \* კ ო ლ - ა რ ე ჲ ი → კ ლ - ა რ ე ჲ ი

<sup>6</sup> იხ. ქვემოთ, გვ. 136.

ან-და მეორე მაგალითი.

ქველად, ანტიურ ხანაში, დასაეღეთ საქართველოში ჩვენ გვაქვს სატომო სახელწოდება „გურ-ი“ ანუ „გერ-ი“, ხოლო აქედან არის ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები:

ა) გურ-ია,

ბ) ე-გურ-ისი და ე-გერ-ისი, საიდანაც, ქართული ენისათვის ჩვეულებრივი ფონეტიკური წესის — რედუქციის (ძირის ხმოვანის ამოღების) გზით, მიღებულია: ე-გ-რ-ისი.

ეს თავიდანვე გრამატიკული ნაწილაკი „ა“ (როგორც მაგალითად გეოგრაფიულ სახელში „ა-ქარა“), და მისი ვარიანტული სახეობა „ე“ (როგორც მაგალითად გეოგრაფიულ სახელში „ე-გ-რ-ისი“), თავისი მნიშვნელობით უდრის გრამატიკულ ნაწილაკს „სა“ (მაგალითად გეოგრაფიულ სახელში „სა-მცხ-ე“).

რომ აქ ჩვენ გვაქვს სწორედ ამგვარი შეფარდება, ამას მკითხველი ადვილად გაითვალისწინებს შემდეგი სიტყვების მაგალითიდან:

„ა-დგილი“ — იგივეა რაც „სა-დგილი“,

„ა-ბანო“ — იგივეა რაც „სა-ბანო“ და სხვანი.

ამნაირადვე ა-ქან-რა იგივეა რაც სა-ქან-რა, სა-ქან-ო;

ასევე ე-გერ-ისი ანუ ე-გურ-ისი იგივეა რაც სა-გერ-ისი, ანუ სა-გურ-ისი (შეადარეთ გურ-ია).

გადავიდეთ ამის შემდეგ სატომო სახელებზე ბ ა ს ხ ი და ბ ა ს ი ლ ი და მათგან ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელწოდებებზე.

სატომო სახელიდან ბ ა ს ხ ი იწარმოება გეოგრაფიული სახელწოდება ა-ბასხეთი (=იგივე სა-ბასხ-ეთი) ანუ ა-ბასხ-ია

სატომო სახელიდან ბ ა ს ი ლ ი იწარმოება გეოგრაფიული სახელწოდება ა-ბასილეთი (=სა-ბასილ-ეთი), საიდანაც, ქართულის ენის ფონეტიკური კანონის — რედუქციის ე. ი. ძირის ხმოვანის ამოღების გზით (რაც აუცილებელი წესია მრავალმარცვლოვან სიტყვებში), მიღებულია ფორმა: ა-ბსილ-ეთი; იგივე ა-ბსილ-ია.

აქ საჭიროა ამავე დროს აღვნიშნოთ შემდეგი გარემოებაც. ქართულში ჩვეულებრივი მოვლენაა სატომო სახელების მეორადი წარმოება გეოგრაფიული სახელებიდან.

ასე, მაგალითად, სატომო სახელიდან კ ა ხ ი ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელწოდება კ ა ხ -ე თ ი. შემდეგ თავდაპირველი ფორმა ამ სატომო სახელისა (კახი) ხმარებიდან გამოვიდა და მის მაგიერ დამკვიდრდა გეოგრაფიული სახელწოდებიდან ნაწარმოები მეორადი ფორმა: კახელი.

ასევე სახელწოდებაშიაც ა-ქარელი ჩვენ გვაქვს მეორადი წარმოება სატომო სახელისა გეოგრაფიული სახელწოდებიდან.

ამგვარადვე სატომო სახელი ე გ რ ი ანუ ე გ ე რ ი (ასევე მ-ეგრ-ელი) ეს არის მეორადი წარმოება ქვეყნის სახელიდან ე-გერ-ისი (=სა-გერ-ისი).

ანალოგიური ვითარება გვაქვს ჩვენ სატომო სახელების ბ ა ს ხ ი ს და ბ ა ს ი ლ ი ს მიმართაც.

სატომო სახელიდან ბ ა ს ხ ი მომდინარეობს ქვეყნის სახელწოდება ა-ბასხ-ეთი ანუ ა-ბასხ-ია (ე. ი. იგივე სა-ბასხ-ეთი); ხოლო შემდეგ ქვეყნის ამ სახელიდან აბასხ-ეთი ანუ აბასხ-ია დამკვიდრდა სატომო სახელის ეს მეორადი ფორმა: აბასხი, რომლის სახენაცვალი ფორმაა \* აბხასი, აბხაზი, აფხაზი. (კერძოდ ფორმიდან \* აბასხი ჩვენ გვაქვს ბერძნულში Αβασϋ =).

ასევე სატომო სახელიდან ბასილი მომდინარეობს ქვეყნის სახელწოდება აბსილეთი ანუ აბსილ-ია (ე. ი. იგივე საბსილ-ეთი, ანუ, სრულყოფილად, საბასილ-ეთი); ხოლო შემდეგ ქვეყნის ამ სახელიდან აბსიდ-ვაჰი სწორედ აბსილ-ია დამკვიდრდა სატომო სახელის ეს მეორადი ფორმა: აბსილი.

ჩვენ ამგზის ამით დავასრულებთ ამ ლინგვისტიკურ ექსკურსს აფხაზთა სატომო სახელწოდების სხვადასხვა ვარიანტულ სახეობათა შესახებ<sup>1</sup>.

ამრიგად ირკვევა, რომ აფხაზთა ტომის სახელწოდების ყველა არსებული ვარიანტები მომდინარეობს აფხაზთა სატომო სახელის ძირითადი სახეობიდან: მოსხი (მოსოხი), იგივე მესხი. ხოლო თვით ის ფაქტი, რომ აფხაზთა ტომის ძირითადი სატომო სახელწოდება იყო მოსხი (მოსოხი), ეს დასტურდება, როგორც ენახეთ, მთელი რიგი საისტორიო წყაროებით ანტიკური ხანისა, დაწყებული მე-5 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა (ჰელანიკე მიტილენელი), ვიდრე I საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა (სტრაბონი).

ის გარემოება, რომ აფხაზთა ტომის სახელწოდება ყოფილა „მოსხი“ (მოსოხი), იგივე მესხი, უკვე თავისთავად ცხად-ჰყოფს, რომ აფხაზები ქართველ ტომთა ჯგუფს ეკუთვნოდნ.

აქ საჭიროა ავღნიშნოთ, რომ უძველეს ხანაში მესხთა ტომი, როგორც ირკვევა, ბევრად უფრო ფართოდ ყოფილა განსახლებული საქართველოს მიწა-წყალზე, ვიდრე შემდგომ პერიოდში. მესხებით ყოფილა დასახლებული არა მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, შემდეგდროინდელი სამცხე და მისი მიმდგომი თემები; მესხების მოსახლეობა ყოფილა აგრეთვე შიდაქართლშიაც, რის მაჩვენებელია შიდაქართლის დედაქალაქის თვით სახელწოდება მცხეთა-სამცხე. მესხების მოსახლეობა ყოფილა აგრეთვე აღმოსავლეთ-საქართველოს მთიანეთში, ფშავ-ხევსურეთში: როგორც ცნობილია კავკასიის მთიელები-ავარიელები ფშავ-ხევსურებს „მოსოხი“-ს (ანუ „მოსოქი“-ს) სახელით იცნობენ<sup>2</sup>. რაც შეეხება აფხაზეთს, აქ, როგორც ეს ზემოთაც მოვიხსენეთ, ადგილი ჰქონია ისეთსავე ტერიტორიულ თანამეზობლობას მესხური ტომისა ეგრისელ ტომებთან, როგორც ჩვენ გვაქვს სამხრეთ კოლხიდაში, სადაც ეგრისელ ტომებს მეგრელებსა და ქანებს შორის სახლობს მესხური ტომის შტო (გურულები და ქობულელ-აქარლები).

#### 4. აბსილეთი.

აბსილეთის მხარე, როგორც გამოიკვეულია, მოიცავდა მდინარე კელასურის (ძველ კორახის მდინარის) ზემო-ნაწილს და მის მიმდგომ ზონას გუმისთის ხეობიდან ვიდრე კოდორის ხეობამდე.

აბსილეთის ტერიტორია ესაზღვრებოდა: სამხრეთის მხრით კოლხებს-ეგრისელებს (დიოსკურიის და დრანდის თემებს), დასავლეთის მხრივ საკუთრივ აფხაზებს (ე. ი. აფხაზეთის მესხებს), აღმოსავლეთის მხრით მისიმიანებს ანუ სვან-კოლხებს; ჩრდილოეთი საზღვარი იყო კავკასიონის ქედი (მარუხის უღელტეხილის ზონაში).

<sup>1</sup> იხ. ამ საგანზე აგრეთვე დამატებით სპეციალურ შენიშვნაში.

<sup>2</sup> იხ. П. Услар. Аварский язык, 1889 წ., ნაწილი მეორე, გვ. 24, 26.



აბსილეთის ტერიტორიაზე, როგორც ირკვევა, ნარევი მოსახლეობა იყო ორი ქართველი ტომისა: აფხაზეთის მესხებისა (ბ ა ს ხ ე ბ ი = ბ ა ს ხ ე ბ ი) და აფხაზეთის კოლხებისა (კ ო რ ა ხ ე ბ ი = კ ო რ ა ხ ე ბ ი).

აბსილეთის ტერიტორია ანტიკური ხანისა და საშუალო საუკუნეთა წყაროებში ორი სახელწოდებით არის ცნობილი: ა ბ ს ი ლ ე თ ი და კ ო რ ა ხ ე თ ი.

უფრო ძველ წყაროებში ეს მხარე კ ო რ ა ხ ე თ ი ს სახელწოდებით მოიხსენება. სახელდობრ ანტიკური ხანის ძეგლებში დაწყებული მე-რ საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა ვიდრე I საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა ამ მხარეს ეწოდება „კორახთა“ (კორაქსთა) ქვეყანა<sup>1</sup>, ხოლო აქ მოსახლე ტომს ეწოდება კორახნი (კორაქსნი)<sup>2</sup>.

ეს სატომო სახელი შენახულა ამ მხარის თვით გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. ასე ამ მხარის შუაგულ მდინარეს ეწოდება კ ო რ ა ხ ი ს (კორაქსის) მდინარე<sup>3</sup>; საფორტიფიკაციო ნაგებობას, კელასურის კედელს, რომელიც გაყვოფს ამ მხარეს შიდა-ეგრისიდან ეწოდება კ ო რ ა ხ ი ს (კორაქსის) კედელი<sup>4</sup>; კავკასიონის ქედის იმ ნაწილს, რომელიც ჩრდილოეთით აკრავს ამ მხარეს (მარუხის უღელტეხილის ზონა) ეწოდება კ ო რ ა ხ ი ს (კორაქსის) მთები<sup>5</sup>.

თუ ვინ იყვნენ კ ო რ ა ხ ე ბ ი (კორაქსები), რომელ სატომო ჯგუფს ეკუთვნოდნენ ისინი, ამის შესახებ წყაროებში პირდაპირი ცნობა შენახულა. ჰეკატე მილეტელს აღნიშნული აქვს: „კორახები (კორაქსები)—კ ო ლ ხ თ ა ტ ო მ ი ა“<sup>6</sup>.

რაც შეეხება ამ მხარეში მოსახლე მეორე ტომს, ა ბ ს ი ლ ე ბ ს, ისინი მოიხსენებიან კორახებზე უფრო გვიან, სახელდობრ აბსილეთი პირველად მოიხსენება 1-ლ საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა.

აქ დამატებით რამდენიმე შენიშვნა ამ ტომის სახელწოდების ფორმათა შესახებ.

როგორც უკვე აღნიშნული გექონდა, ამ ტომის სახელწოდების პირვანდელი ფორმაა ბ ა ს - ი ლ ი = ბ ა ს - ა რ ი, საიდანაც შემდეგ წარმოშობილა ამ სახელწოდებათა სახესხვაობანი: აბსილი (აფსილი, აფშილი) და აბსარი (აფსარი).

აღსანიშნავია, რომ სახელწოდება ამ ტომისა თავისი პირვანდელი ფორმით ბ ა ს ი ლ ი შენახულა ამ მხარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. ისევე როგორც სახელწოდება კორახთა ტომისა შენახულა ამ მხარის მდინარის სახელწოდებაში (კორახის მდინარე), ასევე სახელწოდება ბასილთა ტომისა შენახულა ამ მხარის მეორე მდინარის სახელწოდებაში ბ ა ს ი ლ ა, ბ ა ს ი ლ ე თ ი (ბ ა ს ლ ე თ ი), რომელიც მომდინარეობს ამ მხარის სამხრეთი რაიონიდან და ერთვის შავ ზღვას ქალაქ ცხუმთან<sup>7</sup>.

როგორც აღნიშნეთ, აბსილთა ტომი პირველად მოიხსენება I საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა. დაწყებული ამ დროიდან, I საუკუნიდან, ეს მხარე

<sup>1</sup> იხ. ჰეკატე მილეტელი, SC, I, გვ. 2; ჰელანიკე, SC, I, გვ. 270; სკილაქს კარიანდელის სახელით წარწერილი ძეგლი, SC, I, გვ. 85; პომპონიუს მელა, SC, II, გვ. 118; პლინი სეკუნდი, SC, II, გვ. 179.

<sup>2</sup> იხ. კლავდი პტოლემე, SC, I, გვ. 237, 240.

<sup>3</sup> იხ. ჰეკატე მილეტელი, SC, I, გვ. 2.

<sup>4</sup> იხ. პომპონიუს მელა, SC, II, გვ. 117; პლინი სეკუნდი, SC, II, გვ. 177.

<sup>5</sup> იხ. SC, I, გვ. 2.

<sup>6</sup> პლინი სეკუნდი, SC, II, გვ. 179.

<sup>7</sup> აღნიშნავთ ამას გარდა, რომ ეს სატომო სახელწოდება ფორმებით ბ ა ს ა რ ი და ა ბ ს ი ლ ი დაცულია ადგილობრივ საგვარეულო სახელებში (ბასარია, აბშილა-ა).

უკვე აღარ იწოდება კორახეთად, არამედ მხოლოდ აბსილეთად. ეს სახელწოდება აბსილეთი მიემართება ამ მხარეს საშუალო საუკუნეებშია ცხარეხედი. ეს ქრონოლოგიური მონაცვლეობა ამ ორი სატომო სახელწოდებშია ცხარეხედი რახეთი და აბსილეთი — გვიჩვენებს, რომ უფრო ადრინდელ პერიოდში უპირატესობა ამ მხარეში კორახთა (კოლხთა) ტომს ჰქონია, ხოლო შემდეგ უპირატესობა აბსილთა ტომზე გადასულა. ამასთან ის გარემოება, რომ I საუკუნის შემდეგ კორახთა ტომი ცალკე აღარ იხსენება, გვაფიქრებინებს, რომ საუკუნეთა მანძილზე მომხდარა ამ მხარეში მოსახლე ამ ორი მონათესავე ტომის შერევა. აგათია სქოლასტიკოსის ცნობის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ საშუალო საუკუნეებში (მე-6 საუკუნეში ახ. წ.) სალაპარაკო ენა აბსილეთისა (ე. ი. შერეულ კორახ-აბსილთა ტომისა) ლაზური (მეგრული) ენა ყოფილა. (იხ. ქვემოთ გვ. 140).

5. მისიმიანეთი.

მისიმიანეთის მხარე, როგორც გამოჩვენებულია, მდებარეობდა კოდორის ხეობაში.

მისიმიანეთის ტერიტორია ესაზღვრებოდა: სამხრეთის მხრით კოლხებს — ეგრისელებს; დასავლეთის მხრით აბსილებს (—კორახ-აბსილთა ნარეც ტომს, რომელიც ენობრივად ამავე მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდა); დასავლეთით — სევანებს; ჩრდილოეთი საზღვარი იყო კავკასიონი (კლუხორის უღელტეხილის ზონაში).

მისიმიანეთის ძველი სახელწოდებაა კოლაეთი (ბერძნ. Κολαίη). ანტიკური ხანის წყაროებში აქ მოსახლე ტომს ეწოდება კოლნი ანუ კოლაელნი<sup>2</sup>.

მეორე სატომო სახელი ამ ტერიტორიაზე მოსახლე ტომისა მისიმიანის ჩვენ გვხვდება ადრეულ საშუალო საუკუნეებში (მე-6 — 8 საუკ.)<sup>3</sup>.

რომელ ეთნიურ ჯგუფს ეკუთვნოდა მოსახლეობა მისიმიანეთის მხარისა, რომელიც ატარებდა ამ სატომო სახელებს: კოლაელი და მისიმიანი?

წყაროების ჩვენებათა მიხედვით ისტორია ამ მხარის მოსახლეობისა ასე წარმოგვიდგება.

ძველი აბორიგენული მოსახლეობა ამ მხარისა კოლხური ყოფილა. უფრო გვიან აქ მომხდარა ჩამოსახლება სევანებისა (მისიმიანებისა); ხოლო შემდეგ

<sup>1</sup> ანტიკური ხანის წყაროებიდან, გარდა პლინიუს სეკუნდის თხზულებისა, აბსილეთი (აფსილეთი) მოიხსენება არიანეს პერიპლუსში. მიზანტურის პერიოდის წყაროებიდან აბსილეთი მოიხსენება მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსში, იუსტინიანეს ნოველებში, პროკოპი კესარიელთან, აგათია სქოლასტიკოსთან, მენანდრე პროტექტორთან, თეოდოსი განგრელთან, თეოფანე ეპითაღმწერელთან. საშუალო საუკუნეთა ქართულ წყაროებში აფსილეთი მოხსენება ჯუანშერის ტრონიკაში (გვ. \* 420/201, ანასეული, გვ. 149), აფსარანი, — შარავანდელთა ისტორია — აშანში (გვ. \* 660/448, და შენიშვნა 3). სომხურ წყაროებში ბასილნი მოიხსენება მოსე ხორენელთან (II, 58, 65, 85), აფსილნი — სომხურ გეოგრაფიაში მე-9 საუკუნისა.

<sup>2</sup> იხ. ჰეკატე მილეთელი, SC, I, გვ. 2; სკილაქს კარიანდელის სახელით წარწერილი ძეგლი SC, I, გვ. 65.

<sup>3</sup> იხ. აგათია სქოლასტიკოსი (ს. ყაუხიშვილის გამოცემა, გეორგია, III, გვ. 85—90, 154—157, 159—174); მენანდრე პროტექტორი (ibid., III, გვ. 236—237); თეოდოსი განგრელი (ibid., IV, გვ. 42, 44).

მომხდარა შერევა ამ ორი ტომისა კოლხებისა და სვანებისა და წარმოდგარა ნარევი ტომი, რომელთაც ეწოდებოდა „სვან-კოლხები“ ანუ „მეგრულ-სვანები“ (მეგრულ-სვანები).

რომ მისიმიანეთის მხარის ძირითადი აბორიგენული მოსახლეობა კოლხურ შტოს ეკუთვნოდა, ამას ცხადყოფს თვით სახელწოდება ამ მხარისა — კოლაეთი და სახელწოდება ამ მხარეში მოსახლე ტომისა კოლაელნი, დამოწმებული უძველესი ხანის წყაროებში. სახელწოდება კოლაელი, როგორც აღნიშნული გვექნა, წარმოადგენს კოლხთა სატომო სახელის ერთ-ერთ ფორმას. (ისევე როგორც, მაგალითად ტაოზი და ტაოელი სინონიმები მნიშვნელობის ტერმინებია, ასევე კოლხი და კოლაელი სინონიმებია. იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 133).

არაა ინტერესს მოკლებული აღნიშნოთ, რომ კოლაელების — კოლხების სატომო სახელწოდება შერჩენილია ამ მხარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიაც. წყაროდის ჩვენების თანახმად კავკასიონის ქედის იმ ნაწილს, რომელიც აკრავს ამ მხარეს და სადაც მდებარეობდა ჩრდილო კავკასიიდან ამიერ-კავკასიაში გადმოსავალი ზეკარები, ე. ი. ნიშანდობლივ კავკასიონის ქედის კლუზორის ზონას, ეწოდებოდა კოლაეთის — კოლხეთის მთები *Κολχική βεη*. ამ ზუსტი ჩვენების თანახმად კოლხთა სახელთან არის დაკავშირებული სახელწოდება უღელტეხილისა \*კოლხორი (საიდანაც მომდინარეობს ამ ტერმინის გვიანდელი სახენაცვალი ფორმა: კლუზორი).

აღნიშნავთ ამასთან, რომ ეს სახელწოდება \*კოლხორი გრამატიკულს გაფორმებით, ბოლოკიდური ფორმანტით (— „ორი“) ენათესავება ამავე მხარეთა მეორე ადგილობრივ გეოგრაფიულ ტერმინს: კოდორი. წყაროების ჩვენების თანახმად კოდორი ეწოდებოდა კოდორის ზეობაში მდებარე სოფელს, საიდანაც შემდეგ დაერქვა სახელი მდინარე კოდორს.

აღსანიშნავია ამას ვარდა, რომ იმავე კოდორის ზეობაში დამოწმებულია მეორე სახელწოდება სოფლისა, კოლა, ე. ი. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს იგივე სახელწოდება კოდორი, მხოლოდ ბოლოკიდური გრამატიკული ფორმანტის დაურთველად. ამრთავად ისევე როგორც სახელწოდებაში კოდორი ფუძე-სიტყვაა კოლა, ასევე გეოგრაფიულ სახელწოდებაში კოლხორი ფუძე-სიტყვაა ეთნიური სახელი კოლხი<sup>2</sup>.

ეს რაც შეეხება მისიმიანეთის მხარეში მოსახლე პირველ ტომს კოლაელებს, რომელიც კოლხთა შტოს წარმომადგენელი ყოფილა.

ხოლო რომელ შტოს ეკუთვნოდა ამ მხარეში მოსახლე მეორე ტომი — მისიმიანები?

თავდაპირველად აღნიშნავთ, რომ სახელწოდება „მისიმიანი“ (\*მგ-სიმიანი) თავისი გრამატიკული გაფორმებით წმინდა ქართულ ტიპს წარმოადგენს, ისევე როგორც აფხაზეთის მხარის ყველა დანარჩენი სატომო სახელები. ამ სახელწოდებაში \*მგ-სიმიანი ბოლოკიდური „ანი“ ეს არის ქართულ ეთნიური სახელების ფუძის დატერმინანტი იმავე ტიპისა, როგორც სვანი, ზანი, სანი, ჭანი. ხოლო თავკიდური „მ-“ ეს არის ქართველური ენებისათვის, კერძოდ სვანურისათვის დამახასიათებელი ფორმანტი, რომელიც თავში ერთვის ეთნიურ სახელებს.

იმის მიხედვით, რომ მისიმიანეთის მხარე ვარშემოტყმული იყო ერთის მხრით კოლხურ (მეგრულ-ლაზურ) ენაზე ძოლაპარაკე მოსახლეობით, ხოლო

<sup>1</sup> იხ. ჰეკატე პილთელი, სკილაქს კარიანდელი, მენანდრე პროტექტორი (loc. cit.).

<sup>2</sup> გეოგრაფიულ-ეზნიურ სახელწოდებათა შესახებ უფრო დაწვრილებით ჰეკატე პილთელი.

მეორე მხრით სევანური მოსახლეობით, მისიმიანთა ტომი ცხადია ან კოლხთა, ან სევანთა ტომის შტო უნდა ყოფილიყო.

საისტორიო წყაროებიდან დასტურდება, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში აფხაზეთის მხარეებში, სხვა ქართველი ტომების გვერდით, სევანური მოსახლეობაც იყო.

სტრაბონი იმ ხალხთა შორის, რომელნიც ემზრობიან დიოსკურიის (სოხუმის) თემს — მოიხსენებს სევანებს. სტრაბონის სიტყვით სევანები „არიან პირველნი ძალითა და ძლიერებით (პონტის მთიელ ტომთა შორის)“, ისინი „მბრძანებლობენ ყველა გარემო ტომებზე და უქირავთ კავკასიონის მთიანი მხარე, რომელიც აღმართულია დიოსკურიის ზემოთ“<sup>1</sup>.

ამრიგად ერთ-ერთ მხარეში აფხაზეთისა, დიოსკურიის მეზობლად, სევანური მოსახლეობა ყოფილა. ხოლო ვინაიდან ეს მხარე არ იყო არც ზღვის-პირი აფხაზეთი (რომელიც ჰენიოზებით იყო დასახლებული), არც აბსილეთ-კორახეთი (სადაც ნარევი მესხურ-კოლხური ნარევი მოსახლეობა იყო), რჩება ერთადერთი პროვინცია მისიმიანეთი, — რომელიც წარმოადგენს მთის მხარეს“, მდებარეს „დიოსკურიის ზემოთ“, და სადაც ამრიგად, როგორც ირკვევა, სევანური მოსახლეობა ყოფილა<sup>2</sup>.

სტრაბონის ამ ცნობებს ავსებს და კიდევ უფრო აზუსტებს მეტად მნიშვნელოვანი ჩვენება ანტიკური ხანის მეორე ავტორის კლავდი პტოლემესი (მე-2 საუკ. ახ. წ.) და საშუალო საუკუნეთა სომეხთა ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელისა (მე-5—6 საუკ.).

კლავდი პტოლემეს პონტოს (შავი ზღვის მხარის) ჩრდილოელ ტომთა შორის, რომლებიც მოსახლეობდნენ აფხაზეთის მხარეთა ზონაში, ჰენიოზების მეზობლად, დასახლებული ჰყავს ტომი სევან-კოლხები (Σουαυνοχοίχοι)<sup>3</sup>. როგორც მოხსენებული გეჰონდა ჰენიოზების მოსახლეობა ამ დროს დიოსკურამდე აღწევდა და თვით დიოსკურია ჰენიოზების ქვეყანაში შედიოდა. სევან-კოლხებს, რომლებიც კლავდი პტოლემეს მოხსენებული ჰყავს უშუალოდ ჰენიოზების შემდეგ, როგორც ირკვევა ჰენიოზების მეზობლად სახლებულან. ამრიგად სევან-კოლხები არის იგივე სევანური მოსახლეობა, რომელიც მოხსენებული ჰყავს სტრაბონს და რომელიც სტრაბონის სიტყვით მკვიდრობდა „კავკასიონის მთიან მხარეში დიოსკურიის ზემოთ“, ე. ი. მისიმიანეთში.

მისიმიანეთის მხარის ეს ნარევი ტომი სევან-კოლხები მოხსენებული ჰყავს აგრეთვე ადრეულ საშუალო საუკუნეთა სომეხთა ისტორიკოსს ფავსტოს ბიზანტიელს — სახელწოდებით: ეგერ-სევანი ე. ი. მეგრელ-სევანი<sup>4</sup>.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყველა იმ ცნობებს, რომლებიც დატულია საისტორიო წყაროებში მისიმიანეთის მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ, ირკვევა შემდეგი:

ა. ძველი აბორიგენული მოსახლეობა ამ მხარისა — კოლაელნი რომლებიც მოიხსენებიან მე-6—4 საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა (ჰეკატე მილეტელისა და სკილაქს კარიანდელის გეოგრაფიულ ტექსტებში) — ეკუთვნოდნენ კოლხურ შტოს.

<sup>1</sup> იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, II, 2, 19, (SC, I, გვ. 138).

<sup>2</sup> შტრ. ამავე საკითხზე ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი (იბ. ს. უნ. შრომები, I, 1936 წ.).

<sup>3</sup> იხ. კლავდი პტოლემე, გეოგრაფია, წიგნი V, თავი VIII, 25.

<sup>4</sup> იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, III, 7.

ბ. შემდეგ ხანაში, მაგრამ არა უგვიანეს ძველი წელთა-აღრიცხვის პირველი საუკუნისა, აქ მომხდარა ჩამოსახლება სევანური ტომისა (სტრამბონი).

გ. უფრო გვიან მომხდარა შერევა ამ ორი ტომისა კოლხებისა და სევანებისა და წარმომდგარი ნარევი ტომი: სევან-კოლხები ანუ ეგერ-სევანები, მეგრულ-სევანები (კლავდი პტოლემე, ფავსტოს ბიზანტიელი).

რომელ ენაზე ლაპარაკობდა მისიმიანეთის მხარის ეს ნარევი ტომი სევან-კოლხები ანუ ეგერ-სევანები (მეგრულ-სევანები)?

აფხაზეთის მხარეთა ამ კუთხის მოსახლეობის ენის შესახებ ერთგვარ ჩვენებას იძლევა ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (მე-ნ საუკუნე); აგათია სქოლასტიკოსი აღნიშნავს, რომ მისიმიანის „კოლხთა (ლაზთა) მეფის ქვეშევრდომნი არიან, მსგავსად აფსილეებისა, ხოლო (კოლხთაგან) განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებს მისდევენ“<sup>1</sup>.

აგათია სქოლასტიკოსის ცნობის მიხედვით, აფსილეები (ე. ი. აფსილეთის მხარეში მოსახლე მესხ-კოლხთა ნარევი ტომი) ენის მიხედვით არ განსხვავდებოდნენ კოლხებისაგან (მეგრულ-ლაზებისაგან); ხოლო რაც შეეხება მისიმიანებს (ე. ი. მისიმიანეთის მხარეში მოსახლე სევან-კოლხთა ნარევი ტომს), მათი ენა არ ყოფილა კოლხური (მეგრულ-ლაზური); ამის მიხედვით მისიმიანეთის მხარის მოსახლეობის ენა ყოფილა ან სევანური, ან ადგილობრივი მისიმიანური დიალექტი, რომელიც სევანური და მეგრული ენის შერევის ნიადაგზე წარმოშობილა.

ჩვენ ამით დაემათავრებთ განხილვას საკითხისას, თუ როგორი იყო ეთნოგრაფიული შედგენილობა აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობისა ანტიკურ ხანაში და საშუალ საუკუნეებში.

როგორც გამოირკვა, აფხაზეთის მხარეები დასახლებული ყოფილა ქართული ტომებით, სახელდობრ აქ მოსახლეობდა ქართველ ტომთა სამი შტო: მესხები, კოლხები (მეგრულ-ლაზები) და სევანები.

### ბ.

### სამეცნიერო მხარის

**აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული პუნქტების ძველი სახელწოდებანი და მათი კავშირი ქართულ ენობრივ სამყაროსთან.**

იხსათვის, რომ აქ აღძრულ საკითხში აფხაზეთის მხარეთა ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ სრული სინათლე იყვეს შეტანილი, ჩვენ აქ სამეცნიეროდ შევეხებით აგრეთვე ერთ საკითხს: აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული პუნქტების ძველ სახელწოდებებს, რომლებიც დაუკლავა საისტორიო წყაროებში და რომლებიც ანტიკური ხანიდან და საშუალ საუკუნეებდან მომდინარეობს.

ყველა ეს სახელწოდებანი, როგორც გამოირკვევა, ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის. (ყრძოდ ამ გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის ჩვენ ვერ ვპოვებთ ვერც ერთ სახელწოდებას, რომელიც იხსნებოდეს ჩერქეზული ჯგუფის ენით. ამის მიხედვით სრულიად აშკარა ხდება უსაფუძვლობა იმ შეხედულებისა, რომელიც ამ მხარის ძირითად მოსახლეობას ჩერქეზულ შტოს მიაკუთვნებდა).

ამრიგად გეოგრაფიული სახელწოდებანი იძლევა სრულიად გარკვეულ ჩვენებას იმის შესახებ, თუ ვინ იყო ბინადარი მკვიდრი აფხაზეთის მხარეებისა ანტიკურ ხანასა და საშუალ საუკუნეებში. აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობა, როგორც ირკვევა, თავიდანვე ქართულ ეთნოურ წრეს ეკუთვნოდა, და ასეთივე ქართული ხასიათი ჰქონდა ამ მხარეს კერძოდ იმ ეპოქაში, როდესაც დაარსდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო“.

<sup>1</sup> იხ. აგათია სქოლასტიკოსის ისტორია (ს. უაუხიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 86).



გეოგრაფიულ სახელწოდებათა მიმოხილვას დაიწყებთ აფხაზეთის მხარეთა ცენტრალურ ნაწილთან, საყუთრივ აფხაზეთიდან, ე. ი. მხარეებიდან: შთა აფხაზეთი (ცენტრალური აფხაზეთი) და ზღვისპირი აფხაზეთი (ძველი სამხრეთი პენინსული).

აქ ჩვენ შეეჩერდებით შემდეგ დასახლებულ პუნქტთა სახელებზე, რომლებიც მოხსენება ძველ წყაროებში.

1. ძველი დიოსკურია — ტყუბუნი (\*ტყუბნი).
2. ახალი დიოსკურია (სებასტოპოლი, სოტირიუპოლი) — ცხოში, ცხუში.

აფხაზეთის მხარეთა ცენტრალური პუნქტი და ამავე დროს უძველესი ქალაქი აფხაზეთის მხარეთა, რომელიც მოხსენება სებასტოპოლი წყაროებში, ეს არის დიოსკურია. მისი სახელი პირველად გვხვდება წყაროებში მე-4 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა.<sup>1</sup>

პირველ საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა ძველი დიოსკურია დაეძვრა და მისი ადგილი დაუკურია ახალ ქალაქს, რომელიც ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოიხსენება სახელწოდებით — სებასტოპოლი<sup>2</sup> (უფრო გვიან მას ეწოდება აგრეთვე სოტირიუპოლი). რადგან სებასტოპოლი დიოსკურიის მეზობლად ყოფილა გაშენებული, ამიტომ სებასტოპოლზე გადასულა ძველ ქალაქის სახელიც. ამ ახალ ქალაქს სებასტოპოლს აგრეთვე დიოსკურიასაც უწოდებენ<sup>3</sup>.

დიოსკურია და სებასტოპოლი ამ ქალაქთა ბერძნული სახელებია; ხოლო რა ერქვა ამ ქალაქებს ადგილობრივ?

ჯერ ძველი დიოსკურიის სახელწოდების შესახებ.

ძველი დიოსკურიის ნაქალაქებს (რომელიც მდებარეობს ქ. სოხუმიდან 4 კილომეტრით სამხრეთით, მდინარე კელასურის შესართავის ახლოს) დღემდე შერჩენილი აქვს სახელწოდება: ტყუბუნი<sup>4</sup>.

რა ურთიერთობაშია ეს ადგილობრივი სახელწოდება ტყუბუნი და ბერძნული სახელწოდება დიოსკურია?

როგორც ცნობილია, ბერძნული მითოლოგიაში დიოსკურები ეწოდებოდა ტყუბ მძებს (კასტორსა და პოლუქსს, ლათინ-შვილებად წოდებულ გმირებს); სახელწოდება ქალაქისა დიოსკურია დაკავშირებულია ამ გმირების, ტყუბი მძების ლეგენდასთან.

საისტორიო მეცნიერებაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ბერძნული სახელწოდებანი კოლხიის ქალაქების ადგილობრივ სახელწოდებათა თარგმანს წარმოადგენს, და რომ ასევე თქმულებებსა და ლეგენდებშიაც, რომლებიც კოლხიასთან არის დაკავშირებული, ადგილობრივი თქმულებების გამოძახილთან გვაქვს საქმე.

ეს შეხედულება მართლდება კერძოდ ამ შემთხვევაშიაც.

ზრელად აშკარაა, რომ ბერძნული სახელწოდება ამ ქალაქისა დიოსკურია, დაკავშირებული ტყუბი მძების ლეგენდასთან, კავშირში იმყოფება და მომდინარეობს ამ ქალაქის ადგილობრივი სახელწოდებიდან ტყუბუნი, resp. \*ტყუბნი.

ამრიგად ქართული წარმოშობა ძველი დიოსკურიას სახელისა (დიოსკურია = ტყუბუნი, \*ტყუბნი) უდავოდ უნდა ჩაითვალოს.

გადავიდეთ ამის შემდეგ მეორე ქალაქის სებასტოპოლის სახელწოდებაზე.

აფხაზეთის მხარეთა ამ მეორე ცენტრალური ქალაქის სებასტოპოლის ადგილობრივი სახელწოდებაა ცხოში ანუ ცხუში.

ეს სახელწოდება ამ ქალაქისა ცხოში, იგივე ცხუში, დადასტურებულია ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში მე-8 საუკუნიდან<sup>5</sup> და ამ სახით გვხვდება იგი მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე. (არსებული ფორმა ქალაქის სახელისა სოხუმი, სუხუმი, მომდინარეობს ამ პირველადი ფორმიდან: ცხოში, ცხუში).

სახელწოდება ცხოში, ცხუში, როგორც ეს სჩანს მისი გრამატიკული გაფორმებიდან, ქართული წარმოშობისაა. აქ ჩვენ გვაქვს სახელწოდება ბოლოკიდური გრამატიკული ფორმანტით „ომი“, რაც ჩვეულებრივია ქართული გეოგრაფიული სახელებისათვის; ასე შეადარეთ ამ სახელწოდების ცხოში ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი: წრომი, ბორჯომი, ბაოომი, დილომი, თორთომი და მრავალი სხვანი.

<sup>1</sup> იხ. სკილაქს კარიანდელის სახელით წარწერილი ძველი. SC, I, 85.

<sup>2</sup> იხ. პლინი სეკუნდი, SC, II, გვ. 179.

<sup>3</sup> იხ. არიანე, SC, I გვ. 222.

<sup>4</sup> იხ. დ. გულია, История Абхазии, 1925 წ. გვ. 148.

<sup>5</sup> იხ. ჯუანშერის მატანე, გვ. \* 421/201.

სახელწოდებას ცხომი, ცხუმი შეადარებ აგრეთვე სახელწოდებანი: ცხუმარი ანუ ცხმარი (სახელი თემისა სვანეთში), ცხმორი (სახელი სოფლისა რაჭაში), ცხმორი (სახელი სოფლის აჭარაში).

სახელწოდებასთან ცხომი, ცხუმი, სხანს კავშირში იმაყოფება აგრეთვე სახელწოდება მხარისა „ჩხუმი“ (რაც ზანერი შესატყვისია ფორმისა ცხომი) 1.

### 3. ბიჭვინთა.

ბიჭვინთა აგრეთვე ეყუთენის აფხაზეთის მხარეთა უძველესი პუნქტების რიცხვს. იგი მოხსენებული აქვს არტემიდორ ეფესელს (2—1 საუკუნეები ძვ. წ), სტრაბონს და მომდევნო ხანის ანტიკურ ავტორებს (პლინიუს უფროსი, არიანე), აგრეთვე ადრეული საშუალო საუკუნეების ავტორებს (სამიანე მარკელინი, თეოდორიტე კვირელი, მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფი, ზოსიმე, პრპოკი კესარიელი, თეოფანე ბიზანტიელი).

ბერძენ-რომაელ ავტორებთან ამ პუნქტს ეწოდება Pityus, Pityunta. ქართული სახელწოდება: ბიჭვინთა, ბიჭვინტა.

სახელწოდება ამ პუნქტისა ფიჭვის სახელთან არის დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ბიჭვინთაში მდებარეობს განთქმული ფიჭვის ტყე, რომელიც საღმრთო ტყედ ითვლებოდა.

სახელწოდებაში ბიჭვინთა ფიჭვისიტყვა „ბიჭვი“ იგივეა რაც „ფიჭვი“. რაც შეეხება დაბოლოებას („-ნთა“) ეს არის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჩვეულებრივი ქართული ფორმანტი, რაც ჩვენ გვაქვს მთელ რაგ ქართულ გეოგრაფიულ სახელებში; ასე შეადარებ „ბიჭვინთა“ და „კორი-ნთა“, „გურია-ნთა“ და სხვანი.

ამრიგად სახელწოდება ბიჭვინთა წინდა ქართულია როგორც თავისი ფიჭვისიტყვით („-ბიჭვი“ = „ფიჭვი“), ისე ბოლოკიდური ფორმანტით („-ნთა“).

რაც შეეხება ამ პუნქტის სახელწოდებას, დაეძღვს ბერძენ-რომაელ ავტორებთან, პირველი მათგანი — Pityus წარმოადგენს თარგმანს ქართულიდან (pityს ბერძნულად ნიშნავს ფიჭვს); ბოლო მეორე ფორმა Pityunta წარმოადგენს სახედავად სახეობას ქართული სახელწოდებისას ბიჭვინთა-ფიჭვინთა ქართული ბოლოკიდური ფორმანტის დაცვით 2.

### 4. ბზიბის (\*ბზების) წყალი. — ბზის კონცხი.

სახელწოდება აფხაზეთის მდინარისა ბზიბის წყალი დაკავშირებულია მცენარის სახელთან ბზა.

ისევე როგორც ბიჭვინთის (ფიჭვინთის) ბუნებისათვის დამახასიათებელია ფიჭვი, ისევე ბზიბის ხეობისათვის დამახასიათებელია ჭე ბზა, რომელიც ამ მთელ ტყეებს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ სახელწოდება, დაკავშირებული ბზასთან, რქმეფია არა მარტო მდინარეს, არამედ ამ სახელწოდებით ცნობილი ყოფილა აგრეთვე ზღვის პირას მდებარე კონცხი ამავე ზონაში. მე-5 საუკუნის ბერძნულ პერიპლუსში ამ სექტორში მოიხსენება კონცხი Πυζίν, 3 რაც ბზის კონცხს ნიშნავს.

### 5. გაგრა = გაგარი.

სახელწოდება აფხაზეთის ქალაქისა გაგრა, როგორც ირკვევა, ოდნავ შეცვლილი სახით არის დატული. პირვანდელი სახე ამ ქალაქის სახელწოდებისა ყოფილა „გაგარი“, როგორც ეს დასტურდება მე-14 საუკუნის ძველ ქართული წარწერიდან 4.

სახელწოდება „გაგარი“ (გაგარი) თავის გრამატიკული გაფორმების მიხედვით ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჯგუფს ეყუთენის. ბოლოკიდური „-არი“ ჩვეულებრივი დაბოლოება ქართული გეოგრაფიული სახელებისა; შეადარებ მაგალითად სახელწოდებანი: ბიდარი (არაგვის ხეობაში) 5, ქინძარი (მცხეთის რაიონში) 6, გომარი (სამცხეში) და სხვანი.

1 როგორც ეს დადგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში, პირვანდელი ფორმა პროვინციის სახელწოდებისა ლეჩხუმი, არის ჩხუმი, რა ფორმაც დადასტურებულია ადრეულ საშუალო-საუკუნეთა წყაროებით (იხ. ს. უაუხიშვილი, გეოგრაფია, II, გვ. 96—97)

2 რაც შეეხება პარალელურ ფორმებს ბიჭვინთა = ბიჭვინტა, ეს ახსნას არ საჭიროებს; ქართულ გეოგრაფიულ სახელთა დაბოლოებაში, როგორც ცნობილია, ადგილი აქვს შენაცვლებას ბგერებისას თ და ტ: შეადარებ ბიჭვინთა = ბიჭვინტა და ბუჭვინთა = ბუჭვინტა (სოფლის სახელწოდება ზეგსურეთში), ასევე ალმათი = ალმატი, ბუშათი = ბუშატი და სხვანი.

3 იხ. SC, I, გვ. 278.

4 იხ. თ. ყორღანი, ქრონიკები, II, გვ. 199.

5 იხ. ქართლის მოქცევის მატანიე (OP, II, გვ. 720).

6 იხ. ლეონტი მროველი, გვ. \* 212/67.

ალსანიშნაეი, რომ გაგარი უდგება ქართულ გეოგრაფიულ სახელებს როგორც გეოგრაფიული გაფორმებით, აგრეთვე ფუძე-სიტყვითაც. ისევე როგორც სახელწოდებებში სხვადასხვა ფუძე-სიტყვაა ხილი, ან სახელწოდებაში გომარი ფუძე-სიტყვაა გომი (შეღწირულ სტრუქტურაში) ფიული სახელი გომი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში), ასე სახელწოდებაში გაგარი ფუძე სიტყვაა გაგი.

ხოლო თავის მხრივ ეს ფუძე-სიტყვა გაგი იდენტიურია ქართულ გეოგრაფიულ სახელებთან: გაგი (სახელწოდება ძველ-ქართული ქალაქისა ქვემო-ქართლში), გაგვ (სოფელი სამცხეში). ამ საჭიროა შევხედოთ აგრეთვე სახელწოდებებზე ქვემო-ქართლის ერთ-ერთი მხარისა: გოგარენი ანუ გაგარენი. ამ მხარის სახელწოდების ორი სახიდან, რომლებიც დამოუკიდებელია წყაროებში (გოგარენი და გაგარენი) პირველადია, როგორც ირკვევა გაგარენი<sup>1</sup>, რადგან ამასთან არის დაკავშირებული სახელი ამ მხარის მთავარი ქალაქისა გაგი. სახელწოდებიდან გაგი ნაწარმოებია გაგარი, ხოლო ამ უკანასკნელიდან, მრავლობითი რიცხვის ნიშანის დარღვით (-ენი) გაგარენი.

ამრიგად როგორც ფუძე-სიტყვით, ისე გრამატიკული გაფორმებით, ქვემო-ქართლის გაგი — გაგარი წარმოადგენს პარალელს აფხაზეთის მხარის ამ გეოგრაფიულ სახელწოდებასთან გაგი — გაგარი.

6. უღაღნი.

„უღაღნი“ ყოფილა სახელწოდება ციხისა, რომელიც მდებარეობდა ვაგრის რაიონში. მე-14 საუკუნის ძველ ქართულ წარწერაში ერთად მოიხსენებიან „სიმაგრენი გაგარი და უღაღნი“<sup>2</sup>.

სახელწოდება ამ ციხისა წმინდა ქართულია. ძველ-ქართლში „უღაღი“ ჩვეულებრივი სიტყვაა; ლექსიოგრაფები მას ასე განმარტავენ:

საბა: „უღაღი — ძნელსავალი“.

დ. ჩუბინიშვილი: „უღაღი — ძნელად სავალი მთა“.

როგორც ცნობილია ვაგრის სექტორში კავკასიონის მთები ადგება შავ ზღვას და ჰეცტავს ჩრდილოეთიდან დასავლეთ საქართველოში გადმოსავალ გზებს. ამიტომ არის რომ მე-14 საუკუნის დასახელებულ წარწერაში — „სიმაგრენი გაგარი და უღაღნი“ მოიხსენებიან როგორც „მიუვალნი“.

აქედან გამომდინარე ბედება თვით ეს სახელწოდებაც ამ ციხე-სიმაგრისა „უღაღნი“, რაც მას იმის გამო დარტყევი, რომ „მიუვალნი“ „ძნელსავალი“ (= „უღაღი“) მთის სიმაგრეს წარმოადგენდა.

7. სობლისი.

საისტორიო წყაროებში მე-8 საუკუნეში მოიხსენება ციხე აფხაზეთისა სობლისი, რომელიც მდებარეობდა მთა — აფხაზეთში, ჩრდილო-კავკასიაში გადმოსავალ უღელტეხილთან (მზიბის ბეობის სექტორში)<sup>3</sup>.

სახელწოდება ამ ციხისა ქართულია. სახელწოდებაში სობლისი ჩვენ გვაქვს ქართული ბოლოკიდური ფორმანიტი „-ისი“, როგორც გეოგრაფიულ სახელებში: ტფილ-ისი, ქუთათ-ისი, ურბნ-ისი და სხვანი.

ფუძე-სახელის მხრით შეადარებთ ეს სახელწოდება სობლისი (\*სობ-აზისი) და სახელი სოფლისა შიდა-საქართველოში (ქართლში): სობისი (სობ-ისი).

8. \*ბასხი.

იმევე მთა-აფხაზეთში (მზიბის სექტორში) არსებულა სახელწოდება თემისა \*ბასხი, რაც აღდს აფხაზთა ტომის სახელწოდების პირვანდელ სახეობასთან: მოსხი — ბასხი (იხ. ზევით, გვ. 133).

9. ბატრახი.

კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში (მე-2 საუკ.), მთა-აფხაზეთში, მდინარე თესურაზე (თანა-შედროვე ფსოლ) მოიხსენება დასახლებული პუნქტი სახელწოდებით ბატრახი<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ფორმა გაგარენი დამოუკიდებელია სტრაბონის გეოგრაფიის ხელნაწერების ვარიანტებშიც (Γαλαρία, იხ. К. Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, 1884 წ., I, გვ. 78 — 79).

<sup>2</sup> იხ. თ. უორდანი, ქრონიკები, II, გვ. 199.

<sup>3</sup> იხ. ჯუანშერის ქრონიკაში ჩართული ექსტერპტი მე-8 საუკუნის მატრიანისა მურვან-ყრუს ლაშქრობის შესახებ, გვ. \*420/421.

<sup>4</sup> იხ. SC, I, გვ. 240.



შეადარეთ ამას სახელწოდება მეორე გეოგრაფიული პუნქტისა პატარახუნაში ვიღაერისში (ბედის თემში).

### 10. ანაკოფია.

აფხაზეთის განთქმული ციხე-სიმაგრე ანაკოფია მოიხსენება ძველ-ქართულ წყაროებში მე-8 საუკუნიდან მოყოლებული<sup>1</sup>.

სახელწოდება ანაკოფია თავისი ბოლოკიდური ფორმანტით, დაბოლოებით „-ია“ ქართული გეოგრაფიული სახელების ჯგუფს განეკუთვნება, ასე, შეადარეთ გეოგრაფიული სახელები ანაკოფიური დაბოლოებით „-ია“: ელფია, ტელეფია (ტელეფა), ბედია, გონია, ვოკია, ვარძია, ტანძია, იტრია, ქკია და სხვანი. ფუძე-სახელის მხრით შეადარეთ ანაკოფია (ანაკოფ-ია ო ანაკოფ-ია) და გეოგრაფიული სახელწოდებანი შიდა-საქართველოში: ანაკეთი (სოფლის სახელი ასპინძის რაიონში), ანაკა (სოფლის სახელი ქიზიყში), ანაკლია და ანკლია (სოფლის სახელი ართვინის მხარეში, შავშეთ-კლარჯეთში).

### 11. ენანთია.

ანტიკურ ხანაში შავი ზღვის სანაპიროზე აღღერის სექტორში მოიხსენება დასახლებული პუნქტი სახელწოდებით: ენანთია<sup>2</sup>.

გრამატიკული გაფორმება, ორმაგი ბოლოკიდური ფორმანტი „-ნთ(ა)“ და „-ია“, ამ სახელწოდების ქართულ წარმოშობაზე მიუთითებს.

### 12. ლუხუნი.

აფხაზეთის მთავართა რეზიდენცია უკანასკნელ პერიოდში იყო პუნქტი, რომელიც ატარებდა სახელწოდებას ლუხუნი<sup>3</sup>. მას ამ ეამდ ლიხნი ეწოდება.

ეს პუნქტი, როგორც სწავს, მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა საშუალ საუკუნეებში. ამ დღევლია ძველ-ქართული ტაძარი, რომელსაც დაუცავს წარწერა მე-11 საუკუნისა.

სახელწოდება ამ პუნქტისა ლუხუნი (მრავლობითობის აღმნიშვნელი ბოლოკიდური ფორმანტით „-ნი“) ქართულია.

გვევ სახელწოდება ლუხუნი ჩვენ გვგებდება შიდა საქართველოშიაც, რაჭაში ლუხუნი ეწოდება მდინარეს, რომელიც ერთვის რიონს წესის ზემოთ.

აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც აფხაზეთში ერთმანეთს ენაცვლება სახელწოდებანი ლუხუნი და ლიხნი, ასევე რაჭაშიც ლუხუნის მდინარეზე მდებარე პუნქტს ეწოდება ლიხეთი.

სახელწოდებას ლუხუნი შეადარეთ აგრეთვე ლუხუნი (სახელი სოფლისა ლეჩხუმში).

გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე აფხაზეთის მეორე მხარის — აბსილეთის დასახლებული პუნქტების სახელებისა, რომლებიც მოიხსენება ძველ წყაროებში.

### 13.1. წიბელი, წიბელი.

როგორც უკვე აღნიშნული გვეჩინდა, ადრეული საშუალ საუკუნეების საისტორიო წყაროების ცნობების თანახმად (პროკოპი კესარიელი, ავათია სქოლასტიკოსი) აბსილეთის მხარის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი იყო ციხე, რომელიც ატარებდა სახელწოდებას: წიბელი. ეს არის თანამედროვე წიბელდა კოდორის ხეობაში.

ამ პუნქტის სახელწოდების სხედისხევა სახეობათა განხილვის შედეგად ირყვევა, რომ ამ პუნქტის სახელის ორი ძირითადი ფორმა არსებულა: წიბელი და წიბელი (ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს სახენაცვალი ფორმა: \*წიბელთა → წიბელთა).

ეს სახელწოდება წიბელი, წიბელი დაკავშირებულია ხის სახელთან: წიბელი, იგივე წიფელი. ამრიგად ამ ჩვენ გვაქვს იმავე ტიპის სახელი, როგორიცაა ზემოთ-განხილულნი ბიჭვინთა და ბზიბი. (აღსანიშნავია, რომ წიბელთის კუთხის მდინარეულობისათვის დამახასიათებელია სწორედ წიფელი, ისევე როგორც ბიჭვინთისთვის — ფიჭვი და ბზიბისათვის ბზა).

ამ საჭიროა, შეგვიხსენებდეთ აგრეთვე თვით ფონეტიკურ სახეობაზე ამ სიტყვისა წიბელი = წიფელი. როგორც ირყვევა, პირველადი სახეობა სიტყვისა წიფელი არის სწორედ წიბელი.

<sup>1</sup> იხ. ჯუანშერის ქრონიკა, გვ. \* 420/201.

<sup>2</sup> იხ. კლავდი პტოლემეს გეოგრაფია, SC, I, გვ. 237.

<sup>3</sup> იხ. ნიკოლოზ დლიანი, ქართველთა ცხოვრება, ე. თაყაიშვილის გამოცემა, OP, I, გვ. 53 — 55.

(ხის ნაყოფის სახელწოდება: წიწიბო, რაც აღის პირველ ფორმად: \*წიბ-წიბო; ნაყოფის ამ სახელთან დაკავშირებულია ხის სახელიც: წიბელი).

აღნიშნეთ ამასთან, რომ სახელწოდებაც მეორე მცენარისა, რომელზედაც წიწიბო სტყავს და საუბარი, — ფიჭვისა, — ასევე ორი ფორმით არის მოღწეული, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ბ და ფ: ბიჭვი და ფიჭვი. აქაც, როგორც ირკვევა, პირველადი ბანიანი ფორმა — ბიჭვი-სიტყვა „ბიჭვი“ / თავისი პირვანდელი მნიშვნელობით ეს არის სახელწოდება წიწივისა და აქედან მომდინარეობს თვით ხის სახელი. სიტყვასთან „ბიჭვი“ (წიწივის მნიშვნელობით) დაკავშირებულია სიტყვები: ბეწვი, აგრეთვე ბეწო, (მცირის მნიშვნელობით), ბიჭი (რაც მცირეს ნიშნავს), ნაბიჭვი (ძველ ქართულად: მცირე ნაშესრები) და სხვანი. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ბ და არა ფ.

ამრიგად, როგორც ირკვევა, აფხაზეთის ადგილობრივ ქართულ ენაში მიღებული ყოფილა არქაული სახეობანი სიტყვებისა: ბიჭვი (ფიჭვი) და წიბელი (წიფელი), სადაც ჩვენ გვაქვს გეოგრაფიული სახელწოდებანი: ბიჭვინთა და წიბელი, წიბელთა.

აქ ამავე დროს ხაზგასმულია აგრეთვე მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება. აფხაზეთის მესხების სალამაჩაკო ენა სხანს იყო არა მეგრულ-ჭანური დიალექტი, არამედ საკუთრივ ქართული, ყოველ შემთხვევაში ადრინდელ პერიოდში. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ადგილობრივი გეოგრაფიული სახელწოდებანი უმთავრესად საკუთრივ დედაქართულთან არიან დაკავშირებულნი.

კერძოდ სიტყვა წიბელი (წიფელი) მეგრულ-ლაზურში გამოთქმის როგორც წიფურაი, ამ სახითვე არის ეს სიტყვა წარმოდგენილი: გეოგრაფიულ სახელუბნავე (მაგ. დიდი წიფურაი, სახელი სოფლისა შიდა-ფერისში, ვალის რაიონში).

#### 14. კოდორი.

კოდორი თავდაპირველად დაბის სახელწოდება ყოფილა და აქედან დაქმევი შემდეგ ეს სახელი მდინარეს. ვახუშტი ბატონიშვილი სწერს მდინარე კოდორის გამო, რომ მან „მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელიც არს დრანდას ზეით ამ წყალზედ მთაში“<sup>1</sup>.

დაბა კოდორი მოიხსენება საშუალ საუკუნეთა ქართულსა და ბერძნულ-ლათინურ წყაროებში<sup>2</sup>.

სახელწოდება კოდორი ქართულია, როგორც ფუძე-სიტყვით, ისე გრამატიკული გაფორმებით.

ბოლოკიდური გრამატიკული ფორმატი „-ორი“ ეს არის, როგორც აღნიშნული გვექონდა, ჩვეულებრივი დამბოლოება ქართული გეოგრაფიული სახელებისა, როგორც მაგალითად: ილორი (შიდა-ფერისში), შაორი (ჯაჯახეთსა და რაჭაში), ჯოჯორი (რაჭაში), ლოდორი (იმერეთში), კოჯორი (ქართლში), გომბორი, კოტორი (კახეთში) და სხვანი.

სახელწოდებაში კოდორი, როგორც ეს ზემოთ გვექონდა აღნიშნული, ფუძე-სიტყვაა კოდა, კოდა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის მრავლად გვხვდება სახელები, რომლებიც შეიცავენ ამ სიტყვას კოდა, კოდა, ან მისგან ნაწარმოებ სახელწოდებებს. ასე მაგალითად: კოდა (სახელი სოფლისა, გვხვდება ქართლში ორ ადგილას), კოდა (სახელი სოფლისა, გვხვდება ქართლში აგრეთვე ორ ადგილას), კოდა-სწყარო (სახელი სამი სხვადასხვა სოფლისა ქართლში), კოდიანი (სახელი მთისა ქართლსა და მესხეთის საზღვარზე). — შეადარებ აგრეთვე კოდმანი (სახელი სოფლისა ქართლში).

კერძოდ ეს სახელწოდება ფორმით კოდორი ჩვენ გვხვდება არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ აგრეთვე შიდა საქართველოში, სამეგრელოსა და იმერეთის საზღვარზე (სოფელი კოდორი აბაშის რაიონში).

დასასრულ აღნიშნათ, რომ აფხაზეთში, იმავე კოდორის ხეობაში, კოდორის სახელის გვერდით, ჩვენ გვხვდება აგრეთვე სახელწოდებაც კოდა (ორი სოფელი: დიდი კოდა და პატარა კოდა წებელის რაიონში).

<sup>1</sup> იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, *op. cit.*, გვ. 169.

<sup>2</sup> იხ. ქართული ზელნაწერი მე-11 საუკუნისა A-97 (სენინქსარი გიორგი შთაწიდილისა, 13 აგვისტოს თარიღის ქვეშ); ბერძნული ტექსტი ანასტასი ამოკრისიარის წერილისა და მისი ლათინური და ძველ-ქართული თარგმანები (იხ. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გეორგიკა, IV, გვ. 42 — 43).

10. „მნათობი“, № 3.

## 15. ფუსთი (ფუსტა).

2-7 — 8 საუკუნეთა საისტორიო წყაროების ცნობებით \*ფუსთი (ფუსტა) აფხაზეთის მხარეთა მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. მუშ საუკუნის ანტიკური ეპოქიდან კონსტანტინეპოლელი მას ქალაქის სახელით მოიხსენიებს<sup>1</sup>. ფუსთას ძველი ნაადგილევი მდებარეობს კოდორის ხეობაში<sup>2</sup>.

სახელი ამ პუნქტისა ფუსთი სწამს ენათესაება ქალაქ ფოთის ძველი სახელწოდების ერთ-ერთ სახეობას.

აღნიშნავთ აქ ძირითად ცვლილებებს, რომელიც განუცდია ქალაქ ფოთის სახელწოდების საუკუნეთა განმავლობაში. პირველადი სახელწოდება ამ პუნქტისა არის ფასთი ქალაქი ანუ ფასთი (ფასთი), რომლის პარალელური სახეობაა ფოსთი, საიდანაც შემდეგ წარმოიშვა ფოათი — ფოთი.

პარალელად ფორმისა ფოსთი, საიდანაც მომდინარეობს ფოათი — ფოთი, არსებულია აგრეთვე ფორმა ფუსთი, საიდანაც მომდინარეობს ფუათი — ფუთი. „ფუთი“ — ასე ეწოდება ამჟამად ქალაქს მეგრულ დიალექტზე.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ძველსომხურ მწერლობაში სახელწოდება ქალაქისა დადსტურებულია როგორც ფუათი, რაც ადის პირველ ფორმამდე ფუსთი.

ამრიგად სახელწოდება აფხაზეთის მხარეთა ქალაქისა ფუსთი სწამს იდენტიურია ქალაქ ფოთის სახელწოდების ამ ძველ ფორმასთან ფუსთი.

## 16. ნაანა.

კლავი პტოლომეს გეოგრაფიაში (მე-2 საუკ.) აბსილეთში, მდინარე კოხის (კლასურის) ხეობაში, დასახლებულია პუნქტი ნაანა<sup>3</sup>.

ამ პუნქტის სახელთან სწამს კავშირი აქვს სახელწოდებას სოფლისა ნაა, რომელიც მდებარეობს იმავე აბსილეთის ტერიტორიაზე, მდინარე კოდორის ხეობაში.

შეფარდება სახელწოდებათა ამ ორი სახეობისა ნაა და ნაანა გვიჩვენებს, რომ სახელწოდებაში ნაანა ბოლოკიდური „ნა“ არ არის სიტყვის ძირითადი ნაწილი, არამედ წარმოადგენს გრამატიკულ ნაწილს.

ბოლოკიდური ფორმანტი „ნა“ როგორც ცნობილია ჩვეულებრივია ქართული გეოგრაფიულ სახელებში. ასე შეადარეთ ნაანა ამ ტიპის ქართულ გეოგრაფიულ სახელებს: აღმანა, ასკანა, ბოდორნა, ნოკორნა და სხვანი.

გადავლივით განხილვაზე აფხაზეთის მესამე მხარის მესიმიანეთის დასახლებული პუნქტების სახელებისა, რომლებიც მოიხსენიება ძველ წყაროებში.

## 17. ჩხარა (ჩახარი), ჩხალი, ჩხალთა.

2-6 საუკუნის ანტიკური ავითია სტრასტიკოსის მოხსენებული აქვს მთავარი ციხე-სიმაგრე მისიმიანეთის მხარისა, რომელსაც ავითიას სიტყვით „ქველითაგან“ ეწოდებოდა ჩხარი ანუ ჩახარი (Ταχαρα), და რომელსაც მეტსახელად „რკინის—ციხე“ რქმევია. ესვე პუნქტი, რკინის—ციხე, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმაგრე აფხაზეთის მხარისა, მოხსენებული აქვს აგრეთვე თეოფანე ჟამთააღმწერელს (მე-9 საუკ.)<sup>4</sup>.

ეს ისტორიული ციხე-სიმაგრე მისიმიანეთის მხარისა ჩხარა (ჩახარი) ანუ რკინის-ციხე არის პუნქტი, რომელსაც ამჟამად ეწოდება ჩხალი ანუ ჩხალთა; იგი მდებარეობს მისიმიანეთის მხარის (ხემო-კოდორის ხეობის) შუაგულში და ჰკავებს კლუხორისა და შარუხის უღელტეხილებიდან მომავალ გზებს. აქ დღემდე შენახულია ძველი ციხის ნანგრევები. აღნიშნავთ ამასთან, რომ ამ პუნქტის (ჩხალის) მიდამოებში მოიპოვება რკინის მადნები, რის გამოც, ცხადია, დარქმევია ამ ციხე-სიმაგრეს „რკინის-ციხე“.

ამრიგად იდენტიურია საშუალ-საუკუნეთა წყაროებში მოხსენებული ციხე-სიმაგრისა ჩხარა (ჩახარი), და პუნქტისა, რომელსაც ეწოდება ჩხალი. ჩხალთა უღელთა.

<sup>1</sup> იხ. ეპოქიდან კონსტანტინეპოლელი, ანდრეას ცხოვრება (ს. ჯაუხიშვილის გამოცემა, გეორგიკა, IV, გვ. 57 — 58). იხ. აგრეთვე ინსტასი აპოკრიფისა წერილი (ibid. გვ. 44).

<sup>2</sup> ფუსთას ნაადგილეს ამჟამად ეწოდება „ყადა აფსთა“ (იხ. დ. გულია, op. cit., გვ. 298). სექტორში გაშენებულ სოფელს ამჟამად ეწოდება აფუსტა.

<sup>3</sup> იხ. SC, I, გვ. 240.

<sup>4</sup> იხ. ავითია სტრასტიკოსის (ს. ჯაუხიშვილის გამოცემა, გეორგიკა, III, გვ. 153 — 164) თეოფანე ჟამთააღმწერელი (ibid., IV, გვ. 111 — 113, 115).

უდავოა აგრეთვე ისიც, რომ ეს სახელწოდებანი ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის. შედარეთ ჩხარო (ჩახარი) აფხაზეთისა და ჩხარი იმერეთისა, აგრეთვე მრგლს წყნობა იმავე ძირის გეოგრაფიული სახელებისა შიდა-საქართველოში: ს-ჩ ხ ე რ ტ | ჩ ხ ე რ ტ | ჩ ხ ე რ ტ-რის ციხე იმერეთში, ჩ ხ ე რ ი-ს-მ-ე რ ე, ჩ ი ხ რ ი (იმერეთსა და მესხეთში), ჩ ი ხ ა (იმერეთში) <sup>1</sup>.

ასევე მეორე სახელობაც ამავე გეოგრაფიული სახელწოდებისა ჩხალი, ჩხალდა შედარეთ ართვინის მხარის გეოგრაფიულ სახელწოდებასთან: ჩხალი, ჩხალის მდინარე, ჩხალის ხეობა.

18. ბოკერი = ბოკელი.

საშუალ საუკუნეთა სისტორიო წყაროებში დასახელებულია მისიმიანეთის მხარის ციხე-სიმაგრე, რომელიც მდებარეობდა კოდორის ხეობაში, მისიმიანეთისა და შიდა-ვერსის საზღვართან და რომელსაც ეწოდებოდა: ბოკერი, ავივე ბოკელი (resp. ბოკელი) <sup>2</sup>.

მონაცემობა, ბეგრებისა „ა“ და „ა“ ამ სახელწოდებაში ბოკერი და ბოკელი ისეთივეა, როგორც ჩხარი და ჩხალი (იმავე მისიმიანეთის მხარის მეორე პუნქტის სახელწოდებაში).

სახელწოდება ბოკერი, ბოკელი, თავისი გრამატიკული გაფორმებით, ბოლოკიდურით „-ერი“ და „-ელი“ წმინდა ქართულია.

შედარეთ ქართული გეოგრაფიული სახელები:

ბოლოკიდურით „-ერი“: ცაგერი, თაკერი, კვიზერი, სვერი, კობერი, წაღვარი და სხვანი.

ბოლოკიდურით — „ელი“: პირველ რიგში თვით ტერმინი სოფელი, აგრეთვე სოფლის სახელები: ახატელი, ყვარელი, (კახეთში), წაღველი (ქართლში, იხ. ვახუშტი, op. cit., გვ. 204), ღრელი (სამცხეში), ყველი (სამცხეში), საღმელი (რაჭაში) ჩხუტელი (ლეჩხუმში) და სხვანი.

19. დალი.

კოდორის ხეობის ზემო ნაწილს, რომელიც შედიოდა მისიმიანეთის ფარგლებში, ეწოდებოდა დალი, დალი ს ხეობა <sup>3</sup>.

ეს სახელწოდება უკავშირდება სვანების წარმართული პანთეონის ქალ-ღმერთის სახელს: დალი.

რამდენადაც მისიმიანეთში, როგორც გამოირკვა, სვან-კოლხების შერეული მოსახლეობა იყო, ბუნებრივია სვანური წარმოშობის გეოგრაფიული სახელწოდების არსებობა მისიმიანეთის მხარეში.

ვადავდივართ აფხაზეთის მხარეთა ჩრდილოეთ ნაწილის — შუა-პენიოხეთის და ჩრდილო-პენიოხეთის დასახლებულ პუნქტთა სახელწოდებების განხილვაზე.

20. ლახიკა.

როგორც უკვე აღნიშნული გვემონდა, ლახიკა, ეს იყო ძველი სახელწოდება ქალაქ ნიკოფსიასი აფხაზეთის მხარეთა ჩრდილოეთ საზღვარზე, რაც ნიშანდობლად უჩვენებს, რომ ამ მხარეთა მოსახლეობა ქართველ ტომთა ლახურ შტოს ეკუთვნოდა (იხ. ზემოთ, გვ. 132).

21. სოჭი.

ეს სახელწოდება ძველი შუა-პენიოხეთის მთავარი პუნქტისა სოჭი უკავშირდება ხის სახელს — სოჭი.

<sup>1</sup> აქ საჭიროა შეგვხარდეთ ამ პუნქტის სახელწოდების დაწერილობაზე Тъхад რომელიც დაუტულია აგათიას თხზულებაში. იგი შესაძლოა ორნაირად იქმნას ამოხსნილი: როგორც ჩახარი და როგორც ჩხარი. ბერძნულსათვის უცხოა, თანამოვნების შეჯგუფება იმ ტიპისა, როგორც მიღებულია ქართულში, ამიტომაც ბერძნულად შავალითად „ტფილისი“ იწერებოდა როგორც „ტიფილისი-“. ასევე დაწერილობით Тъхад შესაძლოა ვადმოკემულ იქმნას როგორც „ჩხარი“, ისე „ჩხარი“.

შეგრამ დამოუკიდებლად იმისგან, თუ როგორ გავხსნით აგათიას ტექსტის ამ დაწერილობას, „ჩახარი“ თუ „ჩხარი“, ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ ქართულად არსებულა, როგორც სრულმშობიანი ფორმები (ჩახარი, ჩიხორი, ჩიხა), ისე შეკუმშული ფორმები (ჩხარი, ჩხე-რი, ჩხალი).

<sup>2</sup> იხ. ქართული ხელნაწერი მე-11 საუკუნისა A — 97 (სვინაქსარი ვიორჯი მთაწმიდელისა, 13-ვევისტოს თარიღს ქვეშ; იხ. აგრეთვე ანასტასი ამოკრისიარისა და აგათია სქოლასტიკოსის ტექსტები (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ვიორჯია, III, 86, IV, 42 — 44).

<sup>3</sup> იხ. ლ. ლულუე, op. cit., გვ. 181.

ამრიგად ამ სახელწოდებაში სოკი ჩვენ გვაქვს იმავე ტიპის სახელი, როგორცაა ცალკეული ერთხისათვის დამახასიათებელ მცენარეულობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელწოდებანი აფხაზეთისა: ბიჭვინთა (დაკავშირებული ფიჭვის სახელთან) ზღუჭყაძე \*ბზები (—ბზის სახელთან), წიხელი ანუ წიხელთა (იგივე წიფელთა, დაკავშირებული წიფელის სახელთან).

### 22. კუკუნდა (\*უკუნთა).

კლავდი პტოლემეს (მე-2 საუკ.) მოხსენებული აქვს პუნქტი კუკუნდა, რომელიც მდებარეობდა მიდინარე პერსონთას (სოჭის წყალის) ხეობაში<sup>1</sup>.

გრამატიკული გაფორმებით (ბოლოკიდური ფორმანტით) შეადარეთ კუკუნდა და იმავე ტიპის ქართული გეოგრაფიული სახელები დაბოლოებით — ნდა, ნთა (როგორცაა, მაგალითად სკანდა, გურინთა, კორინთა, ბიჭვინთა და სხვანი).

ფრაზიოლოგიის მხრით შეადარეთ ქართულ გეოგრაფიულ სახელებს: კუკია, გოკია რესპ. კოკია (სოფელი ჯავახეთში), კოკი (სოფელი ოდიშში), კოკათი (სოფელი გურიაში) და სხვანი.

### 23. ბაგა.

მე-5 საუკუნის გეოგრაფოსის პერიპლუსში (SC. I, გვ. 278) ჩრდილოეთ პენიხეთში მოხსენიება პუნქტი, სახელწოდებით: ბაგა.

შეადარეთ ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი: ბაგა (სახელი სოფლებისა ქართლში და ართვინის მხარეში, ჩხალს ხეობაში), ბაგები (სახელი სოფლებისა ქართლში, გორისა და თბილისის რაიონებში).

განვიღვას აფხაზეთის მხარეთა დასახლებული პუნქტებისა სახელებისა, რომლებიც მოხსენიება ძველ წყაროებში, დავათავრებთ შუასოფელის მხარის მიმოხილვით.

### 24. შუასოფელი.

ამ მხარის ზოგად სახელწოდებაზე „შუა სოფელი“ (რაც ძველ ქართულად ნიშნავს: „შუა ქვეყანა“) უკვე გვმონდა საუბარი (იხ. ზემოთ, გვ. 126). ის გარემოება, რომ თვით ადგილობრივ ამ მხარის სახელწოდებად მიღებული უფილა არქაული წარმოშობის ქართული გეოგრაფიული ტერმინი, იმისი მარჯვენებლია, რომ ამ მხარის მისახლეობაში ძველიდანვე ქართულია ყოფილა გავრცელებული.

### 25. დანდარი (დანდა) — წყუბუნო.

ძველი ფორმა აფხაზეთის ცნობილი პუნქტის დანდის სახელწოდებისა არის დანდარი<sup>2</sup>. (ისვეუ როგორც პირველად ფორმიდან გაგარი წარმოიშვა შემდეგ გაგრა, ასევე პირველადი ფორმიდან დანდარი მომდინარეობს დანდრაჰ და დარანდა).

დანდარი რქვეფია როგორც დასახლებულ პუნქტს, ისე მთელ თემს; იმავე დროს დანდარი სატომო სახელიც ყოფილა<sup>3</sup>.

სახელწოდება დანდარი უძველესი დროიდან მომდინარეობს; იგი ჩვენ გვხვდება, როგორც მოგვხსენეთ, უკვე ჰეკატე მილეტელთან (მე-5 საუკუნე ძველი წელთაღრიცხვისა).

სახელწოდება დანდარი თავისი გრამატიკული გაფორმებით განეკუთვნება ქართული გეოგრაფიული სახელების ჯგუფს, ანალოგიური ბოლოკიდური ფორმანტით „—არი“, როგორცაა: გაგარი, ხიდარი, ქინძარი, გომარი, შიყარი, წუნარი და სხვანი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ძველი პერსენი ატორები აფხაზეთის მხარესთან დაკავშირებულ მითოლოგიურ თქმულებას ტყუბი გმირების (დიონსურების) შესახებ უკავშირებენ არა მხოლოდ ძველ დიონსურას, არამედ ამ პუნქტსაც, დანდარს<sup>4</sup>.

საფიქრებელი იყო, რომ პერსულ თქმულებაშიც, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც საქმე გვაქვს ადგილობრივი თქმულების გამოძახილთან.

<sup>1</sup> იხ. SC. I, გვ. 240.

<sup>2</sup> იხ. ჰეკატე მილეტელი, SC. I, გვ. 1.

<sup>3</sup> ფორმა „დანდრა“ დამოწმებულია არქანჯელო ლამბერტისთან.

<sup>4</sup> იხ. ჰეკატე მილეტელი, loc. cit. („დანდარელი“ ანუ „დანდარნი“), დიონისი პერიეგეტი, SC. I, 184 („ქვეყანა ტინდარელთა“. შეადარე პლინი სეკუნდი, სადაც ქალაქ დანდარს ეწოდება ქალაქი ტინდარია, SC. II, გვ. 178).

<sup>5</sup> იხ. პავლანი პერიეგეტი, SC. I, გვ. 573 (შეად. დიონისი პერიეგეტი, loc. cit.).



და როგორც ირკვევა, ეს მართლაც ასე ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ ამ პუნქტს დანდარი (დანდა) ორი სახელწოდება აქვს: „დანიანის კარტი“ ძირითადი სახელწოდებისა დანდა (დანდარი) მას ადგილობრივ დღემდე შეტანაში აქვს შორეუ სახელი: წყვბუნი<sup>1</sup>.

ხოლო ეს სახელწოდება დანდისა „წყვბუნი (ისევე როგორც სახელწოდება ძველი დიოსკურისა — ტყვბუნი)“ დაკავშირებულია ცნებასთან „ტყუბი“.

თით ფუძე-სიტყვა ამ სახელწოდებისა \* წყვბი ერთი ძირისაა სიტყვისთან ტყუბი. შეადარეთ აგრეთვე \*წყვბი და წყვბი (წყვილი), აგრეთვე ძველქართული რწყუმა (მერწყუმა, რაც შეწყვილებას, შეერთებას ნიშნავს).

ამრიგად ეს მეორე სახელწოდებაც დანდისა წყვბუნი, დიოსკურების უძველეს თქმულებასთან არის დაკავშირებული, აგრეთვე წმინდა ქართული წარმოშობისაა.

26. მოქვი.

მოქვი, მნიშვნელოვანი პუნქტი აფხაზეთის „შუა-სოფლისა“ ცნობილია იდრეული საშუალ საუკუნეებიდან<sup>2</sup>.

სახელწოდება მოქვი ჩვენ გვხვდება არა მარტო აფხაზეთის შუა-სოფელში, არამედ შიდა საქართველოშიაც („მოქვთა“ შეგუთში).

გრამატიკულის გაფორმებით, ბოლოკიდური ფორმანტით, შეადარეთ მოქვი და ამავე ტიპის სხვა ქართული გეოგრაფიული სახელები: თმოგვი, ჩაქვი, ბახვი, ნეძვი, ძეგვი, არაგვი და სხვანი.

27. თუსაეი, თუსუმი.

იდრეულ საშუალ საუკუნეებში მოქვის ზონაში მოხსენება პუნქტი ორგვარი სახელწოდებით: თუსაეი და თუსუმი<sup>3</sup>.

გრამატიკულის გაფორმებით (ბოლოკიდურებით „—აეი“ და „—უმი“) ორივე სახე ამ სახელწოდებისა ქართულია. შეადარეთ ქართული გეოგრაფიული სახელები:

- ა. ბოლოკიდურით „—აეი“: თელაეი, მანაეი, ზანაეი, ბობნაეი, ბოდაეი, ტყვიაეი და სხვანი. (შეადარეთ ამის გარდა იქვე, თით შუა-სოფლის ტერატიორიაზე: ფანაეი, ფანაეის ქედი).
- ბ. ბოლოკიდურით „—უმი“ „—უმი“: ცხომი, იგივე ცხუმი, თორთომი, იგივე თორთუმი და სხვანი.

28. შიხხორა.

შიხხენება იდრეულ საშუალ-საუკუნეში, მოქვის ზონაში. იგი იყო ერთ-ერთი რეზიდენცია ეგრისის მთავრისა<sup>4</sup>.

სახელწოდება, როგორც აღნიშნული გვქონდა, შეგარულია. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ციხე-სახლი“.

29. ღალიძგა.

ღასახლბული პუნქტი მდინარე ღალიძგას ნაპირას<sup>5</sup>. სახელწოდება მიღებული აქვს მდინარიდან.

განმარტება იხილეთ ზემოთ (გვ. 126).

30. მარგული, მერგული.

ამ პუნქტს ამჟამად ეწოდება მერკული: ძველ წყაროებში: არქანჯელო ლამბერტიმ (იხ. რუკა) — მერგული: ღვი გრანეოთი: მარგული<sup>6</sup>.

შეადარეთ შიდა-საქართველოში: მარგვი, მარგვისი (ლეონტი მროველი, გვ. \*128/20), აგრეთვე მარგვიში (სოფლის სახელი ლეჩხუმში).

სახელწოდებაში მარგული, მერგული, ბოლოკიდური „-ული“, „-ულა“ ქართული ფორმანტი.

<sup>1</sup> იხ. ღ. გულია, *op. cit.*, გვ. 148.

<sup>2</sup> იხ. ში-5 საუკუნის გეოგრაფიის პერიპლუსი, SC, I, გვ. 275. მოქვის შესახებ იხ. აგრეთვე ცნობები თეოდოსი განგრელის ტექსტში (ს. ყუბჩიშვილის გამოცემა, გეორგია, IV, გვ. 50) და ძველქართულ საისტორიო ძეგლში „მატიანე ქართლისა“ (გვ. \*457/233).

<sup>3</sup> იხ. თეოდოსი განგრელის ტექსტი (*loc. cit.*).

<sup>4</sup> იხ. თეოდოსი განგრელის ტექსტი (*loc. cit.*).

<sup>5</sup> იხ. თ. კორძანია, *ქრონიკები*, II, გვ. 447 — 448 (შეადარეთ არქანჯელო ლამბერტის რუკა).

<sup>6</sup> იხ. ღვი გრანეი, *op. cit.*, გვ. 49.



31. ტილითი.  
სახელწოდება დასახლებული პუნქტისა მოქვის ხეობაში (გეოგრაფიულ სახელწოდებებზე)  
დამოლოებით: „თი“.
32. სათამაშია.
33. მარმარის-კარი.  
ეს სოფლები, ქართული სახელწოდებებით „სათამაშია“ და „მარმარის-კარი“, როგორც  
ირაკლი არქანჯელო ლამბერტის რუკის მიხედვით, მდებარეობდა კოდორის ზონაში.
34. წყურგილი  
სახელწოდება სოფლისა კოდორის ზონაში (იხ. არქანჯელო ლამბერტის რუკა).  
მეგრულ დიალექტზე „წყურგილი“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „გრძელი წყარო“.
35. ფშა.  
სახელწოდება სოფლისა იმავე კოდორის ზონაში (იხ. არქანჯელო ლამბერტის რუკა).  
ფშა, ფშანი — ქართული სიტყვაა.  
სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „ფშა — მდინარისაგან წყარო მტნეე ახლო გამო-  
დენილი.“  
„ფშანი — მრავალ ფშა“.
- ცალკე შექმარდებით აფხაზეთის მხარეთა მდინარეების სახელებზე, რომლებიც მოიხსენ-  
ება ძველ წყაროებში.  
სახელწოდება აფხაზეთის მხარეთა ოთხი მდინარისა დაკავშირებულია აფხაზეთის მხარეებ-  
ში მოსახლე ტომების სახელებთან. ესენია:
36. მდინარე \*აბასხი ანუ აბასკი.  
როგორც მოხსენებული გვექონდა, მდინარე \*აბასხი, ე. ი. აფხაზეთა მდინარე, ეწოდებო-  
და ანტიკურ ხანაში მდინარე მზიმთას, რომელიც ერთეის შიე ზღვას ჭალაქ ადღერთან (იხ.  
ზემოთ, გვ. 123, არიანე, SC, I, გვ. 223, მე-5 საუკუნის ქერობლუსი, SC, I, გვ. 278).
37. მდინარე კორახი.  
ესე ეწოდებოდა ანტიკურ ხანაში კელასურის წყალს (იხ. ზევით, გვ. 136). როგორც  
გამორკვეული იყო, კორახი კოლხთა ერთ-ერთი ტომის სახელია.
38. მდინარე ბასილა (ბასილეთი) = ანთემის წყალი.  
როგორც გამორკვეული იყო, სახელწოდება ამ მდინარისა ბასილა (ბასილეთი) დაკავშირე-  
ბულია სატომო სახელთან ბასილი (იხ. ზემოთ, გვ. 136).  
ამავე მდინარეს აგრეთვე მეორე სახელც რქმევია: ანთემის წყალი 2. ეს მეორე სა-  
ხელწოდება მას, საფიქრებელია, მიუღია მდინარის ნაპირას მდებარე პუნქტიდან. (სახელწო-  
დება ანთემი გრამატიკულის გაფორმებით იმავე ტიპის სახელია, როგორც ქართული გეო-  
გრაფიული სახელები: გტემი, ილემი, ძარწემი, წყემი, გურტემი და სხვანი).
39. ჰენის წყალი = კოდორის მდინარე.  
როგორც მოხსენებული გვექონდა, სახელწოდება „კოდორის მდინარე“ მომდინარეობს და-  
ბნის სახელთან, რომელიც ამ მდინარეზე მდებარეობდა (იხ. ზემოთ, გვ. 145). ხოლო  
ძირითადი თავდაპირველი სახელი ამ მდინარისა, როგორც ირაკლია, უმოფლა ჰენის-წყალი.  
ეს სახელწოდება დაკავშირებულია სატომო სახელთან ჰენი-ხი (ჰენიოხი)  
აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ფუძე-სახელი ამ სატომო სახელწოდებისა ჰენი-ხი (ჰენიოხი)  
არის ჰენი (ისევე როგორც ფუძე-სახელი სატომო სახელწოდებისა კოლხი არის კოლი,  
იგივე კოლაელი). ცნობილია, რომ ჰენიოხთა ერთ-ერთი შტოს თემის სახელწოდება იყო  
ჰენეთი (იხ. ზემოთ, გვ. 131).  
მოსახლეობა ჰენიოხებისა ანუ ჰენების ტომისა, რომელიც მკვიდრობდა დიოსკურიის (ცხუ-  
მის) თემში, როგორც ირაკლია აღწევდა მდინარე კოდორამდე და აქედან მიუღია ამ მდინა-  
რეს სახელწოდება: ჰენის წყალი.

1 იხ. არქანჯელო ლამბერტის რუკა.

2 იხ. პლინი სეკუნდი, SC, II გვ. 179.

რომ პენიოხთა ტომის მოსახლეობა არქელ პეროლში აღწედა მდინარე კოდორამდე, ეს ირკვევა კერძოდ ცნობილი თქმულებიდან დიოსკურების შესახებ. როგორც ცნობილია, ცნობილი კური ხანის ავტორები თქმულებას დიოსკურთა შესახებ პენიოხთა ტომს უკავშირებენ. ამანთან ეს თქმულება ანტიკური ავტორების ჩვენების თანახმად ლოკალიზებულია აფხაზეთის მხარეთა ორ პუნქტში: დიოსკურიაში და დანდარის (დრანდის) თემში, ე. ი. სწორედ მდინარე კოდორის სექტორში.

სახელწოდება მდინარე კოდორისა, რომლის ძველი თავდაპირველი სახელი ყოფილა პენის წყალი (პენიოხთა, პენთა მდინარე)—ანტიკური ხანის პერძენ ავტორებს მოხსენებული აქვთ როგორც Πενίωσι, ე. ი. ცხენი. ეს იმის გამო, რომ ძველ-ქართულად პენი=ქენე და ცხენი სინონიმური სიტყვებია. პერძენ ავტორებს ამ სახელწოდებაში პენი=სწყალი სიტყვა პენი გუვით თავის პირდაპირი მნიშვნელობით (პენი = ცხენი) და მდინარის სახელიც ამოგად ვაღმოუციათ<sup>1</sup>.

აქედან ირკვევა აგრეთვე ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ენა ამ ეპოქაში ქართული იყო და ამ ენაზე პენი, ქენე ნიშნავდა ცხენს.

ამ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ანტიკური ხანის ავტორთა თქმულებებში თვით პენიოხთა ტომის სახელწოდება დაკავშირებულია ცხენთან და ცხენოსნობასთან, რაც ამავე ვერბალურ შეფარდებას ემყარება: პენი (ქენე)=ცხენი.

40. მდინარე ტარსურა=მოქვის წყალი<sup>2</sup>.  
ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მდინარეების სახელთა ჩვეულებრივ დაბოლოებას წარმოადგენს: „-ულა“ და „-ურა“, როგორც მაგალითად: ჩხარულა, კრიხულა, ძირულა, ბარულა, ლებური და სხვანი. ამავე ტიპისა მდინარის ეს სახელიც ტარსურა<sup>3</sup>.

41. მდინარე თესვრი (თესური)  
კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში თესვრი (თესური) ეწოდება მდინარეს ვაგრის (კარტონს-ტიონის) ჩრდილოეთით და ადღერის სექტორის (ენათიას) სამხრეთით<sup>4</sup>. ამ ჩვენების თანახმად იგი სხანს უდრის მდინარეს, რომელსაც აქამდე ფსოე ეწოდება.

სახელწოდება ამ მდინარისა თესვრი (თესური) იმავე ტიპის სიტყვის წარმოებას წარმოადგენს, რაც ზემოთ განხილული სახელწოდება ტარსურა (ბოლოკიადური ხმოვანის შენაკუთებით).

შეადარეთ თესვრი (თესური) და სახელწოდებანი: სვირი, დებვი, ტებური და სხვ.

42. მდინარე ასტელეფი.  
ასე ეწოდება არიანს მიმოხილვაში (მე-2 საუკ.)<sup>5</sup> მდინარეს, რომელსაც აქამდე ჰქვიან სურჩა.

შეადარეთ სახელწოდება ამ მდინარისა ასტელეფი და სახელწოდებანი: ტელეფი (სახელი სოფლისა ზემო-იფრეთში), ტელეფისი (სახელი სოფლისა საჯავახოს რაიონში, მოიხსენიება საშუალოსაუქუნეებში)<sup>6</sup>.

43. ბზიბის (\*ბზების) წყალი=კაპოეტის წყალი.  
ამ მდინარის პირველ სახელწოდებაზე (ბზიბის ანუ \*ბზების წყალი) უკვე გვეჩინდა საუბარი (იხ. ზემოთ, გვ. 142).

ამ ჩვენ შევჩერდებით ამ მდინარის მეორე სახელწოდებაზე: კაპოეტის წყალი<sup>7</sup>. ეს მეორე სახელწოდებაც წმინდა ქართულია.

სიტყვას კაპოეტი — ქართულად ორნაირი მნიშვნელობა აქვს:

კაპოეტი ეწოდება წელიწად-გამოვილი ზარეულ ფრინველს;

ამვე დროს კაპოეტი ეწოდება თევზს (იხ. საბა ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონები). თევზი კაპოეტი კალმას-ბრიაგელის ჯიშს ეკუთვნის; იგი მოხრდილი სახის კალმასია და ვახვდება სწორედ ამ მდინარეში, კაპოეტის წყალში.

1 იხ. არიანე, SC, I გვ. 221. მე-5 საუკუნის გეოგრაფოსის პერიპლუსი, SC, I, გვ. 275.  
2 იხ. არიანე (loc. cit.) და მე-5 საუკუნის გეოგრაფოსის პერიპლუსი (loc. cit.).  
3 იხ. SC, I გვ. 237.  
4 იხ. SC, I გვ. 221 — 223.  
5 იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, III გვ. 30 — 42, 160.  
6 სახელწოდება მდინარისა პირვანდელის სახით „კაპოეტის წყალი“ წარმოდგენილია 1627 წლის წარწერაში (იხ. თ. კორძანია, ქრონიკები, II, გვ. 447).



ამრიგად სრულიად უდგოა, რომ სახელწოდება ამ მდინარისა კაპოეტის წყალი მომინარეობს ამ თევზის სახელიდან კაპოეტო.

მასთანავე სახელწოდება ამ მდინარისა კაპოეტის წყალი იმავე სახესხადს უღივსებო ხელწოდებანი მდინარეებისა: საკალმახე, ოკალმახე, კაპარკინა ანუ კაპარკინის წყალი (კაპარკინა თევზის სახელია, იხ. საბას ლექსიკონი) და სხვანი.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ეს წმინდა ქართული სახელი ამ მდინარისა შერჩენილი ყოფილა ადგილობრივ მას შემდეგაც, რაც აქ ქართული მოსახლეობა მოისპო. ამას ადასტურებს მოწმობა მე-18 საუკუნის მოგზაურის ი. გულდენშტედტისა (იხ. მოგზაურობა, I გვ. 465).

44. ბუ რ ხ ი, ბუ რ ხ ო ნ თ ი. (მიძვლის წყალი).

45. ახ ე უ ნ თ ა. (ბასის წყალი).

სახელები მდინარეებისა შუა სანახეთში (სოჭის რაიონში) <sup>1</sup>.

სახელწოდებანი ბურზონთა (ბრუზონთა → ბრუზონტა) და ახეუნთა (..ა ახეუნტა) იმავე ტიპის სახელთა-წარმოებაა, როგორც ბიჭვინთა (ბიჭვინტა), ბუქვინთა (ბუქვინტა), კორინთა და სხვანი.

46. შ ა ჳ ო რ ა.

სახელი მდინარისა ღრანდის რაიონში (ცელასურის ხეობის სამხრეთით) <sup>2</sup>.

სახელწოდება შაჳორა — ქართულია. შეიძლება სახელწოდება შაჳორა წყალი ბორჯომის რაიონში.

დასასრულ აღენიშნავთ აფხაზეთის მხარეთა შიგნითა და უღელტეხილების სახელებს. მოხსენებულს ძველ წყაროებში.

47. კ ო ლ ი ს. (კოლეთის) შთება. (იხ. ზემოთ, გვ. 138).

48. უღელტეხილი კ ო ლ ხ ო რ ი. (იქვე, გვ. 138).

49. კ ო რ ა ხ ი ს. შთები. (იხ. ზემოთ, გვ. 136).

50. დ ა რ ე ნ ი ს. გზა, სახელწოდება მარტხის უღელტეხილისა <sup>3</sup>.

სახელწოდება დარენი, გრამატიკელის გაფორმებით, იმავე ტიპისაა, როგორც მთავალით ხაჳენი (ბოლოკიდური „ნი“ შრავლობითი რიცხვის ნიშანი).

51. ს ტ რ ო ბ ი ლ ი ანუ ს წ რ ო ბ ი ლ ი.

მე-2 საუკუნის ავტორის არიანეს ცნობით აფხაზეთის შიგნით ერთ-ერთ მწვერვალს (კლორის ხეობაში), სადაც, ადგილობრივი ვადმოცემით, მიჯაჭვული იყო პრაიმეთ (ამირანი), — ეწოდებოდა ს ტ რ ო ბ ი ლ ი <sup>4</sup>.

აქ საჭიროა აღენიშნოთ, რომ ბერძნული დაწერილობა ამ სახელისა შესაძლოა ორგვარად იქმნეს წაკითხული: როგორც „სტრობილი“ და როგორც „სწრობილი“ (ბერძნული ტრანსკრიპცია ქართული სახელებისა დაწერილობით „-ს“ გადმოგვეყვას როგორც კომპლექსს „სტ“, ისე კომპლექსს „სწ“).

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ თვით ქართულ დიალექტებშიაც ჩვენ გვაქვს შენაცვლება ფონეტიკური კომპლექსებისა „სწ“ — „სტ“ (როგორც მთავალით სწავლა = სტავლა, სწორი = სტორი და მისთანანი).

სახელწოდება ამ მწვერვალისა ს ტ რ ო ბ ი ლ ი ანუ ს წ რ ო ბ ი ლ ი, როგორც ამას ცხადყოფს თვით მისი გრამატიკული გაფორმება (ბოლოკიდური ფორმანტი „-ობილი“), წმინდა ქართულია.

<sup>1</sup> მე-5 საუკუნის ვეოგრაფოსის პერიპლუსი, SC. I, გვ. 278. შეად. არიანე, SC. I, გვ. 223, და კლავდი პტოლემე, SC. II, გვ. 240.

<sup>2</sup> იხ. ნიკოლოზ დადიანი, op. cit. გვ. 53.

<sup>3</sup> იხ. მენანდრე პროტექტორის ტექსტი ს. ყაუხიშვილის გამოცემა, გეოგრაფია, III, გვ. 236 — 237).

<sup>4</sup> იხ. არიანე, SC. I, გვ. 223.

დასასრულ დაგვრჩენია აღნიშნით, რომ მე-2 საუკუნის ავტორის არიანეს ცნობა უაღრესად მნიშვნელოვანია ვერძოდ იმ მხრივაც, რომ ამ ცნობის თანახმად აფხაზეთის ქართულ ტომთა შორის ანტიკურ ხანაში ვაერცელება ჰქონია ქართველი ხალხის უძველესი უმჯობესი პროტო-ამირანის შესახებ.

ამ ნარკვევით აფხაზეთის მხარეთა ისტორიული გეოგრაფიული სახელების ქართულ ენობრივ სამყაროსთან კავშირის შესახებ ჩვენ ვამთავრებთ ამ საეციალოურ გამოკვლევას საკითხისას, თუ როგორი იყო აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობის ეთნოგრაფიული შედგენილობა ანტიკურ ხანაში და საშუალ საუკუნეებში.

როგორც გამოიჩვენა, აფხაზეთის მხარეები ძირეული ქართული ქვეყანაა, რომელიც ძველი დროიდანვე ქართველებით იყო დასახლებული. აფხაზეთის მხარეების მოსახლეობა ქართული იყო როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალ საუკუნეებში, და კერძოდ საშუალ საუკუნეთა იმ მონაკვეთზე, მე-8 საუკუნეში, როდესაც დაარსდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო“.

გადავდივართ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ რა კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მოხდა ეს შეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ქართველი ხალხის ისტორიაში, დაარსება მე-8 საუკუნეში დასავლეთ-საქართველოს „აფხაზეთის სამეფოსი“, რითაც საზღვარი დაედვა უცხო ძალების — ბიზანტიელებისა და არაბების — ბატონობას ძველი კოლხეთის დასავლეთ-საქართველოს მიწა-წყალზე და შეიქმნა პირობები ქართული სახელმწიფოებრივობისა და ქართული კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

(ავრძელება იწყება)

ლ. გოგილაძე

## ბ. ნაკთლის მსოფლმხედველობისათვის



60-იან წლებში, როდესაც ილია ჭავჭავაძემ ჰუმანიზმისა და განმანათლებლობის დიადი დროშა აღმართა, გ. წერეთელი მას მხურვალედ გამოეხმაურა. იგი მიესალმა ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას და ახალი თაობის მებრძოლთა რიგებში ჩადგა. გ. წერეთელი განმანათლებლობის პოზიციებიდან ცხარე ბრძოლას უმართავს ძველ თაობას, რომელიც დროგადასულ ფეოდალურ ცხოვრებას იცავდა.

60-იან წლებში ქართულ პრესაში გამოქვეყნებულმა წერილებმა (ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეზედ“, რომელიც დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ № 1, 1863 წ. აკაკი წერეთლის „რაოდენიმე სიტყვა „ჩონგურის“ შესახებ“ — დაიბეჭდა „ცისკარში“ № 9, 1865 წ. და გიორგი წერეთლის — „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“ — დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ № 5, 1863 წ.) ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნეს. მათ საფუძველი ჩაუყარეს და დასაწყისი მისცეს ახალ, იმდროისათვის ღრმად პროგრესულ მიმდინარეობას.

თერგდალეულების მეთაურთა ამ წერილებში ჩამოყალიბებული და გადმოცემულია ქართველი განმანათლებლების არა მარტო თეორიულ-ფილოსოფიური და ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებები, არამედ მათი სოციალ-პოლიტიკური პრჭამიც.

ამ წერილებში თავისებური გამოხატულება ჰპოვა დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და სხვათა იდეებმა.

თერგდალეულები ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგები იყვნენ. ქართველი ინტელიგენციის ამ თავისი არსებით ბურჟუაზიული მოძრაობის საფუძველი დემოკრატიული იყო: თერგდალეულებმა წამოაყენეს და დაიცვეს არა მარტო ეროვნული კულტურის, ენისა და ლიტერატურის, ნაციონალური სახელმწიფოებრიობის საკითხი, არამედ გლეხობის საკითხიც, ისინი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ძალას გლეხობაში ხედავდნენ და ამიტომ ბუნებრივია, რომ მათ თავიანთი გულისყური გლეხობას მიაპყრეს. თერგდალეულებმა შესძლეს აესახათ ხალხის, უმთავრესად გლეხობის, მდგომარეობა და გამოეხატათ მისი განწყობილება.

გ. წერეთელი — თერგდალეულთა ჯგუფის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე — განმანათლებლობის პოზიციებზე იდგა. მისი მოღვაწეობისთვის დამახასიათებელია ის თვისებები, რაც ლენინის განსაზღვრით, განმანათლებლობას ახასიათებს: მხურვალე მტრობა ბატონყმობისადმი და ყველა მისი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში, მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმარ-

ეგვლობისა, თავისუფლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა და საერთოდ ჩვენი ქვეყნის ევროპიზაციისა; ხალხის მასების, უმთავრესად გლეხთა ინტერესების დაცვა, იმის გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მისი ნაშთების მოსპობას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვება და გულწრფელი სურვილი ამისთვის ხელშეწყობისა. (იხ. ლენინი, ტ. 11, გვ. 626).

ბ. წერეთელს მთელი არსებით სძულდა ბატონყმური წყობილება და ამჟამად გამოდიოდა მის წინააღმდეგ. 1866 წელს გაზ. „დროების“ საპროგრამო წერილში ბ. წერეთელი წერდა: „იციო, მკითხველო, რაში მოვიპოვე მე ჩემი სიჭაბუკე? — გლეხების განთავისუფლებაში. დიახ, იმ დროიდან, როდესაც ჩვენს დაჩაგრულს მშებს მიეცათ დიდის ხნიდან დაკარგული სიმართლე, იმ დღიდანაც წაომოდინდა ჩემი ახალი წყარო ქაბუკობისა და შენიც უფრო ნათელი, ღონიერი და უფრო სამართლიანი წყარო ცხოვრებისა“ (ტ. 1, გვ. 27).

ბ. წერეთელმა ჩვენში ერთმა პირველთაგანმა გამოამჟღავნა გლეხთარეფორმის შეზღუდული ხასიათი. თუმცა ბატონყმობა გაუქმდა, ამბობს იგი, გლეხობამ პირადი თავისუფლება მიიღო, მაგრამ — „მაინც ახალი მონობის ბორკილი არ შეხსნია ხალხს; ხალხი თუმცა განთავისუფლდა, მაგრამ ერთიორად დაბეგრდა და ამას გარდა მიწის საკუთრებაც დაკარგა“. ამაში ბ. წერეთელი ხედავს იმ სოციალურ უსამართლობას, რასაც ბოლო უნდა მოედოს; „გლეხი მიწის მეპატრონე უნდა გახდეს“ — ამბობს იგი.

ბ. წერეთელი ილაშქრებს ცარიზმის წინააღმდეგ. იგი მოითხოვს იმის განხორციელებას, რაც აქვს „საზოგადოებას ბუნებით დანიშნული“. ხალხი უნდა განთავისუფლდეს მის შემაწუხებელ მართველობისაგან და მან თავი-

სი ცხოვრება თავთვე უნდა მართოს. ქვეყნისათვის ვერას გააცეთებს ხალხი, რომელსაც „სრული თავისუფლება“ არა აქვს. მხოლოდ „მომეტებულად თავისუფალი“ ხალხი არის განათლებული და ბედნიერი, სამართლიანი და მოსიყვარულე. მხოლოდ თავისუფალ საზოგადოებაში თავისუფალ პიროვნებას შეუძლია შექმნას ბედნიერი და საამური ცხოვრება. „როგორც მცენარე ვერ აყვავდება უმზეროდ და უჰაეროდ, ისე ის (ხალხი) ვერ გაიშლება წელში, თუ თავის თვალის წინ ვერ ჰხედავს ვაშლილს თავისუფლებას, საცა ყველა კაცი თავის თავის მეფეა და იმის პიროვნებას ვერა შეზღუდავს რა“ („დროება“ № 25, 1868 წ.).

ბ. წერეთელი მოწინავე ახალგაზრდობას ხალხისადმი სამსახურისკენ მოუწოდებს. ხალხის გულში ჩახედვა, მისი გულის წადილის გაგება და მისადმი სამსახური — აი ახალგაზრდობის სანუკვარი საქმე. მშრომელი ხალხისა და მოწინავე ახალგაზრდობის მკვიდროკავშირი მიაჩნია ბ. წერეთელს ბედნიერების საწინდრად. იგი წერდა: „ძველთაგანვე დაბალ წრეში ჩავარდნილი, გონიერი, სამართლიანი, მაგრამ უსამართლობით დაჩაგრული ჩვენი მუშახალხი, როგორც შეიქმნა თავისუფალი, სულიც მალე მოიღვა. ამჟამად მხოლოდ ის შრომობს, ის იგებს, იმას გაუღის თავის ღონის და გონების ძალა, მომავალიც ამ ჯანით ღონიერს ხალხზე ტრიალებს და იმდენი ბუნებით კარგი თვისებაც აქვს, რომ მიუცილებლათ ბურთი და მოედანი იმას დარჩება. მით უფრო სარწმუნოა ეს ამბავი, რომ ამ ქორფა ხალხის ნამდვილ შეილებათ და მოთავეთ სთვლის თავისთავს ის გონება გახსნილი და მშრომელი ახალგაზრდობა, რომელსაც სულ პირველად ქვეყნის ბედნიერება და მთელი ერის კეთილდღეობა აქვს წინ წაყენებული. ამ სახით ჩვენი თავდაზნაურობის დასუსტება, დაქვეითება-

და მუშა ხალხის სულის ჩადგომა, იმისი წინ წამოწევა აი ერთი დიდი სანუგეშო ნიშანთაგანი ამ დროისა. მას გავუმარჯოს მშრომელ ერს და იმის მოთავე მშრომელს, განათებულს ახალგაზრდობას. ჩვენი ქვეყნის ბედნიერება ამათს ერთმანეთთან დაკავშირებაზე და დამეგობრებაზეა დამოკიდებული“ („კრებული“ № 3, 1873).

გ. წერეთელი ოცნებობდა იმაზე, რომ საქართველო დასდგომოდა დაწინაურებულ ხალხთა განვითარების გზას. მისი აზრით, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერების ინტერესები მოითხოვენ მიუბაძოთ დაწინაურებულ ხალხებს, ვისწავლოთ მათგან ცხოვრების მოწყობა ახალი დროისათვის შესაფერად: „რადგანაც ჩვენი წარმატება დამოკიდებულია განათლებული ხალხებისაგან შეძენილს სწავლაზე და იმათ ცხოვრებაზედ, ამისთვის, თუ ვსურს საკუთარი კეთილდღეობა; უკუველად იმათ უნდა ვბაძვიდეთ და იმათ სწავლას ვითვისებდეთ“ (ტ. 1, გვ. 385).

ადვილი მისახვედრია, რომ გ. წერეთლის ეს შეხედულებები თავისი კლასობრივი შინაარსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულია. გ. წერეთელი პროგრესიული ბურჟუაზიის დემოკრატიული თვალსაზრისით აშუქებს ყველა სოციალ-ეკონომიური ხასიათის პრობლემას. მისი საპროგრამო დებულებები გამოხატავდნენ ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიის მისწრაფებებს. ის, რაზედაც ასე უანგაროდ ოცნებობდა და რისი განხორციელებაც გულწრფელად სწადა გ. წერეთელს, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სხვა არა იყო რა, თუ არა ბურჟუაზიის იდეალიზაციექმნილი სამეფო“.

70-იან წლებში, როცა თერგდალელთა ერთიანი ბანაკი დაიშალა, გ. წერეთელი ნ. ნიკოლაძესა და ს. მესხთან ერთად სათავეში უდგება „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფს.

ქართველი ინტელიგენციის ამ ჯგუფს თვითონ გ. წერეთელი „მეორე დასს“ უწოდებს, თვლის მას „პროგრესიულ-დემოკრატიულ მიმართულებად“ და ასე ახასიათებს „საზოგადოებრივი წყობილების განვითარებაში ეს დასი უარს ჰყოფდა, როგორც თავად-ახალგაზრდობას, ისე დაბალი ხალხის განკერძოებით ყოფნას. მან წამოაყენა ნამდვილი ერი, რომელშიაც თანასწორი უფლებით შედიოდნენ ყველა წოდებები, არც ერთისაგან სასწორს არ ხრიდა, ზოლოდ დემოკრატიული, წოდებათა განურჩევლათ, საზოგადო წესწყობილება მიიჩნდა ასეთი ერის შესაფერად“ („კვალი“ № 46, 1897 წ.).

ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში თერგდალელები ერთიან ბანაკს წარმოადგენდნენ, მაგრამ ეს ბანაკი სხვადასხვა მიმდინარეობებად დაიშალა მაშინ, როდესაც პრაქტიკულად დაიწყო საქართველოს მომავლის განვითარების საკითხი. „რომელი გზით უნდა განვითარებულყო საქართველო; უკეთ რომ ვსთქვათ, რომელი კლასი უნდა გადაქცეულიყო ახალი ცხოვრების მესაქედ და მის მეთაურად. სწორედ ამ სოციალურ-კლასიურ საფუძველზე მოხდა თერგდალელთა ჯგუფის დანაწილება“ (იხ. ს. ხუნდაძე „გ. წერეთელი“).

იმ დროის საკმაოდ ცნობილი ქართველმა პუბლიცისტმა მოსე ქიქოძემ 1870 წელს გამოაქვეყნა წერილი „საქართველოს მომავალი“. ამ წერილში იგი წერდა: „ეხლა საქართველოს არა აქვს შეკრული გზა ისე, როგორც წინათ ჰქონდა; შეიძლება საქართველოს ხალხმა გაიუმჯობესოს თავისი ყოფაცხოვრება. ამას უნდა მხოლოდ მარჯვე გზის ამორჩევა. რა გზა არის ეს? რასახით შეიძლება, რომ ჩვენი ხალხი დროზე მოესწროს ეკონომიურ კეთილმდგომარეობას?“ („მნათობი“ № 1, გვ. 50. 1870 წ.).

აი რა საკითხები დაისვა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წინაშე, იმ დროს, როდესაც ბატონყმობა გაუქმდა და ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტურ განვითარების გზას დაადგა.

თუ ფეოდალურ-პროგრესიული დასი საქართველოს ეროვნულ აღორძინებას კლასთა თანამშრომლობის გზით, ლიბერალური თავადაზნაურობის მეთაურობით, ფიქრობდა, ხოლო ქართველი ხალხოსნები ოცნებობდნენ სოციალიზმის განხორციელებაზე უპროლეტარიატად, გლახობაზე დაყრდნობით, ინტელიგენციის ხელმძღვანელობით, — გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და ს. მესხი ქართველი ინტელიგენციის ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობათაგან განსხვავებულ ერთიან ბურჟუაზიულ-პროგრესიულ მიმართულებას ქმნიდნენ. ისინი ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაში ხედავდნენ საქართველოს ეროვნული აღორძინების საშუალებას ხოლო ხელმძღვანელობდა, რომლის საშუალებითაც უნდა მომხდარიყო ახალი ცხოვრების შექმნა, ეროვნულ ბურჟუაზიას სახვადნენ.

გ. წერეთელმა გვიჩვენა ძველი, ფეოდალური ცხოვრების რღვევა და ახალი, კაპიტალისტური საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება საქართველოში. ისტორიის ასპარეზზე გამოდის ახალი, პროგრესიული კლასი — ბურჟუაზია. იწყება საეკონომ-სამრეწველო კაპიტალის ხანა. ახალმა ცხოვრებამ ახალი სურვილები და ინტერესები დაბადა, შეიცვალა ადამიანების შრომისა და საქმიანობის ხასიათი.

„საცა არ გაიხედავ, — წერს გ. წერეთელი, — ყოველგან ნიშნავ უცხო ამბებსა ამ ჩვენს პაწაწა ქვეყანაში. მიხვალ სურამის სტანიცაზე და იქ დაგიხედებან იმერლები, რომელნიც მთაზე გადასარბენს ცეცხლის ეტლს ეშმაკებით ებლაუჭებიან და როგორც უნდათ და საითაც უნდათ იქით წაიყვანენ. ესენი ის გრძნეული სულები და ქა-

ჯეები ხომ არ არიან, რომელნიც რუსთველს აუწერია, ფიქრობენ გონებაში: იქვე გადმოხვალ ცეცხლისგან და შეხედავ შეკურტნეებსა: „ბატონო, მიბოძეთ თქვენი ბარგი, მოვიკიდებ ზურგზე და გოსტინიცისკენ გავშვებ“ — ეს გურულები. თი, დიდება შენთვის ღმერთო, გურული და შეკურტნი. ეს რა ამბავია. გურულს იარაღი ხელში და წინ მტერი, აი მისი საქმე. მუშაობა, კურტანი და წელმოსაწყვეტი ბარგი გურულს ვინ აკადრა; უწინ რომ გურულსათვის კურტანი მიგეცა, თოფს გკრავდა, ესლა კი თვითონ გეხვეწება, მიბოძე მე წამოვიღებო და თან კურტანსაც იკიდებს. გახვალ შავ-ზღვაში და შეხვალ ცეცხლისგემზე. იქ ბატონოსი ვინ არის? მეგრელი. მემამინე ვინ არის? მეგრელი ან იმერელი. მზარეული ვინ არის? მეგრელი ან იმერელი. მოსამსახურე? — მეგრელი. იქიდან ჩაჯდები ცეცხლის-ეტლში და წამოხვალ. გზაზე ზონელი მოდის, ძარში ქათმები დაუწყვედვია და კალათები კვერცხებით აქვს სავსე. სად მიხვალ? — უბნებში, თბილისში გაიხლებიო, საქმეც მაქვს და საეკონომო. თბილისში მიხვალ, მიხედ-მოიხედავ. გაცოდები: ყოველგან ღიხის მთას იქით მცხოვრებლებს ხედავ. რკინის გზა თითქოს იმერეთის ხალხისათვის გაეკეთებინოსთო — თითქოს მხოლოდ იმათ სცნესო ამისი სარგებლობა, ეცენ და იმის საშუალებით თბილისი თავის საეკონომო ქალაქათ გახადესო. ისინი დღითი-დღე მრავლდებიან თბილისში და თბილისის ბაზარში ამრავლებენ საქართველოს მიწაწყლის ნაწარმოებს და აღიდებენ საქართველოს ხალხის ალებ-მიცემობას“ (იხ. ეურ. „კრებული“ მესამე წიგნი. გვ. 213 — 214. 1873 წ.).

გ. წერეთელი მოუწოდებს ქართველობას ჩაებას ახალი ცხოვრების ფურხულში: ფული შეიძიხოს, ისწავლოს ვაჭრობა, მოაწყოს ქარხნები, სამრეწველო და სამეურნეო ბანკები.

„გაიგეთ ბატონო, — წერდა იგი, — რომ ახლა აღებმცემობის და მრეწველობა — წარმოების ხანაა. ვისაც უნდა თავისი არ დაკარგოს და ცარიელზე არ დარჩეს, თვითონ უნდა გაანძროს ხელი, მისილის დროის შესაფერ კოთხოვნილებას, შრომას, ვაჭრობას, წარმოებას, ყოველწლიურ აღებ-მცემობას, ამასთან მომჭირნეთ, ხელმოჭერილად უნდა იცხოვროს, ფული შეიძინოს“ („კვალი“ № 19, გვ. 370, 1897 წ.).

გ. წერეთელი შიშით შეჰყურებდა ევროპის კაპიტალის შემოჭრას ჩვენში. მას აშინებდა ის, რომ ცოდნითა და ტექნიკით შეიარაღებულ ევროპას ექსპლოატაციის ობიექტად არ ექცეოდა საქართველო. ამ საფრთხისაგან თავის დასაღწევ საშუალებას იგი ეროვნული კაპიტალის განვითარებაში ხედავდა: „უნდა ვიშრომოთ თავგამებებით, რომ მივეყვით მხოლოდ ევროპის პროგრესის კვალს. ჩვენ ის იარაღები უნდა ვიხმაროთ ჩვენს წარმატებისთვის, ჩვენი თვითარსებობის დასაცველად, რაც ევროპის ერებს უხმარიათ. აი თუ გნებავთ ამ მისწრაფებაში გამოიხატება ჩვენი პროგრამა მოქმედებისა“ („კვალი“ № 5, 1895 წ.).

გ. წერეთელს სურს და ობიექტურად იმისთვის ილწვის, რათა კაპიტალიზმი განვითარდეს ჩვენში, მაგრამ ისე, რომ მან არ გამოიწვიოს მშრომელი მასების გადატაცება და გაპროლეტარება.

გ. წერეთელი ხედავდა, რომ ევროპაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ გამოიწვია მშრომელი მასების გადატაცება, პროლეტარიატის წარმოშობა და გამარჯვლება. მარქსამდელი სოციალისტების მსგავსად იგი პროლეტარიატის არსებობაში საზოგადოების წყლულს ხედავდა.

მას ძლიერ აშინებდა ჩვენში პროლეტარიატის წარმოშობა. იგი შემფოთებული იყო მით, რომ ქართველი ხალხი სიღატაკის გზაზე დგას და უახ-

ლოეს მომავალში „უექველად პროლეტარიატში ჩაცვევით“—ის (ტ. 15 გვ. 61).

გ. წერეთლისთვის უცხოა კაპიტალიზმის განვითარების უარყოფის ნაპროდნიკული თვალსაზრისი იმ მიზნით, რათა თავიდან იქნას აცილებული პროლეტარიატის წარმოშობა. მას კარგად ესმის კაპიტალიზმის პროგრესულობა, მისი განვითარების აუცილებლობა, მაგრამ ამავე დროს იმასაც ხედავს, რომ ამ პროცესს თან სდევს მასების გაპროლეტარება. ამიტომ იგი აყენებს ისეთ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც, მისი აზრით ხალხს დაიხსნის გადატაცების საშიშროებისაგან. იგი ზოიბოვს ასოციაციებისა და ამხანაგობების დაარსებას და ამ საშუალებით კაპიტალიზმის განვითარების წარმართვას სასურველი გეზით.

„ჯერ ჩვენ ხალხს, — წერს წერეთელი, — არ გამოუცდია პროლეტარიატი. იმედი გვაქვს არც ჩავარდეს ამ მდგომარეობაში, თუ ის თავის კეთილდღეობისათვის ღონისძიებას მიიღებს... ეს ღონისძიება, ძნელი არა არის რა, დააწესონ ამხანაგობები, შეადგინონ კაპიტალები, აბაზობით და მანეთობით იმათ ნუშლიათ იმდენი შეიძინონ, რომ საჭირო აღარ იყოს იმითთვის გარეშე სესხი, დამლუპავი იმათი შრომისა და ნაღვანისა. გაიჩინონ პურის მაღაზიები, აქედან აძლიონ სესხათ პური ზომიერი სარგებლით, ან გაჰყიდონ ხოლმე და აქციონ კაპიტალათ (თავნათ) და ეს კაპიტალი ამუშაონ ხოლმე. ამხანაგობანი თვითონვე შეუდგენენ აღებ-მცემობას: თვითონვე ჰყიდონ პური, ღვინო და სხვა ხორაგი და საეპურა. სხვას ნუ აძლევენ თავიანთ შრომას და ოფლს. დააწესონ სოფლებში პატარ-პატარა ბანკები, ბანკებს დაუნიშნონ სუთიდან ათამდე პროცენტი ანუ სარგებელი, მხოლოდ ამგვარად შეიძლება კეთილდღეობის გავრცელება ხალხში. თუ არ ამხანაგობით, არაფერი არ მოხერხდება რა“ (იქვე).

ეს ამონაწერი მოწმობს, რომ გ. წერეთელი იმყოფებოდა უტოპიური სოციალიზმის გავლენის ქვეშ.

90-იან წლებში გ. წერეთელმა სცადა თავისი ბურჟუაზიული შეხედულებები შეეერთებია მარქსიზმთან. მან მოინდომა ქართული ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებია მუშათა მოძრაობა და მარქსისტული მსოფლმხედველობა. თუ მანამდე გ. წერეთლის ბურჟუაზიული შეხედულებები უტოპიური სოციალიზმის სამოსელში იყო გახვეული, ახლა 90-იან წლებში იგივე ბურჟუაზიული შეხედულებები, მაგრამ უფრო ნათლად და შეგნებულად გამოთქმული მარქსისტულ სამოსელში ეხვევიან!

ამან დააშორა 90-იან წლებში გ. წერეთელი ნ. ნიკოლაძეს. თუ ნიკოლაძე, როგორც ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგი, ამკარად იცავს ამ კლასის ინტერესებს (იხ. ნ. ნიკოლაძის წერილი ჟურნალში „მოამბე“ № 8, 1894 წ.), გ. წერეთელი მარქსიზმს ეკეკლუცება და მის გამოყენებას ცდილობს.

გ. წერეთელი არ მალავს, რომ მას სურს გამოიყენოს მარქსიზმი „ძველი დროგადასულ წყობილების წინააღმდეგ ახალი წყობილების“ დასაცავად, „ახლათ აღორძინებულ ვაკარ-მრეწველთა კლასის“ სასარგებლოდ. თავის ამ ნაბიჯს იგი იმით ამართლებს, რომ „ჩვენებური ბურჟუაზია ჩვილი და განუვითარებელია და აი, სწორედ ახლა საჭიროებს ის ყოველნაირ შეღავათს, წახალისებას, ხელის გაწყობას და სხვ., რომ ფეხი მოადგას და გაძლიერდეს“ („კვალი“ № 16, გვ. 265. 1899 წ.).

გ. წერეთელი სთვლიდა, რომ მარქსიზმი არის „უკანასკნელი მეცნიერული დასკვნა პოლიტეკონომიაში და სოციოლოგიაში“, რომ მარქსის მომდერებას „პოლიტიკურ-ეკონომიურ მეცნიერებაში იგივე ადგილი უჭირავს რაც დარვინის თეორიას ბუნების მეცნიე-

რებაში და ბიოლოგიაში“ („კვალი“ № 5, გვ. 76. 1899 წ.).

გ. წერეთელი კლასთა ბრძოლაში ხედავს თანამედროვე საზოგადოების ნიშანდობლივ თვისებას. „ღროთა გამოირკევას ბურანისაგან საზოგადოება, — წერს იგი, — რომ მათში აღარ ტრიალებდეს შემცდარი აზრი ჩვენი ცხოვრების ვითარებაზე, ატეხილ კლასთა ბრძოლაზე. მათი ინტერესების შეტაკებაზე, რომელიც არის მიზეზი ყოველივე ახლანდელი საზოგადოებრივი მოვლენისა, სხვა არაფერი“ („კვალი“ № 11, 1899 წ.).

გ. წერეთელი ამჩნევს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე კლასთა ბრძოლას. იგი კარგად ხედავს, რომ საქართველოს ისტორია არის ისტორია თავადაზნაურობისა და გლეხობის ბრძოლისა და რომ წოდებათა შერიგება შეუძლებელია. მან მკაცრად გააკრიტიკა მეველე, როცა იგი წოდებათა შერიგებისა და მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ქადაგებით გამოვიდა. გ. წერეთელი წერდა: „ეს მიმართულება პირველი არ არის ჩვენ ხელოვნებითს ლიტერატურაში. ასეთი ჩატეხილი ხიდის გამართლება და ბატონყმობის შორის წოდებრივი განკერძოების მოსპობის ნიშნში — მთელი „ოთხარანთ ქვრივიც“ არის შეთხზული. მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ასეთი მოსაზრება მხოლოდ იმ მწერალთა კეთილშობილურის გულის წადილის ნაყოფია და არა ნამდვილი ცხოვრების სურათი“ („კვალი“ № 5, გვ. 5, 1894 წ.).

ცნობილია, რომ „მესამე დასის“ უმრავლესობის მიერ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან კავშირის დედის ქადაგებამ თავისი პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა იმ კავშირში, რომელიც „კვალის“ გარშემო შეიქმნა გ. წერეთელისა და ნ. ჟორდანიას ჯგუფებს შორის. გ. წერეთელი მიემხრო ახლათობას — ნ. ჟორდანიას ჯგუფს და თავისთავს მესამედასელათაც კი თვლის. „მესამე დასის“ უმრავლესობაც გ. წერეთელსა



და მის ჯგუფს თავის თანამოაზრედ და მოკავშირედ თვლის.

„ივერიის“ პუბლიცისტები ირონიულად შენიშნავენ, რომ ახალი დასის ბელადი გახდა საშოკიანი წლების ერთ-ერთი მოღვაწეო. „ივერიამ“ დასცინა გ. წერეთელს: „ბებერი, მაგრამ მაინც თავი ახალი დასისა“-ო („ივერია“ № 1, 1895 წ.).

„ივერიას“ საპასუხოდ გ. წერეთელი წერდა: „ახალი გუნდობა წლოვანებაზე არ არის დამოკიდებული, მასში შეიძლება იყოს მოხუცებიც და ახალგაზრდობაც, ვინაიდან „მესამე დასი“ წლოვანებით კი არ განსაზღვრავს თავის პროგრამას, მოქმედებას, არამედ იდეით, პრინციპით“ („კვალი“, № 4, 1895 წ.).

გაზ. „ივერია“ ეკამათებოდა „კვალს“ და შენიშნავდა, გ. წერეთელი უფრო პოლიტიკურ მხარეს ეხება, ყორღანია კი ეკონომიური მატერიალიზმის პრინციპებს აძლევს უპირატესობასო. ამის საპასუხოდ ნ. ყორღანია წერდა: „თუ ერთი მწერალი უფრო ერთ კითხვას აქცევს ყურადღებას და მეორე—მეორეს, ეგ მხოლოდ შრომის დაყოფაა და არა მათი აზრთა წინააღმდეგობა“ (ტ. 1, გვ. 85).

ამგვარად თვით გ. წერეთელისა და ნ. ყორღანიას აღიარებით მათ შორის გარკვეული იდეური ერთიანობა არსებობდა.

გ. წერეთელი სტატიაში — „კვალის“ ორი წლის ნაღვაწი“ თავის თავს მესამე დასელთა ჯგუფს ზიკუფუნებდა და ამტკიცებდა, რომ „მესამე დასმა“ თავის მზრუნველობის საგნად გამოაცხადა „მთელი საქართველოს ერი, განურჩევლად წოდებისა, შთამოებისა და ნიხელეობისა“. გ. წერეთელი იმედს გამოსთქვამდა, რომ „მესამე დასი“ „მეორე დასის“ ნაღვეილი მემკვიდრე გახდებოდა.

ამავე აზრისაა ნ. ყორღანიაც. იგი სტატიაში — „გაზ. „ივერია“ და ეროვნება“,

— „მესამე დასი“ „მეორე დასის“ მემკვიდრედ აცხადებდნენ. ამტკიცებდა: „დემოკრატიულ დასს“ ახალი ნიადაგი უნდა მოქებნოს და მით შეიქმნეს ძველი პროგრესიული დასის გამგრძობი. „ივერია“ ასეთი ნიადაგი თავად-აზნაურობაში კპოვა. ჩვენ ამ ნიადაგს ვეძებთ ერის უმრავლესობაში, მიუხედავად წოდებისა“.

ყორღანია იმავე სტატიაში აღნიშნავდა, „მესამე დასმა“ წინააღმდეგ „ივერია“-„მოამბისა“ ახალი ეროვნული პრინციპი წამოაყენაო. ამის დასადასტურებლად და ნათელსაყოფად ყორღანია გ. წერეთლის ზემოდანახელებულ წერილიდან ეს ადგილი დაიმოწმა: „ჩვენ უნდა ვეცადოთ, მხარი მივცეთ ყოველ ისეთ გარემოებას, ყოველ ღონისძიებას, რომელსაც შეუძლია საქართველოს ერი განამტკიცოს, გააღონიეროს ერთიანობით პოლიტიკურად და ეკონომიურად; აგრეთვე უნდა ვეწინააღმდეგოთ ყოველ მეცადინეობას, რომელსაც შეუძლია რომელიმე ნაწილი ამ შემკრობლობითი ერთიანობისა გააბატონოს და დააწინაუროს სხვა მის ნაწილზე“ („კვალი“ № 5, 1895 წ.).

ამგვარად, გ. წერეთელი და ნ. ყორღანია თავს მთელი ქართველი ხალხის წარმომადგენლად თვლიდნენ, კაბიტალიზმის აუცილებლობასა და პროგრესიულობას ასაბუთებდნენ, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის საერთო-ეროვნული მოქმედების აუცილებლობას იცავდნენ და საქართველოს ეროვნული აღორძინების იდეას ქადაგებდნენ, ისინი ამ მიზნით მარქსიზმის დროშის გამოყენებას ცდილობდნენ.

მაგრამ თუ „მესამე დასის“ უმრავლესობამ ნ. ყორღანიას მეთაურობით დასაბამი მისცა მარქსისტული იდეების გავრცელებას საქართველოში და იგი წარმოგვიდგა, როგორც ლეგალურ-მარქსისტული, რადიკალური მიმდინარეობა სოციალ-დემოკრატიაში, მუშათა მოძრაობაში, — გ. წერეთელი

არის მარქსიზმის სამოსელში გახვეული ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელი. გ. წერეთელი არის ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის დროებითი თანამგზავრი, რომელიც ცდილობს მარქსისტული მსოფლმხედველობა და მუშათა მოძრაობა შეუგუოს და დაუმორჩილოს ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესებს.

გიორგი წერეთელი მარქსამდელი ფილოსოფიური მატერიალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია საქართველოში. მატერიალისტური თვალსაზრისი, რომელიც მან 60-იან წლებში რუსული კლასიკური ფილოსოფიის უშუალო გავლენით შეიმუშავა, ბოლომდე შეინარჩუნა.

გ. წერეთელმა განიცადა როგორც გეოგრაფიული მატერიალიზმის ისე განსაკუთრებით ვულგარულ მატერიალიზმის საგრძნობი გავლენა. მაგრამ გ. წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის დასაზრდოებელი წყარო არის არა მოლეშოტისა, ფოგტისა და ბიუნზერის ვულგარული მატერიალიზმი, არამედ ჩერნიშევსკის მატერიალიზმი. დიალექტიკისა და ისტორიის მატერიალისტური გაგების ის საყურადღებო ცალკეული ნიმუშები, რომლებიც გ. წერეთლის მეტაფიზიკურ მატერიალისტურ შეხედულებებში არის გაფანტული, უნდა აიხსნას უმთავრესად რუსული კლასიკური ფილოსოფიის გავლენით.

პლატონის ფილოსოფიას, რომელსაც საფუძვლად უდევს „უკვდავი სული“, გ. წერეთელი უპირისპირებს მოლეშოტს, ფოქტს, ბიუნზერს, ფეიერბახს, რომლებიც „მატერიის უკვდაობას“ აღიარებდნენ, ეს დაპირისპირება საყურადღებოა. წერეთელმა ვერ შეამჩნია განსხვავება ვულგარულ მატერიალიზმსა და ფეიერბახის მატერიალიზმს შორის, მაგრამ საერთო განსხვავება მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის და-

ინაბა და თავისი თავი მატერიალისტების ბანაკს მიაკუთვნა. (იხ. „ქველი“ № 25, 1893 წ.).

გ. წერეთელმა თავისი მატერიალისტური თვალსაზრისი ასე ჩამოაყალიბა: „ბუნებაში ყოველი კმნილება იბადება, ცხოვრობს როგორც შეხედება და შემდეგ კვდება, — სჩანს დაიშლება იმ ნაწილებად, რომლებსაგანაც იყო შედგენილი. ჩვენ ვიცით, რომ ამ ნაწილებს ელემენტები ჰქვია. ამ ნაწილებსაგან კიდევ რაიმე დაიბადება ბუნებაში, ისევ ცხოვრობს და ხელმეორედ დაიშლება. მაშ როცა ან კაცი, ან ცხოველი მოკვდება, ან მცენარე დაჰყვება, ესე იგი, როცა იმასაც სიკვდილი მოუვა, ამის შემდეგ არაფერი არ იკარგება. როდესაც რაიმე აღარ სცხოვრობს — კვდება — ეს იმას ნიშნავს, რომ ელემენტების შემადგენლობა გადასხვაფერდება“.

აქ ნათლად არის გადმოცემული მატერიალისტური შეხედულება ბუნებაზე; მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეხედულება საესეებით მექანიკური და მეტაფიზიკურია.

გ. წერეთელი იცავს მატერიალიზმის დებულებას ბუნების კანონების შეცნობადობის შესახებ. გ. წერეთელი ამტკიცებს, რომ ჩვენი ცოდნა ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური სინამდვილის ანარეკლია. „ჩვენის ფიქრით, — წერს იგი, — გრძნობა აღიძვრის, როდესაც კაცის გონებაზედ მოქმედებს გარემო მდგომარეობა, როდესაც კაცის გულში აღძრავს რომელიმე აზრს თავად ცხოვრება და გარეგანი ქვეყნის ზედმოქმედება“ (ტ. 1, გვ. 8).

გ. წერეთელი მეცნიერების დანიშნულებას ბუნების კანონების შემეცნებაში ხედავს. მეცნიერებამ უნდა შეიძინოს ბუნება და იხელმძღვანელოს ბუნების განვითარების კანონებით.

იცავდა რა არსებითად მეტაფიზიკურ მატერიალიზმის თვალსაზრისს, გ. წერეთელი წერდა: „ქვეყანაზედ არაფერი არ მოხდება უმიზეზოთ და შემთხვევით, იმას მმართვენ მტკიცე და შეუცვლელი კანონები. როდესაც ამ კანონებს გამოვიყვლეთ, მაშინ ყოველგვარი მოვლენების ახსნა ადვილი იქნება. მეცნიერების დანიშნულება სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ შეიტყოს და გამოიკვლიონ ეს შეუცვლელი კანონები, რომელნიც თავით ბუნებაში არიან და სხვადასხვა მოვლინებებს მოახდენენ“ (ტ. 1, გვ. 107—108).

ამგვარად, გ. წერეთელმა მატერიალისტურად გადასწავილა ფილოსოფიის ძირითადი საკითხი, აღიარა ბუნების პირველადობა და მისი შემეცნების შესაძლებლობა.

გ. წერეთელი ცდილობს საზოგადოების ისტორია განიხილოს არა როგორც „შემთხვევითობათა“ ასპარეზი, არამედ როგორც კანონზომიერი განვითარება. იგი ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი ისტორიული საფეხური გაპირობებულია წინა საფეხურით; ადამიანის მოქმედება განსაზღვრულია ისტორიული ვითარებით. უძველური და უნაყოფოა ცხოვრების ბუნებრივი მიზნინარეობის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება; ძლიერი და ნაყოფიერია ცხოვრების მოთხოვნილებათა ამსახველი და გამომხატველი მოღვაწეობა.

„ყოველი მომენტი, ხალხის ცხოვრების კეთილწარმატების გამსაზღვრელი, — ამბობს გ. წერეთელი, — არის მრავალ ხნის მის ისტორიულ ცხოვრების ნაყოფი, — და არა კაცის ძალას აგეთი ბიჯი არ შეუძლიან საზოგადოებაში რომ მოახდინოს. თითოული პირის ცხოვრება იმგვარად არის შეკავშირებული მთელ საზოგადოების ცხოვრებასთან, რომ არც შეუძლიან მის ზედ-მოქმედებისგან თავი იხსნას, არც მისგან გაცალკდეს და არც მანად ამაღ-

ლდეს; ამის გამო ყოველ ცხოვრების მოქმედების ფაქტის წინააღმდეგობის პირის მოქმედება დარწმუნადაა უძღვრის; მაგრამ ამ შემთხვევაში მისი გამპირიახობა და ნაღვაწი, როგორც საზოგადოების წინ, აგრეთვე შთამომავლობის წინ იფასება, თუ რამდენად უცენია იმას ეს ფაქტი, როდესაც შემთხვევით გამხდარა მისი მმართველი, ან თუ რა მხრით წარუმართავს ის, რომ როგორმე ამ ფაქტს შესძლებოდა ცხოვრებისათვის მოეტანა იმდენი კეთილი. რამდენიც მისგან იყო შესაძლო“ (ტ. 1, გვ. 9).

საზოგადოებრივი ცხოვრება განუწყვეტილად იცვლება. მუდმივი განვითარების პროცესი ახალი ცხოვრების ახალი მოთხოვნილებებისათვის შეუსაბამი ძველი ფორმების შეცვლის აუცილებლობას იწვევენ. გ. წერეთელი ასახულებს ძველი საზოგადოებრივი-პოლიტიკური ფორმების ახლით შეცვლის აუცილებლობას და ამბობს: „მთელი კაცობრიობის ცხოვრება, როგორც დასაბამიდან ისე აქამომდე მიმდინარეობს, (რომ მომავალ დროზედ სჯას დაეცხსნათ, რადგანაც მომავალი ჩვენს გულთმხილველობისგან დაფარულია), თავის თავად არც ძველდება და არც წარმავალია; ძველდება მხოლოდ მისგან გამოწვეული ფორმა, მისგან შემუშავებული საზოგადო წყობილება, რომელიც ამ დროში ამ ცხოვრების მოთხოვნილებას მხოლოდ აკმაყოფილებდა. თანდათან ხალხის განათლებით, რასაკვირველია, თავად ცხოვრების მოთხოვნილებაც, მის კეთილ მდგომარეობისამებრ, უფრო და უფრო ვრცელდება და მრავლდება და სხვა და სხვაობით; მაშასადამე რამოდენიმე საუკუნეს წინ დაარსებული საზოგადო წყობილება და მისგან მონაპოვარი საშუალებაც ვეღარ აკმაყოფილებს ამ ცხოვრების მოთხოვნილებასა. ამჟამად რომ საზოგადო ფორმამ განვლო თავის საუკუნე, დაძველდა და ამის გამო ან სულ უნდა

მოისპოს და ან გადაკეთდეს ახლად შე-  
მოსულ მოთხოვნებისამებრ“ (ტ. I,  
გვ. 11).

შეიძლება ძველმა ფორმებმა, დესპო-  
ტურმა კანონებმა ხელი შეუშალოს  
განვითარებას, შეზღუდოს იგი, მაგრამ  
არავითარ ძალას არ ძალუძს დასძლიოს  
გონების უძლეველი ძალა და შესწყვი-  
ტოს მისი ძლევათმოსილი სვლა, „რად-  
განაც კაცის გონიერებას მოსდგამს მუ-  
დამ სისრულეში მომავლობა, არაო-  
დეს არც ხალხის ცხოვრება არ დარჩე-  
ბა მუდამ ერთ და იგივე მდგომარეო-  
ბაში: აღიძვრის თუ არა ცხოვრებაში  
იმდენი ძალა, რომ საკმაო იქნება ახალ  
საშუალების მოსაპოვნელად და ძველი  
ფორმის გადასაგდებათ, იმავე წამს  
ცხოვრების წინსვლელობაც დაიძვრის  
და ატყდება გამწარებული ბრძოლა  
ძველ წყობილების და ახალ მოთხოვ-  
ნილების შუა“ (ტ. I, გვ. 11).

გ. წერეთლის ეს შეხედულებები სა-  
ყურადღებოა არიან არა მარტო მით,  
რომ საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი  
ისტორიული მიდგომის საინტერესო  
ედას წარმოადგენენ, არამედ მითაც,  
რომ ავტორი ცდილობს ერთგვარი რე-  
ვოლუციური დასკვნები გააკეთოს. თუ  
აქ მხოლოდ ჩანასახში ვხედავთ, ჯერ  
ერთი იმას, რომ საზოგადოებრივი  
ცხოვრება წინააღმდეგობათა გზით  
მუდმივ განვითარებაში იმყოფება და,  
მეორეც, იმას, რომ საზოგადოებრივი  
ცხოვრება განსაზღვრავს, მასზე აღმარ-  
თულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ  
ზედნაშენებს, სამაგიეროდ ნათლად  
არის გამოთქმული ის აზრი, რომ არ  
არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების  
უცვლელი ფორმები და მარადიული  
წესები, რომ ახალი საზოგადოებრივი  
წყობილება არ შეიძლება მშვიდობიანი  
საშუალებით შეიქმნას, იგი ბრძოლის  
გზით უნდა დამყარდეს.

გ. წერეთელი ცდილობს გაემიჯნოს  
ნაროდნიკების მცდარ და მავნე შეხე-  
დულებას კაცობრიობის ისტორიის

მსვლელობაზე, უარყოს სუბიექტურ-  
იდეალისტური შეხედულება „აქტიური  
„გმირებისა“ და პასიური „გმირებისა“ შე-  
სახებ. იგი წერს: „დიდი უმეცრება და  
მეცნიერების წინააღმდეგობა ის აზრი,  
ის დარწმუნება, ვითომც ერთ კაცს,  
რაც უნდა დიდი ნიჭის პატრონი და  
გონებით ძლიერი იყოს, შეეძლოს მთე-  
ლი კაცობრიობის, მთელი ერის ცხვრე-  
ბის ფარასავით, აქეთ-იქით მიერე-მო-  
რეკვა ან ვითომც თავის ფრაკის კულზე  
შეეძლოს იგი გამოაბას და ნებისმიერ  
ატაროს“ („ცვალი“ № 11, გვ. 166,  
1899 წ.).

გ. წერეთელი იმ აზრს იცავს, რომ  
ყოველი პიროვნება შეიღია თავის  
ეპოქის, ხალხის, კლასის და მას მაშინ  
შეუძლია გახდეს გამოჩენილი პიროვ-  
ნება, როცა იგი მისი ეპოქის, თავისი  
ხალხის, თავის გულისწადილსა და სურ-  
ვილებს შეისისხლხორცებს და გამო-  
ხატავს.

„ყოველი კაცი და განსაკუთრებით  
ის, — ამბობს გ. წერეთელი, — ვინც  
გარემოების ძალით საზოგადოების მე-  
თაურათ გამხდარა, ყველაზე პირველად  
შეიღია თავის ერის და საზოგადოები-  
სა, მის მკერდზეა მისივე ძუძუთი გა-  
ზრდილი. იმას შესისხლხორცებული  
უნდა ჰქონდეს ამ საზოგადოების გუ-  
ლის წადილები. ამ საზოგადოების, ანუ  
კლასის ინტერესები. ის მაშინ ხდება  
და მხოლოდ მაშინ მისი დროშის მატა-  
რებელი, როდესაც თავის საზოგადოე-  
ბის ანუ რომელიმე კლასის გულისწა-  
დილს, მის ინტერესებს სრულად შეიგ-  
ნებს და ამ ინტერესების გულისთვის  
დაიწყებს ბრძოლას, მას მიემხრობა,  
მას ექმნება, ასე ყოფილა ყოველ  
დროს, ასეა მთელ განათლებულ ქვეყა-  
ნაში, ასეა ჩვენშიაც. ყოველი საზოგა-  
დო მოღვაწე მხოლოდ მაშინ მოიპოვს  
საზოგადოების სიმპატიას და მაშინ შე-  
იკრებს გავლენის ძალას, როცა ის ხდე-  
ბა ნამდვილი გამომეტყველი და წარ-

მომადგენელი საზოგადოების, ანუ რომელიმე კლასის ინტერესებისა“ (იქვე).

გ. წერეთელი მიუთითებს „საკვირველ შინაგან დამოკიდებულების არსებობაზე“ „ისტორიულ პირებსა და იმათს დროს შორის“: „უამთა ვითარება და ისტორიული კაცები თითქოს ტყულები იყონ, თითქოს ერთი სასიცოცხლო ძარღვით იყონ შებმულნი ერთმანეთზე; დრო რომ გამოიცვლება, იმის ტყუბი წარჩინებული კაციც უსათუოთ მოკვდება; ან თუ რომელიმე ისტორიული კაცი მოკვდა, უსათუოდ იმის ტყუბი დროც თან გაპყვება“ (დროება“ № 41, 1879 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ გ. წერეთელმა პიროვნების ჯიშის შესახებ ისტორიაში გამოთქვა მთელი რიგი საინტერესო, ზოგ შემთხვევაში სწორი აზრები, მან მაინც ვერ დააღწია თავი იდეალიზმს საზოგადოებრივი მოვლენების ახსნაში და საბოლოოდ მთლიანად დადგა ნაროდნიკული სუბიექტიური სოციოლოგიის პოზიციებზე.

1871 წლის შემოდგომაზე თბილისში გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ივანე თარხნიშვილმა წაიკითხა რამდენიმე ლექცია — „ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“, რომელმაც მაშინ მოწინავე ქართველ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ი. თარხნიშვილის მიერ განვითარებული შეხედულებების გათვალისწინებით გ. წერეთელი შეეცადა მატერიალისტური თვალსაზრისით აეხსნა ადამიანის მოქმედება. მან კატეგორიულად უკუაგდო იდეალისტური შეხედულებების თავისუფლების შესახებ, რომლის თანახმად „ყოველი კარგი და ცუდი მოქმედება კაცისა თვითონ საკუთრათ იმის ნებაზე და სურვილზე არის დამოკიდებული“, და მხურვალედ დაიცვა ჯერ კიდევ ფრანგი მატერიალისტების მიერ დასაბუთებული შეხედულება, რომ ადამიანის მოქმედება „იმ

გარემოებებზეა დამოკიდებული, რომელნიც ადამიანს გარს ატყუებ, რომელნიც კაცის გარეშე იმყოფებიან“. ამ აზრის დასამტკიცებლად გ. წერეთელმა რობერტ ოუენი დაიმოწმა და ასეთი დასკვნა გააკეთა: „მივციოთ შვიერს პური, შიშველს ტანის-სამოსი, დააკმაყოფილეთ იმის ყოველი კაცობრიული მოთხოვნილება და დარწმუნებული იყავით, ქვეყანაში ისე გაძვირდება ცუდ-კაცობა, როგორც ახლა კეთილი საქმეა გაძვირებული; და ეს ღარიბი კაცის აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და თან ბოროტი საქმეების შემცირება (თუ არ მოსპობა) მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ჩვენი ცხოვრება უფრო სპარათლიანად იქნება გამართული და როდესაც ღარიბის შრომით მდიდარი არ ისარგებლებს“ („დროება“ № 45, 1871 წ.).

გ. წერეთელს არ შეეძლო თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემის დიალექტიკურ-მატერიალისტური გადაწყვეტა მოეცა. იგი ამისგან შორსაა. მაგრამ ამ საკითხის მატერიალისტური თვალთახედვით განხილვა, მისი დაკავშირება სოციალიზმთან და მისგან სათანადო პრაქტიკული დასკვნის გაკეთება იმ დროისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

მარქსი, მიუთითებს რა იმაზე, რომ ფრანგული მატერიალიზმის ერთ-ერთი მიმართულება „პირდაპირ სოციალიზმსა და კომუნისმს ერთვის“, ამბობს: „დიდი ჰქუა არ უნდა იმის გავებას, თუ რა კავშირი აქვს მატერიალიზმის მოძღვრებას... სოციალიზმთან. თუ ადამიანი მთელ თავის ცოდნას, შეგრძნობას და სხვ. გრძნობადი ქვეყნიერებიდან... იღებს, მაშინ ემპირიული ქვეყანა ისე უნდა მოეწყოს, რომ მან იქ ჰეგემონიტი ადამიანობა შეიცნოს. რომ შეეჩვიოს თავისი თავი ადამიანად აღზარდოს... თუ ადამიანი თავისუფალი არაა მატერიალისტური აზრით, ე. ი. თუ მისი თავ



# ბიბლიოგრაფია



აქაკი წარითელი. თხზულება. ტომი მე-5, დრამატული ნაწარები ი. გრიშა-  
შვილის რედაქტორებით, თბილისი, 1949 წ. სახელწავში.



სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა აქაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის მეხუთე ტომი, რომელშიც ორიგინალური და თარგმნილი პროზად დაწერილი დრამატული თხზულებები შევიდა. მართალია იუჩკარებლად, მაგრამ სახელმწიფო გამომცემლობამ მაინც მეხუთე ტომამდე მიიტანა აქაკის მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემა. იგი პირველია თავისი მოცულობით. ამ გამოცემამდე ცოტად თუ ბევრად სრული გამოცემა იყო აქაკის ხელნაწერების კარგი მკოდნის სერგი გორგაძისა და ალ. აბაშელის რედაქციით გამოცემული რჩეული ნაწერების ოთხი ტომი, მაგრამ, მიუხედავად ნაკადი რედაქტორების მუშაობისა, ამ გამოცემას ბევრი ნაკლი ჰქონდა. არ იყო დადგენილი თხზულებათა თარიღები, არ იყო ამოწურავი შენიშვნები და, რაც მთავარია, იგი არ იყო სრული. ამ გამოცემაში დრამატულ თხზულებებს მიეძღვნა მესამე წიგნი, 405 გვერდიანი. ამ ტომში იქ 581 გვერდია და თანაც მხოლოდ პროზად დაწერილი პიესებია შესული. ეს გამოცემა იმიტომ არის საინტერესო, რომ გამოქვეყნებულია აქაკის მიერ თარგმნილი ზოგიერთი პიესა, აქამდე რომ არ იყო ვერაოთ საზოგადოებისათვის ცნობილი, შეტანილია აქამდე დაუბეჭდავი პიესები, აგრეთვე ისეთიც, რომელიც ს. გორგაძეს ხელაღმორჩა თავის „ბიბლიოგრაფიაში“ (მაგ., „რეპერტივია“), ზოგიერთს მიეცა ნამდვილი სათაური (მაგ., „განთიადი“)... წინა გამოცემის რედაქტორებს ყველა სიძველეთსაცაივ არ ჰქონდათ შეგვრებული, უმთავრესად კი საცენზურო კომიტეტის ფონდი ცენტრალური ინსტიტუტი არქივისა, აქ დახსენებულია ზოგიერთი პიესის დაწერის დრო, იმ წინა გამოცემაში კი აღებული იყო პრინციპი პირველად გამოქვეყნებისა.

სარეცენზო ტომში შესულა 22 ორიგინალური პიესა და სცენა და ოთხივე თარგმნილი დრამატული თხზულება, დართული აქვს ამ ტომის რედაქტორის ი. გრიშაშვილის სიყვარულითა და ცოდნით დაწერილი შენიშვნები. თხზულებები დალაგებულია ქრონოლოგიურად და აჩვენებს აქაკის დრამატული შემოქმედების ზრდას.

აქაკი წერეთელი აზრების გამოსათქმელად შემოქმედების ყველა ფორმასა და ხერხს მიმართავდა, დიდებულმა პოეტმა სიმართლის სამსახურსა და სამშობლო ქვეყნის სიყვარულს შეაღია თავისი კარგი სიცილებე. ილია ქვეყნადამესთან ერთად აქაკიმ ზიდა წვენი ქვეყნისა და ხალხის სამსახურის ტვირთი და პირნათლად მოიხადა მოქალაქის ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. თეატრი და სცენა აქაკი წერეთელს მიანდა ხალხის სამსახურის ასპარეზად. ერთგულთა თეატრი და სცენაო, — ამბობდა იგი, — უნდა იყოს ამბიონი, საიდანაც საზოგადოებაში უნდა ვადადიოდეს ნამდვილი მიმწოდებელ-აღმართოვანებელი ხმაო. დრამატული შემოქმედებაც იმ კანონს დაუქვემდებარე პოეტმა, რომ ყველაფერი გონების გამოამხიზლებელი და აღმზრდელი იმიტომ მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო, რომ მიძინებული ერთგულთა გრძობა ვაეღვიძებინა და გმირობა-ვაეკაცობისაკენ წარგმართა ადამიანი. ქართული ხალხის ყოველდღიური ცხოვრების ანარეკლია აქაკის შემოქმედება საერთოდ და დრამატული თხზულებები კერძოდ. აქაც პოეტი ისტატურად დასცინის უარყოფით მოვლენებსა და ადამიანებს. სახელმწიფო აპარატსა და მის მსახურთ. არა ერთი და ორი თხზულება უძღვნა აქაკიმ სასამართლოს მოსამართლეებს და ადვოკატებს. „კაზიონურ“ დამოკიდებულებას ადამიანისადმი, ჩინოვნიკობას და ძველი კანონის ველურობას. ერთერთ თხზულებაში — „სცენა საპატიმროში“, პოეტს საქართველოს

სხვადასხვა ეუბოს მცხოვრები გამოყვანა, თითოეული თავისი დამახასიათებელი კოლოკაციით აუღამარაკებია და თითქმის დაღეჭების წარმოდგენაზე გადაჭყვნიწარმოების სიმბოლე, წამდელიად კი ლაპარაკია ქურდებისა და მძარცველების ბანდებზე, რომელიც ხალხსა და საცელწმფიფოს სათავეში ჩასდგომა.

ბევრი დრამატული თხზულება და სცენა დაწერიია აკაკის, რომლებშიც გაიკლულია ძველი თაობის წარმომადგენელი, უსაქმური აბღაზრდები, სახელწმფიფო მიხელეა უკუ-ნული აკაკი ჰეიტხავედა იმით, რომელთაც ერთნული ვრძონბა დასწლუნგებოდათ, რომელნიც საზოგადოებრივ უჯრედს, ოჯახს ანგრევდნენ და ზელს უწყობდნენ საერთოვთ ცხოვრების მოშლის. აკაკი საყვარელით ლაპარაკობს იმ გმირთა შესახებ, რომელნიც პოეტის სურვილის გამოშატეველი არიან, ქვეყნისა და ხალხისათვის თადადებულნი.

აკაკი, ძირითადში, ყურადღებას აქცევს აზრს. მისი დრამატული თხზულებები სიცოცხლით აღსავსენი, არიან. გამართული მყვირბლი სასაუბრო ვინთა და რბულიზით-ზოგიერთი პიესა ნაუცხათევედ დაუწერია („კონტო“, „სიყვარული“). მაგრამ მთშიც დიდი პოეტური ძალა ჩანს. ეს არის მიხეზი, რომ აკაკის ბევრი თხზულება სცენაზე იდგმებოდა და იდგმება ახლაც.

გარდა ორიგინალური პიესების ტომში შეხულია მოლიერის „საკაენის ცულუტობა“. აკაკიმ დიმიტრი ყოფიანსა და ივანე მამბელთან ერთად მოლიერის კლასიკური თხზულების თარგმნით გამდიდრა ქართული თეატრის რბერტუარი ვეროპული დრამატული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებით. საველისხმოა აზერბაიჯანელი ფილოსოფოსისა და მწერლის მირზა ფატალი ახუნდოვის შემოქმედებით დაწერილსება, რაც აკაკის მისი პიესის „ბანის ვეზირის“ თარგმანით გამოუხატავს. აღსუშმათაშვილის „ღალატის“ თარგმანით კი აკაკის დაუმტკიცებია პიტეისციემა საყვარელი მწერლისა და მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობისადმი, თუცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვრ. ყოფიძის თარგმანთან შედარებით ამ თარგმანს ფეხი ვერ მოუკიდია ქართულ სცენაზე. აქვეა პოლონელი მწერლის ჰენრიკ სენკევიჩის „ვიდრე ზეალ, უფალო“.

„რედაქტორის შენიშვნები“, როგორც ითქვა, საჭმის ცოდნითა და საყვარელით არის დაწერილი ე. გრიშაშვილის მიერ. თითოეული თხზულების შესახებ მოცემულია ისტორია დაწერისა, დაბეჭდვისა, სცენაზე დადგმისა, მითითებულია სად და რა სახით ინახება ესა თუ ის თხზულება. შენიშვნებში უხვად არის წარმოდგენილი ის ძვირფასი საარქივო მასალა, რაც

თვით რედაქტორთანა დაცული და რაც შეეხება პიესათა დადგმებსა და პირველ მითიამ-შეებს. უხვია შენიშვნებში არამარტკმირი მასალაც, მაგ. სენკევიჩის თხზულებების ქართული თარგმანების მიხილოგრაფია და სხვ.

აკაკის მკვლევართა შორის პირველმა ე. გრიშაშვილმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ „ესკარში“ 1868 წელს გამოქვეყნებული „არსენას“ პირველი მოქმედება (პიესა მთლად არ დაბეჭდილა) და 1880 წელს „ივერიაში“ დაბეჭდილი „კულურ ხანუმი“ ერთმანეთთან ახლოდგანან მოქმედ პირთა ხასიათებითა და თვით პოეტის დამოკიდებულებით ამ გმირებთან. ამის საფუძველზე ე. გრიშაშვილი დასკვნის, რომ შესაძლებელია, რადგან ცენზურამ აღარ გაუშვა „არსენა“, აკაკიმ შემდეგ გადაასხვინარა იგი და შექმნა „კულურ ხანუმი“. ამ მოსაზრების დაშვება შეიძლება, რადგან პიესის სათაურისა და ფორმის გადაკეთების პრაქტიკა აკაკის ჰქონდა, ეგულისხმობთ „პატარა კახს“, რომელსაც აკაკი მანამდე არ მოეშვა, ვიდრე არ გამოქვეყნა. მანამდე კი რამდენიმე სათაურით წარუდგინა ეს თხზულება ცენზურას. მაგრამ „არსენა“, როგორც აღმოჩნდა, რუსულად არსებობს ლენინგრადის ერთ-ერთ არქივში. საბოლოო და გადაამყვეტი სიტყვის თქმა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა რუსულად დაწერილი პიესა გამოქვეყნდება და შედარებაც შესაძლებელი გახდება.

შენიშვნებში იმითაა კიდევ საინტერესო, რომ მკითხველს ერთად შეერებილი ეძლევა ამათუ იმ პიესის შესახებ გამოთქმული აზრები რეცენზიების სახით. ამ რეცენზიებში ჩანს ქართული საზოგადოების სიხარული, გამოყველი თეატრის წარმადებებით. ეს მასალა ზომ ერთერთი მნიშვნელოვანი წყაროა ქართული თეატრის ვრცელი ისტორიის დასაწერად.

„რედაქტორის შენიშვნებზე“ საჭიროა რამდენიმე შენიშვნა, რაც, რასაკვირველია, ნირს არ შეუცვლის არაფერს.

54-ე გვერდზე და ორჯერ მიმდენოზე ლაპარაკია „დროების“ დამარსებელსა და რედაქტორზე ვიოტავი წერეთელზე, რომლის სახელი საშავრად სხვაგვარად სწერია. გამოუცდილ მკითხველს ახალი ვინმე ეგონება ეს ვრთვოლ წერეთელი.

არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ საიდან თარგმნა აკაკიმ მოლიერის, სენკევიჩის ან ახუნდოვის პიესები. აკადემიურ გამოცემაში მითითებული უნდა იყოს წყაროები. „სიყვარულის“ შენიშვნაში რედაქტორი წერს, რომ გამოცემას საფუძველად დაედო სხვისი ზელით გადაწერილი ტექსტი, თუცა ავტოგრაფთან შედარებულთ. ავტოგრაფი კი მაინც ავტოგრაფია, მით უმეტეს, როცა იგი ჩასწორებულ-



წამატებულია შერლის მიერ, ასევე „განთი-  
დის“ ტექსტისათვის სხვისი ზელით გადაწერი-  
ლი არის გამოყენებული. ამ პიესის შენიშე-  
ნაში არ იყო საჭირო შინაარსის „ივერიანეუ-  
ლი“ ტექსტი. თხულება დაბეჭდილია ტომში,  
შინაარსი კი გადმოცემულია რევენსენტის მო-  
ნათხრობით (გვ. 565).

„რედაქტორის შენიშვნები“ ამშვენებს იკა-  
კის ამ ტომს, რომლითაც მკითხველმა კარგ  
საჩუქარი მიიღო. რჩება ერთი/სტრუქტურა: შალე  
დაამთავროს საბელგამში ს. სკაქო // სტრუქტურის  
თხულებების გამოცემა და დაანჭაროს ილია  
ჭაქვაძისა და ვაჟა-ფშაველას თხულებათა  
გამოცემის საქმე.

ს. ხუციშვილი.

მ3. ხორნაული, „ფშავ-ხევსურული პოეზია“, სახელგამი, 1949 წ.



„სახელგამმა“ ახლახან გამოიცა ივ. ხორნაუ-  
ლის მიერ შედგენილი ფშავ-ხევსურული პოე-  
ზიის კრებული.

წიგნი შეიდი განყოფილებისაგან შედგება, სა-  
დაც თემატიკის მიხედვითაა განაწილებული და  
დალაგებული ლექსები. კრებულში გვხვდება  
ისეთი ლექსებიც, რომლებსაც მკითხველი უკვე  
დიდი ხანია იცნობს ნაბეჭდის სახით („ეგები  
უთხრათ სტალინსა“, „ვეფხვი და მოყმე“ და  
სხვა). მაგრამ ყველა ეს ლექსი კრებულში წარ-  
მოდგენილია სხვაგვარად, ახალი ვარიანტით.  
კრებულში მოთავსებული ლექსების უმეტე-  
სობა კი დღემდე უცნობია მკითხველისათ-  
ვის. პირველად გამოქვეყნებულ ლექსთა შორის  
არის როკოც ძველი, ისე ახალი, საბჭოთა ზე-  
ლისუფლების დროს და დიდი სამართალ ომის  
პერიოდში შექმნილი ლექსები.

თავისუფალი მთიელი ხალხი თავისი საუცე-  
თესო ლექსებით უმღერის მათთვის ზედნიერე-  
ბის მიწინააღმდეგარსა და ახალი ცხოვრების შე-  
მოქმედთ ლენინსა და სტალინს:

„ლენინ-სტალინის სიტყვები,  
ფრანგულ ზმალავით სტრისაო.  
ნუცე გამიგონავ, ამბობენ,  
სიყვდილი ლენინისაო“... (გვ. 17).

აწდა:

„მანამღი ჰყავის სამყარო,  
ძალია ბუნებისაო,  
ქვეყანას სტალინ მიუძღვის  
ერთგული ლენინისაო...“ (გვ. 18).

ერთნაირად ამკობს სტალინის სახელს ფშავ-  
ლის მოსწრებელი სიმღერა და ხევსურის ვე-  
აკუური სულით გაყვანილი ლექსი. ისინი  
მგზნებარე სტრიქონებით უმღერიან ფშავ-ხე-  
სურეთისათვის დიდ ამავის დამდებს ფაერენტი  
ბერიას. თავისი სიხსტარბი და ძარღვიანი  
პოეზიით უხდიან მადლობას პარტიასა და ზე-

ლისუფლებას ზედნიერი ცხოვრებისათვის. მო-  
ხუცი ხევსური ასე არივებს ახალგაზრდებს  
ლექსში „ხვესურეთის ინტერნატს“:

„ჩვენცა ვეპარვართ უსწავლნი,  
წელმოწვევებლი ჯადეთა,  
კვეო ამდენი სიბნელი,  
ცხოვრება ოფლის ქაფითა,  
მთელი ქვეყანა განათლდა,  
იფიქრეთ, რასა ვნადითა...“ (გვ. 34).

კრებულის განყოფილება „ფშავ-ხევსურული  
საბჭოთა პოეზია“ მთელს წიგნში გამოირჩევა  
თემის სიახლეთა და მრავალფეროვანებით. აქ-  
ვეა სამამული ომის თემაზე გამოთქმული ლექ-  
სებიც. შემდეგ თავში შესულია საისტორიო  
და საგმირო ლექსები. ხალხი დიდი პატივის-  
ცემითა და სიყვარულით იგონებს ქართველ  
მეფეებს — ერეკლესა და თამარს, აჭებენ ლუ-  
ხვის, ზეზას, ხირსა ბაბურაქლისა და სხვა-  
თა თედადებულ ბრძოლას სამშობლოსათვის.  
მაგრამ ეს მდიდარი და მრავალფეროვანი მასა-  
ლა ვერ არის კარგად დალაგებული და არამე-  
ცნიერულადაა დამუშავებული.

კრებულს „ფშავ-ხევსურული პოეზია“ აწე-  
რია, მაგრამ მკითხველისათვის ვაუგებარია,  
რომელი ლექსია ფშაური და რომელი ხევსუ-  
რული. ყოვლად შეუძლებელია, ერთიდა იგივე  
ლექსი ფშაურიც იყოს და ხევსურულიც.

ცალ-ცალკე დღავება თუ მოუხერხებელი  
იყო, ხომ შეიძლებოდა შენიშვნებში მიიწე მზე-  
თითებინათ ამათუ იმ ლექსის სადაურობაზე.  
კრებულის შემდგენლისათვის ეს არც თუ ისე  
ძნელი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ იგი დიდი  
ხანია მუშაობს ხალხური პოეზიის შეკრებაზე  
(პირველად 1939 წელს გამოსცა „ფშაური მი-  
ლექსებანი“). ამავე დროს იგი ადგილობრივი  
მცხოვრებია და ორივე დიალექტს კარგად უნ-  
და ანსტავებდეს ერთმანეთისაგან. თუ შეხედ-  
ველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ

კრებულს, წმინდა ლიტერატურული დანიშნულების გარდა, მოეთხოვება ეთნოგრაფიულ და საენათმეცნიერო მოთხოვნებსაც აკმაყოფილებდეს, სარეცენზიო კრებული თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს.

დაწყებით დიალექტების ერთმანეთში არევიდან. ლექსი „ბერდიშვილი და ქისტები“ (გვ. 98) არხოტელისაგანაა თქმული და არხოტელებს ეგება. საინტერესოა, საიდან გაჩნდა ამ ლექსში არხოტელი კილასათვის სრულიად მოულოდნელი ფშაური სიტყვა-გამოთქმები: „წამოს“, (ნაცვალ—წამავას?), „მენ“ (ნაცვალ—მე“), „დაკმინა“ (ნაცვალ—დავმინა“), „მახაეის“ (ნაცვალ—მახაეის“). სრულიად უაზროა იმავე ლექსის პირველი სტრიქონი:

„ღმერთო ნუ დამცემ ამინდას“ (?)

აქ უკანასკნელი სიტყვა უნდა იკითხებოდეს — „ამინსა“ (ამინა) და არა ამინდას. ასე არის ფორმები და მაწარმოებლები არეული, ფშაურისათვის დამახასიათებელი ხვესურულში ხვესურულისა — ფშაურში. აგრეთვე არეულია და ერთმანეთის მაგიერ ნახშირი „ხ“ და „ჟ“. 115-ე გვერდზე ვკითხულობთ:

„უბნის შავსმენ ვაველებულსა“ (?) არცერთი ფშაველი და ხვესური არ იხმარს ამ შემთხვევაში უს. საქმე იმაშია, რომ „ველი“ სულ სხვა რამეა და „ხელი“ — სულ სხვა. „ველი“ ადამიანის ორგანიზმის ნაწილია, ხოლო „ხელი“ შეშლილი, ვადარებულს ნიშნავს, (ხელს ხვესურებში ვალაღებულს მნიშვნელობითაც ხმარობენ). სწორედ ამ მნიშვნელობით უხმარია იგი მოლექსეს, ესე იგი, უნდა იყოს: „ვაველებულს“ და არა „ვაველებულსა“. ასეთი შემთხვევები მრავალია: „სურგელის ვაველებული“ (?) (196 გვ.) — ნაცვალ ვახვლებულისა, „საკვირელი მოველემ“ — „საკვირველი მოვიბელემ“ (ხილვ) (გვ. 212), „მთა-კორხი“.. (?) (წილვ) (გვ. 212), „მთა-კორხისა“. წიგნში ასეთი დამახინჯებები ბევრია, მაგრამ ყველას აღნიშვნა შორს წაგვიყვანდა.

შემდგენილი სქოლიოში უცდია სიტყვების ახსნა, მაგრამ მრავალი მთავანი მდებარედ განუმარტავს. ასე მავალითად, „ფარავი“ — ქალის ტანსაცმელიაო ვკითხულობთ 91-ე გვერდზე. „ფარავი“ ტანსაცმლის ნაწილია და არა მთლიანად ტანსაცმელი. „კისტანი“ — ქისტების სოფელიაო ვკითხულობთ 97-ე გვერდზე. არ არის სწორი. სოფელი კისტანი ხვესურეთშია. „უფერი“ — ცუდი“ (?) ასეა „ახსნილი“ ეს სიტყვა ამ შემთხვევაში აესულს ნიშნავს. „ქია“ (გვ. 202) ახსნილია როგორც პირად ლამაზი. არც ეს განმარტებაა სწორი. „ქია“ ნიშნავს ნახს, მაგრამ უფშოს. „ანაბარი“ (გვ. 236) ერთგან ახსნილია როგორც თქმა: „რა იმპავია“, ხოლო

მეორე ადგილას როგორც „სიკეთე“. რომელს დაუგეროს კაცმა? — არც ერთს, ეს ნიშნავს — „რას ეძალებო“.

აეტარი არასწორად ასახელეს მიქველდა და ჩაწერაო გვარებს, არა სწორად მოყავს ჩაწერის წლებიც. ამიტომ გამოუდის მას ასეთი ანაქრონიზმები: ერთ-ერთი ხვესურული ლექსის „შურის ძევის“ ჩაწერისა და თქმის დროდ ასახელებს 1930 წელს, მიქველად კი — ვ. ლიტოკელს, რომელიც მაშინ 7 — 8 წლისა თუ იქნებოდა. შემდგენელს ეს ლექსი კრებულში სულ არ უნდა შეეტანა. ენათვის არის საჭირო სისხლის აღების ხიტების მოთავსება კრებულში, მაშინ როდესაც იმავე ავტორის ბევრი იდეურად გამართული და თანამედროვეობის ამსახველი ლექსი აქვს თქმული. შეიძლება ამ უხერხულობის დასაფარავად გადასწია შემდგენელმა თქმის თარიღი უკან. ლექსს „ხურაბის დაცემა ხვესურეთზე“ ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „მიქველი მამუკა თათარას-ძე ლიტოკელი, სოფ. კობულე, 1934 წელი“. შეითხველს შეუძლია გადაშალოს 1931 წელს გამოცემული ა. შანიძის „ხალხური პოეზია“ (ხვესურული). ეს ლექსი იქ პირველ გვერდზეა დაბეჭდილი. საინტერესოა, 1931 წელს დაბეჭდილი ლექსი (და ვინ იცის, როდის ჩაწერლი) როგორ „ითქვა“ 1934 წელს..

როგორც ხეშოთაც აღენიშნეთ, კრებულში შეტანილია ისეთი ლექსებიც, რომლებიც სხვადასხვა შემკრებთა მიერ წინათვე იყო გამოქვეყნებული. განსაკუთრებით ბევრია ამოღებული დასახელებული აკ. შანიძის წიგნიდან. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ ხელმოწერდ გამოქვეყნებისა, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი ბორნაულმა ერწო-თიანეთურ და ფშაურ კოლოში ვათქმეთა ხვესურულ პოეზიის მეცნიერულად გამოცემული ძირითადი ვარიანტები და ისინი შეკითხველს შერყენილი სახით მიაწოდა. ამის მიზეზი უთუოდ ისაა, რომ შემკრებმა ნაცვლის შრომა გასწია: მთელი რიგი ლექსები ჩაწერლია სხვადასხვა პირებისაგან, შემდგენლის უშუალო ხელმძღვანელობის გარეშე.

არის ხალხურ შემოქმედებაში ისეთი მასალა, რომლის შეუსწორებლად დაბეჭდვა არაა მიზანშეწონილი. თვით შემკრების მიერ „შესწორება“ და „ვადაკეთება“, რა თქმა უნდა, ყოველად შეუწყწარბებელია. ის თვითონ უნდა შეესწორებინა ავტორ-მოქმელს. მავალითად, ლექსში „დავადგენ ხვესურთ სიასა“, არის ასეთი სტროფი:

...სწავლაც ვეღაზე მეტია,  
კლამზე თუ აქვს ვუღოა-  
იმღერდას ლეინით  
და მითერაღი(?)  
ბაზარზე ვამოსულია(?)

ასე აქვს მოქმედს წარმოდგენილი სწავლის რაობა. ამის მოქმედი დღესაც ცოცხალია. შემდგენელს სხვა ვარაირტი უნდა ჩაეწერიდებინა. კრებულში დაბეჭდილია ლექსი „სულ ყველას დავაიწყებია“. ნუ თუ არ იცის იგი. ზოგან უნდა, ვინ იყო ამის მოქმედი? რა საქმით იყო ასეთი წუწუნის შეტანა კრებულში, მაშინ, როდესაც სხვა, იდეურად უფრო ჯანსაღი მასალა შესაყრები და გამოსაქვეყნებელი?

დაუდევრობის ერთ-ერთი დამამტკიცებელი ისიც, რომ წიგნს სარჩევი არა აქვს. ამ შედეგობების თავიდან აცილება შეუძლებელია უთუოდ უნდა შესძლოს შემდგენს გამოცემაში, თუ უნდა მას, რომ წიგნი უმასუხებდეს მკითხველის მოთხოვნილებას.

ირაკლი არაბული,  
დავით გოგოჭაური.

### მოდბანი ქართულად

★

ქართულ თარგმნით ლიტერატურას შეემატა გამოჩენილი ფრანგი მწერლისა და ფილოსოფოსის — ვოლტერის ფილოსოფიური მოთხრობები.

წიგნი შეიცავს სამ მოთხრობას: „ზადიგი“, „კანდიდი ან ოპტიმიზმი“ და „ზაბილონის პრინცესა“.

თარგმანები შესრულებულია ნ. ქაღვიშვილისა და რ. დოდაშვილის მიერ.

ვოლტერის ქართულად თარგმნა დიდი ხანია ინტერესებდა ჩვენს ქართველ მწერლებს. ალ. ჰაქიაძემ პირველად უშუალოდ ფრანგულიდან ვოლტერის ორი ტრაგედია უთარგმნა: „ზაირა“ და „აღზირა“ და ბოლოს თ. სახოკიას უთარგმნა ვოლტერის „უმანკა“.

ვოლტერის ფილოსოფიური მოთხრობები თარგმნილია უშუალოდ ფრანგულიდან კარგად გამართულ ქართულ ენით.

თარგმანები ადეკვატურია, მასში იგრძნობა დინამიზმი და ლაკონიზმი, ისინი ნაწარმოების იდეასა და ვანწყობილებას ვალდებულყვენ. თარგმანები უსათუოდ ფრანგული და ქართული ენების საფუძვლიან ცოდნას ამკლავებენ.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მთარგმნელები საქმოდ იცნობენ თარგმნითს ტექნიკას, ავტორის იდეას, ენას, სტილს, და იმ ეპოქასაც, რომელშიც თვით ავტორი ცხოვრობდა.

თარგმანების ორიგინალთან შედარებამ ნათელი ის მდგომარეობა, რომ ისინი ახლანდგანან ორიგინალთან და ავტორის ძირითად იდეას გადმოგვცემენ. მთარგმნელები ანგარიშს უწყვენ უცხო ენის იდიომატურ გამოთქმებს შესაფერისი ქართული ადეკვატებით, რაც ხელს უწყობს სწორად გადმოგვცეს ორიგინალის ვანწყობილება.

ამ დავითთ მხარეების გარდა, თარგმანებს აბსოლუტურ ზოგიერთი ნაკლებობებიც, როგორცაა: ცალკეული სიტყვების არასწორი ვალდებულება, ცალკეული სიტყვებისა და წინადადებების

ბუბის გამოტოვება, საკუთარი სახელების არასწორი გამოტანა, შეუსაბამი გამოთქმები და ზოგჯერაც დედანის არასწორი ვაცვები.

„ზადიგს“ წინ დართული აქვს შემდეგი სიტყვები: „Approbation. Je soussigné, qui me suis fait passer pour savant, et même pour homme d'esprit, ai lu ce manuscrit, que j'ai trouvé, malgré moi, curieux, amusant, moral, philosophique, digne de plaire à ceux mêmes qui haïssent les romans. Ainsi je l'ai décerte, et j'ai assure monsieur le Cadleskier, que c'est un ouvrage détsstable“ Zadig. (Voltaire. „Romans et Contes“ tome premier édités à Londres, page 4).

ქართულად: „დასაბუთება. მე, ქვემოთ ხელსმომწერმა, რომელმაც მეცნიერისა და კვიანმს კაცის სახელი გაეთქვი, წაეკითხე ეს ხელთნაწერი, მიუხედავად ჩემი სურვილებისა, იგი მე ეცანი, როგორც საინტერესო, გასართობი, საზნეობო და ფილოსოფიური ნაწარმოები. მივიჩნიე იგი ყველა იმთ მიწონების დროსადაც კი, ვინაც სძულს რომანები. მაშასადამე, დავეძვე ეს ნაწარმოები და დავარწმუნე ბატონი კადილესკიე მასში, რომ იგი საზარელია“.

მეწათვის უცნობი მიზეზით მთარგმნელებს ეს შესანიშნავი ადეგილი გამოუტოვებიათ, რაც ჩვენი აზრით არ უნდა იყოს სასურველი.

— ბატონი ბარონი ექსტელისი ერთ-ერთი უძლიერესი მებატონე ვახლდათ, რადგანაც მის ციხე-დარბაზს კარ-ფანჯრები ჰქონდა. დიდი დარბაზი ხალიჩებითაც იყო მოართული. საქართველის შემთხვევაში, ბარონის უკანა ეზოს ძალელონ შეტეგებდა იქცოდნენ, მეკვინიბებში მონადირეებდა, სოფლის ხუცესი კი მღვდელთუხუცესად. ბარონს ყველა მომსენიორს უწოდებდა და ყველა იცინოდა, როდესაც იგი ამბავს ჰყვებოდა“. (ვოლტერი, „ფილოსოფიური მოთხრობები“, გვ. 93-4, თარგმანი რ. დოდაშვილისა).

ეს ადეგილი ვოლტერს ფრანგულად ასე აქვს: „Monsieur le baron était un des plus puis-

sants seigneurs de Vestphalie, car son chatte avait une porte et des fenêtrés.

Sa grande salle, même était ornée d'une tapisserie. Tous les chiens de ses basses-cours composaient une meute dans le besoin, ses palefreniers étaient ses piqueurs, le vicairé du village était son grand aumônier. Ils l'appelaient tous Monseigneur et ils riaient quand-il faisait des contes" (Voltaire, „Romans chosis", p. 95).

ეს ქართულად ასე იქნება: „ბატონი ბარონი ექსტრალიის ერთერთი უძლიერესი მებატონე იყო, მის ციხე-დარბაზს კარ-ფანჯრები ჰქონდა. თით მისი დიდი დარბაზი ხალხებით იყო მორთული. ბარონის უკანა ეზოს ყველა ძაღლ-ღობი, საჭირო შემთხვევაში მეძებრობას სწევ-ღენ, შეჯინბეგები მონადირეობას, ხოლო სოფ-ლის ქორეპისკოპოზი კი მოწყალების დამრი-გებლობას. ყველა ისინი ბარონს მონსენიორს ეძახდნენ და იცინოდნენ, როდესაც იგი ზღაპ-რებს ჰყვებოდა“.

რ. დოდაშვილის ტექსტის მიხედვით გამო-დის, რომ ბარონი ძლიერი იმიტომ ყოფილა, რომ მის ციხე-დარბაზს კარ-ფანჯრები ჰქონდა. აქ წინადადება მთავრდება და წერტილი აქვს დასმული. მთარგმნელი ამ შეცდომამდის მიუყ-ვანია იმ გაურთქობას, რომ არ გაურთქალისწინე-ბია ქართული ენის თავისებურებანი და ფრან-გული სიტყვა „car“ პირდაპირ ვადმოუტანა-ხენის აზრით საჭირო იყო ამ სიტყვის მთლიან-ხად ამოვდებია. ასევე მოქცეულა რუსული ტექსტის მთარგმნელი, მას ამოვდგია ეს სიტ-ყვა, რაც სწორად მივაჩნდა. ვარდა ამისა, აქ ევრ არის ვაგებული სოფლის ქორეპისკოპოზის შოვალეობა, რომელიც ბარონის მოწყალების დამრიგებლად თვლებოდა. სიტყვები: „le vi-caire“ და „aumônier“ არ არის თავის მნიშ-ვნელობით ვაგებული.

„ჯერ ქვეშებზემა ორივე მხრიდან დაახლო-ებით შევიდათასი კაცი დასცეს მიწაზე“ (გვ. 99).

აქ ფრანგული ტექსტი არ არის სწორად ვა-გებული და თანაც უყურადღებობის კვალიც ამჩნევია.

„Les canons renverserent d'abord à peu près six mille hommes de chaque côté“ (p. 99).

ქართულად ეს ადგილი ასე უნდა იყოს: — „ჯერ ქვეშებზემა დაახლოებით თვითული მხრიდან ექვსათასი კაცი დასცეს მიწაზე“.

საიდან მოიტანა მთარგმნელმა შევიდათასი კაცი? ტექსტში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ თვითულ მხარეზე ექვს-ექვსი ათასი კაცი იღ-შობნდა დახოცილი.

არასწორი მნიშვნელობით არის თარგმნილი „კარისკაცები აღმოვთებულნი იყვნენ“ (გვ. 25)

„Tous les courtisans furent fâchés“ (p. 24) უნდა იყოს თარგმნილი: „ყველა კორტისკაცები ნაწყენნი იყვნენ“.

მთარგმნელი აქ ვერ ანსხვავებს ერთმანეთი-საგან სიტყვებს „fâchés“ და „révolter“. ისე როგორც ფრანგულში, ასევე ქართულშიც, წყენასა და აღმოვთებას შორის განსხვავება არსებობს. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ბაბილონის მეფე დაქკარავს მინისტრს და მის ადგილზე დანიშნავს ზადიგს. ეს ამბავი მანდი-ლოსნებს მოეწონებოდა, მაგრამ კარისკაცები კი ნაწყენნი დარჩებოდა. „ზადიგმა მშვენიერ ყინიან მისუფეს ნება მისცა დედაბოწყე თავისუფლად ეველო. მან მისცემდა ყაჩაღი ა რ გო-ბაღი, რომელსაც დიდი პატივისცემები ადგილი მისცა თავის ლაშქარში“ (გვ. 89).

თარგმანის მიხედვით გამოდის თითქოს ზადი-გი წასულყოფს ყაჩაღი არმოვადის მოსაძებნად.

„Il envoya chercher le brigand Armo-gad“ (page 74) უნდა იყოს: „მან მას მოაძებ-ნინა ყაჩაღი არმოვადი“, ე. ი. ზადიგს კი არ მოუძებნია, არამედ მან გაგზავნა მშვენიერი მი-სუფე.

ზოგჯერ მთარგმნელები სტოვებენ ესთ სიტ-ყვებს, რომლის გამოტოვებაც სასურველი არ არის და არავითარი აქტიულობაც არ არსე-ბობს. ასე, მაგალითად, 90 გვერდზე ვკითხუ-ლობთ: „მოშურნე სიბრახისაგან მოკვდა“ „L'envieux mourut de rage et honte“ (p. 75).

უნდა იყოს: „მოშურნე სიბრახისა და სირ-ცხვილისაგან ვარდაიცვლა“. აქ გამოტოვებუ-ლია სიტყვა „სირცხვილი“ („honte“), რაც მთარგმნელების უყურადღებობას უნდა მიეწე-როს. „თქმეცა კანდიდი არ გამხრევებულა, მა-ინც მოხუცს ვაყევა, დედაბერი მას ერთ ქობში შეუძღვა, ერთი ქილა მაღაშო მისცა“ (გვ. 109). აქაც მთარგმნელს გამოუტოვებია ფრანგული სიტყვა „se froter“, რაც ნიშნავს ტანის დახეულას. თარგმანის მიხედვით არ ჩანს, თუ რატომ მისცა დედაბერმა კანდიდს ერთი ქილა მაღაშო.

გარდა ამისა, თარგმანში ზოგჯერ ვხვდებით ცალკეული სიტყვების არასწორ ვადმოცემას. ასე, მაგალითად, სიტყვა „le brutal“ (მტარვა-ლი) თარგმნილია როგორც „ბრძივი“. „le gou-vernement“ (მთავრობა) „სახელმწიფოდა“, „le royaume“ (სამეფო) „სახელმწიფოდა“. რიცა შევფებზევა ლაპარაკი კარგი იქნებოდა სიტყვა „le royaume“ გვეთარგმნა „სამეფოდა“. არა-სწორად არის ვადმოცემული საკუთარი სახე-ლობა: „Armogad“ როგორც „არგობადი“ არ მოვადის მაგიერ, „ბაზარა“ „ბასარას“ მაგიერ (Bassara).

თარგმანების გაჩინვის დროს ჩვენ მხედვე-ლობაში გვჭონდა ყველა ის სიმწლე, რომელიც

მთარგმნელს ვოლტერის თარგმნის დროს ხდებოდა. მთარგმნელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს სიძნელებები მათ დაუძლევათ.

ვოლტერის თარგმნა ქართულ ენაზე უსათუოდ მისასაღებელია.

თავის ფილოსოფიურ მოთხრობებში ვოლტერმა გადაჭრით გაილაშქრა საერო ხელისუფლების თვითნებობისა და ფარისევლობის წინააღმდეგ, ხალხს მეცნიერებისაკენ ღრმადი უკადაგა. „ზადიგსა“ და „კანდიდში“ ვოლტერი განიხილავს როგორც სტატისკოსს, განმანათლებელი და პუბლიცისტს. 1768 წლის რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ვოლტერი ეკატერინე მეორის სახელზე სწერს მთელ რიგ წერილებს, რომელშიაც მიესალმება რუსეთს ამ ველური ტომების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვოლტერი სძულდათ რევოციონერებს, 1814 წელს მისი ნეშტი პანთეონიდან ამოაგდეს, ხოლო 1942 წელს პიტერის მიითხოვეთ ფრანგმა

ფაშისტებმა მისი ძველი დაწერიეს. საბჭოთა კავშირი პირველი ქვეყანაა, სადაც სათიანოდ იქნა შეფასებული ვოლტერის ლიტერატურული მემკვიდრეობა. ამით აიხსნება, რომ ვოლტერის ნაწერები ასე ხშირად ითარგმნებიან საბჭოთა კავშირის ენებზე. ამიტომ საბჭოთა მეცნიერება მიესალმება ვოლტერის ფილოსოფიური მოთხრობების ქართული თარგმანების წიგნს. წიგნს ბოლოს დართული აქვს გ. ტიქოძის შენიშვნები და ცალკე სტატია. ივტორს შეეძლო უფრო კონკრეტულად ჩამოეყალიბებია ვოლტერის შეხედულებები. კონკრეტული ხასიათის წერილი მეტად დაეხმარებოდა ჩვენს მეცნიერებს ვოლტერის შემოქმედების გაცნობაში.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლავანებებისა, რომლებიც ჩვენს მიერ იქნა აღნიშნული, თარგმანები უსათუოდ დიდ სარგებლობას მოუტანს საბჭოთა მეცნიერებს.

ს. თურნაძე.

### კლავოზო ხუნდაძე — ქართული წიგნი. 1921 — 1948 წ.წ. სტატისტიკა-ბიბლიოგრაფიული ნარკვევი

★

პ. ხუნდაძის სტატისტიკურ-ბიბლიოგრაფიულ ნარკვევში მოცემულია საქართველოს წიგნის პროდუქტა 1921 — 1948 წლების მანძილზე. მასში ნაჩვენებია თუ როგორი მკვიდრი ნიადაგზე დაყენებული დღეს არა მარტო წიგნების გამოცემა, არამედ მისი აღრიცხვა-დამუშავების საქმეც. ქართული წიგნი აქამდე ასეთი მეცნიერული კვლევისა და დამუშავების საგანი არ ყოფილა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართული ეროვნული კულტურის უმაღალით განვითარებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ქართული წიგნის განვითარების საქმეშიც. ქართული წიგნის ნაბეჭდი და ყოველმხრივი აღმავლობა მხოლოდ ამ დროიდან იწყება. წიგნი და გამოცემების სახეობის სახეზე ხდება სახელმწიფო საქმედ, ხალხის განათლებისა და კომუნისტურად აღზრდის უდიდეს საშუალებად. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბებულ იქნა 14 სახელმწიფო სავაჭრო-მომცემო ორგანიზაცია, ყველაზე მძლავრი და აღრინდელი ორგანიზაციაა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა (სახელგამი). იგი ჩამოყალიბდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში; მან თანდათანობით განვითარა წიგნების გამომცემლობის საქმე და 1948 წლამდე ამ წლის ჩათვლით

გამოსცა 7.189 სახელწოდების წიგნი 60 მილიონ 606.400 ცალის ტირაჟით. გამოცემულ წიგნთა რაოდენობის მხრივ მეორე ადგილს უკავია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობას. იმავე დროის მანძილზე მან გამოსცა 1.271 სახელწოდების წიგნი 1 მილიონ 103.600 ცალის ტირაჟით. ტირაჟის მიხედვით საგამომცემლო ორგანიზაციებს შორის სახელგამის შემდეგ ყველაზე მაღალი ადგილი უკავია საქართველოს სამედიცინო გამომცემლობას. ამ გამომცემლობამ 1938 წლიდან 1948 წლის ჩათვლით 531 სახელწოდების წიგნი გამოსცა 3 მილიონი და მეტი ცალის ტირაჟით. გამომცემლობა „საბჭოთა მწერლობა“-მ გამოსცა 530 სახელწოდების 3 მილიონ ნახევარზე მეტი ცალი წიგნი. 2 მილიონის და მეტი ცალის ტირაჟით გამოცემული აქვს წიგნები „კომუნისტის“, მეცნიერებათა აკადემიისა და საბლიტგამის გამომცემლობებს. ხოლო 1 მილიონ ცალის გადაჭარბებით გამოცემული აქვს წიგნები პედაგოგიკური ინსტიტუტის გამომცემლობას, თბილისის, სამხრეთის ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობებს. სავაჭრო-მომცემლო საქმეს უწიოდნენ აგრეთვე ისეთი ორგანიზაციები, როგორც არის გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, საქართველოს წიგნის პალატისა და აჭარის სახელმწიფო გამომცემლო-

ბები. სულ საანგარიშო პერიოდში გამოსულია 14.251 სახელწოდების 81 მილიონი 472.150 ცალი წიგნი.

სარეცენზიო წიგნის ავტორს საანგარიშო დრო დაყოფილი აქვს 6 პერიოდდ სტალინური ხელწოდების და ომახელი და ომის შემდგომ ხანების მიხედვით. წიგნის გამოცემათა ასეთი დაყოფა მკითხველს უადვილებს უფრო ნათლად დაინახოს ქართული წიგნის თანდათანობითი განვითარების ეტაპები. წიგნში მოყვანილ ციფრობრივი მასალით მტკიცდება, რომ ქართული წიგნის საშუალო ტირაჟი უდრის 4 ათას ცალს. პირველ სტალინურ ხელწოდებაში ეს ტირაჟი უდრდა 3-600 ცალს, მეორე ხელწოდებაში — 5.200 ცალს, მესამე ხელწოდების პირველ სამ წელს — 4.800 ცალს, სამაჟლო ომის პერიოდში — 3.600 ცალს, ხოლო მეოთხე სტალინურ ხელწოდებაში ისევე ადის 5.200 ცალამდე.

ლენინისტების პარტიის ბრძნული ნაყოფიანობის პოლიტიკის განხორციელებით უზრუნველყოფილ იქნა არა მარტო ქართული წიგნის აღმავლობა, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე წიგნის განვითარება. ამ მხრივ სარეცენზიო წიგნი მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს. ასე, მაგალითად, საანგარიშო პერიოდში 29.603 სახელწოდების წიგნიდან, ქართულად არის გამოცემული 19.919 სახელწოდების. რუსულად — 7.173 სახელწოდების, აფხაზურად — 549 სახელწოდების, ოსურად — 512 სახელწოდების, სომხურად — 873 სახელწოდების, აზერბაიჯანურად — 416 სახელწოდებისა და სხვადასხვა ენებზე — 161 სახელწოდებისა.

ქართული ეროვნული კულტურის დიდი განვითარება ის ვარაუდება, რომ საქართველოში გამოცემული ქართული წიგნის მთელი რაოდენობის 75 პროცენტი მოდის ორიგინალურ ქართულ ლიტერატურაზე. — ქართული მეცნიერებისა და მწერლების მიერ შექმნილ წიგნებზე.

წიგნში მოცემულია ცნობები აგრეთვე ქართული წიგნის გამოცემაზე ცალკეული წლების მიხედვით. გამოცემულ წიგნების სახელწოდებათა რაოდენობით ყველაზე მაღლა სდგას — 1930, 1931, 1932, 1939, 1940 და 1941 წლები, ამ წლებში გამოცემულ წიგნთა რაოდენობა 1.000 სახელწოდებას აღემატება. მაგრამ გამოცემლობის საქმის განვითარებას უფრო გამოცემულ წიგნების ტირაჟები გვიჩვენებს. ამ მხრივ ყველაზე მაღლა სდგას 1938 წელი, რომელ წელსაც გამოიცა — 6.160.946 ცალი წიგნი 5 მილიონი და მეტი ცალი წიგნი გამოიცა 1932, 1936, 1937 და 1946 წლებში. სულ სამშობთა ხელისუფლების დროს საანგარიშო პერიოდში გამოიცა 90.454.855 ცალი წიგნი.

ავტორს სამართლიანად მიაჩნია აგრეთვე ეროვნული კულტურის განვითარების და უფრო მეტად ქართული წიგნის გამოცემის აღორძინების ერთ-ერთ ფაქტორად ის ვარაუდება, რომ დღეს ქართული წიგნების გამოცემა მარტო დედაქალაქის ფარგლებით არ შემოიზღუდება და რომ ქართული წიგნები პირველად იცემა, როგორც საქართველოს ქალაქებში, ისე საქართველოს გარედაც. საინტერესოა ამ მხრივ შრომაში მოყვანილი ცნობები. საქართველოს 1921—48 წლების წიგნის პროდუქციიდან თბილისზე მოდის 26.694 სახელწოდების წიგნი, სოხუმზე — 1.559, სტალინგრადზე — 564, ბათუმზე — 272, ქუთაისზე — 270. ათეული სახელწოდებით გამოცემულია წიგნები ზუგდიდსა და თელავში. წიგნები დაბეჭდილია აგრეთვე ზესტაფონში, ლავდეხში, გორში, ტიათურაში, ფოთში, ხაშურში, კასპში, შაბარდუში, რუსთავში, სავანეჯოში, ცხაქაიასა და სხვა მრავალ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. ქართული წიგნი იბეჭდებოდა აგრეთვე მოძმე რესპუბლიკებში. ასე, მაგალითად, მოსკოვში დაბეჭდილია 10 სახელწოდების ქართული წიგნი, ლენინგრადში — 3, ერევანში — 43, ბაქოში — 3 და თითო სახელწოდების ხარკოვში, ოდესაში, როსტოვსა და კიროვანბაში.

თანამედროვე ქართული საბჭოთა წიგნის დამახასიათებელია არა მარტო მასობრიობა, არამედ მისი მაღალი იდეური მიზანდასახულება და შინაარსი. სარეცენზიო წიგნი ამ მხრივაც საინტერესო ცნობებს შეიცავს. რეკლამისამდებ ხანაში გამოცემლობის მხრივ ავტორის მტკიცებით ყველაზე ნაყოფიერი წელი იყო 1913 წ. ამ წელს სულ გამოცემულია 247 სახელწოდების წიგნი, აქედან მეცნიერული შინაარსის ყოფილა 44 სახელწოდების წიგნი, ხოლო 18 სახელწოდების რელიგიური შინაარსისა. საინტერესო იყო ავტორს დანარჩენი წიგნების შინაარსობრივი დაცხრილვაც მოეცა.

როგორც ავტორი საესებით სამართლიანად აღნიშნავს, მდიდარი და მრავალფეროვანია სამშობთა საქართველოს წიგნის თემატიკა და შინაარსი. აიღოთ მარტო 1940 წელი. ამ წელს გამოცემული 1.639 სახელწოდების წიგნიდან 200 სახელწოდების წიგნი ყოფილა სამეცნიერო-კვლევითი შინაარსისა, რომელთა საერთო ტირაჟი 380 ათას ცალამდე ასულა. სულ 1921 — 1948 წლებში (1924 წლის გამოკლებით, რომლის ცნობებიც წიგნის ავტორს არც ერთ ცხრილში შეტანილი არა აქვს) 4.490 სახელწოდების სამეცნიერო წიგნი გამოცემული 10.976.659 ცალი ტირაჟით.

განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებების გამოცემის შესახებ. საანგარიშო პერიოდში

გამოცემულია 28 სახელწოდების კარლ მარქსის წიგნი, 15 სახელწოდების კარლ მარქსისა და ფრ. ენგელსის, 24 სახელწოდების — ფრ. ენგელსის, 165 სახელწოდების — ლენინის, 10 სახელწოდების — ლენინისა და სტალინის, 301 სახელწოდების სტალინის წიგნი, სტალინის წიგნების საერთო ტირაჟი 5.541.500 ცალს უდრის (ამაში არ შედის 1924 წელს გამოცემული წიგნები). ლენინის ნაწერები გამოცემულია 1.200.700 ცალად, მარქსის — 213.100 ცალად და ასე შემდეგ. სულ დაბეჭდილია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა 543 სახელწოდების წიგნი, 7.290.850 ცალი ტირაჟით. აქედან მხოლოდ ქართულ ენაზე დაბეჭდილია 6.907.750 ცალი წიგნი. საქართველოში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების 113 სახელწოდების წიგნი დაბეჭდა აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 382.600 ცალი ტირაჟით. კერძოდ აღსანიშნავია აშხანავ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომის „ს.კ.პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოცემა. იგი პირველად დაბეჭდა 1938 წელს 4 ნაკადად 200 ათასი ცალი ტირაჟით. 1946 — 1947 და 1949 წლებში 30 ათასი ცალი ტირაჟით; სულ დაბეჭდა 290 ათასი ცალი ტირაჟით. ეს ნაშრომი ითარგმნა და გამოცა აგრეთვე აფხაზურ და ოსურ ენებზე 7 ათასი ცალი ტირაჟით.

სარეცენზო ნაშრომში გამოცემული წიგნები დაყოფილია შინაარსობრივად. მხატვრული ლიტერატურა გამოცემულია 2.974 სახელწოდების წიგნად 11 მილიონზე მეტი ცალი ტირაჟით და 21 მილიონზე მეტი ანბეჭდი ფურცლის რაოდენობით. ამავე საანგარიშო პერიოდში გამოცემულ ქართულ წიგნების საერთო რაოდენობიდან 820 სახელწოდების საბავშვო ლიტერატურა 4.627.300 ცალი ტირაჟით.

გამოცემულ წიგნების მთელი პროდუქცია მკითხველთა დანიშნულების მიხედვით ცალ-ცალკეა დაყოფილი. მავალითად, დაბეჭდილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის ლიტერატურა 3.809 სახელწოდებისა, საინსტრუქციო საწარმოო ლიტერატურა — 5.436 სახელწოდებისა, სამეცნიერო ლიტერატურა — 4.990 სახელწოდებისა, სასწავლო-სახელმძღვანელო ლიტერატურა — 3.803 სახელწოდებისა, მხატვრული ლიტერატურა — 2.974 სახელწოდებისა, საბავშვო ლიტერატურა — 820 სახელწოდებისა, საცინაჰორ-საინფორმაციო ლიტერატურა — 1.973 სახელწოდებისა. ყველაზე მაღალი ტირაჟი აქვს სასწავლო სახელმძღვანელო ლიტერატურას, რომლის ტირაჟი 435.254.025 ცალს უდრის, სულ მთლიანად კი ყველა წიგნის ტირაჟი აღწევს 798.239.570 ცალს.

გამოცემული წიგნები შინაარსის მხრივ ასე იყოფა: მარქსიზმ-ლენინიზმი 709 სახელწოდება

(ტირაჟი 6 მილიონზე მეტი), საცენზო კ. პ. (ბ) პროპაგანდა და აგიტაცია, კომკავშირი, პროფკავშირი — 2.959 სახელწოდებისა (ტირაჟი 10 მილიონ 900 ათასზე მეტი), პოლიტიკურ-საქონლის, მსოფლიო მეურნეობა, მსოფლიო პოლიტიკა 493 სახელწოდებისა (ტირაჟი 1 მილიონ 700 ათასზე მეტი), ფილოსოფია, დიალექტიკური მატერიალიზმი, ისტორიული მატერიალიზმი, ფსიქოლოგია, საზოგადოებრივი მეცნიერება, ისტორია — 825 სახელწოდებისა (ტირაჟი 3 მილიონ 300 ათას ცალზე მეტი), სოციალისტური მშენებლობა, სახალხო მეურნეობის დავეგეზა და აღრიცხვა, ფინანსები — 2.155 სახელწოდებისა (ტირაჟი 5 მილიონ 500 ათასი ცალზე მეტი), სახელმწიფო სამართალი — 957 სახელწოდებისა (ტირაჟი 6 მილიონ 700 ათას ცალზე მეტი), სსრკ თავდაცვა, სამხედრო საქმე — 1.137 სახელწოდებისა (ტირაჟი 42 მილიონ 200 ათას ცალზე მეტი), ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, გეოგრაფია — 2.762 სახელწოდებისა (ტირაჟი 15 მილიონ 800 ათას ცალზე მეტი), ტექნიკა, მრეწველობა — 1.390 სახელწოდება (ტირაჟი 2 მილიონ 500 ათას ცალზე მეტი), და ასე შემდეგ. — სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ვაჭრობა, კომუნალური საქმე, ჯანდაცვა, მედიცინა, ფიზიკური კულტურა, განათლება, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, მხატვრული ლიტერატურა, საბავშვო ლიტერატურა, ხელოვნება, ანტირელიგიური ლიტერატურა, ბეჭდვითი საქმე, წიგნთმცოდნეობა, ბიბლიოგრაფია, საბიბლიოთეკო საქმე, ზოგადი ხასიათის ცნობები სულ 28.937 სახელწოდებისა (ტირაჟი 118.063.644).

წიგნს დართული აქვს ქრონოლოგიური სია საქართველოში გამოცემულ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებებისა და სტატი-ტიკური ცნობები საქართველოში გამოცემულ ქართულ, რუსულ, უცხოურ მხატვრულ ლიტერატურის კლასიკოსთა და თანამედროვე ქართველ მწერალთა თხზულებების გამოცემის შესახებ.

მეტად საყურადღებოა ცნობები ქართველ, რუს და უცხოურ კლასიკოსების ნაწერების გამოცემის შესახებ. ქართველ კლასიკოსებიდან ყველაზე მეტი სახელწოდების წიგნია გამოცემული ილია ჭავჭავაძის (66 სახელწოდებისა 415.720 ცალის ტირაჟით), შემდეგ აკაკი წერეთელი (49 სახელწოდების 255.800 ც. ტირაჟით), ვაჟა-ფშაველა (40 სახელწოდების 265.750 ც. ტირაჟით), ვე. ნინოშვილი (38 სახელწოდების 267.500 ც. ტირაჟით), შოთა რუსთაველი (17 სახელწოდების), ალ. ყაზბეგი (22 სახელწოდების), დავით კლდიაშვილი (20 სახელწოდების), ნ. ლომოური (16 სახელწოდების), ნ. ბარათ-

შეილი (13 სახელწოდების), გ. წერეთელი (13 სახელწოდების) და სხვ.

თანამედროვე საბჭოთა მწერლებიდან უველაზე მეტი სახელწოდების წიგნია გამოსული ქ. ლორთქიფანიძისა (38 სახელწოდების, 165 ათასი ც. ტირაჟით), ლ. ქიქელიძის (35 სახელწოდების, 169 ათასი ც. ტირაჟით), სანდრო ეული (34 სახელწოდების), ალ. შანშიაშვილის (32 სახელწოდების), რ. გვეტაძის (30 სახელწოდების), ი. გრიშაშვილის (29 სახელწოდების), ვ. ქუჩიშვილის (28 სახელწოდების), ქ. გამსახურდიას (27 სახელწოდების), ა. შირცხულავა (შანშიაშვილი) (26 სახელწოდების), გ. აბაშიძე (24 სახელწოდების) და ასე შემდეგ.

რუსი კლასიკოსებიდან ქართულ ენაზე პუშკინის ნაწერები გამოსულია 32 სახელწოდებისა, გორკის—24 სახელწოდებისა, ლევ. ტოლსტოის—17 სახელწოდებისა, მ. ლერმონტოვის—13 სახელწოდებისა, მიაიკოვსკის—12 სახელწოდებისა, ჩეხოვის—11 სახელწოდებისა, გოგოლი—10 სახელწოდებისა და ასე შემდეგ—კრილოვის, გრიბოედოვის, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინის, ტურგენევის ნაწერები.

უცხოურ კლასიკოსებისაგან უველაზე მრავლად გამოცემულია შექსპირი (14-ჯერ 49 ათასი ც. ტირაჟით), ჰიუგო (7-ჯერ), ბალზაკი (6-ჯერ), მოპასანი (6-ჯერ), ბოკაჩო (5-ჯერ), სტენდალი (4-ჯერ), პეინე (4-ჯერ) და ასე შემდეგ—ფლობერტი, ფრანსი, გოთე, ბაირონი, დანტე, დიკენსი, ლოპე-დე-ვეგა, შოლერი, სერვანტესი, შილერი.

ამ მშვენიერად შედგენილ და დიდად საჭირო წიგნს აქვს ზოგიერთი ნაკლი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ქართული ენის სისუსტე. სწორია „მშრომელთა მთელი მასებიათვის“, ვფიქრობთ, სიტყვა მთელი ზედმე-

ტია, მთელი თუ ნახევარი მასა არ არსებობს. ავტორი სწერს „მკვეთრად იწვევს მძლე სოფლის მეურნეობის წარმოება“ უფრო უფრო ფორმად—იზრდება სოფლის მეურნეობა, ანდა ვითარდება. გაუგებარი და ერთბაშად ზოგადია: „ბეჭდვითი ნაწარმოები ნაციონალური კულტურის ერთ-ერთი მკაფიო ამსახველია კაცობრიობის ისტორიულ განვითარების ყველა ეტაპზე“. აქ ბევრი გადამეტება და ზედმეტი სიტყვაა. მეფის რუსეთში, ვფიქრობთ, განათლების მინისტრი „სახალხო განათლების მინისტრის“ სახელწოდებას არ ატარებდა. მისი აღიარება, რომ „როგორც გენერალ ცენზორი აუცილებლობით იძულებული ვარ ვაბრკოლებდეთ“, ეს „აუცილებლობით“ ვერ არის კარგად თარგმნილი: სწორია „პედაგოგიკისა და პედაგოგიკის ისტორიის დარგში“, უმჯობესია „მისი ისტორიის დარგში“. არ იყო საჭირო პედაგოგიკის მეორეჯერ განმეორება. ცუდი ქართულია — „ქართულმა ფსიქოლოგიურმა გამოკვლევებმა ანარეკლი ჰპოვეს მეცნიერებაში, არა მხოლოდ სსრ კავშირში, არამედ მის გარეთაც“ და სხვ.

ავტორი ეხება თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართული წიგნის პროდუქციის საკითხს და აღნიშნავს, რომ თებერვლის რევოლუციამ ვასაქანი ვერ მისცა საქართველოს ბეჭდვითი ნაწარმოების განვითარებას და ამას მიაწერს იმ ეკონომიურ კრიზისს, რომელიც მსოფლიო ომს მოჰყვა. ეს მტკიცება მთლად სწორი არ არის. მსოფლიო ეკონომიური კრიზისი საქართველოს ბეჭდვითი ნაწარმოებზე ვერ იმოქმედებდა, მთავარი მიზეზი მენშევიკების გამყიდველობა და მათი ანტიხალხური პოლიტიკა იყო.



შინაარსი



ამხანაგ ლ. პ. ბერეას სიტყვა თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1950 წლის 9 მარტს . . . . . 3

მასო გორბაძე — ასე მღერის მერხეული, ლექსი . . . . . 16

შალვა აფხაძე — სიმონ ჩიქოვანი, წერილი . . . . . 18

ელიზბარ ჯაფარიძე — დავით ბაქრაძე, წერილი . . . . . 30

კლიმენტი გორბივა — არჩილ ნატროშვილი, ნარკვევი . . . . . 33

როდონე ქორძია — შალვა კობრეიძე, ნარკვევი . . . . . 40

მახტანო გორბანელი — შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატთან . . . . . 48

სერბო კლდიაშვილი — რთველი, მოთხრობა . . . . . 49

აპაკი ბელიაშვილი — ოქროს ჩარდახი, რომანი . . . . . 68

მოსაძალ ფასტი — თავისუფლების გზა, რომანი, გაგრძელება, თარგმანი ინგლისურიდან გივი ქვანიასი . . . . . 91

პაპლე ინგოროშვიდი — გიორგი მერხეული, წერილი, გაგრძელება . . . . . 116

ლ. გორბილაძე — გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობისათვის, წერილი . . . . . 154

ს. ხუციშვილი — „აკაკი წერეთელი, თხულებანი ტ. მე-5“, ბიბლიოგრაფია . . . . . 166

ირაკლი არაბული და დავით გომბოშვილი — „ი. ხორნაბულაძე, „ფშავ-ხევსურული პოეზია“, ბიბლიოგრაფია . . . . . 168

ს. თურნაძე — ეოლტერი ქართულად, ბიბლიოგრაფია . . . . . 170

ბ. მუხომედი — „ლატონ ხუნდაძე, „ქართული წიგნი 1821 — 1948 წ.წ.“, ბიბლიოგრაფია . . . . . 172

მასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (მასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა კალაიანი, ლეო კიჩაძე, იმრონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხეიძე, სერბი შილაია.

ხელმოწერილია დასაბუთად 27/III-50 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11 ფ. ში 00041. შიკვ. № 235. ტირაჟი 5.500.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, მთავრობის და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელ. № 3-23-42.

Комбинат печати Управления по делам полиграфической промышленности, издательства и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

